

თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო
უნივერსიტეტი

Tbilisi State University of Economic Relations

სამეცნიერო შრომების კრებული

Collection of Scientific Work

2010

თბილისი – 2010 – Tbilisi

კრებულში შეტანილია თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების გამოკვლევები, რომლებშიც განხილულია საქართველოს კონკურენციანიანობის, ეკონომიკისა და სამართლის აქტუალური პრობლემები.

ნაშრომის მთავარი მიზანია საზოგადოების ყურადღების კონცენტრირება იმ აქტუალურ საკითხებზე, რომელთა გონივრული, სამართლიანი და დროული გადაწყვეტა სასიკეთოდ იმოქმედებს ქვეყნის კეთილდღეობაზე.

კრებული სასარგებლო იქნება სპეციალისტებისთვის, სტუდენტებისთვისა და რეალური სექტორის წარმომადგენლებისათვის.

კრებულის შემდგენლები და რედაქტორები: პროფესორები ავთანდილ ჩუთლაშვილი (მთავარი რედაქტორი), დავით იაკობოძე, იაკობ ფუტკარაძე

კრებული იბეჭდება თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

რედაქტორი პროფესორი ანზორ თოთაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
დაკაბადონება ნატო არაბიძე

© თეუსუ, 2010

დაბეჭდილია თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში
ქეთევან წამებულის ქ. №55, ტ. 45-48-51
www.teusu.edu.ge

ISBN 978-9941-0-2988-2

სარჩევი

ეკონომიკა

ავთანდილი ჩუთლაშვილი

გლობალური კონკურენტუნარიანობა და საქართველო;

დავით იაკობიძე

საქართველოს ეკონომიკა საერთაშორისო შეფასებათა თვალსაზრისით და განვითარების შესაძლებლობები;

ბესო ალადაშვილი

ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების ერთიანი სისტემის ფორმირების პარადიგმა;

გიორგი ღალანიძე

ეკონომიკური ინდექსები და ეკონომიკური რეალობა;

ნიკო კვარაცხელია

კონკურენტული უპირატესობის მიღწევა ტურიზმში, როგორც პრაგმატული სახელმწიფო პოლიტიკის წარმატება ურუგვაისა და უკრაინის მაგალითზე;

სამართალი

იაკობ ფუტკარაძე

საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში;

რომან შენგელია

ქართული საბიუჯეტო სამართლის საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის კანონმდებლობასთან პარმონიზაციის პრობლემა;

დავით ძამუკაშვილი

ცვლილებანი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სამართალში;

დავით ბენიძე

შეჯიბრებითობის პრინციპის ტრანსფორმაცია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში;

გია მეფარიშვილი, ია ჩხეიძე

დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში;

შალვა ქურდაძე

საპროცესო მოქმედების შესრულების თავისებურება სამოქალაქო

სამართალწარმოებაში;

გია ლილუაშვილი

სამოქალაქო საქმეებზე ამერიკის მტკიცებულებითი

სამართალი;

ე პ ი ნ მ ი კ ა

ავთანდილ ჩუთლაშვილი, პროფესორი

გლობალური კონკურენტუნარიანობა და საქართველო

მსოფლიო ეკონომიკა ნელ-ნელა გამოდის იმ მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიც იგი ოდესმე ყოფილა. ის პროცესები რომელიც დაიწყო, როგორც ფინანსური კრიზისი, სწრაფად გადავიდა უკანასლნელი წლების ყველაზე დიდ რეცესიაში. მაგრამ, მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტმა, ფინანსური კრიზისის გაგრძელების, სამომხმარებლო მოთხოვნის შემცირების, უმუშევრობის ზრდისა და მსოფლიოში პროტექციონიზმის ზრდის მიუხედავად, მოსალოდნელია 2-3%-ით მოიმატოს.

რთული ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, დავიწყებას არ უნდა მიეცეს კონკურენტუნარიანობის ფუნდამენტალური პრინციპები და იგი არ უნდა შეეწიროს მოკლევადიან აუცილებლობებს. მომავალი კონკურენტუნარიანი ეკონომიკებისაა, რომლებიც ადგილობრივი ფაქტორების გათვალისწინებით მიემართებიან პროდუქტიულობის ზრდისაკენ და რომელზეც დღევანდელი და მომავალი კეთილდღეობა აიგება. ცალკეული რეგიონებისა და ქვეყნების კონკურენტუნარიანობის პრობლემატიკა, გლობალიზაციის პროცესების გაღრმავების კვალობაზე, კვლავ ინარჩუნებს აქტუალურობას. აღნიშნული კიდევ ერთხელ დაადასტურა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშმა „გლობალური კონკურენტუნარიანობა 2010-2011 წელს“ (*The Global Competitiveness Report 2010-2011*), რომლის მიხედვით საქართველომ 93-ე ადგილი დაიკავა.

2005 წლიდან მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი თავის ანალიზს აფუძნებს გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსზე (*Global Competitiveness Index, GCI*), რომელმაც ეროვნული კონკურენტუნარიანობა მოიცვა მიკრო და მაკრო ეკონომიკური მაჩვენებლებით. ეკონომიკური ფორუმის ექსპერტების აზრით, კონკურენტუნარიანობა არის ინსტიტუტების, პოლიტიკისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის პროდუქტიულობის დონეს. პროდუქტიულობის საზღვრები, თავის მხრივ, ადგენენ კეთილდღეობის იმ საზღვრებს, რომელიც შეიძლება მიღწეული იქნას ამა თუ იმ ეკონომიკის მიერ. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, უფრო კონკურენტუნარიან ეკონომიკურ სისტემას შესწევს ძალა მიაღწიოს უფრო მაღალი შემოსავლიანობის დონეს თავისი მოქალაქეებისათვის. პროდუქტიულობის ზღვარი ასევე ადგენს იმ უკუგების კოეფიციენტს, რომელიც გამოითვლება ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით. აღნიშნული უკუგების კოეფიციენტი გახლავთ ეკონომიკური ზრდის ტემპების ფუნდამენტური მაჩვენებელი. უფრო კონკურენტუნარიანი ეკონომიკა არის ის, რომელიც საშუალოდ უფრო სწრაფად იზრდება გრძელვადიან პერიოდში.

კონკურენტუნარიანობის კონცეფცია, მაშასადამე, მოიცავს სტატისტიკურ და დინამიურ კომპონენტებს, თუმცა ქვეყნის კონკურენტუნარიანობა მკაფიოდ

განისაზღვრება შემოსავლების დონის მდგრადობის შესაძლებლობით და მასში ასევე იგულისხმება ერთ-ერთი ცენტრალური ინდიკატორიც – ინვესტიციების უკუგების კოეფიციენტი, რომელიც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ეკონომიკის ზრდის პოტენციალის დადგენისას (ახსნისათვის).

მიმდინარე წლის კონკურენტუნარიანობის ანგარიშში წინა, პერიოდთან შედარებით, გარკვეული ცვლილებები შევიდა. ასე მაგალითად, პირველ ოცეულში 11 ეკროპული სახელმწიფოს ნაცვლად 12 მოხვდა, აზის ქვეყნები კი ამჟამად მხოლოდ 4 ეკონომიკით არიან წარმოდგენილი, ნაცვლად 5-ისა. საყურადღებოა ისიც, რომ აღნიშნული რეიტინგის მრავალწლის ლიდერმა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მე-2 ადგილიდან, ბოლო ანგარიშის მიხედვით, მე-4 ადგილზე გადაინაცვლა.

რეიტინგში პირველი ადგილი შვეიცარიამ შეინარჩუნა. აღნიშნული შესაძლებელი გახდა ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის მაღალი დონის (მე-2 ადგილი) და ბიზნესის წარმოების მაღალი კულტურის (მე-4 ადგილი) გამო. „შვეიცარიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები ერთ-ერთი საუკეთესონი არიან მსოფლიოში, ხოლო მჭიდრო თანამშრომლობა აკადემიურ და ბიზნეს სტრუქტურებს შორის, რომელსაც ემატება კომპანიების საკმაოდ მაღალი ხარჯები კვლევებსა და განვითარებაზე, იძლევა იმის გარანტიებს, რომ აღნიშნული კვლევები ტრანსფორმირებული იქნება იმ პროცესებსა და პროდუქტებში, რომლებიც მოთხოვნადია ბაზარზე და რომლებსაც გააჩნიათ მთავრობის მძლავრი მხარდაჭერა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით», აღნიშნულია ეკონომიკური ფორუმის ანგარიშში (1, 14). რეიტინგში მე-2 და მე-3 ადგილები დაიკავეს შვეციამ და სინგაპურმა, რომლებმაც ამერიკის შეერთებულ შტატებს გადაუსწრეს.

საინტერესოა რეიტინგის მეთოდოლოგია, რომელიც საერთო ჯამში 111 მონაცემს აერთიანებს კონკურენტუნარიანობის 12 ძირითად მახასიათებელში. ამჯერად რეიტინგის ინდიკატორებზე გავამახვილებთ ყურადღებას. აღნიშნული ინდიკატორები არის ის ძირითადი ორიენტირები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება შეფასებულ იქნას ეროვნული მთავრობები და წარმატების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი. თავდაპირველად ყურადღება გავამახვილოთ კონკურენტუნარიანობის 12 ძირითად მახასიათებელზე, მასში შემავალ ინდიკატორებზე და მათ მიმართებას საქართველოს ეკონომიკასთან:

1. ინსტიტუტები – 69-ე ადგილი (*Institutions*). მოიცავს 21 ინდიკატორს, რომლის მიხედვით საქართველოს ყველაზე კარგი პოზიცია (მე-4 ადგილი 4,6 ქულით) მთავრობის რეგულაციების სიმძიმე (*Burden of government regulation*) უჭირავს, ხოლო ყველაზე სუსტი 3,5 ქულით და 122-ე ადგილი მინორიტარი აქციონერთა ინტერესების დაცვას უკავია (*minority shareholder's interests*);

2. ინფრასტრუქტურა – 73-ე ადგილი (*Infrastructure*). მოიცავს 9 ინდიკატორს. ძლიერი პოზიცია- 41-ე ადგილი რეინიგზის ინფრასტრუქტურის ხარისხი (*Quality of railroad infrastructure*); სუსტი პოზიცია- 111-ე ადგილი ქვეყნის ტერიტორიის ხელმისაწვდომობა ავიახაზებით (*available airline seat kilometers*);

3. მაკროეკონომიკური გარემო – 130-ე ადგილი (*Macroeconomic environment*). მოიცავს 6 ინდიკატორს. ძლიერი პოზიცია 47-ე ადგილი ინფლაცია (*Inflation*); სუსტი პოზიცია - 128-ე ადგილი ბანკების მიერ მოზიდულ და განთავსებულ ფინანსურ რესურსებს შორის არსებულ საპროცენტო სხვაობის ოდენობა (*Interest rate spread*);

4. ჯანმრთელობა და დაწყებითი განათლება – 73-ე ადგილი (*Health and primary education*). მოიცავს 10 ინდიკატორს. წამყვანი პოზიცია მე-17 ადგილით დაწყებითი განათლების ხელმისაწვდომობის მაჩვენებელს უკავია (*Primary education enrollment rate*), ხოლო სუსტი 105-ე ადგილი დაწყებითი განათლების ხარისხი (*Quality of primary education*);

5. უმაღლესი განათლება და პროფესიული მომზადება – 90-ე ადგილი (*Higher education and training*). აერთიანებს 8 ინდიკატორს, რომელშიც საუკეთესოა საშუალო განათლების ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი (*Secondary education enrollment rate*) (59-ე ადგილი), ხოლო 125-ე ადგილადაა დაფიქსირებული ადგილობრივი შესაძლებლობების არსებობა სპეციალიზირებული კვლევებისათვის და პროფესიული მომზადებისათვის (*Local availability of specialized research and training services*);

6. საქონლისა და მომსახურების ბაზრის ეფექტუანობა – 64-ე ადგილი (*Goods market efficiency*). აერთიანებს 15 ინდიკატორს. აღნიშნულ მახასიათებელთა სისტემაში საქართველოს ბიზნესის დაწყებისათვის საჭირო დრო (*Time required to start a business*) და სავაჭრო ტარიფების მიხედვით (*Trade tariffs*) მე-3 ადგილი უკავია, ხოლო საკმაოდ სუსტი პოზიცია (135-ე ადგილი) ფიქსირდება ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტუანობის კუთხით (*Effectiveness of anti-monopoly policy*);

7. შრომის ბაზრის ეფექტუანობა – 31-ე ადგილი (*Labor market efficiency*). მოიცავს 9 ინდიკატორს. კარგი პოზიცია გაუთვალისწინებელი ხარჯების ოდენობის მიხედვით (*Redundancy costs*) (მე-6 ადგილი), ხოლო სისუსტედ უნდა ჩაითვალოს 104-ე პოზიცია კვალიფიცირებული კადრების უცხოეთში გადინების კუთხით (*Brain drain*);

8. ფინანსური ბაზრის განვითარებულობა – 108-ე ადგილი (*Financial market development*). აღნიშნულში გაერთიანებულია 9 ინდიკატორი. კაპიტალის მომრაობაზე შეზღუდვების სიმცირის მიხედვით (*Restriction on capital flows*) ქვეყანას მე-40 ადგილი უკავია, ხოლო სუსტია პოზიცია ფინანსური ოპერაციების განხორციელებაში ადგილობრივი საფონდო ბაზრის მეშვეობით, (*Financing through local equity market*) 125-ე ადგილით;

9. ტექნოლოგიური განვითარების დონე – 98-ე ადგილი (*Technological readiness*). აერთიანებს 6 ინდიკატორს. ამ ექვსიდან კარგი მდგომარეობა (73-ე ადგილი) ინტერნეტის მომხმარებლების რიცხოვნობის მიხედვით ფიქსირდება (*Internet users*), ხოლო 125-ე ადგილი გვიკავია ტექნოლოგიების ათვისების მაჩვენებელში (*Firm-level technology absorption*);

10. ადგილობრივი ბაზრის მასშტაბები – 107-ე ადგილი (*Market size*). აერთიანებს 5 ინდიკატორს. ძლიერი პოზიციები (43-ე ადგილი) მოდის - იმპორტის პროცენტულ წილზე მთლიან შიდა პროდუქტში (*Imports as a percentage of GDP*). სუსტი პოზიციებია (115-ე ადგილი) უცხოური ბაზრის მასშტაბის ინდექსის მიხედვით (*Foreign market size index*);

11. ბიზნესის კონკურენტუნარიანობა – 111-ე ადგილი (*Business sophistication*). აერთიანებს 11 ინდიკატორს. ძლიერი პოზიციები (81-ე ადგილი) კონკურენტუნარიანობის უპირატესობათა ბუნება (*Nature of competitive advantage*), სუსტი პოზიციები (130-ე ადგილი) ადგილობრივ მომწოდებელთა სიმრავლე (*local supplier quantity*);

12. ინოვაციები – 125-ე ადგილი (*Innovation*). მოიცავს 7 ინდიკატორს. იძლიერი პოზიცია (72-ე ადგილი) გახლავთ - ყოველ მილიონ მოსახლეზე პატენტების ეფექტურობა (*Utility patents per million population*). სუსტი პოზიციები (134-ე ადგილი) - თანამშრომლობა უნივერსიტეტებსა და რეალურ სექტორს შორის კვლევებსა და განვითარებაში (*University-industry collaboration in RD*).

კონკურენტუნარიანობის დასადგენად მრავალი საკმაოდ რთული მეთოდები გამოიყენება. აღნიშნული ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს კონკურენტუნარიანობის არსებული მეთოდების განხილვა. ჩვენი მიზანია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დოკუმენტების ანალიზის კვალობაზე ქვეყნისათვის სასრგებლო და საინტერესო რეკომენდაციების შემუშავება.

საკითხის გამარტივების და უკეთ წარმოჩენის მიზნით, გვინდა კონკურენტუნარიანობის მარტივი და მისაღები ფორმულა განვიხილოთ. დავუშვათ, რომ კონკურენტუნარიანობის ერთადერთი მაჩვენებელი არის მსოფლიო გლობალურ ბაზარზე ამა თუ იმ ეკონომიკის მიერ წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე დაფიქსირებული მოთხოვნის მოცულობა. ამ შემთხვევაში, თუ ქვეყანა მსოფლიო ბაზარზე უფრო ნაკლებ საქონელს ყიდის და მომსახურებას აწარმოებს, ვიდრე თვითონ ყიდულობს, ფიქსირდება სავაჭრო ბალანსის დეფიციტი. თეორიაში, თუ სახელმწიფო საგარეო ვაჭრობის ბალანსი უარყოფით სალდოს (დეფიციტს) უშვებს, მისი კონკურენტუნარიანობა უფრო დაბალი უნდა იყოს იმ სახელმწიფოსთან შედარებით, ვისაც პირიქით აქვს საქმე. პრაქტიკაში კი ყოველთვის ასე არ არის. უფრო დეტალური დაკვირვებისას ირკვევა:

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ მომზადებული ანგარიშების მიხედვით აშშ დღეისათვის მე-4 ადგილს ჯერდება. ყოველივე ეს ხდება მაშინ, როცა აშშ საგარეო სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდო მრავალ ასეულ მილიარდ დოლარს აღწევს. ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია არა ის, თუ რეალურად რა ხდება, არამედ ის, თუ ვინ და როგორ აღწერს შექმნილ ვითარებას.

საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტი – მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ბოლო ანგარიშის მიხედვით, 20 ყველაზე კონკურენტუნარიან ეკონომიკებს შორის 12 ევროპულ და 4 აზიის სახელმწიფოებზე მოდის, ხოლო ამერიკის კონტინენტი აშშ-ით და კანადითაა წარმოდგენილი. თვალშისაცემია აზიის ქვეყნების წარმატებები, რომელიც არ მომხდარა ევროპული ქვეყნების პოზიციების შესუსტების ხარჯზე. ფაქტია, რომ ბოლო წლებში ევროპამ მოახერხა და მეტ-ნაკლებად დააბალანსა თავისი სავაჭრო სალდო აზიის სწრაფად განვითარებად ქვეყნებთან. ასევე ფაქტია, რომ აშშ-ი საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდო იზრდება, მაშინ როცა აზიის ქვეყნების – პირიქით, პრეფერიტული ხდება.

პასუხი კითხვაზე, თუ როგორ მოახერხა ევროკავშირმა ის, რაც ჯერ-ჯერობით ვერ გამოსდის აშშ-ს, უნდა ვეძებოთ წარმოების სპეციფიკაში. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული სასარგებლო იქნება ქართული ეკონომიკის ორიენტირების კორექტირებისას.

განვიხილოთ ამერიკული და ევროპული კომპანიების ქმედებანი კონკურენტულ ბაზარზე. ჩვენი აზრით, ზემოთ აღნიშნული ქმედებანი დღეს ბევრადაა განპირობებული

არა მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორებით, არამედ საქმეში სოციალურ-კულტურული თავისებურებანიც ერთვებიან.

ამერიკული ეკონომიკა ჩამოყალიბდა, როგორც ინდუსტრიალური საზოგადოების სანიმუშო მოდელი და იგი მიმართული იყო წარმოების უნიფიცირებისაკენ. შედეგად, აქცენტი ყოველთვის კეთდებოდა მასობრივ წარმოებაზე, ნაკლებად იყო ფიქრი ნედლეულისა და სამუშაო ძალის ეკონომიაზე. ამერიკის წარმოებას ყოველთვის ჰქონდა და ეხლაც აქვს იმედი, შედარებით იაფ სამუშაო ძალაზე, რომელიც მოედინებოდა ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან. ასეთი სამეურნეო წყობისას კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებისათვის აქცენტი ლოგიკურადაა გადატანილი პროდუქციის თვითღირებულების შემცირებაზე, რომელიც წარმოების მასშტაბების ზრდის ხარჯზე მიიღწევა. შექმნილ ვითარებაში ამერიკული ეკონომიკისათვის ძალზე ძნელია გადავიდეს ინდივიდუალიზირებული პროდუქციის გამოშვებაზე, რომელიც ძალზე მომთხოვნ მომხმარებელზეა გათვლილი. ამერიკა მსოფლიოში ცნობილია მასობრივი წარმოების ისეთი კომპანიებითა და ბრენდებით, როგორიცაა *Coca-Cola, Pepsi-Cola, McDonald's, Intel, Microsoft* და ა. შ.

ამერიკის შეერთებული შტატებისათვის კონკურენტუნარიანობის მაღალი დონის შენარჩუნება მხოლოდ მასობრივი წარმოების უპირატესობების გამოყენების ხარჯზე ძალზე ძნელი ხდება, ვინაიდან უცხო ქვეყნის კომპანიები სწავად განვითარებადი ქვეყნებიდან (ძირითადად აზიანი), იგივე პროდუქციას აწარმოებენ და ამერიკელ მომხმარებელს აწვდიან გაცილებით იაფად, ხოლო ადგილობრივი მომხმარებელები ნელა-ნელა, წლიდან წლამდე მიეჩვია იაფასიან პროდუქციას.

ზემოთ აღნიშნულ ანალიზს დავუმატოთ ეგრეთწოდებულ „ახალი ეკონომიკის“ (2, 62) ფენომენი და ამერიკული ტექნოლოგიების უკანონო მითვისება განვითარებადი სამყაროს კომპანიების მიერ, რომლის შეჩერება ტრადიციული მეთოდებით სულ უფრო რთული ხდება, რადგანაც თანამედროვე ტექნოლოგიური რევოლუციის თავისებურება – ახალი ტექნოლოგიების მასობრივი გავრცელება და ხელმისაწვდომობა გახლავთ და არა პირიკით.

პასუხი კითხვაზე – როგორ უნდა მოხერხდეს მრავალმილიარდიანი ინვესტიციების უკუგების კოეფიციენტის გაზრდა (ძირითადად ამერიკული კომპანიების), რომელიც მათ მიერ არის განხორციელებული თანამედროვე ინოვაციური პროდუქტებისა და ტექნოლოგიების შექმნაში, ჯერ-ჯერობით ბუნდოვანია. ფაქტია, რომ აშშ-ს ბაზარი გადავსებულია განვითარებადი ქვეყნების კომპანიების იაფასიანი და ნაკლებად ხარისხიანი პროდუქციით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ამერიკული პატენტით ან ლიცენზიითაა წარმოებული. აღნიშნული პროდუქცია დევნის ამერიკის ბაზრიდან ადგილობრივ ნაწარმს, შედეგად აუარესებს აშშ-ს საგარეო ვაჭრობის სალდოს, ხოლო მომწოდებელი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სალდო პრეფიციტული ხდება. ყოველივე ამის შედეგად აშშ-ს ეკონომიკას სჭირდება უფრო და უფრო მეტი ინვესტიციები, რათა ისინი მიმართული იქნას ინოვაციური კვლევებისა და ტექნოლოგიების შესაქმნელად, რომელთა პატენტები და ლიცენზიები გაიყიდება უცხო კომპანიებზე, ისინი აწარმოებენ იაფ და ნაკლებად ხარისხიან პროდუქციას, რომლებიც, თავის მხრივ, გააგრძელებენ ამერიკის ბაზრებიდან ადგილობრივი პროდუქციის განდევნას და ა. შ. ამრიგად, წრე მეორდება. აი ზოგადად ის მექანიზმი, რომელშიც თავმოყრილია პრობლემების ის

მოკლე ჩამონათვალი, რომელიც ასუსტებს ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციებს გლობალურ კონკურენტუნარიანობის რეიტინგში.

განსხვავებული ტრადიცია ჩამოყალიბდა ევროპის ქვეყნებში. თანამედროვე ევროპაში მატერიალური კეთილდღეობა ანუ კორპორაციული მოგება აღარ წარმოადგენს წარმატების იმ ერთადერთ საზომს, რაც წინათ იყო და რაც ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია აშშ-ში. აქ უფრო მნიშვნელოვანია წარმატების სოციალური შემადგენელი, გარემოს დაცვითი ღონისძიებები, პრესტიულობა და ა.შ. ევროპაში მეტად აფასებენ პროდუქციის ხარისხს და მის ინდივიდუალურობას. აქ მეტად არიან ორიენტირებულნი გამოყენებული რესურსების შემცირებაზე, ნელ-ნელა უარს ამბობენ მასობრივ წარმოებაზე. შედეგად ფასები ევროპულ პროდუქციაზე საკმაოდ მაღალია, ევროპული კომპანიები დღეს ლიდერები არიან მსოფლიოს ძვირად ღირებული პროდუქტების ბაზარზე. ისეთი ბრენდების ფლობა როგორიცაა *Rolls-Royce, Ferrari, Cartier, Christian Dior, Chanel* და სხვა, წარმატების, პრესტიუსა და მდგრადობის ნიშანია. აამგვარი საქონლის შეძენისას, მყიდველი მზადაა სიმბოლურად მაღალი და, ხშირ შემთხვევაში, არარეალური ფასი გადაიხადოს. ასეთ ვითარებაში კონკურენტული უპირატესობების მოპოვება ფასის ელემენტის გამოყენებით ყოველივე აზრსაა მოკლებული.

ევროპულმა კომპანიებმა არა მარტო თავისი პროდუქციის ხარისხის ამაღლება მოახდინეს და შეინარჩუნეს ზომიერი ფასები, არამედ მათ ასევე მოახერხეს აეთვისებინათ საკმაოდ დიდი ბაზარი, სადაც ფასს აღარ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

მართალია, ევროპელები ვერ ახერხებენ ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მაღალი ტემპის ზრდის დემონსტრირებას, როგორც ამას ამერიკელები ახერხებენ, მაგრამ მათ კარგად გამოსდით აღნიშნული მიღწევების უკეთ დანერგვა წარმოებაში და მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევა. ასე მაგალითად, ევროპული ავტომობილები განთქმული არიან თავისი ხარისხით, მოიხმარენ ნაკლებ საწვავს, აკმაყოფილებენ ეკოლოგიური და უსაფრთხოების მოთხოვნების მაღალ სტანდარტებს.

ამერიკის შეერთებული შტატები მასობრივი წარმოების უპირატესობების ეფექტური გამოყენების მეშვეობით და ტექნოლოგიური პროგრესის მაქსიმალური ხელისშეწყობით, ჯერ-ჯერობით აღწევს თავის დომინირებას რამოდენიმე სტრატეგიულად მნიშვნელოვან დარგში. ყოველივე საკმაოდ დიდი მოცულობის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს საჭიროებს, რაც საკმაოდ მძიმედ აისახება ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის მაჩვენებლებზე.

ევროპელები, კიპირიქით. მათ ორიენტირი არა მასობრივ წარმოების განვითარებაზე, არამედ მის შეცვლაზე აიღეს. მრავალმილიარდიანი ინვესტიციები უპირატესად ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე და არა მათ შექმნაზე მიდის. შედეგად მათი კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები უკეთ გამოიყურება.

ზემოთ აღნიშნული ანალიზის გათვალისწინებით გადასაწყვეტია, წარმოების განვითარების რომელი მოდელი უფრო სასარგებლო გამოდგება საქართველოსთვის. დამატებით გვინდა ავღნიშნოთ, რომ „გლობალური კონკურენტუნარიანობა 2010-2011 წელს“ ანგარიშში ხაზგასმულია ის მნიშვნელოვანი პრობლემატიკური საკითხები, რომლებიც ბიზნესის კეთებას აფერხებს საქართველოში. შევჩერდეთ საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებზე. კერძოდ, რესპონდენტთა 14,4-14,4 პროცენტა

დაასახელა ფინანსირების ხელმისაწვდომობის (*access to financing*) და პოლიტიკური არასტაბილურობის პრობლემა (*policy instability*); 13,3 პროცენტს პრობლემად მიაჩნია სამუშაო ძალის არაადეკვატურად გაწვრთნა (*inadequately educated workforce*); 10,9-10,9 პროცენტს მთავრობის არასტაბილურობა (*government instability*) და ადგილობრივი სამუშაო ძალის მწირე (სუსტი) ეთიკური სტანდარტები (*poor work ethic in national labor force*); გამოკითხულთა 9,7 პროცენტი პრობლემას საგადასახადო რეგულირებაში ხედავს (*tax regulations*) და ა. შ. დეტალური ინფორმაცია შესაძლებელია მოინახოს №1-ლ დანართში.

ჩვენი აზრით, სწორი იქნება – ქართულმა პროდუქციამ მოიპოვოს თავისი ადგილი მსოფლიოს მაღალხარისხიან და ინდივიდუალიზირებულ ბაზრებზე, რომელზედაც ფასი გადამწყვეტი არ იქნება და რომელსაც უნიკალური თვისებები ექნება.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა


1. The Global Competitiveness Report 2010-2011;
2. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის 2009 წლის სამეცნიერო შრომების კრებული. თბ., 2009.

Georgia

Key indicators, 2009

Population (millions).....	4.3
GDP (US\$ billions).....	10.7
GDP per capita (US\$).....	2,448
GDP (PPP) as share (%) of world total03

GDP (PPP) per capita (int'l \$), 1980–2009



Global Competitiveness Index


	Rank (out of 129)	Score
GCI 2010–2011.....	93.....11.7	3.9
GCI 2009–2010 (out of 133).....	90.....11.7	3.8
GCI 2008–2009 (out of 134).....	90.....11.7	3.9
Basic requirements.....	95.....11.7	4.1
1st pillar: Institutions.....	69.....11.7	3.9
2nd pillar: Infrastructure.....	73.....11.7	3.8
3rd pillar: Macroeconomic environment.....	130.....11.7	3.3
4th pillar: Health and primary education.....	73.....11.7	5.6
Efficiency enhancers.....	94.....11.7	3.7
5th pillar: Higher education and training.....	80.....11.7	3.7
6th pillar: Goods market efficiency.....	84.....11.7	4.2
7th pillar: Labor market efficiency.....	31.....11.7	4.8
8th pillar: Financial market development.....	108.....11.7	3.6
9th pillar: Technological readiness.....	98.....11.7	3.1
10th pillar: Market size.....	107.....11.7	2.8
Innovation and sophistication factors.....	121.....11.7	2.9
11th pillar: Business sophistication.....	111.....11.7	3.3
12th pillar: Innovation.....	125.....11.7	2.5

Stage of development



—○— Georgia —○— Economies in transition from 1 to 2

The most problematic factors for doing business



Note: From a list of 15 factors, respondents were asked to select the five most problematic for doing business in their country and to rank them between 1 (most problematic) and 5. The bars in the figure show the responses weighted according to their rankings.

The Global Competitiveness Report 2010-2011 © 2010 World Economic Forum

Georgia

Z.1: Country/Economy Profiles

The Global Competitiveness Index in detail

INDICATOR	RANK/129	INDICATOR	RANK/129
1st pillar: Institutions		6th pillar: Goods market efficiency	
1.01 Property rights.....	120	6.01 Intensity of local competition.....	124
1.02 Intellectual property protection.....	67	6.02 Extent of market dominance.....	113
1.03 Division of public funds.....	48	6.03 Effectiveness of anti-monopoly policy.....	135
1.04 Public trust of politicians.....	78	6.04 Extent and effect of taxation.....	24
1.05 Irregular payments and bribes.....	42	6.05 Total tax rate*.....	7
1.06 Judicial independence.....	104	6.06 Number of procedures required to start a business*.....	6
1.07 Favoritism in decisions of government officials.....	68	6.07 Time required to start a business*.....	2
1.08 Wastefulness of government spending.....	52	6.08 Agricultural policy costs.....	114
1.09 Burden of government regulation.....	4	6.09 Prevalence of trade barriers.....	33
1.10 Efficiency of legal framework in settling disputes.....	69	6.10 Trade tariffs*.....	3
1.11 Efficiency of legal framework in challenging regulations.....	98	6.11 Prevalence of foreign ownership.....	89
1.12 Transparency of government policymaking.....	33	6.12 Business impact of rules on FDI.....	44
1.13 Business costs of terrorism.....	61	6.13 Burden of customs procedures.....	29
1.14 Business costs of crime and violence.....	41	6.14 Degree of customer orientation.....	127
1.15 Organized crime.....	63	6.15 Buyer sophistication.....	87
1.16 Reliability of police services.....	45		
1.17 Ethical behavior of firms.....	78		
1.18 Strength of auditing and reporting standards.....	52		
1.19 Efficacy of corporate boards.....	109		
1.20 Protection of minority shareholders' interests.....	122		
1.21 Strength of investor protection*.....	33		
2nd pillar: Infrastructure		7th pillar: Labor market efficiency	
2.01 Quality of overall infrastructure.....	62	7.01 Cooperation in labor-employer relations.....	77
2.02 Quality of roads.....	65	7.02 Flexibility of wage determination.....	28
2.03 Quality of railroad infrastructure.....	41	7.03 Rigidity of employment*.....	10
2.04 Quality of port infrastructure.....	75	7.04 Hiring and firing practices.....	9
2.05 Quality of air transport infrastructure.....	86	7.05 Reciprocity costs*.....	6
2.06 Available airline seat kilometers*.....	111	7.06 Pay and productivity.....	59
2.07 Quality of electricity supply.....	58	7.07 Reliance on professional management.....	58
2.08 Fixed telephone lines*.....	64	7.08 Brain drain.....	104
2.09 Mobile telephone subscriptions*.....	103	7.09 Female participation in labor force*.....	61
3rd pillar: Macroeconomic environment			
3.01 Government budget balance*.....	127		
3.02 National savings rate*.....	110		
3.03 Inflation*.....	47		
3.04 Interest rate spread*.....	128		
3.05 Government debt*.....	n/a		
3.06 Country credit rating*.....	104		
4th pillar: Health and primary education		8th pillar: Financial market development	
4.01 Business impact of malaria.....	79	8.01 Availability of financial services.....	106
4.02 Malaria incidence*.....	76	8.02 Affordability of financial services.....	108
4.03 Business impact of tuberculosis.....	78	8.03 Financing through local equity market.....	125
4.04 Tuberculosis incidence*.....	89	8.04 Ease of access to loans.....	93
4.05 Business impact of HIV/AIDS.....	70	8.05 Venture capital availability.....	108
4.06 HIV prevalence*.....	22	8.06 Restriction on capital flows.....	49
4.07 Infant mortality*.....	92	8.07 Soundness of banks.....	109
4.08 Life expectancy*.....	86	8.08 Regulation of securities exchanges.....	124
4.09 Quality of primary education.....	105	8.09 Legal rights index*.....	60
4.10 Primary education's enrollment rate*.....	17		
5th pillar: Higher education and training		9th pillar: Technological readiness	
5.01 Secondary education enrollment rate*.....	59	9.01 Availability of latest technologies.....	96
5.02 Tertiary education enrollment rate*.....	68	9.02 Firm-level technology absorption.....	125
5.03 Quality of the educational system.....	119	9.03 FDI and technology transfer.....	92
5.04 Quality of math and science education.....	104	9.04 Internet users*.....	70
5.05 Quality of management schools.....	116	9.05 Broadband Internet subscribers*.....	75
5.06 Internal access of schools.....	74	9.06 Internet bandwidth*.....	77
5.07 Local availability of research and training services.....	125		
5.08 Extent of staff training.....	108		
		10th pillar: Market size	
		10.01 Domestic market size index*.....	102
		10.02 Foreign market size index*.....	115
		11th pillar: Business sophistication	
		11.01 Local supplier quality.....	137
		11.02 Local supplier quality.....	131
		11.03 State of cluster development.....	98
		11.04 Nature of competitive advantage.....	92
		11.05 Value chain breadth.....	93
		11.06 Control of international distribution.....	88
		11.07 Production process sophistication.....	116
		11.08 Extent of marketing.....	102
		11.09 Willingness to delegate authority.....	115
		12th pillar: Innovation	
		12.01 Capacity for innovation.....	112
		12.02 Quality of scientific research institutions.....	119
		12.03 Company spending on R&D.....	132
		12.04 University-industry collaboration in R&D.....	134
		12.05 Gov't procurement of advanced tech products.....	102
		12.06 Availability of scientists and engineers.....	122
		12.07 Utility patents per million population*.....	72

Notes: Ranks of notable competitive advantages are highlighted. An asterisk (*) indicates that data are from sources other than the World Economic Forum. For further details and explanation, please refer to the section "How to Read the Country/Economy Profiles" at the beginning of this chapter.

The Global Competitiveness Report 2010-2011 © 2010 World Economic Forum

დავით იაკობიძე, პროფესორი

საქართველოს ეკონომიკა საერთაშორისო შეფასებათა თვალსაზრისით და განვითარების შესაძლებლობები

საქართველოს ეკონომიკური განვითარება მიმდინარეობს გლობალურ გარემოში, მსოფლიო ბაზრის კანონზომიერებათა რეალური ზემოქმედებით. ამავე დროს, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება და მისი ეფექტურობა არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეთა, არამედ მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების საგანია. ამ თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური დინამიზმი (ევოლუცია) და მისი შეფასება, მხოლოდ ჩვენი საზოგადოებრივი აქტიობის საქმე არ არის. იგი მსოფლიო საერთაშორისო და ცალკეულ ავტორიტეტულ ორგანიზაციათა ყურადღების საგანიც ხდება. ასეთი გარემოება ქმნის საფუძველს ჩვენი ეკონომიკური რეფორმები უფრო არსებითად იქნას გააზრებული. ის რასაც მივაღწიეთ, არა მხოლოდ ჩვენი განსჯისა და ძალისხმევის საგანია, არამედ იგი მსოფლიო საზოგადოებრიობის აქტიობის შედეგიცაა და ამიტომ საერთაშორისო ინსტიტუტების მსჯელობის ობიექტი ხდება.

1. როგორ ფასდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარება

მსოფლიოში სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები და კომპეტენტური შემფასებელები განიხილავენ გლობალური მსოფლიოს განვითარების პრობლემებს და აფასებენ თვითოეულ ქვეყანას მის მიერ გაწეული ძალისხმევების მიხედვით. ამ ორგანიზაციების დახასიათებას არ შევუდგები, რადგანაც მათი ჩამონათვალი და საქმიანობის არეალი უკვე განხილულია პროფესორ ჩუთლაშვილის სტატიაში. მხოლოდ შევნიშნავთ, რომ ამ შეფასებათა საფუძველში ძევს გარკვეული პირობითობა სტატისტიკურ მაჩვენებელთა დამუშავებისას. მაგალითად, როდესაც ინფლაციის მაჩვენებელს განსაზღვრავენ ეყრდნობიან სამომხმარებლო პროდუქციის ფასების ინდექსს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სტრუქტურულ ერთობლიობის საფუძველზე იანგარიშება. თუ ევროპაში სამომხმარებლო ფასთა ინდექსი შედის საცხოვრებლი ბინის ქირა, ავტომობილების ფასი, ტრანსპორტის ტარიფები და ა.შ. საქართველოში იგი მხოლოდ რამდენიმე საარსებო მნიშვნელობის პროდუქტზე გამოითვლება¹. ასეთივე სტატისტიკურ „ცდომილებებთან“ გვაქვს საქმე მთლიანი შიდა პროდუქტის, ეროვნული შემოსავლის მოცულობებისა და საგადამხდელო ბალანსის სალდოს ოდენობის გაანგარიშებისას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ეკონომიკურ პროცესთა შეფასებების მთავარი მაჩვენებელი მთლიანი შიდა პროდუქტი დამოკიდებულია მთელი მაკროეკონომიკური სისტემის განვითარების საბაზრო ხასიათზე. იქ, სადაც

წარმოებული პროდუქციის დიდი ნაწილი საბაზრო პირობებს არ ექვემდებარება (ნატურალური მეურნეობა, სახელმწიფო სექტორის ჰიპერტროფიულად მაღალი ხვედრითი წილი), მაშინ ერთგანზომილებიან მასშტაბს (მთლიან შიდა პროდუქტს) ეკონომიკური დინამიზმის ასახვის სიზუსტე არ აქვს და შექმნილი მდგომარეობის დადასტურება არ შეუძლია. ეს იმიტომ, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი სტატისტიკურად გაზომვადი მაჩვენებელია და მისი გაანგარიშების წესი დაკავშირებულია საბაზრო მექანიზმების გამოყენების ინტესიობასთან, მოკლედ იზომება საბაზრო ფასებში და პროდუქციის იმ ნაწილის გათვალისწინება, რომლებიც საბაზრო გარემოში ვერ ხვდებიან გართულებულია. მიუხედავად ამისა, ასეთი შეფასებები და მათი გამოქვეყნება უდაოდ არსებითი მნიშვნელობისაა, რადგანაც შეუფასებლობის შემთხვევაში ჩვენ უფრო დავშორდებით რეალობას, ვიდრე თუნდაც მიახლობითი შეფასებისას. ცნობილია, რომ მოსახლეობის ზუსტი დათვლა სტატისტიკური აღწერის გზით შეუძლებელია, მაგრამ ამის გამო მოსახლეობის აღწერაზე უარის თქმა სისულელე იქნებოდა, რადგანაც აღწერით გამოვლენილი მონაცემები ხდება სახელმძღვანელო ეკონომიკური პოლიტიკის საწარმოებლად. სხვა შემთხვევაში საზოგადოების პოლიტიკონომიკურ ძალისხმევებს აზრი დაეკარგებოდა (2.9).

ქვეყნების ეკონომიკური განვითარების საერთო დონის გარკვევას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ არ ფლობ მასალას შენს ეკონომიკურ პოტენციალზე და არ შეგიძლია დაადგინო, თუ როგორი თანმიმდევრობით ვითარდები ძალიან მნელია გაარკვიო, თუ როგორი ეკონომიკური პოლიტიკა გესაჭიროება. ამიტომ ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს განვითარებულმა ქვეყნებმა შეიმუშავეს ეკონომიკის განვითარების საერთო დონის სტატისტიკური ინდექსები. 1887 წელს გამოქვეყნდა ნეიმან-შპატლერის, ეგრეთ წოდებული „ტოტალური ინდექსი“ ექვსი სახელმწიფოსათვის. იმავე წელს არმან ჟიულენმა დაამუშავა 43 მაჩვენებლიანი ინდექსი ბელგიისათვის. იტალიელმა ჯოვანი მორტერმა შექმნა 30 მაცენებლიანი იტალიის სახალხო მეურნეობის საერთო მდგომარეობის ამსახველი ინდექსი². ამავე დროს შეიქმნა „ეკონომიკური ბარომეტრები“ საფრანგეთისათვის, ალფრედ დე ფოვილეს მიერ და როჯერ ბებსონის მიერ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის (3.1.54). საბჭოთა კავშირში ასეთი სინთეზური სტატისტიკური მაჩვენებლის ან მაჩვენებელთა სისტემის შემუშავება ვერ მოხერხდა. ალბათ, ეკონომიკის საერთო მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური სიდიდის ან მაჩვენებელთა სისტემის შემუშავება არის ერთადერთი ვ.ი.ლენინის პირდაპირი დავალება სახელმწიფო უწყებებისათვის, რომელიც არ განხორციელდა. არ განხორციელდა იმიტომ, რომ ტოტალურ საგეგმო მეურნეობას არ ჭირდებოდა იგი, რადგანაც თვით გეგმა მოიცავდა, როგორც საბაზო მაჩვენებლების ერთობლიობას აგრეთვე მათი ზრდის აუცილებელ ვალდებულებებსაც. ამიტომაც უჭირდათ საერთაშორისო ორგანიზაციებს საგეგმო ტიპის ეკონომიკების ჩართვა ქვეყანათა რანჟირების პროცესში. ისინი აწყდებოდნენ პრინციპულად არათანაზომადი სიდიდეების ურთიერთშეთანხმების რთულ პრობლემას³.

გლობალური განვითარების საერთო ტენდენციებიდან გამომდინარე აუცილებელი ხდება მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე კანონზომიერების საერთაშორისო მასშტაბით დაკვირვება და მოქმედების სათანადო რეკომენდაციების შემუშავება. ამ მიზნისათვის

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული იქნა „ანგარიშთა ერთიანი სისტემა“ (4.1-500), რომლის მეშვეობითაც ყველა ქვეყანა ამუშავებს ეროვნულ სტატისტიკურ მაჩვენებლებს და აქვეყნებს მათ. სწორედ ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე შემუშავებული სტატისტიკური განზომილებები ედება საფუძვლად ქვეყანათა განვითარების დონეთა ურთიერთ შედარებებს. ანხორციელებენ ქვეყანათა კლასიფიკაციას განვითარების დონეთა მიხედვით და იღებენ სახელმძღვანელოდ მომავალი ძალისხმევების განხორციელების მიზნით.

საერთაშორისო ორგანიზაციების ამგვარი საქმიანობა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგანაც ისტორიული განვითარების ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, სხვადასხვა ქვეყანა ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე იმყოფება და ეს მათ მიერ განვლილი ისტორიული დროის კონკრეტული მონაპოვარია. გლობალიზაცია კი ქმნის პირობებს: ის პროცესები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა განვითარებულ ქვეყნებში, სხვა შედარებით ჩამორჩენილ სახელმწიფოებში უფრო სწრაფად განხორციელდეს. სპეციალისტების აზრით სწორედ ამ მეთოდით შეძლეს განვითარებადმა ქვეყნებმა 30 წელიწადში გაევლოთ ის რთული გზა რასაც განვითარებული ქვეყნები 300 წელი მოუნდნენ⁴. (5. 23).

გამოდის, რომ ქვეყანას, რომელიც შეიმუშავებს საკუთარი განვითარების პოლიტიკას, ეძლევა საშუალება ჰქონდეს საკუთარი წინსვლის ორიენტირები იმ ეკონომიკურ სტატისტიკურ მაჩვენებლების სახით, რომელთა საშუალებითაც განისაზღვრა მისი ადგილი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგებში. მეტიც, ქვეყნებს, რომელთაც აქვთ პოლიტიკური ნება დაადგნენ განვითარების საყოველთაოდ აპრობირებულ გზას, უწევენ ტექნიკურ დახმარებას განვითარების პოლიტიკის შემუშავებაში, იმ რეალური პროცესების მართვაში, რომელთა გარეშეც ვერ მოხერხდება ამ ქვეყნის გლობალურ გარემოში ადაპტაცია-ინტეგრაცია. მაგალითად, საქართველოში 1994, 1995, 1996 წლებში საერთაშორისო მონეტარული ფონდის „მძლავრი ტექნიკური დახმარებით“ განხორციელდა რეფორმები ფულად-საკრედიტო სფეროში, ეროვნულმა ბანკმა შესძლო განეხორციელებინა მკაცრი მონეტარული პოლიტიკა, შექმნილიყო ქვეყნის სრულყოფილი საფინანსო გეგმა-ბიუჯეტი და ა.შ. გარდა მონეტარული ფონდისა ქვეყანას აქტიურ ტექნიკურ დახმარებას უწევდა ევროკავშირი და მსოფლიოს ბანკი, სხვა დონორი ქვეყნები.

ქვეყნის განვითარების დონის განსაზღვრისათვის მეცნიერ-მკვლევარები მრავალ სხვადასხვა კლასიფიკაციას იყენებენ. საერთოდ აღიარებული, ყველასათვის მისაღები ქვეყანათა ჩამონათვალი, რომელიც მათი განვითარების დონეებს ასახავს, არ არსებობს. აქედან გამომდინარეობს ყველა გამოქვეყნებული ქვეყანათა რეიტინგების პირობითობა. პირობითობა კი დამოკიდებულია იმ ამოსავალ მიდგომებზე, რომლებსაც ანხორციელებენ რეიტინგის მიმნიჭებელი ორგანიზაციები. მაგალითად, 1971 წელს მიღებული კლასიფიკით გაეროს მიერ განვითარებადი ქვეყნების კლასიფიკაციის, სხვა ქვეყნების (ე.ი. არც განვითარებული, არც განვითარებადი) სახით ცალკე გამოიყოფოდა ის ქვეყნები, რომლის მოსახლეობაც 75 მილიონი და მეტი იყო. ამგვარად, ინდოეთს, ჩინეთს, პაკისტანს, ინდონეზიას, ბრაზილიას, სსრკ-ს და სხვა ქვეყნებს, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 75 მილიონს აჭარბებდა მიკუთვნებული ქონდათ „სხვა ქვეყნების“ პირობითი სტატუსი.

მიუხედავად ამ პირობითობისა, ეს რეიტინგები ერთადერთი სახელმძღვანელო მასალაა, გარდა ეროვნული ეკონომიკური ინსტიტუტების მიერ შემუშავებული ინდიკატორებისა, რომელზედაც დაყრდნობით ქვეყნები შეიმუშავებენ საკუთარ ეკონომიკურ პოლიტიკას. როგორც აღვნიშნეთ, გაერომ 1971 წლიდან დაიწყო ქვეყნების დაყოფა ორ დიდ ჯგუფად: განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებად. მაშინ მსოფლიოს ბევრი ქვეყანა იზიარებდა სსრკ განვითარების ეკონომიკურ კურსს და საბაზრო პრინციპებს უარყოფდა საკუთარი მეურნეობის გაძლოლაში. შესაბამისად არ არსებობდა განვითარების ერთ მეთოდოლოგიურ საფუძველზე დამყარებული ეკონომიკური პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობები. ამიტომ სიტყვა განვითარებადი ცვლიდა ტერმინ ჩამორჩენილს, დაბალ გნვითარებულს, რადგანაც წოდება „ჩამორჩენილი“ ასეთად მიჩნეული ქვეყნების გულისწყრომას იწვევდა. გარდა ამისა ტერმინი „სხვა ქვეყნებიც“ ძირითადად არასაბაზრო პრინციპებზე ორგანიზებულ სახელმწიფოთა აღსანიშნავად გამოიყენებოდა.

1991 წლიდან გაერომ ორ ნაწილად დაჰყო განვითარებადი ქვეყნები, სადაც უშუალოდ მიუთითა მათ განვითარებადობაზე და განვითარების დაბალ დონეზე. ასეთი კლასიფიკაციის შესაძლებლობა გაჩნდა მას შემდეგ, რაც ცენტრალურ-ბიუროკრატულად მართული სისტემა დაიშალა და მასში შემავალმა ქვეყნებმა ორიენტაცია აიღეს განვითარების საბაზრო მეთოდებზე. ასეთი დაყოფას საფუძვლად დაედო: ეკონომიკური ზრდის უქონლობა, სიდარიბის დაბალი დონე ხანგრძლივ (3 წლის განმავლობაში 900 აშშ დოლარზე ნაკლები ბრუტო მშპ ერთ სულ მოსახლეზე) პერიოდში, ადამიანის განვითარების მაჩვენებელთა დაბალი დონე (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და განათლებულობის მაჩვენებელი), ქვეყნის ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა. ამჟამად გაეროს მიერ შემუშავებულია ქვეყანათა კლასიფიკაციის ახალი სისტემა, რომელიც მიჩნეულია უფრო სრულყოფილად და გამოხატავს ქვეყანათა მიღწეულ დონეს როგორც ეკონომიკაში მთლიანად, ასევე სოციალური თანაცხოვრების სხვა სფეროებშიც.

სწორედ ეს ახალი კლასიფიკაცია დაედო საფუძვლად გაეროს 2007-2008 წლის ადამიანის განვითარების შესახებ მოხსენებაში ადამიანის განვითარების ხარისხობრივ მაჩვენებლების მიხედვით ქვეყანათა რანჟირებას. ეს კლასიფიკაცია კი ეფუძნება შემდეგ მახასიათებლებს: (1) ადამიანის განვითარების პოტენციალის დონის განმსაზღვრელ მაჩვენებელთა სისტემას (2), ქვეყნის და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების ამსახველ მაჩვენებლებს (3), ძირითადი და საერთო მსოფლიო ერთობლივი მაჩვენებლებს და (4) რეგიონული პრინციპების. ამასთან, კლასიფიკაციის ავტორების აზრით, ქვეყნის შეყვანა რომელიმე ჯგუფში სრულებითაც არ ნიშნავს ამ ქვეყნის სრულ და საყოველთაო შეფასებას და ცნება «ქვეყანა» შესაძლებელია ცალკეულ შემთხვევაში ნიშნავდეს რაიონს ან ტერიტორიას⁵.

თავის მხრივ, ადამიანის განვითარების ხარისხობრივ მაჩვენებლების ბაზაზე ქვეყნების კლასიფიკაციის მიხედვით ის სახელმწიფოები, სადაც გამოითვლება ეს ინდექსი (ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი აპგი) იყოფა სამ ჯგუფად: ქვეყნები ადამიანის განვითარების მაღალი პოტენციალით (სადაც აპგი არის 0.800 და ზემოთ), ქვეყნები ადამიანის პოტენციალის განვითარების საშუალო დონით (0.500-

0.799) და ქვეყნები ადამიანის პოტენციალის განვითარების დაბალი დონით (0.500-ზე უფრო მცირე).

ქვეყნები შემოსავლების მიხედვით კლასიფიკაციისას იყოფიან შემდეგ ჯგუფებად: მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნები (მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 2005 წელს შეადგენდა 10726 აშშ დოლარს და მეტს), ქვეყნები შემოსავლების საშუალო დონით (876-10725), დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნები (875 აშშ დოლარი და ნაკლები). შემოსავლების მიხედვით ქვეყანათა კლასიფიკაცია ხდება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით. გაეროს ექსპერტები ამ მაჩვენებლებს მზა ფორმატით იღებენ მსოფლიო ბანკისაგან.

გლობალური ჯგუფების მიხედვით კლასიფიკაციისას ქვეყნები იყოფა: განვითარებადი ქვეყნები, ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპის და დამოუკიდებელ ქვეყანათა თანამეგობრობის ქვეყნები, რომელთაც მესამე ჯგუფის სახით ემატება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ქვეყნები.

რეგიონების მიხედვით ქვეყანათა კლასიფიკაციით განვითარებული ქვეყნები იყოფიან: არაბულ სახელმწიფოებად, აღმოსავლეთ აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებად, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის (მექსიკის ჩათვლით) ქვეყნებად, სამხრეთ ევროპის ქვეყნებად და საქარიდან სამხრეთით აფრიკის ქვეყნებად.

1990 წლიდან გაეროს განვითარების პროგრამის შესაბამისად (UNDP) დაიწყო «ადამიანის განვითარების ანგარიშის» გამოქვეყნება, სადაც ქვეყანათა რეიტინგს საფუძვლად დაედო „ადამიანის განვითარების“ ინდექსი. ეს ინდექსი გამოითვლება სამი სიდიდის შეწონის საშუალებით. ადამიანის განვითარების ინდექსი წარმოადგენს მთლიან შიდა პროდუქტს ერთ სულ მოსახლეზე გამოსახულს დოლარის მსყიდველობით უნარიანობის პარიტეტით, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობასა და მოსახლეობის განათლების დონეს. ადამიანის განვითარების მაჩვენებელთა სისტემის ერთ-ერთი მთავარი ავტორის ამარტია სანის აზრით, იგი ვერ ცვლის მთლიან შიდა პროდუქტს, როგორც ეკონომიკური ზრდის გამომსახველ სიდიდეს, მაგრამ პოლიტიკოსებს უქმნის სრულ წარმოდგენებს გასაკეთებელ საქმეზე, იმ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემებზე, რომლებიც მიმალულია მშპ მაჩვენებელში. საერთოდ ადამიანის განვითარების „საერთო მაჩვენებელი აღმოჩნდა გასაგები და მრავლისმთქმელი, ამიტომ მიიქცია მაფიქრალ ადამიანთა ყურადღება. მისი მეშვეობით სამყაროს რთულმა სურათმა იპოვა დაინტერესებული აუდიტორია“ (6. 23).

აღნიშნული ინდექსის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ქვეყნებში შემუშავებულიყო სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტული პროგრამები. საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამის ძლიერი ტექნიკური მხარდაჭერით, ადამიანის განვითარების ანგარიში შემუშავებული და გამოქვეყნებული იქნა 1994 წელს. მას შემდეგ საქართველოში ადამიანის განვითარების მაჩვენებლები გაეროს ერთიანი კრეფსითი ანგარიშში მუდმივად აისახება. 2001 წლიდან კი საქართველოში მუშავდებოდა სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა, რომელსაც, სამწუხაროდ, დღეისათვის სათანადო ყურადღება აღარ ექცევა. რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ამ ინდექსით ასახულ მაჩვენებელთა გაუმჯობესებისაკენ საქართველოს ხელისუფლების სწრაფვა რამდენადმე შესუსტდა. მათი ადგილი დაიკავა სხვა მაჩვენებელთა სისტემამ, რაც, ჩვენი აზრით, საქართველოს ხელისუფლებაში არსებული ძლიერი

ლიბერტარიანული ფრთის აქტიონების შედეგს უნდა წარმოადგენდეს, რომელთაც ეკონომიკური აქტივობის სხვა მაჩვენებლები უფრო იზიდავთ. მაგალითად, მეწარმეობის დაწყების სიადვილის (რომელსაც რატომღაც „ბიზნესის კეთების სიადვილის“ ცნებით აღნიშნავს), ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობის შემცირების და სხვა მაჩვენებლები. მიუხედავად ამისა, საჭიროდ ვთვლით გაეროს 2008-2009 წლის ანგარიშიდან მოვიყვანოთ რამდენიმე მაჩვენებელი, რომელიც ასახავს საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას ადამიანის გნვითარების ინდექსის პოზიციებიდან.

მინდა მკითხველმა ყურადღება მიაქციოს იმ ფაქტს, თუ რა არათანაბრად იცვლება ადამიანის განვითარების ხარისხობრივი მაჩვენებლები სხვადასხვა ქვეყანაში. თუ საბერძნების „ნახტომი“ ერთ სულ მოსახლეზე მშპს და მოსახლეობის საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდაში შესაძლებელია გავამართლოთ ამ ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებითა და აქედან მომდინარე პროცესებით, საინტერესოა სომხეთის სტაბილურობა, მიუხედავად ყარაბაღის ომისა და რთული შიდაპოლიტიკური პროცესებისა ოცდამერთე საუკუნის დასაწყისში. ამავე დროს ცოტა ამოუცნობია უკრაინისა და აზერბაიჯანის მიერ ერთ ადგილზე დგომის „საიდუმლო“. რაც შეეხება საქართველოს, საქმე უნდა გვქონდეს განვითარების მთავარი ორიენტირების სათანადო შეუფასებლობასთან და აქედან გამომდინარე ეკონომიკურ პოლიტიკაში დაშვებულ შეცდომებთან.

ცხრილი 1⁶

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის განვითარების ინდექსი კომპლექსური, სისტემური მაჩვენებელია, რომელიც, მთლიანი შიდა პროდუქტი

რეიტინგი	ქვეყნის დასახელება	შპ 1 სულ მოსახლეზე		სიცოცხლის საშ. ხანგრძ.	განათლების დონე
		1998	2005		
110	98	აზერბაიჯანი	335	1408	65.6
113	111	მოლდავეთი	...	694	64.8
72	67	რუსეთი	1998	5336	69.0
20	24	საბერძნეთი	5020	20285	72.3
108	96	საქართველო	433	1425	68.2
99	83	სომხეთი	587	1625	70.8
69	84	თურქეთი	1865	5030	57.8
102	76	უკრაინა	1857	1761	70.1

საგან განსხვავებით, გვიჩვენებს მთლიანად საზოგადოების განვითარების დონეს, იგი ვერ ცვლი მას, როგორც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს. ამიტომ ეკონომიკურ მეცნიერებაში და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლად მიღებულია მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე. პრაქტიკაში იანგარიშება სრული მთლიანი შიდა პროდუქტი, როგორც ქვეყნის მასშტაბით რეალიზებულ საქონელთა და მომსახურეობის

ჯამი, რომელსაც „ბრუტო მთლიან შიდა პროდუქტს“ (ბრუტო მშპ) უწოდებენ და ქვეყანაში წლის მანძილზე შექმნილი და რეალიზებული საქონელთა და მომსახურეობის ჯამი, რომელსაც „ნეტო მთლიანი შიდა პროდუქტს“ (ნეტო მშპ) უწოდებენ. როგორც წესი განვითარების დონის მთავარ ინდიკატორს ბრუტო მშპ წარმოადგენს.

2. როგორი ქვეყანაა საქართველო ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით?

ქვეყანათა ეკონომიკური განვითარების მთავარი ინდიკატორი მისი მთლიანი შიდა პროდუქტია, ამ მაჩვენებელს ალტერნატივა არა აქვს. სხვა მაჩვენებლები კი გვაძლევენ განსჯის საშუალებას და „მაფიქრალ ადამიანებს“ ეძლევათ შანსი შეიმუშაონ განვითარების რაციონალური მიდგომები. ამიტომ, ყურადღებას დავუთმობთ ჯერ მშპ-ს და შემდეგ სხვა მაჩვენებლებს. როდესაც საქართველოში მშპს ზრდის პრობლემას განვიხილავთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ათვლის წერტილად ავიღოთ 1994 წელი, როდესაც წარმოებული მშპ 4.5 აშშ დოლარის ექვივალენტი იყო ლარებში. ექვსი წლის წინ 1988 წელს საქართველოს მშპ შეადგინდა 22.5 მილიარდ აშშ ამერიკულ დოლარის ექვივალენტს რუსულ რუბლებში. რევოლუციურმა ძვრებმა და შინა ომებმა გამოიწვია ეკონომიკის არსებითი ნგრევა. შედეგად 1994 წელს მშპ 1988 წლის მხოლო 20 პროცენტს შეადგინდა. ეს ციფრები ბევრჯერ გამოქვეყნდა პერიოდულ პრესაში და ზოგიერთი სპეციალისტის გულისწყრომაც კი გამოიწია, რადგანაც მიაჩნდათ, რომ 1994 წლის მშპ ხელოვნურად იქნა შემცირებული, რათა შემდგომ წლებში მისი არსებითი ზრდა ეჩვენებინათ და შესაბამისად გაემართლებინათ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ფაქტი. უფრო სწორად, 1994 წელში გატარებული რეფორმები, რომლებიც „შოკური თერაპიის“ სახელით არის ცნობილი. სპეციალისტთა ამ კრიტიკას გარკვეული საფუძველი, რა თქმა უნდა, გააჩნდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ საბაზრო ეკონომიკის ეფექტურობა დაესაბუთებინა, არამედ იმის გამო, რომ მოშლილი იყო სააღრიცხვო სტატისტიკური სისტემა და საერთაშორისო მონეტარული ფონდისა და ქართველი ექსპერტების (ჯ.არაბიძე, ზ.ბერიშვილი, ი.არჩვაძე) გათვლები სიმკაცრეს მოკლებულ და ხშირად ხელოვნურად დამახინჯებულ ემპირიულ მასალას ეყრდნობოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ მონეტარული ფონდისა და მსოფლიო ბანკის სპეციალისტების მოთხოვნივ გამუდმებით ხდებოდა 1993-1996 წლების მშპ-ს კორექტირება შემცირების მიმართულებით. ამჟამად, სამწუხაროა მაგრამ უნდა ითქვას თექვსმეტი წლის მანძილზე საქართველოს მშპ ვერ გაუტოლდა 1988 წლის დონეს, იგი ის ქვეყანაა ტაჯიკეთთან ერთად, რომელიც ვერ „დაეწია“ საკუთარ, ოცი წლის წინანდელ მიღწევებს.

საქართველო ჩამორჩა „საკუთარ თავს“ და ღრმად ჩაეფლო „განვითარებადობის« ჭაობში. რაზე მეტყველებს ეს მონაცემები? ხომ არ არის საქართველოს ეკონომიკური განვითარების დღევენდელობა უფრო დაბალეფექტური, ვიდრე მისი ეკონომიკური დინამიზმი იყო სსრკ ინტეგრაციის პირობებში? ლაპარაკია ეკონომიკის განვითარებაზე, ხოლო რაც შეეხება საქართველოს ეროვნული სუვერენიტეტით მოტანილ თავისუფლებას და ადამინის განვითარების ხარისხობრივ მაჩვენებელთა სისტემას ამაზე მსჯელობაც არ შეიძლება, რადგან დამოუკიდებელი საქართველო უფრო დიდი ფასეულობაა, ვიდრე ყველა ის ღირებულებები ერთად აღებული, რომლთა დეკლარირებასაც ეწეოდა სსრკ იდეოლოგიური მანქანა. მიუხედავად ამისა, დასმული

კითხვა სამართლიანია, რადგანაც თანამედროვე გლობალურ გარემოში ეკონომიკური ზრდა, მსოფლიო ბაზარზე ინტეგრირებული ქვეყნისათვის, გამორიცხულია დამოუკიდებლად, მით უმეტეს ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. ე.ი. ეკონომიკის ინტეგრირების ხასიათი და ფორმები რამდენადმე განსაზღვრავს ამ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დინამიკას. შესაძლებელია აქვე დაისვას კითხვა, სსრკ ეკონომიკა იყო არაეფექტური, ეს დაასაბუთა ისტორიამ, მაშ როგორ იქნებოდა საქართველოს ინტეგრირება სსრკ-ში, ან მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებში ეფექტური, ვიდრე ამჟამად ერთიან მსოფლიო ბაზარში მისი ინტეგრაცია წარმოადგენს? ეს კითხვა საფუძვლიან პასუხს მოითხოვს, ჩვენ არ ვერთვებით დისკუსიაში, მაგრამ ამ საკითხზე მოკლედ შევჩერდებით.

1956 წლიდან, როდესაც სსრკ-ის ხელისუფლება იძულებული გახდა ქვეყანაში განვითარების ტემპების შემცირების საწინააღმდეგო ღონისძიებათა სისტემა შეემუშავებინა, დაიწყო მთელ სახელმწიფოში საწარმო ძალთა გაადგილების ახალი, და ვიტყოდი, დაუსაბუთებელი პროცესი. ქვეყნის პოლიტიკური, იმპერიული ამბიციები გახდა ამოსავალი საწარმო სიმძლავრეთა განლაგებისათვის. შესაბამისად სსრკ-ის ბევრმა ეკონომიკურმა რეგიონმა, მათ შორის საქართველომაც დაკარგა თვითკმარობა და აღმოჩნდა მისთვის არაორგანულ, თავს მოხვეულ საწარმოო ბაზის მატარებელი⁷. რამაც გამოიწვია საქართველოს ეკონომიკური სტრუქტურის დეფორმაცია (ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. დ. იაკობიძე, საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი, თბ., 2008).

შესაბამისად, საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენის დღიდან იწყება მის ადამიანური კაპიტალისა და რესურსული ბაზის ადექვატურ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის აღმშენებლობა. ამ რთულ პროცესში ქვეყნის ეკონომიკა დაადგა სპეციალიზაციის ბუნებრივ გზას და მოუწია უარი ეთქვა მრავალ დარგზე, რომლებიც მისი ეკონომიკური პოტენციალისათვის არ იყო ორგანული. ეს პროცესი მრავალმა ქართველმა ეკონომისტმა აღწერა, მის აღსანიშნავად ლადო პაპავამ⁸ სპეციალური ტერმინიც კი შეიმუშავა „ნეკროეკონომიკა“, რომელმაც გარკვეული პოპულარობა მოიპოვა, როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთაც (იხ. ვ.პაპავა,). ამგვარად საქართველო ადგას საკუთარი ეკონომიკური შესაძლებლობების ადექვატური ეკონომიკური მოდელის მშენებლობის რთულ გზას, რაც მიმდინარეობს გლობალიზაციის ურთულეს გარემოში. გლობალიზაცია გარდა იმისა, რომ ქმნის თანამშრომლობის ერთიან არეალს, ეკონომიკური დინამიზმის მთავარ ძალად განაპირობებს „ყველას კონკურენციას ყველასთან“⁹.

გლობალიზაცია გარდაუალი და თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ერთად-ერთი შესაძლებელი ფორმაა. მას ალტერნატივა არ აქვს. განვითარების ანტიგლობალური კურსი განწირულია ეკონომიკური ავტარკიზმისა და საზოგადოებრივი რუტინისადმი. ამ საკითხზე ძალიან ბევრი დაიწერა, ამიტომ ამ ნაშრომში არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად აღნიშნული თეზისის არგუმენტირება, მხოლოდ შევნიშნავთ, რომ საქართველოს და მის მსგავს სხვა ქვეყნებს, სამომავლოდ, გარდა გლობალურ გარემოში გონიერი ინტეგრაციისა, სხვა გზა არ გააჩნია. ეს ფაქტია, რომელსაც ასაბუთებს მთელი ჩვენი განვითარების უახლესი ისტორია და ჩვენც

ვალდებული ვართ მოვძებნოთ გლობალიზაციის პირობებში ცხოვრების საკუთარი გზა და მივყვეთ მას.

გლობალიზაცია უჩვენოდაც მოდის, მაგრამ, მოდის როგორც უხეში ძალა და ანგარიშს არ უწევს ჩვენს შესაძლებლობებს, ჩვენს უნიკალურობას და ჩვენს განკარგულებაში არსებული რესურსების გამოყენების ჩვენეულ ხედვას. ეს ობიექტური პროცესია და ხორციელდება, როგორც აუცილებლობა. ისე, როგორც ზამთარი ვერ გაითვალისწინებს ღარიბი ან ზარმაცი კაცის მიერ შეშის თავის დროზე მოუტანლობის ფაქტს, ისე გლობალიზაციის შეუქცევადი პროცესიც ვერ გაითვალისწინებს საერთო კანონზომიერებათა შეუცნობლობის მიზეზით ცალკეული ქვეყნების მოუმზადებლობას ამ პროცესისადმი. ამიტომ, თვითონეული მაკროეკონომიკური სტრუქტურის ვალია, თვით წავიდეს გლობალიზაციისაკენ, შევთავაზოთ მას საკუთარი შესაძლებლობები და აქტიურად ჩაებას გლობალური პროცესების მართვის არეალში. ეს ვალდებულება ვრცელდება უდიდეს და ეკონომიკურ განვითარებულ ქვეყნებზეც. 2008 წლის მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა დაამტკიცა, რომ საერთო მსოფლიო გლობალური პროცესების გათვალისწინების გარეშე არ არსებობს ეროვნული ეკონომიკური პროგრესი. ამიტომ, გლობალურ კანონზომიერებათა შეცნობა და მათი გათვალისწინება ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი სახელმწიფოებისათვის, როგორიც საქართველოა. ჩვენ ვალდებული ვართ, ვმონაწილეობდეთ გლობალური მსოფლიოს მართვის ცენტრების საქმიანობაში და ვთავაზობდეთ მსოფლიოს ჩვენს შესაძლებლობებს.

გლობალურ გარემოში მაკროეკონომიკურ კანონზომიერებათა ინტეგრაცია საშუალებას იძლევა ახლებურად იქნას გააზრებული ცალკეულ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები. ძირითად ეკონომიკურ პრობლემები (ინფლაცია, დასაქმება, ეკონომიკური ზრდა და სიღარიბის ლიკვიდაცია) მსოფლიო ეკონომიკური ცენტრების ზრუნვის საგანიც ხდება. საქართველოში ლარის კურსის სტაბილურობის პრობლემა და მისი მსყიდველობითი უნარიანობის შენარჩუნება საქართველოს მთავრობის გარდა მსოფლიო მონეტარული ფონდის ზრუნვის საგანიც არის. ამიტომ ლარი სტაბილური და სანდო ფულადი ერთეულია. სამაგიეროდ დასაქმების პრობლემა, რომელიც თვით სამუშაო ძალის ეთნო-ფსიქოლოგიურ თვისებებს უკავშირდება, ასეთივე წესით ვერ წყდება. შესაბამისად, საქართველოში და მის მსგავს ქვეყნებში, დგას დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის შეფარდებით გამოცალკევებული პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც პრიორიტეტულად ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევასთან არის დაკავშირებული. ამგვარად გამოდის, რომ პატარა სახელმწიფოებში, რომლებიც საკუთარ განვითარებას უკავშირებენ მსოფლიო დინამიზმის გლობალურ კანონზომიერებებს დამოუკიდებლად უხდებათ დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის პრობლემების დაძლევა.

როდესაც ვამბობთ, რომ საქართველოსა და მის მსგავს ქვეყნებს დამოუკიდებლად უხდებათ მაკროეკონომიკური პრობლემების დაძლევა, ვგულისხმობთ გარკვეულ ფარდობითობას, რადგანაც გლობალური გარემო ზემოქმედებს, როგორც დასაქმების შესაძლებლობათა ზრდაზე (ჩვენი მოქალაქეები მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ ეწევა შრომით საქმიანობას), ასევე ეკონომიკის ზრდაზე (უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობენ ეკონომიკის აღმავლობას). ასეთ სიტუაციაში ქვეყანა ვალდებულია შეიმუშაოს

ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნაბა მსოფლიო ბაზარზე მის კონკურენტულ უნარიანობის ზრდისაკენ და ქვეყანაში სოციალური პრობლემების გადაწყვეტისაკენ. მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ზრდა, ლიტონი სიტყვებია მანამ, სანამ ქვეყანაში არ შეიქმნება ისეთი ბიზნეს ერთეულები, რომლებსაც უნარი ექნებათ საკუთარი პროდუქციით გამოვიდნენ საერთაშორისო ასპარეზზე, რადგანაც ბაზარზე მოქმედებენ ფირმები და არა ქვეყნები.

დღესისათვის საქართველოში არსებითი გახდა სურსათზე ფასების რეგულირების პრობლემა. მართლაც, 2010 წლის შემოდგომაზე გარდუვალი ხდება ძირითად სასურსათო პროდუქტებზე: პურზე, შაქარზე, მცენარეულ ზეთზე, ბურღულეულზე ფასების მნიშვნელოვანი ზრდის პრობლემა. ჩვენი ხელისუფლება, არც თუ უსამართლოდ, ამ საკითხს რუსეთში და სხვა მეზობელ ქვეყნებში სურსათზე ფასების ზრდას უკავშირებს, და ცდილობს გამონახოს პროდუქციის მიწოდების უფრო იაფი ბაზრები (ამ მოვლენის რეალურ მიზეზებზე იხ. ქვემოთ). ვინ უნდა გავიდეს ხორბლის რეალიზაციის მსოფლიო ცენტრებში? სახელმწიფო ორგანიზაციები, თუ ბიზნესმენები? რა თქმა უნდა, ბიზნესმენები, მაგრამ მათ ამაში ხელის შეწყობა ესაჭიროებათ. სახელმწიფო სტრუქტურები ამ საქმეში მათი გზამკვლევი უნდა გახდეს.

საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციით გასვლა ნებისმიერი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენაა, ისევე როგორც მსოფლიო ბაზარზე პროდუქციის შეძენა. ეს პრობლემები ყველა ქვეყნის მუდმივი ზრუნვის საგანია. აღნიშნული საკითხის აქტუალობა და საქართველოს კონკურენტუნარიანობის ზრდის ამოცანები მსოფლიო ბაზარზე ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში განხილულია (იხ. დ.იაკობიძე, საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი, თბ., 2009, თავი 5.), ამიტომ ჩვენ მის ზოგად კანონზომიერებების განხილვას არ შევუდგებით, მაგრამ შევნიშნავთ, რომ კონკურენციის პოლიტიკის კვლევისა და განხორციელების ინსტიტუციური ფორმების გარეშე ქვეყანას მსოფლიო ბაზარზე გასვლა გაუჭირდება. მანამ კი სანამ მსოფლიო ბაზარზე ქართული პროდუქცია კონკურენტუნარიანი არ გამხდარა და საქართველო არ ჩამდგარა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყანათა რგებში, იგი განვითარებადი ქვეყანაა, ყველა იმ პრობლემებით, რომელიც დამახასიათებელია მსოფლიოს განვითარებადი სისტემისათვის.

არსებობს მრავალი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რატომ ცხოვრობს ცალკეული ქვეყანა გაჭირვებაში. 1998 წლის გაეროს „ადამიანის განვითარების ანგარიშში“ წერდნენ, რომ მსოფლიოში სიღარიბის ერთ- ერთი მიზეზი არის დივერგენციის პროცესი. (იხ. გაეროს ადამიანის განვითარების ანგარიში, 1998.) ამ ჩანაწერმა, გამაკვირვა, რადგანაც ეკონომიკურ ტექსტებში, განსაკუთრებით პოპულარული მნიშვნელობის სოციალურ-ეკონომიკურ ნაწერებში და სპეციალისტთა ზეპირ გამოსვლებში ტერმინ „დივერგენციას“ პირველად წავაწყდი, თანაც მისი მნიშვნელობა გადმოცემული მასალის აქტუალიზაციისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. მოკლედ, თუ არ იცი რა არის დივერგენცია, არ იცი რა არის ცალკეულ ქვეყნებში სიღარიბის მიზეზი. სიღარიბე კი განვითარებული ქვეყნების თანამდევიცაა. მაგალითად, აშშ-ში 11 მილიონი ადამიანი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება.

დივერგენციას აქვს რამოდენიმე განმარტება: 1) ბიოლოგიაში ეს ტერმინი კონკურენციის საწინაღმდეგო შინაარსის გამომხატველია. ცოცხალ ორგანიზმებში ერთი

სახეობის სხვადასხვა წარმომადგენლები თანდათანობით ემსგავსებიან ერთმანეთს, გამომდინარე თანაარსებობის ერთგვარი პირობებიდან (კონვერგენცია), აგრეთვე ერთი და იგივე სახეობის მსგავსი წარმომადგენლები თანდათანობით ხდებიან განსხვავებულები (დივირგენცია); 2) ფიზიკაში დივირგენცია არის ორი ან რამოდენიმე, განსხვავებული ერთმანეთისაგან იზოლირებული სიდიდის ურთიერთმიმართება, როდესაც მცირე იწყებს დიდის შევსებას; 3) მათემატიკაში იგი არის წარმოებული განსაკუთრებული შემთხვევა; 4) ოკეანოლოგიაში ნიშნავს გარეგან ზემოქმედებით წყლის მასების სხვადასხვა მიმართულებით და სხვადასხვა სიჩქარით გადადგილების ფაქტს, რაც დამოკიდებულია წყლის მასის სიმკვრივეზე და ტემპერატურაზე. ამ განმარტებიდან გამომდინარე, ყველა ცალკეულ მათგანს აქვს რაღაც საერთო მსოფლიოში სიღარიბის გავრცელების კანონზომიერებებთან. თვითონეული მათგანი რამდენამდე თვალსაჩინოს ხდის სიღარიბის წარმოქმნის მიზეზებს. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მიგვაჩნია ოკეანოლოგიური განმარტება. მართლაც, გლბალური გარემო თუ ექვემდებარება კონომიკური განვითარების ერთიან მსოფლიო კანონზომიერებებს, რომლებიც მსოფლიო რესურსების შეზღუდულობიდან, ტექნოლოგიური მიღწევების უნიფიკაციიდან და სამეურნეო კავშირების უნივერსალურობიდან მომდინარეობს, ადგილებზე ამ კანონზომიერებს ხვდება ადამიანური კაპიტალი, რომელიც საკუთარი შესაძლებლობების პრიზმაში ატარებს საერთო ტენდენციებს. აქედან ცალკეულ ქვეყანათა ჩამორჩენები და სხვა ქვეყანათა განვითარების მაღალი ტემპები.

სწორედ ამიტომ მიაჩნია კენეტ გოლბრეიტს, რომ დღევანდელ მსოფლიოში უაღრესად მნიშვნელოვანია ხელისუფლების როლი ცალკეულ სახელმწიფოთა წინსვლა-განვითარებაში (5.45). სწორედ სახელმწიფო ხელისუფლება წარმოადგენს იმ რეალურ ძალას, რომელიც საერთო პლანეტარულ-კონომიკურ კანონზომიერებებზე ახდენს გავლენას, რომელიმე მაკროეკონომიკურ გარემოში და უქმნის საკუთარ ქვეყანას განვითარების სპეციფიკურ პირობებს: ან აჩქარებს წინსვლას, ან აფერხებს მას. ყოველთვის ხელისუფლება ვერ არის სათანადო სიმაღლეზე, ვერ ითვალისწინებს იმ სირთულეებს, რომლებსაც სთავაზობს გლობალიზაციის პროცესი. ის ქვეყნები, რომლის ხელისუფლებას „დაავიწყდება“, რომ გლობალიზაცია მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, არის კონკურენცია, რომელშიდაც მონაწილეობენ ფირმები და არა ქვეყნები, რომ კონკურენციის შედეგები აისახება ქვეყნების მდგომარეობაზე და არა მხლოდ ფირმების სამეურნეო შედეგებზე, განწირული არიან ხანგრძლივი პერიოდით ჩამორჩენისათვის. გლობალური ეკონომიკური ტენდენციები არათანაბრად „უბიძგებენ“ სხვადასხვა ქვეყნებს განვითარებისაკენ, სწორედ ამ უთანაბრო აღმასვლაში ვლინდება პროცესის დივირგენტულობა, რომელიც სხვებთან შედარებით ჩამორჩენაში გამოიხატება. ამ ჩამორჩენის დამლევის გზის გამონახვა კი ადამიანური კაპიტალის აქტიურობითაა შესაძლებელი. მსოფლიო ბაზრის კანონზომიერებების შეცნობისა და მის შესაბამისად მოქმედების მექანიზმების შემუშავებით შეიძლება განხორციელდეს.

3. სიღარიბის მიზეზები განვითარებად ქვეყნებში

საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, ე.ი. ღარიბი ქვეყანაა. იმ ქვეყნებს, ვისთანაც ერთად სურს საქართველოს ინტეგრირება ჯერადობით ჩამორჩება მშპ-ს წარმოებით ერთ სულ მოსახლეზე. საერთოდ, პირობითად მსოფლიოს ქვეყნები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: „სიღარიბესთან მებრძოლი ქვეყნები“ და „ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული ქვეყნები“. ამ ჯგუფების ქვეყანათა მაკროეკონომიკური მიზანდასახულებები განსხვავებულია და საჭიროა შემუშავდეს ეკონომიკის გაძლოლის განსხვავებული სამეურნეო მექანიზმები. ამასთან, ეს უნდა განხორციელდეს გლობალიზაციის მოთხოვნათა საერთო ფორმატში.

სიღარიბის წარმომობის ახსნას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენიც მისი ლიკვიდაციის შესაძლებელ ღონისძიებათა განხორციელების აუცილებლობებს. თუმცა სიღარიბის ფილოსოფიის შესწავლაც სავალდებულოა მისი ლიკვიდაციის რაციონალური ფორმების დაკვიდრების მიზნით. საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში სიღარიბის განხილვის ამოსავალი თეზისია, ღარიბი ქვეყნები, მიუხედავად გარეშე დახმარებისა და საკუთარ ძალისხმევებისა, ღარიბებად რჩებიან, რადგანაც „დაბალი შემოსავლების შემთხვევაში დაზოგვა შეუძლებელია, რადგანაც მთელი შემოსავალი მოხმარების მიზნით გამოიყენება. თუ დაზოგვა არ ხდება, მაშინ ინვესტირების რესურსები არ არსებობს.... გარდა ამისა მონეტიზაცია... შედარებით სუსტია, რაც ბაზრის დავიწროების კიდევ ერ მიზეზს წარმოადგენს“ (3.208).

როგორც ვხედავთ, სიღარიბე ექცევა ჯადოსნურ წრეში. საქართველოში სიღარიბის გამო არ იქმნება კაპიტალი, რომელიც საკმარისი იქნება საინვესტიციო საქმისათვის, მოსახლეობის არსებული შემოსავლები კი თავისი ოდენობით ვერ ქმნის საინვესტიციო კლიმატს¹⁰. ასეთ სიტუაციაში საზოგადოების ნორმალური განვითარებისათვის გადამწყვეტი როლი ეკისრება საზოგადოების კეთილდღეობის აუცილებელი დონის უზრუნველყოფას, რაც სახელმწიფო უნდა უზრუნველყოს. შესაბამისად, სახელმწიფო ექცევა რუტინის ტყვეობაში და იგი მოკლებულია შესაძლებლობებს არსებითად დაძლიოს შექმნილი გარემო. საჭირო ხდება განხორციელდეს გარღვევა შექმნილი სიტუაციიდან, ამისათვის კი საჭიროა გამოვლინდეს სიღარბის წარმოქმნელი გარეგანი და შიდა ფაქტორები, შემუშავდეს მათი დაძლევის ფორმები და მექანიზმი.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური პრობლემების მკვლევარი ეკონომისტები ჯერ კიდევ 1960-იან წლებში, მსოფლიო კოლონიალური სისტემის დაშლისთანავე მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საბაზრო პრინციპებზე აგებული ლიბერალური ეკონომიკური სისტემა, განრებული ქვეყნების ზემოქმედებას განვითარებად ქვეყნებზე კიდევ უფრო აძლიერებს. ეს უკანასკნელნი, ბევრად უფრო დამოკიდებულნი არიან განვითარებულ ქვეყნებზე, ვიდრე კოლონიალური უღლის ტარებისას იყვნენ. ეს თეზისი საყოველთაოდ აღიარებულია ყველა მიმართულების მკვლევართა შორის. განსაკუთრებით მნიშვნელობას ანიჭებდნენ მას საბჭოთა მკვლევარები. სსრკ-ში ასეთ დამოკიდებულებას ნეოკოლონიალიზმი¹¹ უწოდეს, იქმნებოდა სახელმძღვანელოები, რომლითაც ხდებოდა საბჭოთა პარტიული და სამეურნეო კადრების მომზადება, იმათი,

ვინც დღეს რუსეთის მართვის შტურვალთან დგას. ამიტომ ჩუბაისის „ლიბერალური იმპერიის“ თეორია გასაკვირი არ უნდა იყოს საზოგადოებისათვის. უბრალოდ ეს თეორია დროზე ადრე და შეუნილბავად განაცხადა ბატონმა ჩუბაისმა, რომლის საგაზეთო ვერსია გამოქვეყნადა 2003 წელს და ამიტომ მისი ავტორი და პოლიტიკური პარტია, რომელსაც იგი წარმოადგენდა, რუსეთის მართველი პოლიტიკური ელიტის მიერ გარიყული აღმოჩნდა ოფიციალური საქმიანობიდან. რეალურად კი, ჩუბაისის „ლიბერალური იმპერიის“ თეორია, წარმოადგენდა ნეოკოლონიალიზმის შესახებ საბჭოთა მეცნიერების მიხეილ კაშუტინის, მიხეილ დორაგილევისა და ვლადიმერ მოხოვის კონცეფციის ახლებურ გააზრებას თანამედროვე რუსულ სინამდვილესთან მიმართებაში. ეს გახლავთ, რუსეთის პოლიტიკური აქტიობის მოდელი დამოუკიდებელი თანამეგობრობის ქვეყნებისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთი რეალურად ეწევა იმპერიულ პოლიტიკას ეკონომიკის სფეროში ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მიმართ. იმ ქვეყნებს კი ვინც ამის წინააღმდეგ მიდის, ყოველგვარი ლეგალური და კანონგარეშე ქმედებებით აიძულებს მოექცეს მისადმი ნეოკოლონიურ დაქვემდებარებაში. საქართველოს მოქალაქეებმა და მთელმა მსოფლიომაც ბევრჯერ მოისმინა ედუარდ შევარდნაძის მონათხოვობი იმის თაობაზე, თუ როგორი მტრული დამოკიდებულებით ხვდებოდა ელცინის დროინდელი რუსული პოლიტიკა საქართველოში ნებისმიერ ტრანსეროვნულ პროექტს, თუ რუსეთის ჰეგემონური პოზიცია არ იქნებოდა დაცული. მაგალითად, ელცინი პირადად ურეკავდა და აფრთხილებდა შევარდნაძეს, არ დაემვა ბაქო – სუფსის ნავთობსადენის მშენებლობა. რაც შეეხება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და შაჰ-დენიზ-ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზასადენის მშენებლობას, იგი რუსული პოლიტიკის საქართველოსადმი მტრული ზემოქმედების უშუალო საბაბად იქცა. ასევე დაკვირვებულ მკითხველს არ გაუჭირდება დაინახოს პარალელები ბელორუსისადმი და უკრაინისადმი რუსული დღევანდელი პოიტიკურ მიდგომებსა და საქართველოსადმი მის დამოკიდებულებას შორის.

ნეოკოლონიალიზმზე ამჟამად სპეციალისტები აღარ საუბრობენ, მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში, მორცხვად „ნეოკოლონიალისტურ ნიშნების“ არსებობაზე მიუთითებენ ხოლმე. ეს ფაქტი მეცნიერთა და საკითხის სპეციალისტთა საქმიანობის ორმაგ სტანდარტებზე მიგვითითებს. სამსჯელო „რეპერტუარიდან“ ამოღებულია ეს ტერმინი, და მას სხვა სიტყვებით გადმოსცემენ. მაგალითად, როდესაც წერენ, რომ ცალკეული ქვეყნების „განვითარების დაბალი დონის მიზეზია მსოფლიო ეკონომიკური პროცესის პერიფერიებში ინტეგრირება“, სწორედ ნეოკოლონიალურ დამოკიდებულებას გულისხმობენ და არა ქვეყნის ინტეგრაციას გლობალურ სამეურნეო სივრცეში.

საქართველოს მსოფლიო სისტემაში ინტეგრირებას ნეოკოლონიალური დაღი აზის. რუსეთ – საქართველოს ომი ამის ნათელი მაგალითია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ როდესაც დარწმუნდა რუსეთის ხელისუფლება საქართველოს პოლიტიკური კურსის შეუქცევადობაზე, მათ ქვეყნის „დასჯის“ უძველეს მეთოდს, პირდაპირ საომარ მოქმედებებს მიმართეს. პოლიტიკური მაღმომრეობის დაღი აზის საქართველოში რუსული კაპიტალი შემოდინებასაც. რუსული კაპიტალი შემოდის ქვეყნის განვითარების სასიცოცხლო სექტორებში, რაც ქმნის ქართული ეკონომიკის უცხო მაღების მიერ კონტროლის პირობებს. შესაბამისად საქართველო ფორმალურად

ხდება ინტეგრირებული მსოფლიო ბაზარზე, მაგრამ ეს ინტეგრაცია ეხება მისი ეკონომიკის ცალკეულ სექტორს და იგი ხორციელდება ბაზრის პერიფერიაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ინტეგრაცია ხორციელდება არა შედარებითი უპირატესობების გამოსავლენად და განსამტკიცებლად, არამედ ეკონომიკის დაქვემდებარებლობის გასაღრმავებლად.

საინვესტიციო ურთიერთობები მთლიანად ეკონომიკურ დაქვემდებარების მიმართულების მატარებელი ხდება. რჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს მთავრობა ამ გარემოებას სათანადოდ ვერ აფასებს. მართლაც, საქმე გვაქვს ერთგვარ წაყრუების პოლიტიკასთან, ეს კი გამოწვეულია იმით, რომ თუ ხელისუფლება აღიარებს ნეოკოლონიურ დამოკიდებულების არსებობას ამით აღიარებს საკუთარ პოლიტიკურ სისუსტეს, რაც ქვეყანაში მის ავტორიტეტზე შესაძლებელია რთულად აისახოს. არის სხვა არა რუსული ინვესტიციებიც, რომლებიც ასევე ეკონომიკაზე ზემოქმედებისა და მისი დაქვემდებარების მიზნით შემოდის. პრაქტიკულად შეუძლებელია განვიხილოთ რომელიმე უკრაინული, თურქული ან არაბული ინვესტიცია, რომელიც უკავშირდება მაღალ ტექნოლოგიებს და საქართველოს ეკონომიკაში მაღალმწარმოებლური სექტორის ფორმირების მიზნით განხორციელდა¹². ცალკე აღებული უცხოური საინვესტიციო კაპიტალის განხილვისას, იმ შემთხვევაშიც კი, რომელიც დაკავშირებულია თავისუფალ სამრეწველო ზონებთან, საქმე გვაქვს მოძველებული ტექნოლოგიების საკუთარი მაკროეკონომიკური არეალიდან გატანასთან, რაც იაფი სამუშაო ძალისა და რესურს ტევადი, დაბალეკონკრეტური წარმოების შესაძლებლობებიდან მომდინარეობს.

დაბალეფექტური ეკონომიკა განაპირობებს ქვეყანაში შემოსატანი საქონლისა და მომსახურების განუხრელ ზრდას. შესაბამისად იქმნება სავაჭრო და საგადასამხდელო ბალანსების მწვავე დეფიციტი, რომელმაც შესაძლებელია ვალაუვალად აქციოს განვითარებადი ქვეყნები. რა გამოსავალი არსებობს ამ მდგომარეობიდან? საქართველოდან, მაგალითად, გასულია ერ მილიონზე მეტი სამუშაო ძალა, რომლებიც სხვა ქვეყნებში საქმიანობენ და აქ დარჩენილ ოჯახის წევრებს საფოსტო გზავნილის სახით უგზავნიავნ პურის ფულს. და ეს „პურის ფული“ ხდება სწორედ ის მონეტარული რესურსი, რომელიც საგადასამხდელო ბალანსის შემოსავლების ნაწილის ლომის წილს შეადგენს. განვითარებული ქვეყნები მიიჩნევენ, რომ მათ ტერიტორიაზე განვითარებადი ქვეყნების სამუშაო ძალის დაშვება და მათთვის მიზერული ანაზღაურების გადახდა ყოველგვარი სოციალური დაცვითი მექანიზმების მოქმედების გარეშე, არის არსებითი დახმარება განვითარებადი ქვეყნებისათვის¹³.

როგორც ვხედათ, ქვეყანაში სიღარიბის არსებითი მიზეზია მისადმი უცხო ქვებნების დამოკიდებულება, რომლებიც ქვეყნის აღმავლობაში კი არ არიან დაინტერესებული, არამედ, პირიქით, ქმნიან ხელოვნურ ბარიერებს ქვეყნის ეკონომიკური დაკაბალებისა და ეკონომიკური ზრდის არსებული რეზერვების ნეიტრალიზაციისათვის. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ გლობალიზაციის პირობებში ქვეყანათა შორის ურთიერთობების მრავალგვარობა და ზოგიერთ შემთხვევაში სიმარტივე, განვითარებად ქვეყნებს მოწყვლადს ხდის საკუთარი თავისთავადობის განმტკიცების თვალსაზრისით.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური წინსვლის შემაფერხებელ გარეგან ფაქტორებზე საკუთარი მოსაზრება გამოთქვა ცნობილმა ლინგვისტმა ნაუმ ჩომსკიმ (უახლოეს წარსულში მისი გვარი ქართულად, რუსულის გავლენით, გამოითქმებობოდა

როგორც ხომსკი, მასთან არის დაკავშირებული ლინგვისტიკაში სინტაქსის სემიოტიკური პრობლემების აქტუალიზაცია, რასც „ხომსკიანური რევოლუციის“ სახელით არის ცნობილი ქართველი ლინგვისტებისათვის). მისი აზრით, ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტები (საერთაშორისო მონეტარული ფონდი, მსოფლიო ბანკი) მთელს მსოფლიოში ამკიდრებს ეკონომიკის მართვის ნეოლიბერალურ პრინციპებს და ამას ანხორციელებს მუდმივი ინსტრუქტაჟის მეშვეობით. ქვეყნები, რომლებიც არ გამოვლენ საერთაშორისო არენაზე პოლიტიკური დეკლარაციით საკუთარ მაკროეკონომიკაში ნეოლიბერალური მეთოდოლოგიის დამკვიდრების შესახებ ვერ მიიღებენ მსოფლიო ბანკის საკრედიტო ხაზებს და საერთაშორისო მონეტარული ფონდის აქტიურ დახმარებას ეროვნული ფულადი ერთეულის განმტკიცებისათვის. ნაუმ ჩომსკის მიაჩნია, რომ სწორედ ეს არის ვაშინგტონის კონსესუსი, რომელიც არაფრად აგდებს ქვეყნების ისტორიულ ტრადიციას და საუკუნობით ჩამოყალიბებულ ურთიერთობათა სისტემას (7.64). ჩვენ ჩომსკის მოსაზრებებისათვის შეიძლება ყურადღებაც არ მიგვექცია, მაგრამ ხსენებულ ნაშრომს აქვს ციტირების დიდი კოეფიციენტი და საკუთარ მსჯელობისას მას ეყრდნობიან ისეთი დიდი ინტელექტუალები, როგორიცაა ქავ დერიდე და ვიაჩესლავ ივანოვი. სწორედ ჩომსკიმ შემოიტანა სახელმწიფო „მოკვეთილის“¹⁴ ცნება, რომელსაც, რატომდაც, ხშირად არ შემდგარ სახელმწიფოებსაც უწოდებენ. ჩვენ მათ მიმართ გვინდა შევნიშნოთ, რომ ნაუმ ჩომსკის, სახელმწიფო „მოკვეთილი« განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ქვეყანა კი არ არის, არამედ ამ ტერმინით იგი ამერიკის შეერთებულ შტატებს მოიხსენიებს და მას ადანაშაულებს სხვა ქვეყანათა განუვითარებლობაში.

აზრს იმის შესახებ, რომ აშშ-ს დახმარებასაც აზის ნეოკოლონიალიზმის დაღი ბევრი მკვლევარი იზიარებს, განსაკუთრებით ლათინური ამერიკის ქვეყნებში. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საკუთარ ზრახვებს არ მაღვს და როგორც გელა ჩარკვიანმა შენიშნა, „თუ ამერიკა იმპერია იგი არის ნებაყოფლობითი იმპერია, ქვეყანა რომელსაც მიმართავენ დახმარებისათვის“. საქართველოს მიმდინარე ისტორიული პროცესიც გვიდასტურებს, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ ამერიკაში დაიწყო რუსული უხეში ძალისაგან თავის დახსნის გზების ძიება. ჩვენ მივმართეთ ამერიკას, იგი არ მოსულა ჩვენთან რაიმე ზრახვებით და დაპირებებით. მეტიც, ამერიკის ხელისუფლება გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების შუა პერიოდში, დიპლომატიურად ცდილობდა თავი აერიდებინა საქართველოსთან მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებისადმი. ჩვენი მცდელობებითა და დიდი ძალისხმევით მოხერხდა აშშ-თან არსებული ურთიერთობების ჩამოყალიბება და არა ამერიკელთა ინციატივით¹⁵.

ეს მომენტი მნიშვნელოვანია როცა განვითარების ხელის შემშლელ გარეგან ფაქტორებზე ვმსჯელობთ, რადგანაც ეკონომიკური პლიტიკა, რომელსაც აშშ ატარებს საკუთარ ქვეყანაში და მსოფლიოში ემყარება სხვა კრიტერიუმს, ვიდრე, მაგალითად, რუსეთის ფედერაცია. ამ საკითხის გამო სამართლიანად შენიშნა ედუარდ შევარდნაძემ „პავლე სიტინმა,... გააცოცხლა და ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლებას მიაწოდა იდეა: დანაწევრდეს საქართველო ავტონომიურ ერთეულებად - რამდენადაც პატარა იქნებიან ეს ერთეულები, მით უფრო დაექვემდებარებიან რუსეთის გავლენას. ...ეს იდეა ახლაც ცოცხლობს და მუშაობს, როგორც საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკის

ლაიტმოტივი და სანამ რუსეთი მასზე ოფიციალურად უარს არ იტყვის, ჩვენი ურთიერთობა ვერ აეწყობა¹⁶ (8.385). მნელად მოიძებნება ადამიანი, რომელიც ე.შევარდნაძეზე კარგად ფლობდეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების რთულ მრავალგვარობას. ამ საკითხში მისი ავტორიტეტი მაღალია და ვერ გავამტყუვნებთ ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ხელისუფლებას რუსეთთან ურთიერთობაში შექმნილი ნეგატივის გამო. რაც შეეხება პოლიტიკის „ამერიკანიზაციას“, რომელის გამოც საქართველოს ხელისუფლება არა ერთჯერ გამხდარა კრიტიკის საგანი, ობიექტური პროცესია, გლობალიზაციის საერთო მსოფლიო ტენდენციებით განპირობებული და მას ყველანი გაგებით უნდა შევხვდეთ.

ჯერ კიდევ 1941 წელს, როდესაც იდგა საკითხი აშშ-ის მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობის შესახებ, ამერიკის კონგრესისადმი თავის წერილში პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა ჩამოაყალიბა მსოფლიო გლობალური გარემოში ხალხთა თანაცხოვრების არსებითი პრინციპები: „ჩვენ გვსურს ვიცხოვროთ მსოფლიოში, რომელიც ემყარება ოთხ არსებით თავისუფლებას. პირველი – სიტყვისა და გამოთქმის თავისუფლება, – ყველან მსოფლიოში, მეორე – თავისუფლება თითოეული ადამიანისა, თაყვანი სცეს ღმერთს, როგორც მას საჭიროდ მიაჩნია, – ყველგან მსოფლიოში, მესამე – თავისუფლება გაჭირვებისაგან... მთელ მსოფლიოში, მეოთხე – თავისუფლება შიშისაგან... მთელ მსოფლიოში“ (8.123) შემდეგ მსოფლიო განვითარების მსვლელობამ გვიჩვენა, რომ ეს ოთხი თავისუფლება არის ყველა ქვეყნის მოქალაქის სანუკვარი მისწრაფება და იგი ედება საფუძვლად განვითარებს ახალ პარადიგმებს¹⁷.

როგორც ვხედავთ, არსებობს გლობალიზაციის პროცესიდან მომდინარე ქვეყნის განვითარებაზე მოქმედი გარეგანი ფაქტორების როგორც უარყოფითი (რუსული), ასევე დადებითი (ამერიკულ-ევროპული) ვექტორები, რომლებიც ჩვენდა სამწუხაროდ ჯეროვანად, ამჯერად ვერ აბალანსებენ ერთმანეთს, მაგრამ მათზე მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის შიგნით პრობლემის გააზრება და სწორი სამუშაო სტრატეგიული მიდგომების ჩამოყალიბება.

სამწუხაროდ, უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოში საბიუჯეტო პრობლემების ჰიპერტროფიით, მისი მნიშვნელობის უაღრესად ამაღლებით, მხედველობიდან გამოგვრჩა ის ფაქტი, რომ საბაზრო ეკონომიკისათვის, მისი ზრდისათვის უმთავრესია, თუ რა რესურსებს უყრის თავს მეწარმე და როგორ ერთვება საწარმო პროცესების განვითარებაში მოსახლეობის დანაზოგები. ამ თვალსაზრისით საქართველოში მიმდინარე პროცესები სავალალოა (1). მოსახლეობის დანაზოგები ბანკების მეშვეობით წინსწრებით მიერთება ხანგრძლივი მოხმარების საგნების შეძენაზე, რითაც ხდება ამ პროდუქციის მწარმოებელი უცხოური ფირმების ინვესტირება და არა ადგილობრივი საწარმო სიმძლავრეების გენერირება. ბანკების მიერ შემოთავაზებულმა მექანიზმებმა, მოსახლეობის დანაზოგების შემცირება გამოიწვია, რადგანაც აღებული სამომხმარებლო კრედიტების გარანტია ხდება მათი შრომის ანაზღაურების მოცულობა, გამოდის, რომ ბანკების მიერ გაიცემა თვითლიკვიდური კრედიტები, რომლებიც საბოლოო ჯამში ქვეყნის გარეთ მდებარე ეკონომიკური სექტორის საინვესტიციოდ გამოიყენება. შესაბამისად იზრდება ეკონომიკური დოლარიზაცია და მცირდება საერთო მონეტიზაციის ტენდენციები (2). უმკაცრესი საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირება, რომლებიც შეჯერებულია სამეურნეო სამართალზე, სისხლის სამართლის ნორმების უპირატესო-

ბების აღიარებასთან, მეწარმეებს გაუსაძლის სიტუაციაში აგდებს. ეს საკითხი დიდი ხანია საზოგადოებაში მითქმა-მოთქმის საგანია, მაგრამ მისი რეალური შინაარსობრივი მახასიათებლები ჯერ-ჯერობით დადგენილი არ არის. მოვიყვანთ მაგალითს. 2010 წლის სექტემბრის ბოლოს საქართველოს ყველა ტელევიზიამ გადასცა სიუჟეტი, იმაზე, რომ გამოავლინეს თაღლითების ჯგუფი, რომლებიც ბიუჯეტს აყენებდნენ ზიანს. საქმის არსი შემდეგში იყო, ზოგიერთ შეზღუდული პასუხის მგებლობის საწარმოს დირექტორებად ინიშნებოდნენ ინვალიდები, რომლებზედაც არ ვრცელდება წინასწარი პატიმრობის სისხლის სამართლის ნორმა და ამ საწარმოების მიერ ბიუჯეტის დავალიანების ჩამოყალიბების შემთხვევაში მათზე არ ხდებოდა სამართლებრივი დევნა. ყველასთვის გასაგებია თუ „შპს«-ს ჩამოუყალიბდა საბიუჯეტო ვალდებულება და არის ვალ აუვალი სამეწარმეო კანონმდებლობით, მისი დირექტორი საკუთარი ქონებით არ აგებს პასუხს საწარმოს ვალდებულებებზე. გამოდის რომ ამ „თაღლითებს« შეუმუშავებიათ მექანიზმი, რომლითაც საწარმოს მენეჯერი თავს იცავს საკანონმდებლო თვითხებობისაგან. ქვეყანაში კი იმდენად ჩვეულებრივი მოვლენაა, მეწარმეთა ქონების ხელყოფა კანონის სახელით, რომ მასმედიის წარმომადგენლები, რომლებიც აღნიშნულ შემთხვევას აშუქებდნენ, სრულებითაც არ დაფიქრებულან საკუთარი გამონათქვამების კორექტულობაში.

ის საკითხი, რომ საქართველოში საგადასახადო ადმინისტრირება უმძიმეს მდგომარეობაში აყენებს ბიზნესს, შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებს. ისინი როდესაც ამუშავებდნენ „ბიზნესის კეთების სიმარტივის“ ინდექს და ახდენდნენ ამ მაჩვენებლის მიხედვით ქვეყნების რანჟირებას, საქართველოს საერთო მეთერთმეტე ადგილი იმანაც განაპირობა, რომ აქ ბიზნესის დაწყება 5, ხოლო გადასახადების გადახდა 64 ბალით განისაზღვრება ას ბალიან სისტემაში. ნიშანდობლივია ისიც, რომ ბიზნესის დახურვა აწყდება უმძიმეს პირობებს და ფასდება 95 ბალით. (იხ. ამავე კრებულში გ.დაღანიძე, ეკონომიკური ინდექსები და ეკონომიკური რეალობა. ცხრილი 1.)

მთლიანობაში ამგვარი დამოკიდებულება მეწარმეობასთან საბოლაო ჯამში ბიუჯეტზეც უარყოფითად აისახება. რაც არ უნდა მაღალი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭომ მას, სულ ერთია, მისი შევსების წყაროზე სახელმწიფოებრივი ზრუნვის გარეშე შეუძლებელია მისი ოპტიმიზაცია. სახელმწიფო ბიუჯეტი საქართველოში განმარტებულია, როგორც „ცენტრალური ხელისუფლების შემოსავლების, აგრეთვე მისი ფუნქციებისა ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი ხარჯების ნუსხა« (10.5). სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა განმარტებებიც არსებობს, მაგრამ საქართველოში ამჯობინეს ქვეყნის მთავარი საფინანსო გეგმის ცენტრალურ ხელისუფლებაზე ფოკუსირება, რამაც მისი ავტორიტეტი აამაღლა და გაამკაცრა ადმინისტრირება.

ეკონომიკა მოექცა ადმინისტრირების მკაცრ მარწუხებში. ამასთან ეკონომიკის ადმინისტრირება, „ბიზნესის კეთების სიადვილის« გაფართოების მიზნიდან გამომდინარე, დისციპლინარული მეთოდოლოგიდან გადადის მაკონტროლებელ სისტემაზე¹⁸. რაც ნიშნავს: „დაიწყე წარმოება სადაც გინდა და როცა გინდა, მაგრამ მოვალთ და შეგამოწმებთ და ვაი შენი ბრალი, თუ შეცდომა დაუშვი«. ამ თვალსაზრისით საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების კონტროლი გახდა ქვეყნის ეკონომიკურ-

პოლიტიკური პროცესების მაინტეგრირებელი და გამსაზღვრელი მახასიათებელი. შესაბამისად, ბიზნესსა და საგადასახადო ადმინისტრირებას შორის პარტნიორული ურთიერთობების ნაცვლად ჩამოყალიბდა მტრული, დაპირისპირებულთა ურთიერთობები, რომელმაც არ შეიძლება საკუთარი კვალი არ დააჩინოს ეკონომიკას¹⁹.

4. სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკის ზრდის ერთიანი ამოცანა

ეკონომიკური მეცნიერების წარმოშობა უკავშირდება ადამ სმიტის ცნობილი ნაშრომის „ხალხის სიმდიდრის შესახებ“ გამოსვლას. მიჩნეულია რომ ეს ნაშრომი არის ეროვნული ეკონომიკის პირველი სისტემური გააზრების მცდელობა. როგორც სათაურიდან ჩანს, ეკონომიკური მეცნიერების ამოცანას იმთავითვე წარმოადგენდა სიმდიდრის შექმნა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა. 1776 წლიდან, ადამ სმიტის ნაშრომის გამოსვლიდან დღემდე კალენდარულად 234 წელი გვაშორებს, ეკონომიკური მეცნიერებისათვის კი მთავარი საზრუნავი ხდება სიღარიბის დაძლევა. გარკვეულად, ეს პერიოდი არის სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლისა და სიმდიდრის შექმნის მიმართულებით აქტიობის ერთიანობის პროცესი.

საქართველოს ეკონომიკა შეიძლება ძალიან მოკლედ დავახასიათოთ, ეს არის „სიღარიბის დაძლევის ეკონომიკა“. სიღარიბის დაძლევის კი ერთადერთი გზა არსებობს: მოსახლეობის დასაქმება და დასაქმებულთა შრომის ეფექტური მისამართის ზრდა. როგორც ვიცით, მაკროეკონომიკური ევოლუციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ინფლაცია, საქართველოში პრინციპულად საერთაშორისო ორგანიზაციების ზემოქმედებით რეგულირდება. რაც შეეხება დასაქმებასა და მის საფუძველზე მშპ-ს ზრდას, ეს კი ქვეყნის საკუთრივ პოლიტიკურ-ეკონომიკური ამოცანაა. როგორ გაართმევს თავს საქართველო ამ ამოცანას მასზეა დამოკიდებული ჩვენთან სიღარიბის დაძლევა. ჩვენ ნაშრომის წინა განყოფილებაში შევნიშნეთ, რომ საქართველოს აქვს ურთულესი გარეგანი პირობები სამეურნეო აქტივობისათვის. საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებით, ჩვენი ქვეყნა ეკონომიკური გარემოცვით 130 ადგილზეა. ის რაც ითქვა ჩვენს მიერ, ქვეყნისადმი მეზობელი სახელმწიფოების ნეოკოლონიალურ დამოკიდებულების შესახებ დასტურდება. აქედან გასაგებია ჩვენი სწრაფვა ევროპისაკენ. მიგვაჩნია და სავსებით სამართლიანად, რომ თუ ჩვენ ევროკავშირის წევრი ქვეყანა ვიქენებით განვითარებადი, მაგრამ იმპერიული ზრახვების მქონე ქვეყნები ვერაფერს დაგვაკლებენ, რაც არ უნდა სამხედრო ძლიერების მატარებელნი იყვნენ. შესაბამისად დგას არა მარტო მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებულ ნაწილში ჩვენი ინტეგრაციის საკითხი, არამედ ამ ინტეგრაციისათვის მზადების პრობლემაც.

ევროკავშირის ის წევრი ქვეყნები, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინ ჩვენს ბედს იზიარებდნენ სსრკ ერთიან სახალხო სამეურნეო კომპლექსში, დღეისათვის ეწევიან იმ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც დამახასიათებელია ევროპისათვის. მაგრამ მათ ევროკავშირში შესვლის შემდეგ განიცადეს ეკონომიკის სერიოზული ვარდნა. ევროკავშირში შესვლა არ ნიშნავს ავტომატურად არსებული ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას²⁰. ჩვენც ვალდებული ვართ თანდათან გადავიდეთ ეკონომიკის

გაძლოლის ევროპულ პრინციპებზე, რათა ევროკავშირში შესვლამ არ გამოიწვიოს ჩვენი ეკონომიკისათვის შოკური ეფექტი.

თუ ჩვენ, ორიენტირებული ვიქენებით ეკონომიკის გაძლოლის ევროპულ სისტემაზე დავინახავთ, რომ ჩვენი მსხვილი საწარმოები არსებითად ჩართულები არიან მსოფლიო შრომის დანაწილებაში და ისინი ასრულებენ რეგიონალური მნიშვნელობის საწარმო სიმძლავრეთა როლს²¹. მათი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის არსებითია, მაგრამ მათ საკუთარი ტექნოლოგიური შეზღუდულობისა და მსოფლიო ბაზარზე ადგილიდან გამომდინარე არ ძალუდთ საქართველოში გადაწყვიტონ დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის პრობლემები. ეს ობიექტური რეალობა გასაგებია ევროპისთვისაც და ევროკავშირს მოქმედი ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკა, სიღარიბის დამლევისა და დასაქმების დონის ამაღლების საქმეში, მიმართულია არა მსხვილი საწარმოებისაკენ, არამედ საშუალო და მცირე მეწარმეობისადმი.

საქართველოს ისევე, როგორც ყველა სხვა ქვეყანას გლობალიზაცია უქმნის კონკურენციის უაღრესად მნიშვნელოვან პირობებს. კონკურენტული ბრძოლა მძაფრდება და ქვეყნები იძულებული ხდებიან დამორჩილდნენ მსოფლიო ბაზრის რეალობებს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფოებრივი ხელშეწყობა. ევროკავშირის სივრცეში ითვლიან 23 მილიონ საშუალო და მცირე საწარმოს, რომლებიც შეადგენენ ამ ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა 99 პროცენტს. ამ სექტორში დასაქმებულია 100 მილიონ ადამიანზე მეტი, დასაქმებულთა 75 პრცენტი. შედარებისათვის მოვიყვანთ აშშ-ში საშუალო და მცირე ბიზნესის მაჩვენებლებს. 2001 წელს აშშ-ს მშპ-ს 51 და ახალი სამუშაო ადგილების 75 პროცენტი ამ ტიპის საწარმოებში იქმნებოდა (11.30). როგორც ვხედავთ, მსოფლიოში კონკურენტული ბრძოლის გამწვავების კვალობაზე ქვეყანათა დაინტერესება მცირე და საშუალო ბიზნესით იზრდება²².

კონკურენტუნარიანობის გლობალური ინდიკატორის სტრუქტურიდან (ინსტიტუტები, ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ჯამრთელობის დაცვა და დაწყებითი განათლება, უმაღლესი გათლება და სწავლება, სასაქონლო ბაზრის ეფექტურობა (საკმარისობა), შრომის ბაზრის ეფექტურობა (საკმარისობა), ფინანსური ბაზრის საკმარისობა, ტექნოლოგიური მზაობა, ბაზრის მასშტაბი, ბიზნესის საკმარისობა და ინოვაციები) გამომდინარე, ჩვენ ვხედავთ, რომ ძირითადი აქცენტები აღებულია ფუნქციონალურ მახასიათებლებზე და არა მეურნეობის სფეროებზე. ამიტომ, გლობალური კონკურენტუნარიანობის ასახვა ინდიკატორთა სისტემით არ არის ზუსტი და პირობითი ხასიათისაა. საჭიროა მასში ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებლად წარმოდგენილი იქნას ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ხარისხობრივი შეფასება, თუ როგორ შეფასდება ეკონომიკური პოლიტიკის მიმდინარეობა ეს უკვე სპეციალური საკვლევი თემაა, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს პოლიტიკა ხარისხობრივი თვალსაზრისით, მასში აუცილებლად აისახება ეკონომიკის სექტორები და მათთან სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება. ევროკავშირი, რომელიც თავისუფალია თავის ეკონომიკური პოლიტიკის წარმოებაში ყოველგვარი სწობიზმისა და ცრურწმენებისაგან, მცირე საწარმოებისათვის ევროპულ ქარტიაში აღნიშნავს, რომ „მცირე საწარმოები უნდა განვიხილოთ, როგორც ინოვაციების, დასაქმების, სოციალური და ადგილობრივი ინტეგრაციის მამოძრავებელი მაღა ევროპაში“ (12.1-54). როგორც ვხედავთ, ამ ათი წლის

წინ ევროპელები საკუთარი ეკონომიკის აღმავლობას სწორედ მცირე საწარმოთა განვითარებას უკავშირებდნენ²³. ეს ზოგად პოლიტიკური, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისაკენ მიმართული ვექტორი დღესაც ძალაშია და ევროკავშირში შემავალ სახელმწიფოთა მუდმივი ზრუნვის საგანია.

როგორი მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით აშშ-ში. ეს საკითხი უაღრესად საინტერესოა ჩვენთვის, რადგან ჩვენი ეკონომიკური და არა მხოლოდ ეკონომიკური ინტერესები დიდად არის დაკავშირებული აშშ-ს მსოფლიო გეოპოლიტიკურ როლთან. თუ მცირე ექსკურსს გავაკეთებთ ამერიკის ეკონომიკური პოლიტიკის ისტორიაში დავინახავთ, მიუხედავად იმისა, რომ 1953 წელს შეიქმნა მცირე მეწარმეობის (ბიზნესის) ფედერალური სააგენტო (SBA), ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე მიმართული პოლიტიკა იწარმოებოდა დიდი ხნით ადრე. დიდი დეპრესიისა და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ამგავარი პოლიტიკის აუცილებლობა ცხადი გახდა. შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის პოლიტიკა მცირე ბიზნესის სფეროში არის ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი და ემყარება უაღრესად დიდ გამოცდილებას. ასევე სხვა განვითარებული ქვეყნები: იაპონია, ტაივანი, ჰონკონგი და სხვა ქვეყნებში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ მცირე ბიზნესს და მუშავდება სპეციალური პოლიტიკა ამ მიმართულების გასაძლიერებლად.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლების მთავარი გზა არის მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ხელის შეწყობა. საქართველოს შესაძლებლობები მცირე ბიზნესის განვითარების სფეროში უაღრესად მაღალია. ამას მოწმობს ქვეყნის ისტორიული წარსული და ის თავისებურებები, რომლითაც ხასიათდება ქართული სამეურნეო სივრცე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ორგანიზებული პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია. სოფლის მეურნეობა უფრო მეტად არის დამოკიდებული სახელმწიფო მხარდაჭერაზე, ვიდრე ვაჭრობა და ქვეყნის რესურსების ტურისტული ათვისება, თუმცა მცირე ბიზნესის როლი ამ სფეროშიც მეტად მაღალია.

საქართველოში, გამომდინარე მისი ეკონომიკის რესურსული მრავალფეროვნების და სამუშაო ძალის ისტორიულად ჩამოყალიბებულ უნარ-ჩვევებიდან, პრიორიტეტულად მიიჩნევა, მცირე ბიზნესის ხელშეწყობა უპირატესად სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების სფეროში. ამ პრობლემის აქტუალიზაცია ხდება ყოველდღიურად და განსაკუთრებით თვალსაჩინოა აგფლაციისა და სურსათზე მსოფლიო კრიზისის პირობებში. ამ თეზისის დადასტურება შესაძლებელია მარტივად, ქართულ სამომხმარებლო ბაზარზე გასვლით, კერძოდ, 2009 წლის აგვისტოსთან შედარებით გაორმაგებულია კარტოფილის (60 თეთრი 2009 წ. 1.2 ლარი 2010 წ.), გასამმაგებულია ნივრის (1.5 ლარი 2009 წ. 6 ლარი 2010 წ.), ფასი, აგრეთვე გაიზარდა პურის ფქვილის ფასი 40 პროცენტით, საკვები ზეთისა – 80 პროცენტით და ა.შ. ეს ციფრები საკუთრივ მოვიპოვე 2010 წლის სექტემბრის დასაწყისში ჩემს საცხოვრებელთან განლაგებულ სავაჭრო დაწესებულებებში²⁴. მოსალოდნელია ფასების უფრო არსებითი ზრდა, რაც სამწუხაროდ. დადასტურდა უკვე სექტემბრის ბოლოსათვის, რაც პროდუქციის წარმოების ხარჯების გადიდებას უკავშირდება და არა ფულის მიმოქცევის ხარვეზებს. ასეთივე მდგომარეობაა მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც. პურის იმპორტიორები უმოსავლობის გამო თვით ხდებიან ექსპორტიორები.

მაგალითად, რუსეთი და უკრაინა. ურთულესი მდგომარეობაა ბრინჯის ბაზარზე. პაკისტანი, ჩინეთი, ფილიპინები და ბანგლა-დეუ მის ნაკლებობას განიცდიან. სურსათის უსაფრთხოების პრობლემა ხდება მსოფლიოსათვის ნომერ პირველი პრობლემა.

აგფლაციის პროცესი უკვე კარგახანია მსოფლიოში მიმდინარეობს. 2007 წლიდან შეიმჩნევა ხორბლის, სიმინდის და ბრინჯის ფასების მკვეთრი ზრდა, რასაც ეკონომისტები ძირითადად ენერგომატარებლებზე ფასების ზრდას უკავშირებდნენ და რამდენადმე დროებით მოვლენად მიიჩნევდნენ, მაგრამ ენერგო რესურსებზე ფასების სტაბილიზაციამ და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ პერიოდში ფასების საგრძნობა შემცირებამ ვერ შეაჩერა სურსათზე ფასების თანდათანობითი, ჯიუტი ზრდა. ახლა უკვე იხილავენ სურსათზე ფასების ზრდის საკუთარ მიზეზებს, ფაქტორებს რომლებიც არ არის დაკავშირებული გარეშე სამეურნეო კავშირებთან და რომლებიც საკუთრივ სოფლის მეურნეობის დარგების არასწორი და არარაციონალური მართვიდან მომდინარეობს.

საქართველოში აგრარული მეურნეობის მართვისა და ამ სფეროში მიმდინარე ნაკლოვანებებზე პრესისა და ტელევიზიის საშუალებით გამოსული სპეციალისტების (ნ.ჯავახიშვილი, მ.სვიმონიშვილი, კ.ფანჩულიძე, პ.კოლუაშვილი, დ.იაკობიძე და სხვ.) შენიშვნები, როგორც წესი, უყურადღებოდ რჩებოდა და ჩვენს მთავრობას, შეიძლება ითქვას, არ გადაუდგამს არც ერთი არსებითი ნაბიჯი აგრარულ სექტორში არსებული მახინჯი სამეურნე ურთიერთობების დასაძლევად. საქართველოში სურსათის წარმოებისა და მოსახლეობის მოთხოვნების დაკმაყოფილების საკითხისადმი დანაშაულებრივად ზერელე დამოკიდებულების მაგალითია ის, რომ 2009 წელს საქართველოში დახნული იქნა 247 ათასი ჰექტარი სავარგული, მაშინ როდესაც 1999 წელს, ათი წლის წინ იხვნებოდა 600 ათასი, 1989 წელს 840 ათასი, ხოლო 1951 წელს კი რეკორდული 1100 ათასი ჰექტარი სასოფლო სამეურნეო სავარგული დამუშავდა. ეს ფაქტი მრავლის მეტყველია, იგი, უპირველეს ყოვლისა, გამოხატავს საზოგადოების დამოკიდებულებას საკუთარი სიმდიდრის, მიწისადმი. მიწა მოვლილია, მაშინ, თუ იგი იხვნება და აგრიკულტურის მიღწეულ დონეზე მუშავდება. საქართველოში კი დღეისათვის მილიონ ჰექტარამდე სასოფლო სამეურნე სავარგულიდან მუშავდება მხოლოდ მისი მეოთხედი და ეს მაშინ, როდესაც ქვეყანა განიცდის სურსათის დიდ უკმარისობას და საზღვარგარეთიდან შემოაქვს იგი. პრობლემა იმითაც ღრმავდება, რომ სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების საკითხი უკავშირდება სურსათის უვნებლობის საკითხსაც, სადაც შექმნილი სიტუაცია, რბილად რომ ვთქვათ, არ არის სანიმუშო. თითქმის ყოველდღიურად ჩვენი ელექტრონული მედია გვაწვდის სურსათის უვნებლობის დარღვევის ფაქტებს, ხშირად სკანდალურ მასალასაც კი, ისეთს, რომლებიც გვაგონებენ ამ სფეროში მეცხრამეტე საუკუნის მოვლენებს.

პირველად თავისი პრეზიდენტობის განმავლობაში მიხეილ სააკაშვილმა 2010 წლის 31 აგვისტოს მოაწყო საქართველოში პურის საბაზრო ფასისა და მოსახლეობის პურით მომარაგების საკითხის ტელე განხილვა. გამოირკვა, რომ კახეთში დაითესა ხორბალი 36 ათას ჰექტარზე და მთლიანმა მოსავალმა შეადგინა 38 ათასი ტონა. ე.ი. ჰექტარზე 1.05 ტონა. ქვემო ქართლში კი სულ 6000 ჰა სავარგულზე დაითესა ხორბალი, სადაც საჰექტო მოსავლანობამ 1.7 ტონა შეადგინა. სასაცილოა სატარალი რომ არ იყოს.

მოტანილი ციფრები მეტყველებენ, რომ საქართველოში აგრარულ პოლიტიკაში ყველაფერი წესრიგში არ არის. საქართველოში აგრარულ სფეროში მიმდინარე პროცესებს ეკონომიკურ პოლიტიკას ვერ დავარქმევთ, რადგანაც პოლიტიკა იმთავითვე გულისხმობს მიზანდასახულობებს და ბიზნეს ერთეულის გარკვეულ ზღვრულ ეფექტიანობას. რაზე უნდა ვიმსჯელოთ პრეზიდენტის ტელეგანზილვის მიხედვით, მხოლოდ საქართველოში აგრარულ პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირების გაუაზრებელ და უგერგილო საქმიანობაზე. ჩვენი სიტყვების სამართლიანობაში დასარწმუნებლად, განვიხილოთ აგრაგრული პოლიტიკის საყოველთაოდ ცნობილი პრობლემები.

სასიხარულო ფაქტია ის, რომ დაგვიანებით მაგრამ მაინც 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სოფლის მეურნეობა განიხილება, როგორც პრიორიტეტული დარგი. ამ სფეროსათვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებები ჯერადობით იზრდება. ახლა საქმე ისაა, თუ როგორ და რა კონკრეტულ დარგებში გამოვიყენებთ ამ რესურსს, რას მოგვცემს ეს საქართველოს აგრარული სექტორის მდგრადი განვითარებისათვის. ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო, ამბობს ხალხური სიბრძნე. გადაბრუნდა ურემი, ქვეყანა შევიდა ხანგრძლივ და მძიმე აგრარულ კრიზისში, რა გზა გამოჩნდა ამ კრიზისის დასაძლევად ეს ახალი კვლევის საგანია. კვლევები კი არ უნდა დაგვიანდეს, რადგანაც აგრარული კრიზისები, როგორც წესი, ხანგრძლივ ვადიანია, რადგანაც უკავშირდება მრავალწლიან მცენარეთა და მეცხოველეობის განახლების ბუნებრივ ციკლს. გარდა ამისა, აგრარული სექტორში მიმდინარე კვლევები გვესაჭიროება ამ სფეროში სწორი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისათვის.

ეკონომიკურ პოლიტიკათა შორის უძველესია აგრარული პოლიტიკა. ადამიანთა ისტორიის გარიურაზე, სახელმწიფოს წარმოშობისთანავე მისი ძალისხმევა წარიმართა მიწათ სარგებლობის წესების მოწესრიგების მიმართულებით. უძველეს ხელნაწერებში, კანონთა წიგნებში ან სამეფო დეკრეტებში შემორჩენილია მიწის საკუთრებითი ურთიერთობების მოწესრიგების, მათი სარგებლობისათვის გადასახადებს დაწესების შესახებ მასალები. ამ თვალსაზრისით აგრარული პოლიტიკა ერთ-ერთი უძველესი და მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი მონაპოვარია. საზოგადოებრივი ისტორიის მანძილზე მან მნიშვნელოვანი სახეცვლილებები განიცადა. შესაბამისად მეისტორიენი გამოყოფენ მისი განვითარების ექვს მნიშვნელოვან ეტაპს, უფრო სწორად აგრარული პოლიტიკის წარმართვის ექვს მოდელს .აღიშნული მოდელები, რამდენადმე ასახავენ აგრარულ სფეროში ეკონომიკური პროცესის განვითარების ისტორიულ ეტაპებს, ისინი სრულიად შესაბამებიან საზოგადოების განვითარების რომელიმე ეტაპზე მიღწეულ დონეს, მაგრამ ამავე დროს ისინი არ არიან ოდენ „ოდესდაც რაღაც მომხდარას“ ახლებური გადამღერებები, პირიქით მათზე აქცენტირება განაპირობებს ამჟამად აგრარულ სფეროში მიმდინარე პროცესების სწორ გააზრებასა და საჭირო მექანიზმების შერჩევას. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ევროპაში სოფლის მეურნეობაში გაბატონებული მოდელების მოვლე დახასიათება.

1. ბუნებრივი რესურსების უმუალო მოხმარების პერიოდში სოფლის მეურნეობა იმ ფორმით, რა ფორმითაც არსებობდა, მხოლოდ ექსტენსიურად შეიძლებოდა გნვითარებულიყო. ეს იყო პრიმიტული შრომის იარაღებზე დამყარებული სამეურნეო გარემო, სადაც ადამიანის ფიზიკური შრომა ბატონობადა²⁶;

2. მეთვრამეტე საუკუნის ინგლისში შესაძლებელი გახდა სოფლის მეურნეობაში გამოყენებინათ ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც სპეციალურად მუშავდებოდა მემცენარეობასა და მეცხოველობას ერთიანი ინტეგრირებული სისტემების სახით ჩამოყალიბებისათვის. სოფლის მეურნეობის განვითარების ამ მოდელს კონვერსაციულ მოდელს უწოდებენ.

კონვერსაციული მოდელის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა ნიადაგმცოდნეობითი კვლევები და გერმანელ სპეციალისტთა მიერ ჰუმუსის თეორიის შემუშავება, რამაც ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიმართულებით მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვია. ეს მაშინდელ მეცნიერებაში გარღვევა იყო, რადგანაც ნიადაგის კლებად ნაყოფიერების კანონის „ძლევამოსილებას“ ზღვარი დაუდო. კონვერსაციული მოდელის საფუძველს წარმოადგენდა სასოფლო სამეურნეო სავარგულთა რაოდენობრივი და ხარისხობრივი კლასიფიკაცია, რის საფუძველზეც უნდა ადგენილიყო სამეწარმეო ერთეულის (ფერმერული მეურნეობის) სამეურნეო ზომები. კერძოდ რამდენი მიწის დამუშავება იყო შესაძლებელი, რამდენი მოსავალი მოვიდოდა დამუშავებულ მიწაზე, რამდენ პირუტყვს (სახეობების მიხედვით) გამოკვებავდა მოსავალი და რაც მთავარია, რა დარჩებოდა საბოლოო შედეგის სახით ფერმერს, რათა იგი ყოფილიყო გარკვეულ კეთილდღეობაში და დამოუკიდებელი საკუთარი ინტერესების გარკვევაში²⁷. ეს მეთოდი ძლიერი იდეოლოგიური მხარდაჭერით ინერგებოდა ევროპაში. იგი იმდენად, პოპულარული იყო, რომ გარკვეულად იუმორისტთა საკბილოც კი გახდა. ასე მაგალითად მეცხრამეტე საუკუნის რუსი კლასიკოსი სალტიკოვ - შედრინი თავის „განმარტოება მონრეპო-ში“ წერდა, „მუჟიკმა“ ერთი ცხენშებმული გამართული გუთანით შეიძლება დახნას ერთი დესიატინა მიწა დღის განმავლობაში, მაგრამ, რომ არ დახნას მაშინ რა...“ სვამს კითხვას მამულის პატრონი, რომელსაც საკმარისად წაუკითხავს აგრარულ-კონვერსაციული ლიტერატურა. ამით კლასკოსი მიუთითებს, რომ გარდა აგროტექნიკური გათვლებისა, აგრარულ მეურნეობაში მნიშვნელოვანია, სხვა ღრმა სამეურნეო ურთიერთობათა გამოვლინებები. მაგალითად, საკუთრების ფორმები, მშრომელთა მატერიალური ინტერესების დაკმაყოფილების მექანიზმები და ა.შ.;

3. შემდეგ ეტაპზე აგრარული პოლიტიკის საფუძვლად გვევლინება გარემო ფაქტორების განსხვავებულობა, სასოფლო წარმოების პირობები და ადგილმდებარეობა, რამაც ფერმის მოწყობის პირობების შემუშავებასა და მის საფუძველზე ფერმერულ, როგორც სპეციალიზირებულ საქონელმწარმოებელ მეურნეობების შექმნას შეუწყო ხელი. სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა და გაძლილის ასეთ მოდელს ლოკაციის მოდელს უწოდებენ.

როგორც ვხედავთ, ეს მოდელი ფერმის ორგანიზების რაციონალური პირობების შექმნა-განვითარებისაკენ უბიძგებდა მეწარმეებს. საჭირო იყო მცენარეთა გავრცელების საუკეთესო არეალის დადგენა, მეცხოველეობის ორგანიზების უმჯობესი ბუნებრივი პირობების გამოვლენა და მათი გათვალისწინებით ფერმერული მეურნეობის სპეციალიზება. ეს მოდელი უშუალოდ ეხმიანებოდა ადამ სმიტის მიერ გამოთქმულ წინადადებებს საგლეხო მეურნეობაზე. სმიტი გლეხებს იმის გამო, რომ მათ უხდებოდათ შრომის იარაღების სწრაფი ცვლა და სხვადასხვა ხელობათა ათვისება, თავიანთ საქმიანობაში ვერ აღწევდნენ ხარისხობრივ განვითარებას, პროგრესის შემაფერხებელ

კლასად აღიქვამდა. სოფლის მეურნეობის განვითარების ლოკაციის მოდელი კი სწორედ საუკეთესო ბუნებრივ და ტექნოლოგიურ პირობებში სპეციალიზირებულ საწარმოებზე აკეთებდა აქცენტს და მიიჩნევდა მათ აგრარული წარმოების განვითარების საფუძვლად²⁸:

4. ეკონომიკის განვითარების საერთო ტენდენციებმა დაამტკიცა, რომ სასოფლო წარმოების სწორი სპეციალიზაცია და ფერმერული მეურნეობის რაციონალური ზომების ფორმირება არ იყო საკმარისი სასოფლო პროდუქციაზე მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის. საჭირო და აუცილებელი ხდებოდა სახელმწიფო ჩარევა აგრიკულტურის ამაღლების მიზნით. კერძოდ, ახალი ჯიშების გამოცდა, მაღალ პროდუქტიული პირუტყვის ახალი ჯიშების გამოყვანა, მცენარეთა დაცვისა და ზოოვეტერინრული და ზოო-ტექნიკური ტექნოლოგიების შემუშავება, აღემატებოდა ცალკეულ ფერმერთა და მათი კავშირების შესაძლებლობებს. მხოლოდ სახელმწიფოს მძლავრი ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით იყო შესაძლებელი თანამედროვე აგრიკულტურის მიღწევების დამკვიდრება ფერმერულ ყოველდღიურობაში. აგრარული სფეროს განვითარების ასეთ მოდელს, რომელიც სახელმწიფოებრივი მძლავრი ტექნიკურ-ტექნოლოგიური მხარდაჭერის პრინციპებზე ყალიბდება, მეცნიერ აგრარიკოსები დიფუზიის მოდელს უწოდებენ. ეს მოდელი მოწინავე გამოცდილების სწავლებასაც გულისხმობს. ამიტომ იგი ზესახელმწიფოებრივი მასშტაბების მომცველიცაა და მისი დამკვიდრების მთავარ სუბიექტად საერთაშორისო ორგანიზაციები გვევლინებიან.

დიფუზიის მოდელის მისადაგებით, განვითარებად ქვეყნებში ფერმერთა სწავლების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და კონსულტირების საქმეში სახელმწიფო ინსტიტუტებს დიდ დახმარებას უწევენ საერთაშორისო ორგანიზაციები და განვითარებული ქვეყნები. საქართველოში პრაქტიკულად საკონსულტაციო და სასწავლო სფეროს განვითარებას სურსათის საერთაშორისო ორგანიზაცია ანხორციელებს. ამ თვალსაზრისით საქართველოს სახელმწიფოს კარგი პირობები აქვს, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციები ასრულებენ ჩვენი ჩინოვნიკების დაკვეთებს, რომლებიც ყოველთვის საქმის ინტერესებიდან არ გამომდინარეობს²⁹;

5. დიფუზიის მოდელი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ამზადებს ახალ პირობებს, რომელიც შესაძლებელს ხდის აგრარულ სექტორში შევიდეს დამატებითი ინვესტიციები, შეიქმნას ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც დამყარებულია მეცნიერების უახლეს მიღწევებზე. ტრადიციულ სასოფლო სამეურნეო სექტორში ინვესტირების სამ მიმართულებას ქმნის: 1) სოფლის მეურნეობის ექსპერიმენტულ ბაზას უზრუნველყოფს ახალი მიღწევების დანერგვებით და სიახლეთა გამოცდის შესაძლებლობებით; 2) სასოფლო სამეურნეო წარმოებისათვის ინდუსტრიული სექტორის განვითარებას, რის ბაზაზეც იქმნება აგრიკულტურის განვითარებისათვის, ფერმერებისათვის ხელმისაწვდომი ახალი წარმოების საშუალებების ბაზარი; 3) ხელს უწყობს ფერმერებს მათი სამეურნეო შესაძლებლობების გაფართოებისათვის, ქმნის საფინანსო მექანიზმებსა და ფერმერთა შესაძლებლობების გაფართოების არაფინანსურ პირობებს. ამ მოდელს მაღალ ანაზღაურების მოდელს უწოდებენ³⁰;

6. თანამედრო აგრარული კულტურის განვითარების უახლეს მოდელს წარმოადგენს სიახლეთა სტიმულირების მოდელი. ამ მოდელის საფუძველზე წარმოებული

აგრარული პოლიტიკა გულისხმობს სამეურნეო პრაქტიკაში მეცნიერების უახლესი მიღწევების დანერგვას, მათ აგრარულ ურთიერთობათა არსებულ ქსოვილში ორგანულ ჩართვას. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია რადგანაც ახალი მიღწევები ხშირად დაკავშირებულია გენურ ინჟინერიასთან და სხვა ისეთ ტექნოლოგიურ სიახლეებთან, რომლებიც საზოგადოებრივ ცნობიერებაში არც თუ მარტივად აღიქმება. საქმე ისაა, რომ აგრარულ სივრცეში სამეურნეო პროცესი როგორც ეკონომიკური ურთიერთობები, გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება. კერძოდ, მოსახლეობის ზრდა იწვევს სურსათზე მოთხოვნის გადიდებას, რაც, თავის მხრივ, არ იწვევს სურსათის წარმოების საშუალებებზე მოთხოვნათა ზრდას. ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითი საქართველოში სახნავი ფართობის ათვისების შესახებ ამ თეზისის ნათელი დადასტურებაა. ბოლო წლებში მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლების ზრდამ გამოიწვია სურსათზე მოთხოვნების გადიდება, რაც საკვებ პროდუქტებზე ფასების მატებაში გამოიხატა, მაგრამ ამ ფაქტის გამო სრულიადაც არ გაზრდილა სახნავ სავარგულებზე სამეწარმეო მოთხოვნები, მათი რაოდენობა კიდევ შემცირდა. ამიტომ სიახლეთა სტიმულირების მოდელი გულისხმობს ასეთ ალოგიკურ გარემოებებიდან თავის დაღწევის ბერკეტების შექმნასა და მის მეურნეობაში ადაპტირებას.

ამგვარად აგრარული სფეროში სამეურნეო განვითარებას დადი ყურადღება ეთმობა განვითარებულ ქვეყნებში და ხდება მათი მოდელირება, რათა სახელმწიფოებს ქონდეთ მკაფიო და რაოდენობრივად გაზომვადი ორიენტირები აგრარული პოლიტიკის ფორმირება-განხორციელების დროს. განვითარებული ქვეყნების საქმიანობა აგარარულ სფეროში არის სამაგალითო განვითარებადი ქვეყნებისათვის. განვითარებადი ქვეყნები სწორი აგრარული პოლიტიკის გარეშე ვერასოდეს ვერ გადაწყვეტენ დასაქმების და საზოგადოებაში სიღარიბის პრობლემას³¹. ამ თვალსაზრისით საქართველოსათვის მნიშვნელოვანია, როგორ აგრარულ პოლიტიკას განახორციელებს. თავის თავად განვითარებული ქვეყნების მიერ განვლილი პერიოდის პრაქტიკას მათთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნია, გარდა ამისა მათ შეუძლიათ საკუთარ სამსახურში ჩააყენონ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც დიდ ტექნიკურ დახმარებას უწევენ განვითარებად ქვეყნებს ფერმერთა განათლებისა და აგრიკულტურის განვითარების თანამედროვე მეთოდების დანერგვაში.

5. გვესაჭიროება, თუ არა აგრარული პოლიტიკა?

რადგანაც შევთანხმდით, რომ საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების უმთავრესი გზა არის მცირე და საშუალო მეწარმეობისათვის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და ამ სფეროს განვითარების საუკეთესო პირობები არსებობს სოფლის მეურნეობაში, სადაც შესაძლებელია სიღარიბის დამლევაც და ეკონომიკური ზრდაც განხორციელდეს, ჩვენი ყურადღება უნდა გავამახვილოთ აგრარული პოლიტიკის საკითხებზე.

საქართველოში მნიშვნელოვანია აგრარული პოლიტიტკის შემუშავების თანამედროვე ფორმების ცოდნა და გამოყენება. ამ თვალსაზრისით ქვეყანაში არსებობს გარკვეული შემეცნებითი ბარიერი, რაც უკავშირდება არსებულ გამოცდილებას.

კერძოდ, საქართველო ორგორც სსრკ ეკონომიკის ინდუსტრიული სასოფლო სამეურნეო პოლიგონი, სრულყოფილად ფლობდა იქ გამეფებულ აგრარული მეურნეობის ორგანიზაციისა და მენეჯმენტის მეთოდებს. საბჭოთა კავშირში კი აგრარული პოლიტიკა სქოლასტურ მეთოდოლოგიაზე იყო დამყარებული. ერთი მხრივ, სამეურნეო პრაქტიკაში მიმდინარე ცვლილებები და, მეორე მხრივ, მარქსიზმის კლასიკოსთა, განსაკუთრებით ვლადიმერ ლენინის გამონათქვამები, განაპირობებდნენ საბჭოთა აგრარული პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების მეთოდოლოგიურ ბაზას.

საბჭოთა კავშირში სოფლის მეურნეობის განვითარების ორ ტიპს იცნობდნენ: ექსტენსურსა და ინტენსურს. ყველა სიახლე, რაც სოფლის მეურნეობაში ხდებოდა, უკავშირდებოდა ამ ორ კატეგორიას. სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია განმარტებული იყო, ორგორც „პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდა მიწის ერთეულზე ცოცხალი და განივთებული შრომის დანახარჯების თანმიმდევრული, დამატებითი ზრდის ხარჯზე“ (13.2.40). შესაბამისად სხვა მოდელის აღიარება აგრარული პოლიტიკის საფუძვლად გამორიცხული იყო. ასეთი დამოკიდებულება გრძელდება დღესაც. საქართველოში, შეიძლება ითქვას, აგრარული პოლიტიკა არ არსებობს. მიდგომა - ბაზარი დაარეგულირებს სურსათის მიწოდება – მოთხოვნას, რაც გლობალურ გარემოპირობებში საკამათო არ არის, აგრარული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების თვალსაზრისით მიუღებელია, რადგანაც გვიბიძგებს უმოქმედობისაკენ, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისაკენ საკუთარი ბუნებრივი რესურსებისადმი და ფერმერული მეურნეობას წირავს რუტინასა და ჩამორჩენილობისათვის. ის ემპირიული მასალა, რომელსაც გვაწვდის ჩვენი ქვეყნის სტატისტიკური სამსახური სოფლის მეურნეობის შესახებ, ამ სფეროში ჩვენი არსებითი ჩამორჩენილობის დასტურია³². სამაგალითოდ ზემოთ მოყვანილი ციფრებიც კმარა, რათა დავრწმუნდეთ, რომ ხორბლის წარმოება, აგრარული პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის არც ერთი ცნობილ ცივილიზებულ მოდელის მიხედვით არ მიმდინარეობს. იგი ალალბედად საბაზრო სტიქის და კიდევ ათასი ხარბი ობივატელის განუხრელი თარეშის ობიექტია.

აგრარული პოლიტიკის ფორმირების ზემოთ მოყვანილი მოდელები აპრობირებულია განვითარებულ ქვეყნებში. არც ერთი ქვეყნის პოლიტიკოსები, რომლებიც საკუთარ ხალხს პატივს სცემენ, უდიდეს ყურადღებას უთმობენ სურსათის უსაფრთხოებისა და მათ განკარგულებაში არსებული მიწის ფონდის რაციოალურ გამოყენებას. შესაბამისად, დღის წესრიგში მუდმივად დგას სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების რაციონალიზაციისა და მისი გადამუშავების ეფექტიანობის პრობლემა. ისეთ ქვეყანაში კი, როგორიც საქართველოა, რომლის განვითარების ისტორიული გზა აგრიკულტურის განვითარებაზე გადის, აგრარული პოლიტიკა ამოვარდა სახელმწიფოებრიობის კონტექსტიდან. მიგვაჩნია, რომ საქართველოს განსაკუთრებით ესაჭიროება განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა აგრარული პოლიტიკის წარმართვაში საკუთარი ჩამორჩენის მიზეზების აღმოფხვრისა და განვითარებისათვის საფუძვლების შესაქმნელად.

მსოფლიოს ქვეყნებში აგრარული პოლიტიკის განხორციელებაში სამთავრობო ქმედებების მრავალი წარმატებული და წარუმატებელი მაგალითი არსებობს. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საერთოდ ეკონომიკური პოლიტიკა ხშირად

არ განაპირობებს აგრარული პოლიტიკის თავისებურებებს. მაგალითად, ცალკეულ ქვეყნებში ყოველთვის ისმება კითხვა, ეკონომიკის ლიბერალური გაძლოლის პირობებში აუცილებელია თუ არა დამოუკიდებელი აგრარული პოლიტიკა? ეს კითხვა საქართველოში უაღრესად აქტუალურია, რადგანაც პრეზიდენტის ინციატივით შემუშავებული „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“ განაპირობებს საქართველოს ერთიან მაკროეკონომიკური კომპლექსის განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს. ამ აქტით, თავისუფალი საბაზრო მეურნეობა იურიდიულად დაკანონდა. შესაბამისად უნდა შევიმუშაოთ, თუ არა აგრარული პოლიტიკა, როგორც დამოუკიდებელი სექტორალური განვითარების სახელმწიფო ღონისძიებათა სისტემა და ამ თვალსაზრისით განვსაზღვროთ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის პერსპექტივები, თუ სანაცვლოდ დაველოდოთ ქვეყანაში მიმდინარე საერთო ეკონომიკური კანონზომიერებები როგორ ზემოქმედებას მოახდენენ აგრარულ სექტორზე?

ამ თემაზე მრავალმა ეკონომისტმა გამოთქვა აზრი, დაწყებული კლასიკური ეკონომიკური თეორიის წარმომადგნნლებიდან (ადამ სმიტი, დავით რიკარდო, კარლ მარქსი) დამთავრებული თანამედროვე ნობელის პრემიი ლაურიატებით. მეცნიერთა შრომების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათ მიაჩნდათ, სახელმწიფოს აქტიური პოლიტიკა ერთადერთ გზად აგრარული მეურნეობის ინდუსტრიულ მეურნეობად გარდაქმნისათვის. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რა საერთო ეკონომიკურ პოლიტიკას აყალიბებს ნებისმიერი ქვეყანა მაკროეკონომიკური პროცესების ტენდენციათა განსაზღვრისათვის, იგი ცდილობს შეიმუშაოს სპეციფიკური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი აგრარული პოლიტიკა. აგრარული სფერო საზოგადოებრივი აქტიობის ის სეგმენტია, სადაც ყველა საზოგადოებამ³³ საკუთარი ველოსიპედი თვითონ უნდა გამოიგონოს, ანუ საკუთარი ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და სამუშაო ძალის დასაქმების მეთოდები თვითონვე უნდა შეიმუშაოს.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის განხილვისას, ადამ სმიტიდან დაწყებული ყველა მკვლევარი შენიშნავს ერთ გარემოებას, კერძოდ იმას, რომ განვითარებულ და განვითარებად ქვეყანათა შორის არ ხდება ექვივალენტური გაცვლა, დომინირებული ქვეყნები შეიძენენ განვითარებად ქვეყნებში ნედლეულს იაფად და მათ აწვდიან სამრეწველო საქაონელს ძვირად. ეს დამოკიდებულება უძველესია და მხატვრულ ლიტერატურაშიც დამაჯერებლად აისახა (იხ. რომანები ო.ჰენრი „მეფეები და კომბოსტო“, მარკესი „მარტოობის ასი წელი“). მაგრამ ეს დამოკიდებულება ამჟამად შეიცვალა და ანალოგიური მიდგომები ხასიათდება სამრეწველო სექტორის მიმართაც. მაგალითად, ეკვატორიალური გვიჩეა სამრეწველო პროდუქციის დიდი მწარმოებელია, იგი 2001 წელს გინესის წიგნშიც კი შევიდა მშპ-ში სამრეწველო პროდუქციის მოცულობის მასშტაბით (57 პროცენტი მშპ-ში მრეწველობის წილხვედრია), მაგრამ აქ წარმოებული პროდუქტი იაფად გადის განვითარებულ ქვეყნებში და სამაგიროდ შემოდის ძვირად ღირებული სამომხმარებლო საქონელი. თუ გადავხედავთ საქართველოს ეკონომიკასაც, საკმარისია მოვიყვანოთ მანგანუმის წარმოება – გადამუშავების მაგალითი, რომ დავრწმუნდეთ, თუ როგორ ნეოკოლონიალურ დამოკიდებულებასთან გვაქვს საქმე დომინირებული ქვეყნების მიმართ ბაზრის ამ სეგმენტზე. ჭიათურაში იაფა სამუშაო ძალა (მადნის მიწისქვეშა დამუშავებისას მაღაროელის ხელფასი არ აღემატება 300 ლარს, სხვა სამუშაოს უქონლობის გამო მუშები

იძულებულნი არიან დათანხმდნენ ამ კაბალურ პირობებზე. შედარებისათვის, თბილისში ელიავას ბაზრობაზე მოქმედი დღიური მუშის საშუალო გამომუშავება 500 ლარამდეც ადის) აწარმოებს მარგანეცს, რომელიც ექსკლუზიურად მიეყიდება ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხანას. ტონა ნედლეულის ფასი არ აღემატება 150 ლარს. გამორიცხულია ყოველგვარი კონკურენტული დამოკიდებულება, რუსთავში შექმნილი მცირე მეტალურგიული საწარმოები იძულებულნი არიან საზღვარგარეთიდან (გაბონი, ინდოეთი) შემოიტანონ საჭირო ნედლეული, რადგანაც ჭიათურის კომბინატს მათთვის სხვა ბევრად უფრო მაღალი ფასი აქვს განსაზღვრული. შემდეგ ზესტაფონში წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ხდება მსოფლიო ბაზარზე ობშორულ სივრცეში დარეგისტრირებული კომპანიის მეშვეობით, რომელსაც ზესტაფონიდან პროდუქცია გააქვს ტონა 800 ლარად, მაშინ, როდესაც მსოფლიო ბაზარზე, ფეროშენადნობის ფასი საშუალოდ 1 ტონაზე 4000 დოლარია. ე.ი საქართველოდან გადის არა მარტო იაფი პროდუქცია, არამედ ბიუჯეტის შესაძლებელი შემოსავლებიც. ამიტომ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებული გაცვლის პრინციპია ნეოკოლონიალური და იგი მოიცავს სახალხო მეურნეობის ყველა სეგმენტს. ისტორიას ჩაბარდა როდესაც სამრეწველო საქონელი ნედლეულზე იცვლებოდა, ახლა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ასეთი კაბალური ფორმები საერთოდ ვრცელდება მთელ სახალხო მეურნეობაზე. ამიტომ ლაპარაკი ამ მიზეზით სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობაზე ცოტა მოძველებულ არგუმენტაციას ეყრდნობა. საქმე ისაა, რომ საჭიროა ერთიანი ეკონომიკურ პოლიტიკური გარღვევა, დამოკიდებულებათა კარდინალური შეცვლა, რაც განაპირობებს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას და შექმნის გარემოს მსოფლიო ბაზარზე ამ ქვეყნების ღირსეული წარმოდგენისათვის. ამიტომ ჩამორჩენის მიზეზები, ერთი მხრივ, ეგრეთწოდებულ ნეოკოლონიალურ დამოკიდებულებაში უნდა ვეძებოთ, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთარ შეცდომებში.

ნეოკოლონიალური დაოკიდებულება დაღს ასვამს მთელ ეკონომიკას, რომლის განვითარებაც უნდა მოხდეს თავისუფალი საბაზრო პრინციპებით. შესაბამისად იქმნება ახალი წინააღმდეგობა ეკონომიკის განვითარების გარეგან ფაქტორებსა, რომლებიც თავისი შინაარსით ნეოკოლონიალურია და მძაფრი პოლიტიკური ზეწოლით ხორციელდება და შიდაეკონომიკურ ფაქტორებს შორის, რომლებიც ლიბერალური პოლიტიკის ფონზე ყალიბდება და ვითარდება. ეს უკანასკნელი, თავისი შინაარსობლივი მახასიათებლებიდან გამომდინარე, გამართლებას პოულობს კაბალური გარეშე ძალების ზემოქმედების შედეგების მიმართაც. კერძოდ, მსოფლიო ბაზრის კონკურენტული გარემოს თავისუფალი ძალების ზემოქმედების სახით წარმოადგენ, შინაარსით მტრულ და საქართველოს ეკონომიკისათვის დამღუპველ ეკონომიკურ პროცესებს.

ასეთ სიტუაციაში ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება, თუ არა საკუთარი, დამოუკიდებელი აგრარული პოლიტიკა, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური სეგმენტი, თუ იგი საერთო ეკონომიკური პოლიტიკის ორგანულ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს? კითხვა, როგორც ვხედავთ, უაღრესად აქტუალურია და საჭიროებს ფუნდამენტალურ გააზრებას. პირველ რიგში აუცილებელია გავიაზროთ პრობლემა, თუ რატომ გვესაჭიროება

აგრარული პოლიტიკა საერთოდ, მიუხედავად ქვეყანაში არსებული საერთო ეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებისა.

აგრარული პოლიტიკა, რომელიც რიგ ქვეყნებში სურსათის წარმოებისა და მეთევზეობასაც მოიცავს, იქმნება გარკვეული მაკროეკონომიკური მიზნების მისაღწევად. უპირველესი მიზანია (1) ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა და ჯანსაღი სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოება. გარდა ამ მიზნისა მნიშვნელოვანია; (2) სოფლის და სასოფლო დასახლებების სივრცობრივი განვითარება, მოსახლეთა სოციალური პირობების უზრუნველყოფა; (3) საკვები პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესება, მისი თანამედროვე სტანდარტების დონეზე წარმოება და რეალიზაცია; (4) პირუტყვისა და მცენარეთე მოვლა-პატრონობის აგროტექნიკური და სამეურნეო პირობების გაუმჯობესება, კვალიფიციური მუშახელის მომზადება და გადამზადება; (5) სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება და მათი ცხოვრების თანამედროვე პირობების შექმნა. აგრარული პოლიტიკა, აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, ლიბერალური ეკონომიკის პირობებში შესაძლებელია არ გამოცალკევდეს და სასურველი მიზნები მიღწეული იქნას საერთო ეკონომიკური პოლიტიკის სხვა მიმართულებების მეშვეობით. ეს სავსებით დასაშვებია თეორიულად, რადგანაც აგრარული პოლიტიკის უმთავრესი მიზნები ასევე უმთავრესია, ეკონომიკური პოლიტიკისათვის საერთოდ. მაგრამ ქვეყნის სტრატეგიული გნვითარების ამოცანათა განხილვის დროს ნათელი ხდება, რომ ისეთი ქვეყანა როგორიც საქართველოა საჭიროებს დამოუკიდებელი აგრარული პოლიტიკის გატარებას. ასეთ განცხადებას ვაკეთებთ გამომდინარე საქართველოს განვითარების ისტორიული თავისებურებებიდან, მის დღევანდელობიდან, მომავალზე ორიენტაციის თვალსაზრისით. საქართველოში აგრარული პოლიტიკის შემუშავებისა და წარმართვის აუცილებლობას განაპირობებს დამატებით შემდეგი არგუმენტები:

1. გარდა იმისა, რომ აუცილებელია ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება, დგება ადგილებზე, საქართველოს ისტორიულ კუთხებში არსებული კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების ამოცანაც. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია როგორც მატერიალური კულტურის ძეგლების, აგრეთვა წეს-ჩეულებითი და ფოლკლორში გამოხატული კულტურული მემკვიდრეობა³⁴. რა თქმა უნდა, ეს ამოცანა უშუალოდ აგრარული პოლიტიკის პრობლემა არ არის, მაგრამ ამ ადგილებში სასიცოცხლო სამეურნეო გარემოს გარეშე ვერ გადაწყვდება, ან თუ გადაწყვდება იგი დაემსგავსება იმ კარიკატურებს, რომლებიც მრავლადაა თანამედროვე მსოფლიოში ეთნიკური რეზერვაციების შენარჩუნების ხარჯზე;

2. საქართვლოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლად ცხოვრობს და დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან, რა ხერხი შეიძლება მოვიფიქროთ ასეთ სამეურნეო გარემოში არსებული სიღარიბის დასაძლევად, თუ არა მათი ადგილებზე დასაქმება და მათ მიერ წარმოებული პროდუქციისათვის სარეალიზაციო ბაზრების მოძიება? ამიტომ, სიღარიბესთან ბრძოლის კონკრეტული ამოცანები დღის წესრიგში აყენებს საქართველოში აგრარული სივრცის რეფორმირებისა და მისი თანამედროვე პირობებისადმი ადაპტაციის პრობლემას. სოფლად სიღარიბის ლიკვიდაციისა და სოფლიდან ქალაქში მოსახლეობის მიგრაციის გონივრულ ჩარჩოებში ჩასმის ერთად ერთი საშუალებაა, ადგილებზე არსებული ბუნებრივი რესურსების რაციონალი

ათვისება, მის ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნების ინტერესებში ჩაყენება და, რაც მთავარია, მათ საფუძველზე კონკურენტუნარიანი საწარმო ერთეულების ფორმირება და განვითარება, ვერ გავექცევით რეალობას და კიდევ ერთჯერ შევნიშნავ, რომ 2010 წლის ზაფხულში, კახეთის რეგიონში 36 ათას ჰექტარზე მიღებული 38 ათასი ტონა ხორბალი მეტყველებს აგრარულ სექტორში არსებულ სრულ თვითნებობაზე, იმაზე, რომ აქ ვერც ერთი მწარმოებელი, თუ ეს ციფრები მართალია, და ჩვენი შემოწმებითაც ცალკეულ ფერმერებისა და ექსპერტების გამოკითხვით, სრული სიმართლე უნდა იყოს, სიღარიბეს თავს ვერ დააღწევს. მკითხველს კი შევახსენებ, რომ საბჭოთა ეკონომიკაში არსებული გეგმური ნორმატივებით, თუ ჰექტარზე 15 ცენტნერი მოსავლის მოლოდინი არსებობდა, ყანაში კომბაინი არ უნდა შეეყვანათ, აღება-დაბინავების ხარჯებს ვერ აანაზღაურებდა მიღებული შემოსავალი. თუ დღევანდელი გადასახედიდან გადავხედავთ კახელ ფერმერებს არა უმეტეს 500 ლარის შემოსავლის მოლოდინი აქვთ ჰექტარზე, საშუალოდ ერთი მეტარმის სავარგულის რაოდენობა არ აღემატება 30 ჰექტარს, გამოდის რომ მათი მოსალოდნელი წლიური შემოსავალი შეადგენს 15 000 ლარს. მაშინ როდესაც 10 000 ლარამდე მხოლოდ მექანიზაციის გამოყენების ხარჯები ადის. გარდა ამისა, საჭირო იყო 3.5 ტონა თესლი, რომელიც მათ 1000 ლარამდე დაუჯდათ. თუ ანგარიშს არ შევიტანთ სამელორაციო და სარეველებთან ბრძოლისა და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისათვის საჭირო დანახარჯებს, გამოდის, რომ ფერმერმა, რომელსაც 30 ჰექტარი სასოფლო სამეურნეო სავარგული აქვს, მიიღო წლიური შემოსავალი 4000 ლარი, თვეში გამოუდის 335 ლარი, რაც ყოველდღიურ სარჩოდ შეიძლება საკმარისი იყოს, მაგრამ სავარგულის ხელმეორედ დამუშავებისათვის ოცნებაც არ შეუძლია. იქ, სადაც საბაზრო ეკონომიკის ზოგადი კანონზომიერებებზე დაყრდნობით საქმე უნდა გვქონდეს გარკვეული კეთილდღეობის მქონე, დამოუკიდებელ პერსონასთან, საქმე გვაქვს უბრალოდ დარიბ ადამიანთან;

3. შეუძლებელია ისეთ მცირემიწიან და რთული რელიეფის მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა შეიქმნას ისეთი მძლავრი სასოფლო სამეურნეო საწარმოები, რომლებიც შეძლებენ ფიტოლოგიური და ზოოვეტერინარული მომსახურების განხორციელებას, ჯიშთა გამოცდას და საჭირო ბიოლოგიურ და მცენარეთა დაცვითი კვლევების ჩატარებას. სურსათის უსაფრთხოების ყველა ცივილიზებული ნორმის დაცვას. ამ თვალსაზრისით აგრარული პოლიტიკის შემუშავება ქვეყნის ვალდებულებაცაა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამეურნეო პარტნიორი ქვეყნების წინაშე. ამ სფეროში პასუხისმგებლობა, ქვეყნების სახელმწიფო ინსტიტუციებს ეკისრებათ და არა ფირმებს. ამ თვალსაზრისით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და წარმოება უბრალოდ ვალდებულებაა და არა სასურველობა;

4. 2006 წლიდან მსოფლიოში დაწყებულმა აგფლაციის³⁵ პროცესმა დაგვანახა, რომ შეუძლებელია ქვეყანა არ ზრუნავდეს საკუთარი მოსახლეობისათვის სარსათის საკმარისობისა და ხელმისაწვდომობაზე, შესაბამისად არ ცდილობდეს შეიმუშაოს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომლის სტრუქტურათშიც სურსათს მნიშვნელოვანი ადგილი ექნება. აგფლაციის პროცესი შემდგომ ეტაპზე გაღრმავდა, იგი უკვე საკუთარ საფუძველზე მიმდინარეობს, რადგანაც სასურსათო პროდუქციაზე ფასების ზრდა მხოლოდ ენერგორესურსების გაძვირებით კი არ არის გამოწვეული, არამედ იგი უკავშირდება მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ დათბობას და ამ მოვლენით

გამოწვეულ კლიმატური პირობების ცვლილებებს. ყველასათვის ცნობილია, რომ მიმდინარე 2010 წლის წაფხულზე რუსეთში ტყისა და გარემოს ხანძრის 1000 -მდე კერა არსებობდა, რუსეთს 16 ქვეყანა ეხმარებოდა ხანძრების ჩაქრობაში, შედეგად ამ მოვლენებმა რუსეთის ხორბლის ნათესების თითქმის 25 პროცენტი შეიწირა. ხორბალი არასაკმარისია (საექსპორტო პროდუქციის ჩათვლით) უკრაინაში. ხანძრები მძვინვარებდა პორტუგალიაში, ესპანეთსა და სხვა ქვეყნებში. გარდა ხანძრებისა ოკიანეთსა და ლათინური ამერიკის რიგ ქვეყნებში, აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებში, უდიდესი ზარალი მიიღო სოფლის მეურნეობამ (არამარტო სოფლის მეურნეობამ), ტაიფუნებისა და ქარიშხლებისაგან. ჩინეთსა და პაკისტანში აგრარული მეურნეობის საშინელი მტერი აღმოჩნდა ჭარბი ნალექები, რის შედეგადაც ადიდებულმა მდინარეებმა დატბორა ნათესი ფართობები და უსახსროდ, საერთაშორისო დახმარების იმედად დატოვა მოსახლეობა. ასეთ გარემოებათა გამო, საქართველოს მორალური უფლებაც არა აქვს მოითხოვოს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან რაიმე დახმარება. ამგარად, საცხოვრებელი ბუნებრივი გარემოპირობების ცვლილებებიდან გამომდინარე, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი სამეურნეო ფაქტორის სახით ყალიბდება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, შეუძლებელი ხდება სახელმწიფომ არ შეიმუშაოს საკუთარი პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება ბუნებრივი პირობების ცვლილებების საკეთილდღეოდ გამოსაყენებლად და მისი ნეგატური გავლენის გასანეიტრალებლად. მაგალითად, ინგლისში პლანეტარული დათბობის გათვალისწინებით დაიწყეს ჩაის პლანეტაციების გაშენება!, ხოლო, ლატვიაში ევროკავშირის მიერ გამოყოფილი სახსრებით 30 ჰექტარზე ვენახი გააშენეს (ლატვიელ მევენახებს პირადად გავუწიე კონსულტაციები 2009 წლის ივნისში რიგაში). შესაბამისად, ეს პრობლემები დღის წესრიგში დგას საქართველოშიც, სადაც შეინიშნება კლიმატური პირობების ცვლილებები, რომელსაც არ შეიძლებოდა დაღი არ დაემჩნია სასოფლო სამეურნეო კულტურების გავრცელების არეალის ცვლილებებსა და მოსავლიანობის საშუალო დონეზე ცალკეულ რეგიონში. ამგვარად სურსათის საკმარისობასა და მის ხარისხზე ზრუნვა იღებს ისეთ ხასიათს, რომელიც უკავშირდება ეკოლოგიურ პროცესებს გლობალურ გარემოში და შეუძლებელია ამ ფაქტორთა რაციონალური გათვალისწინება კერძო მეწარმეთა მიერ, ისინი საჭიროებენ მძლავრ მხარდაჭერას სახელმწიფოს მხრიდან;

5. საქართველოში მას შემდეგ რაც ქვეყანა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით ვითარდება, მას შემდეგ რაც სსრკ-ის დროინდელი სასოფლო სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია ისტორიას ჩაბარდა, ახლებურად დგას ჩვენი საკუთარი ბუნებრივი რესურსების გამოყენების პრობლემა. კერძოდ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიწის სასოფლო სამეურნეო ბრუნვაში ჩართვა და თვითონეული ჰექტრის ეფექტიანობის ზრდა. დღესისათვის საქართველო აღარაა რეგიონში მეჩაიერობისა და მეციტრუსების აღიარებული მწარმოებელი. აქ ჩაის ნარგავთა რაოდენობა 80 ათასი ჰექტრიდან 20 ათას ჰექტრამდე შემცირდა, ასევე შემცირდა ციტრუსების ნარგავთა რაოდენობაც. სამაგიროდ, სამეურნეო ბრუნვაში შემოდის ახალი სასოფლო სამეურნეო კულტურა კივი და ა.შ. საქართველოს მიწის ფონდი შეზღუდული იყო და მისი სახნავის რაოდენობა 850 ათას ჰექტარს არ აღემატებოდა (როგორც აღვნიშნეთ, გამონაკლისს წარმოადგენდა 1951 წელი, როდესაც სტალინის უშუალო მითითებით დახნეს 1.1 მილიონი ჰექტარი), მაგრამ

არსებობდა შეხედულებები და კონკრეტული პროექტები, რომლებიც ითვალისწინებდა კოლხეთის ჭაობების ათვისებას (დაახლოებით 400 ათასი ჰარეტარი ჭაობის კულტურულ სავარგულებად ქცევის ვარაუდი არსებობდა, ამიტომ კოლხეთის საქართველოს ყამისრსაც უწოდებდნენ). დღეს ეს პერსპექტივა აღარ არსებობს, რადგანაც საქართველოში გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გათვალისწინებით, ჭაობების ამოშრობა არასწორ სამეურნეო საქმიანობად ჩაითვალა. აქედან გამომდინარე, ჩვენს განკარგულებაში არსებული მიწის ფონდი მოვლა-პატრონობას საჭიროებს, ისე, რომ მისი მეშვეობით შევძლოთ ჩვენი საჭირო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. საქართველოს მრავალფეროვანი რელიეფი, სხვადასხვა კლიმატური ზონები და მიწის ნაყოფიერებაში არსებული განსხვავებები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აյ სოფლის მეურნეობა მრავალფეროვანი და მრავალდარგოვანი სისტემის სახით ვითარდება. შესაბამისად მიწის გამოყენების რაოდენობრივი ზღვრული ნორმები და ამ ნაკვეთებზე წარმოებულ კულტურათა მრავალფეროვნება სპეციალური კვლევისა და შესაბამისად პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობას განაპირობებს. საქართველოში მიწათსარგებლობის რაციონალიზაციის პრობლემა ითხოვს აგრარული პოლიტიკის გატარების აუცილებლობას;

6. მძლავრ არგუმენტად მიგვაჩნია ისიც, რომ საქართველოს აგრარული მეურნეობა არის ქვეყანაში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ბაზა და მეურნეობის ამ სფეროში სწორი პოლიტიკის წარმართვით შესაძლებელია ამაღლდეს საქართველოს საერთო კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე და ჩვენი სამეურნეო სტრუქტურა მოეწყოს ევროკავშირის მოთხოვნების საფუძველზე.

6. საქართველოს აგრარული პოლიტიკის საწყისებთან

ამგვარად, როგორც ვხედავთ, საქართველოსათვის საკმარისი არგუმენტები არსებობს აგრარული პოლიტიკის ფორმირება-განხორციელებისათვის. საკითხისადმი ასეთი მიდგომები არსებითია, მით უფრო, რომ ამჟამად მსოფლიოში მიმდინარე აგრარული კრიზისი გვაიძულებს შემუშავებული იქნას მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნების დაკმაყოფილების საკუთარი სტრატეგია. ჩვენი ხელისუფლება, როგორც მასმედის საშუალებით ვართ საქმის კურსში, მსოფლიო კრიზისისა და მირითად სასურსათო პროდუქციაზე ფასების არსებითი ზრდის შიშის გამო მოტივირებულია მიმართოს გარკვეული ძალისხმევები აგრარულ სექტორში, მაგრამ, მნიშვნელოვანია ეს პოლიტიკა იყოს საფუძვლიანი და არა ერთჯერადი აქტების, გადაუდებელ პრობლემათა გადაჭრის ან პროფილაქტიკის მიზნით გატარებული არათანმიმდევრული ღონისძიებები.

თავიდანვე გვინდა შევნიშნოთ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია ვერ იქნება წარმატებული, თუ იგი განიხილება ვიწრო სექტორალურ ასპექტში. იგი როგორც კონკრეტული სამეურნეო საქმიანობის მიმართულებათა განსაზღვრის შინაარსობლივ მახასიათებელი სტრუქტურა, უნდა გამომდინარეობდეს საერთო მაკროეკონომიკურ კანონზომიერებათა სისტემიდან. ამიტომ სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შედეგები დამოკიდებულია სერთო, ეროვნული ეკონომიკის მიმართულებებზე, ქვეყნის ფულად-საკრედიტო და მონეტარულ პოლიტიკაზე, ქვეყანაში ფინანსური რესურსების განაწილების პრინციპებზე, სახელმწიფო ბიუჯეტის

ფორმირება-შესრულების ამოცანებზე, ეკონომიკის განვითარების სექტორალური პრიორიტეტების განვითარებაზე და ა.შ.

სტრატეგია სოფლის მეურნეობაში უნდა ემყარებოდეს ამ დარგის უპირატესი განვითარების პრინციპებს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ შეიქნას (გამოიყოს) ისეთი სამეწარმეო მიმართულებები, რომელთა განვითარებაც, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, უზრუნველყოფს მსოფლიო ბაზარის კონკურენციულ გარემოში მათ ფუნქციონირებას³⁶. სექტორის შედარებითი უპირატესობის გამოვლენა და მისი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, იმისათვის რომ მან შეძლოს მსოფლიო ბაზრის კონკურენციულ პირბებში წარმატებული არსებობა, არის არსებითი მნიშვნელობის მოვლენა, რომელიც განაპირობებს ეროვნული ეკონომიკის მიზნობრივ ამოცანათა ფორმირებას და საერთო აღმავლობის შესაძლებლობათა გამოვლენას.

სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული ამოცანათა თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია სამეურნეო ერთეულთა პროდუქტიულობის ზრდა. სამეურნეო ერთეულთა ფუნქციონირების ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის გარეშე შეუძლებელია ვილაპარაკოთ სოფლად სიღარიბის დაძლევაზე. სოფლად ავანსირებული კაპიტალის ერთეულზე შემოსავლების ზრდა, დასაქმებულთა კეთილდღეობის ამაღლების გარდა, წყვეტის მაკროეკონომიკურ გარემოში სამართლიანობის პრობლემასაც.

ქვეყანაში აგრარული სტრატეგია ვერ იქნება წარმატებული, თუკი არ არის ადამიანის და მის განკარგულებაში არსებული რესურსების სამეწარმეო დამოკიდებულებები რაციონალიზირებული. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სასოფლო სამეურნეო საწარმოთა ზომების დადგენა, ერთ მეურნეობაზე დამაგრებული მიწის ნაკვეთების რაოდენობრივი განსაზღვრულობების კანონიერების ფარგლებში მოქცევა, წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის პირობების მარეგულირებელი მექანიზმების შემუშავება და ა.შ.

აგრარული სტრატეგია ვერ იქნება წარმატებული, თუ მკაფიოდ არ გვესმის რა ადგილი შეუძლია დაიჭიროს ქვეყნის სოფლის მეურნეობამ მსოფლიო შრომის დანაწილებაში. აქ კი ცხადად უნდა გვესმოდეს, რომ ერთია საექსპორტო ან ექსპორტ შემცვლელი პროდუქცია და მეორეა აუცილებელი მაღალ ხარნისხიანი პროდუქცია სურსათის საკმარისობისათვის. ჩვენ ვეთანხმებით მათ ვისაც მიაჩნია, რომ ღვინო მნიშვნელოვანი საექსპორტო პროდუქტია, მაგრამ გვინდა აქვე გავაფრთხილოთ ყველა ვინც ღვინის მნიშვნელობას საქართველოს აგრარული ბაზრის განვითარებისათვის გადაჭარბებით აფასებს, რომ ღვინის ხორბალზე წინ დაყენებით ქვეყანას ვაგდებთ სასურსათო უსაფრთხოების პრობლემათა რისკის წინაშე. დღეისათვის (ალბათ მუდმივად) უმთავრესი მაპროფილებელი კულტურა სოფლის მეურნეობაში არის ხორბალი. საქართველოს სავსებით შეუძლია საკუთარი ბეღელისათვის საჭირო რაოდენობის ხორბალი თვითონ აწარმოოს. მეტიც, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ საქართველო თავთავიანი კულტურების სამშობლოა და აქ ჯერ კიდევ შენარჩუნებული გვაქვს ხორბლის ენდემური ჯიშები, რომელთა სათანადო დამუშავებით თანამედროვე აგრობიოლოგიური ტექნოლოგიები საშუალებას მოგვცემენ მივიღოთ მაღალი მოსავალი. ამის რეალური შესაძლებლობები უკვე დასტურდა. საცდელ ნაკვეთებზე³⁷ დათესილი „თეთრი დოლის“ და „კაბური დატოტვილის“ უხვი მოსავალი მოვიდა.

ჰექტარზე გადათვლით 12-14 ტონა. თვალსაჩინოა, რომ ამ პროცესს სახელმწიფო მხარდაჭერა ესაჭიროება. სხვაგვარად ჩვენ დიდხანს ვერ გადავჭრით სურსათის უსაფრთხოების პრობლემას.

როდესაც საექსპორტო სასოფლო სამეურნეო პროდუქციაზე ვმსჯელობთ, ღვინოს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ დღეისათვის ღვინოზე საყოველთაოდ გაზრდილი მოთხოვნების პირობებში ჩვენ ღვინის მოხმარებაში დიდი დეფიციტი გვაქვს. 2010 წლის რთველში კახეთში მოიკრიფა სულ 84 ათასი ტონა ყურძენი, მთელ საქართველოში 140 ათასი ტონაც რომ ვივარაუდოთ, 150 მილიონ ბოთლზე მეტ ღვინოს ვერ ვაწარმოებთ, ეს კი ჩვენ მოთხოვნებსაც ვერ დაავმაყოფილებს. საქართველოში აქტუალურია სხვა ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება (არაყი, ლიქიორები, შემაგრებული და ხილის ღვინოები), ამ მიმართულებით დიდი პოტენციალური შესაძლებლობები გაგვაჩნია³⁸. რაც შეეხება ღვინოს, ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარების კვალობაზე მისი იმპორტი აუცილებლად გაიზრდება. მართლაც, თუ შეგვიძლია ვაწარმოთ მხოლოდ 200 ათასი ბოთლი „ხვანჭკარა“, მაშინ ღვინის ექსპორტის რა იმედი უნდა გვქონდეს?

გარდა აუცილებელი სასურსათო პროდუქციისა (ხორბალი) და საექსპორტო ან ექსპორტმონაცვლე პროდუქციის (ღვინო) წარმოებისა, ჩვენს სოფლის მეურნეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადგილებზე სამუშაო ძალის დასაქმებას და აუცილებელი სასურსათო პროდუქციის წარმოებისათვის აგრარული მეურნეობების განვითარებას. ეს თანაბრად შეეხება როგორც მიწათმოქმედების, ასევე მეცხოველეობის დარგებს. ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ ქართული ცხვრის ექსპორტზე ირანში და არაბეთში, ეს გასაგებია, რადგანაც მუსულმანურ სამყაროს გაზრდილ მოთხოვნებს ცხვრის ხორცზე, ვეღარ აუდის ავსტრალია და ახალი ზელანდია. ჩვენთან აშკარად გამოჩნდა ტრადიციული მეცხვარეობის მასშტაბური აღდგენის შესაძლებლობები, მაგრამ არსებული მიწის ფონდის გამოყენებაში შექმნილი იურიდიული ნონსენსების (ამაზე ქვემოთ) გამო ამ დარგსაც არ უჩანს ნათელი პერსპექტივები.

როგორც ვხედავთ, აგრარული სტრატეგია საქართველოში ოთხი ძირითადი მიზნობრივი ამოცანის გადაწყვეტას უნდა ემსახურებოდეს. (1) განხორციელდეს ძალისხმევები მოსახლეობის სურსათით დაკმაყოფილებისათვის ისე, რომ უძირითადესი პროდუქციის წარმოებაში არ ვიყოთ დამოკიდებული მსოფლიო ბაზრის კაპრიზებზე, (2) განვავითაროთ საექსპორტო პროდუქცია და შევქმნათ რეალური საფუძველი ქვეყანაში პოპულარული საკვები პროდუქტების შემოტანის მინიმიზაციისათვის, (3) ადგილებზე ხელი შევუწყოთ ინციატივებს სამუშაო ძალის დასაქმებისა და ადგილობრივი ტრადიციული მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და ქვეყნის პერიფერიული გარემოს ტურისტულ ათვისებაში ჩართვისათვის. (4) ამაღლდეს საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე.

ამგვარად, მიგვაჩნია, რომ საქართველოსათვის აგრარული პოლიტიკის შემუშავება და ცხოვრებაში გატარება გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს. ისეთი ქვეყანა, როგორიც საქართველოა თავისი უნიკალური ბუნებრივი პირობებით და ისტორიული ტრადიციებით სწორი აგრარულ-პოლიტიკურ პირობებში შესძლებდა არსებითად გადაეჭრა სურსათთან და ბუნების რაციონალურ ეკოლოგიურ გამოყენებასთან

დაკავშირებული ყველა საკითხი, მოესპონ სიღარიბე ქვეყანაში და გამხდარიყო კონკურენტუნარიანი პროდუქციის მწარმოებელი.

აგრარული პოლიტიკა იქ და მაშინ, როდესაც ქვეყნის წინაშე დგება მის განკარგულებაში არსებული მიწის გამოყენების პრობლემა. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ დამდგარა მიწათმოქმედებაში სახელმწიფოს ჩარევის საკითხი, სანამ სურსათის საწარმოებლად საჭირო პროდუქციის უზრუნველსაყოფად გამიზნული სავარგულების შეზღუდულობის პრობლემა არ დადგა. მიწა არის ნებისმიერი ქვეყნის, რაც არ უნდა მცირე მიწიანი და მჭიდროდ დასახლებული მოსახლეობა ყავდეს, სახელმწიფოს ეკონომიკური აქტიობის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი. ქვეყნის პოლიტიკის აუცილებელ და განმსაზღვრელ პრობლემათა შორის ერთ-ერთი მთავარია მიწათსარგებლობის საკითხი. თანამედროვე მსოფლიოში ეს პრობლემა უაღრესად აქტუალურია ყველა განვითარებულ ქვეყანაში და მას თავისი მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა აქვს. საქართველოშიც, დაწყებული 1992 წლიდან, როდესაც ქვეყნის მთავრობამ დაუშვა მიწაზე კერძო საკუთრება, არსებული პირად-დამხმარე სავარგულთა მოცულობის ფარგლებში, მრავალჯერ გახდა მიწის პრობლემა, მასზე საკუთრებისა და ამ საკუთრების სამეურნეო ბრუნვაში ჩაყენების საკითხი ქართული პარლამენტის მსჯელობის საგანი.

მიგვაჩნია, რომ მიწის პრობლემების განხილვისას საქართველოში მრავალი შეცდომა იქნა დაშვებული, რამაც ქვეყანა მიიყვანა ლოგიკურ შედეგამდე. კერძოდ, იქამდე, რომ არსებული მიწის სავარგულებიდან სამეურნეო ბრუნვაში შედის მხოლოდ მისი ერთი მესამედი, ეს მაშინ, როდესაც ქვეყანაში შემოდის სასურსათო პროდუქციის აუცილებელი მინიმუმი მეზობელი ქვეყნებიდან. სოფლის მეურნეობა საქართველოში ვერ ქმნის საექსპორტო პროდუქციას და ვერც იმპორტმონაცვლე პროდუქციის მწარმოებელი ხდება. ამის მიზეზი კი, როგორც შევნიშნეთ, აგრარული პოლიტიკის არ არსებობა და ქვეყანაში არსებული სასოფლო სამეურნეო რესურსების გამოყენების უმდაბლესი ეფექტიანობა გახლავთ.

აგრარული პოლიტიკის სათავე, როგორც ითქვა, მიწათსარგებლობის საერთო სახელმწიფო წესების დადგენიდან იწყება. საქართველოში წლების მანძილზე მუშავდებობდა 800 ათას ჰექტარზე მეტი სასოფლო სამეურნეო სავარგული, ამჟამად ჩვენ კარგად დადგენილიც კი არა გვაქვს რა რაოდენობით მიწის ფონდი გაგვაჩნია და ვერ ვფლობთ ამ ფონდის სამეურნეო ბრუნვაში მოქცევის ტექნიკურ-ეკონომიკურ პარამეტრებს. მიწის საერთო კადასტრის, ნიადაგის აგრობიოლოგიური შეფასების (ბონიტეტის ბალებში), ეკონომიკური შეფასებისა და იურიდიული სტატუსის განსაზღვრის გარეშე მოქმედებამ კი იქ მიგვიყვანა სადაც ვართ. მაგალითისათვის აღვნიშნავ, რომ ყველა ქვეყანაში უდიდესი როლი ეკუთვნის სასოფლო სამეურნეო მიწების გამოყოფას საერთო მიწის ფონდიდან და მისი უმცირესი ფართობის განსაზღვრას. საქართველოში მთელი სასოფლო და არა სასოფლო სამეურნეო მიწების, მათ შორის ზღვარი მცაცრად დადგენილი არ არის და არ განხორციელებულა მათი სტატუსების მცაცრი გამიჯვეა, განაწილებულია დაახლოებით მილიონ სამასი ათას მესაკუთრეზე, აქედან გამომდინარე შედეგობრიობით. მიწის მცირე ნაკვეთებში ვერ ხერხდება ინტენსიური სოფლის მეურნეობის წარმართვა. ასევე არ არის დადგენილი

მიწის საკუთრების ზედა ზღვარი, ე.ი. ერთ პირს, მაქსიმუმ რამდენი და რა სიდიდის მიწის ფართობი შეიძლება ჰქონდეს საკუთრებაში.

საინტერესოა სხვა ქვეყნების გამოცდილება ამ მიმართულებით. პირველ რიგში მინდა შევეხო საქართველოსავით მცირემიწიან ქვეყნების გამოცდილებას. მაგალითისათვის ავიღოთ დანია. ამ ქვეყანაში მიწის შესახებ კანონი უპირველესად, საკუთრებაში ან იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე მეურნეობის კარგ გაძლოლას მოითხოვს. თვითონ კანონში მინიშნებული ნორმა „მეურნეობის კარგი გაძლოლის“ შესახებ უაღრესად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. ამ ნორმის შესრულება ძირითადად დამოვიდებლია სოფლის მეურნეობაში ეკონომიკური პროცესების დისციპლინარულ ადმინისტრირებაზე და არა სახელმწიფოს მაკონტროლებელ ზემოქმედებაზე. საქმე ისაა, რომ ფერმერი კარგად უძლვებოდა, თუ ცუდად თავის მეურნეობას, ამას მხოლოდ სამეურნეო შედეგებით ვერ დაადგენ, რადგანაც სოფლის მეურნეობაში მენეჯმენტისა და შრომის ინტენსიონის გარდა სხვა ბუნებრივ-კლიმატური ფაქტორები თამაშობენ უდიდეს როლს. ამიტომ დანიაში მეურნეობის კარგი გაძლოლა იწყება სასოფლო სამეურნე ფერმერული მეურნეობის შესწავლით და აქ დასაქმებულ ადამიანთა კვალიფიკაციის გათვალისწინებით. კერძოდ, დანიაში ფერმერი ვერ გახდები, თუ აქ 8 წელი არ იცხოვრე. ე.ი. დანიაში ფერმერი სოფლად მუდმივად მცხოვრები პირია. გარდა ამისა მას უნდა ჰქონდეს სოფლის მეურნეობის შესაბამისი განათლება. ფერმის მაქსიმალური ზომა მიწათ-სარგებლობის თვალსაზრისით, როგორც წესი, არ შეიძლება აღემატებოდეს 150 ჰექტარს. გარდა ამისა, ფერმაში შემავალი მიწის ნაკვეთები, ერთმანეთისაგან არ უნდა იყოს დაშორებული 25 კილომეტრზე მეტად. რა თქმა უნდა, ყველა ეს ნორმა საქართველოში მისაღებად ვერ გამოდგება, რადგანაც, მაგალითად, მეცხვარეობის თუში ფერმერებისთვის მიწის ნაკვეთებს შორის 25 კილომეტრიანი ზღვრის დადება მათი საწარმოს ლიკვიდაციის ტოლფასი იქნება, რადგანაც ცხვრის საზაფხულო და საზამთრო საძოვრებს შორის მანძილი საქართველოში 100-15 კილომეტრსაც კი აღემატება. ჩვენ დანიის კანონზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ იგი, როგორც აგრარულ პოლიტიკაში დისციპლინარული ადმინისტრირების მეთოდი, წარმოადგენს შესანიშნავ მაგალითს დანიის ხელისუფლების, ამ სფეროში პოზიციონირების თვალსაზრისით. გარდა ამისა დანიის მაგალითი საინტერესოა იმიტომაც, რომ დანიაში აგრარული სექტორი წარმოადგენს კლასტერწარმომქმნელ³⁹ დარგს და მის საფუძველზე ხორციელდება სამეცნიერო პროგრესი (14.1-250).

მეორე მაგალითად გამოგვადგება ასევე მაღალ განვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყანა შვეიცარიაა, რომელიც საქართველოს ჰავას მცირე მიწიანობითა და მთაგორიანობით, აგრეთვე სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ისტორიულად ჩამოყალიბებული სპეციალიზაციით. შვეიცარიაში კანონი „მიწის საკუთრების შესახებ“ მიიღეს 1994 წელს. იგი მიზნად ისახავს მიწის საკუთრება შეჯერებული იქნას მიწაზე მეწარმეობასთან. ამ კანონით მიწის შეძენა შეუძლია მხოლოდ, მას ვიწც მზად არის აწარმოოს სასოფლო სამეურნეო პროდუქცია. კანონით განსაზღვრულია მიწის მინიმალური და მაქსიმალური ზომები. მინიმალური ზომისა შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთი, რომელიც უზრუნველყოფს ერთი ადამიანის დასაქმებას მინიმუმ 2100 საათით წლის განმავლობაში, რაც დასაქმებული ადამიანის საათობრივი ფონდის 75 პროცენტს შეადგენს. შეადარეთ ეს მაჩვენებელი 1992 წლის საქართველოში ჩატარებული

რეფორმით დამაგრებულ მიწის ნაკვეთების მოცულობას (9000 მეტრ-კვადრატი) და დაინახავთ, რომ იგი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (გარდა მეჩაიობისა და მებოსტნეობისა) ვერ უზრუნველყოფდა დასაქმებულებს წლიური სამუშაო საათების ნორმის 40 პროცენტითაც კი. შესაბამისად „მოქალაქეთა კავშირის« ლოზუნგი, „მილიონი სამუშაო ადგილის« შესახებ, ოდენ კარიკატურად იქცა. შედეგად კი დაბალნაყოფიერი მიწებიდან მოსახლეობა წამოვიდა და შეუერთდა არაორგანიზებულ სამუშაო ძალის ბაზარს. გარდა ამისა, შვეიცარიაში დაბლობ ვაკე ადგილებზე მიწის საკუთრებაში აღებული მიწის ნაკვეთის მინიმალური ზომა 5-7.5 ჰა-ზე ნაკლები არ უნდა იყოს, ხოლო იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთის მინიმალური ზომა 1.5 მუშაკის დასაქმებას უნდა უზრუნველყოფდეს.

ევროპის და არა მარტო ევროპის ქვეყნებში მიწაზე საკუთრების მარეგულირებელი ნორმები, ერთი მხრივ, ეწინაღმდეგება მიწის ნაკვეთების დაქუცმაცებას, ხოლო, მეორე მხრივ, დაუშვებლად მიიჩნევს მათ კონცენტრაციას ცალკეულ ლატიფუნდიათა სახით. გარდა ამისა თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში სახელმწიფო მკაცრად აკონტროლებს მიწის გასხვისების პროცესს იმ თვალსაზრისით, რომ სასოფლო სამეურნეო სავარგული ხელში არ ჩაუვარდეს შემთხვევით პირებს და არ მოხდეს მისი სამეურნეო ბრუნვიდან ამოვარდნა. კანონმდნბლობებში მიწისადმი ამგვარი სამეურნეო დამოკიდებულება ყველა ქვეყანაში არ არის ერთგვარი. ლიბერალური საბაზრო ეკონომიკური პრინციპებიდან გამომდინარე საბერძნეთში, დიდ ბრიტანეთსა და ბელგიაში შედარებით ნაკლებია სახელმწიფო კონტროლი მიწასარგებლობაზე. ამას თუ აშშ-სა და ავსტრალიას დავუმატებთ მივიღებთ მსოფლიოში შედარებით ლიბერალური მიწასარგებლობის ქვეყნებს. მიუხედავად გარკვეული ლიბერალიზმისა აშშ-ს 13 შტატში, სადაც სოფლის მეურნეობას გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს, სახელმწიფო კრძალავას მიწის იურიდიულ პირებზე მიყიდვას, რათა მათი სამეურნეო პროფილი არ შეიცვალოს.

როდესაც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას ვიხილავთ, ლიბერალიზმის იმ დონით, რასაც ადგილი აქვს საქართველოში, მხოლოდ გაკვირვება შეიძლება. ისმება კითხვა რა და ვის გამოცდილებას ემყარება საქართველოში სასოფლო სამეურნეო მიწის შესახებ კანონმდებლობა? რატომ არის ასეთ მცირემიწიან ქვეყანაში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე 0.19 ჰა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწა მოდის, უკიდურესად ლიბერალური კანონმდებლობა? მიწისადმი ასეთი დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის ისტორიული გამოცდილებიდან არ მომდინარეობს. თუ გავითვალისწინებთ უცხოელი სპეციალისტების რჩევებს, მაშინ უნდა დავუჯეროთ ყველაზე კომპეტენტურ მრჩევლებს. საქმე ისაა, რომ სსრკ-ის დაშლის წინ მსოფლიოში ცნობილმა ეკონომისტებმა: ფრანკო მოდელიანიმ, ჯეიმს ტობინმა, რობერტ სოლოუმ, ულიამ ვიკრიმ (ყველანი ნობელის პრემიის ლაურიატები არიან) და სხვებმა ღია წერილით მიმართეს მაშინდელ პრეზიდენტს მ.გორბაჩოვს და ურჩიეს, რომ არ დაეშვა ქვეყანაში მიწაზე კერძო საკუთრება, რადგანაც ეს უკანასკნელი აგრარულ სფეროში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შემაფერხებელ მოვლენად ითვლება. გარდა ამისა შემოსავალი რომელიც მიწასარგებლობის დროს წარმოიქმნება და რომელიც რენტის სახით ყალიბდება საერთოა ყველასათვის და უნდა იყოს ბიუჯეტის კუთვნილება (15.8.3-5). ის რაც გორბაჩოვს ურჩიეს ეხებოდა საქართველოსაც, რომელსაც სახელმწიფოებრიობა სსრკ-ის

დაშლის შემდეგ აღუდგა. საქართველოში იყვნენ სხვა მრჩევლებიც, კერძოდ, მსოფლიო ბანკის სპეციალისტები, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ საბაზრო ურთიერთობათა დაჩქარებული ფორმირებისათვის მიწაზე კერძო საკუთრება მასტიმულირებელ ზეგავლენას მოახდენდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ რჩევაში იყო ჭეშმარიტების მარცვალი, რადგანაც მიწაზე კერძო საკუთრებამ, მართლაც, ხელი შეუწყო იპოთეკური კრედიტის განვითარებას, მაგრამ ამ უკანასკნელმა რა დამართა სოფლის მეურნეობას ეს ცალკე მსჯელობის საგანია. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ საქართველოში მიწათსარგებლობის უკიდურესად ლიბერალურ ფორმების შემოტანა არ ყოფილა განპირობებული ჩვენი ისტორიული წარსულით და არც კომპეტენტური უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტების აზრით შემაგრებული ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს სოფლის მეურნეობაში და საბაზრო ეკონომიკის ზოგადი პრინციპები მას არ ეწინააღმდეგება. პირიქით, მიგვაჩნია, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის აღორძინებისა და განვითარებისათვის საუკეთესო პირობებს სწორედ საბაზრო ეკონომიკა ქმნის.

საქართველო გლობალურ გარემოში კონკურენტული უნარის ამაღლების მიზნით ვალდებულია მიხედოს სოფლის მეურნეობას. ეს სფერო არის ინოვაციისა და ახალ ტექნოლოგიათა გამოყენების ამოუწურავი პოლიგონი. ჩვენ არ უნდა დაველოდოთ სხვებს, ჩვენ არ უნდა გავხდეთ სხვათა გამოცდილების ჩვეულებრივი გამზიარებლები, თორემ, როგორც ჩვენმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გაგვაფრთხილა: „გლობალიზაციის პროცესში ობიექტები აღმოვჩნდებით, რომლებზედაც განვითარებული ქვეყნები, როგორც სუბიექტები მოახდენენ ზეგავლენას“⁴⁰. დარწმუნებული ვარ, საქართველოს ხელისუფლება კვლავ დაუბრუნდება მიწის საკუთრების პოლიტიკას. მიწა საქართველოში კიდევ ბევრჯერ გახდება პოლიტიკური დისკუსიების საგანია. მანამ კი ისდა დაგვრჩნია, რომ სინანული გამოვთქვათ შექმნილი მდგომარეობის გამო.

შენიშვნები

1 საქართველოს კანონით ეროვნული ბანკის შესახებ პირდაპირ არის მითითებული, რომ ინფლაციას ქვეყანაში განსაზღვრავს სახელმწიფო სტატისტიკური ორგანო. ამ უკანასკნელს კი საბაზრო გარემოსთან ურთიერთობის შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნია.

2 მაგალითები მოყვანილია რ.გველესიანის და ი.გოგორიშვილის ნაშრომიდან. იხ. „ეკონომიკური პოლიტიკა“. წიგნი პირველი, თბ., 2010.

3 მშენებარე სოციალიზმი თავისი შინაარსით არასაბაზრო სისტემას წარმოადგენდა. ბაზარი და ღირებულების კანონი 1939 წლამდე საერთოდ იყო უარყოფილი საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერების მიერ. როდესაც ი.სტალინის მითითებით დღის წესრიგში დადგა პოლიტიკური ეკონომიკის სახელმძღვანელოს შექმნა, მომავალ ავტორებს მიეცათ კრემლში სათანადო მითითებები, სადაც სტალინმა, როგორც პროფესორი ნ.ცაგოლოვი ამბობდა, გაარღვია 『ურთულესი მეთოდოლოგიური ბარიერი』 და „დაარწმუნა“

საზოგადოება ქვეყანაში ღირებულების კანონის მოქმედებაში, რითაც პრაქტიკულად დაუშვა ბაზრის არსებობა შეზღუდული ფორმით. ი.სტალინის მაშინდელი შენიშვნები გამოსცა აკადემიკოსმა ნ.ოსტროვიტიანოვმა. შესულია მის რჩეულ ნაწერებში, მანამდე კი ვრცელდებოდა ხელიდან–ხელში ხელნაწერის სახით.

4 თავის თავად მაჩვენებელთა სისტემა ვერაფერს ვერ ცვლის, მაგრამ იგი ხდება ქვეყანაზე „მაფიქრალი“ (ამარტია სანი) ადამიანების განსჯის საგანი და შესაბამისად ხელისუფლებას ეძლევა სამუალება შეიმუშაოს მაღალეფექტური ეკონომიკური პოლიტიკა. განთავისუფლდეს სტერეოტიპებისაგან და ეძებოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ინოვაციური მეთოდები.

5 მაგალითად, ქვეყანათა მსოფლიო კლასიფიკატორში შეყვანილია ანტრაქტიდაც, სადაც, როგორც ცნობილია, მოსახლეობა არ ცხოვრობს. ასევე ფარერის კუნძულების, რომელიც პოლიტიკურად დანიის ნაწილია, დამოუკიდებლობა ნონსენსია, აյ მოსახლეობის სიმცირის გამო (35 ათასი), სრული პოლიტიკური სუვერენიტეტის მომსახურეობაც კი შეუძლებელია, არა, თუ ჩამოყალიბება. მაგრამ მას დანიისაგან მინიჭებული აქვს სუვერენული უფლებები. ასეთი „ქვეყნები ბევრია“, ისინი ტერიტორიებად იწოდებიან იმიტომ, რომ თვით აცხადებენ უარს საკუთარ პოლიტურ დამოუკიდებლობაზე. მართლაც, წმინდა ელენეს კუნძულის პოლიტიკური დამოუკიდებლობა საშიშიცაა მსოფლიო თანამეგობრობისათვის.

6 ცხრილი შედგენილია გაეროს ადამიანის განვითარების შესახებ 1998 და 2007-2008 წლების ანგარიშებიდან.

7 საქართველო სამამულო ომის შემდეგ 1956 წლამდე ვითარდებოდა „შეფარდებითი ეკონომიკური გამოცალევებულობის პრინციპით“, რაც ნიშნავდა იმას, რომ მისი სამეურნეო სისტემა უნდა ყოფილიყო შედარებით თვითკმარი. ე.ი. სასურსათო, ენერგეტიკული და სხვა უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პრობლემები მას დამოუკიდებლად უნდა მოეგვრებინა, საკუთარი სუვერენიტეტის ფარგლებში. სოციალისტურ სამყაროში, სტალინის კულტის მხილების შემდეგ, მოხდა განხეთებილება, წარმოიქმნა რეალური წინააღმდეგობები სსრკ-სა და ჩინეთს შორის, საბჭოთა კავშირში შემუშავდა ახალი ობიექტური სამეურნეო პროცესებისათვის შეუსაბამო „ერთიანი სახალხო სამეურნეო კომპლექსის“ კონცეპცია. რის საფუძველზეც დაიწყო ბიუროკრატულ-ვოლუნტარისტული მეთოდებით ეკონომიკის რეფორმირება. საქართველოში იმ პერიოდში, 1956-1962 წლებში, აშენდა 22 ახალი საწარმო, რომლებსაც არავითარი შინაგანი კავშირი არ ჰქონდათ ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალთან და მათი არსებობა არ გამომდინარეობდა ქვეყნის განვითარების ლოგიკიდან. ყოველივე ეს უშედეგოდ არ ჩავლილა და 1964 წლის „შიმშილობის“ შემდეგ სსრკ-ი პურის ექსპორტიორი ქვეყნიდან გადაიქცა იმპორტიორ ქვეყანად, ხოლო პროცესის სულისჩამდგმელი თანამდებობიდან გადააყენეს.

8 პროფესორ ვ.პაპავას კონცეფციამ სერიოზული გამოხმაურება ჰქოვა. ამ მიმართულებით განხორციელდა კვლევითი საქმიანობაც, მაგრამ ჩვენი აზრით პრბლემის მეთოდოლოგიური საფუძვლები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. არაკონკურენტუნარიან საწარმოთა, როგორც ტექნოლოგიურ ერთეულთა ლიკვიდაცია და იმ სამეურნეო კავშირების მოშლა, რომელიც ასეთი ტიპის საწარმოებს ინარჩუნებდა არ ნიშნავს ეკონომიკის სიკვდილს. როდესაც საწარმოს საიუინრო-ტექნიკურმა პერსონალმა კარგად არც იცის ვისთვის და რას აწარმოებს, ხოლო მის მიერ წარმოებული ნახევარფაბრიკატი სამხედრო პირებისაგან მოწმდება ხარისხობრივად, ძნელია ამ ტიპის საწარმოების შენარჩუნება ბუნებრივ ეკონომიკური პირობებში. თეორია, რომელიც ამართლებდა სსრკ-ის ტერიტორიაზე შრომის დანაწევრების საფუძვლზე შექმნილი საწარმოების არსებობას „ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის“ (როგორც უწოდებდნენ სსრკ-ის ეკონომიკას) მოცილებული იყო რაიმე რეალურ საფუძველს და არსებითად წარმოადგენდა, იდეოლოგიური თვალსაზრისით დეონტური კონცეპციის უშუალოდ საზოგადოებრივი წარმოების შესახებ განხორციელების პრაქტიკულ ვარიანტს, ხოლო რეალურად რუსული იმპერიალიზმის რესტავრაციის მცდელობას ახალ პირობებში.

9 გლობალიზაცია ქმნის თანამშრომლობის ახალ, ფართო არეალს, სადაც პოლიტიკურ ბარიერთა გაუქმების შედეგად იქმნება კონკურენციის მანამდე არნახული პირობები, სადაც განვითარებად ქვეყნებს განსაკუთრებით უჭირს „თავის გამოჩენა“. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ფირმები და არა სახელმწიფოები. სახელმწიფოები კი თუ გახდიან საკუთარ ეკონომიკურ აღმავლობას უპირველესი ზრუნვის საგნად უნდა მოქმედებდნენ კონკურენტ-უნარიანი ფირმების გასაძლიერებლად. იმ ფირმებისა, რომლებიც მათ ეკონომიკაში ქმნიან სამუშაო ადგილებს და მოქმედებენ მოსახლეობის მოთხოვნების ეფექტური დაკმაყოფილების მიმართულებით.

10 საქართველოს ბანკებში განთავსებული ვადიანი დეპოზიტების თითქმის 80 პროცენტი არის ერთთვიანი დეპოზიტები. ე.ი.სახელმწიფო დაწესებულებების და იურიდიული პირების მიერ საკუთარი მუშაკებისათვაის საბარათო ანგარიშებზე ჩარიცხული თანხები, რომლებსაც ებრება ბანკი სამომხმარებლო კრედიტის და სხვა შინაარსით არა საბანკო პროდუქტის (განვადებით შეძენები და ა.შ.) დაბალეფექტიანი მექანიზმები. შესაბამისად საბანკო რესურსის დიდი ნაწილი გაუცხოებულია ეროვნული ეკონომიკური პროცესებისადმი და ხელს უწყობს ხანგრძლივი მოხმარების საქონლის წარმოების ზრდას ჩვენი ქვეყნის გარეთ.

11 ნეოკოლონიალიზმი არის არათაბარ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემა, რომელსაც განვითარებული ქვეყნები თავს ახვევენ განვითარებად სახელმწიფოებს. ესაა, რიგი განვითარებული ქვეყნის მიერ შემუშავებული სტრატეგია შენიღბული ფორმით კოლონიურ ურთიერთობათა შენარჩუნების მიზნით. ასე განმარტავდნენ საბჭოთა ეკონომისტები ნეოკოლონიალიზმს და აქცენტს აკეთებდნენ განვითარებულ ქვეყანათა იმპერიალისტურ ზრახვებზე. ასეთი

ფილოსოფის მატარებელი რუსეთის ისტებლიშმენტიც ამიტომ ოცნებობს ლიბერალურ იმპერიაზე. საკითხით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცონ: Брутенец К.Н., Новая форма поробашения народов (Неоколониализм сущность и методы), М., 1969, Вахрушев В.В. Неоколониализм-арудие империализма, М. 1974. და სხვა ლიტერატურას, რათა დარწმუნდნენ, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის იდეოლოგიური საფუძველი ჯერ კიდევ ბრეჟნევის ეპოქაში ჩამოყალიბდა.

12 შექმნილი სიტუაცია მოწმობს, რომ საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი მოქმედებს შემზღვდავი ფაქტორების ზემოქმედებით. ამიტომ ინტეგრაციის პროცესი დამოკიდებულია არა საერთო მსოფლიო კონკურენტული გარემოს წიაღში წარმოქმნილ კანონზომიერებებზე, არამედ ზოგიერთი ჩვენდამი არაკეთილმოსურნე სახელმწიფოთა აქტიურ, დამპყრობლურ ეკონომიკურ პოლიტიკაზე. შესაბამისად ინტეგრაციის პროცესი განიცდის მარგინალიზაციას. საქართველო ეკონომიკურად ინტეგრირებული ხდება მსოფლიო ბაზრის პერიფერიებთან და არა ამ ბაზრის ცენტრებთან. გარდა მეზობელ სახელმწიფოთა ეკონომიკური ზეწოლისა, საქმე გვაქვს ხშირად არასწორ წარმოდგენებთან მსოფლიო ბაზრის გააზრებაში. კერძოდ, როდესაც იქმნება თავისუალი ინდუსტრიული ზონები და ამ ზონებში შემოდიან ინდუსტრიულად განუვითარებელი ქვეყნები და შემოაქვთ მოძველებული ნოუ-ჰაუ, რა კომენტარი უნდა გავაკეთოთ?

13 თომას შაუერი წერს, რომ განვითარებადი ქვეყნები მადლობელი უნდა იყვნენ განვითარებული ქვეყნებისა, რადგანაც მათი სამუშაო ძალა საქმდება განვითარებულ ქვეყნებში და აქ შექმნილი დოვლათის გადანაწილება ხდება განვითარებადი ქვეყნებისათვის. ამ მეცნიერის მოსაზრება ლოგიკურია და თავსდება ჩვეულებრივ სილოიგზმში. მაგრამ ამ პროცესს აქვს უამრავი „უკუჩვენებები“, კერძოდ: სამუშაო ძალა (1) საქმდება დაბალი კვალიფიკაციის სფეროში და ვერ იზრდება, (2) არ მონაწილეობს საკუთარი სოციალური პირობების ჩამოყალიბებაში, ვერ ქმნის საპენსიო ფონდს, (3) განიცდის დეკვალიფიკაციას და ვერ ითვისებს ახალ პროგრესულ მიმართულებებს, (4) სიღარიბის გამო ერთვება კრიმინოგენურ გარემოში, ზრდის დამნაშავეთა სამყაროს რიგებს.

14 სახელმწიფო „მოკვეთილი“ ნაუმ ჩომისკის ტერმინის რუსული კალკია, რადგანაც რუსებმა ეს ტერმინი თარგმნეს, როგორც „изгото“. სინამდვილეში ავტორი გულისხმობს ისეთ შინაარსს, როდესაც კი არ გაგდებს საზოგადოება თავის შემადგენლობიდან, არამედ შენ გადიხარ შენი უპირატესობის შეგრმნებით. ასე ხდება მგლების ხროვაში რომელიმე მგელი თავს მიიჩნევს ხროვაზე მაღლა და იწყებს დამოუკიდებელ ხეტიალს. ასეთი მოვლენის ამსახველი ტერმინი არსებობს ინგლისურ ენაში, მაგრამ, როგორც ჩანს, რუსულ ენაში არ არსებობს. ქართულ ენაში კი შესაბამისი ტერმინი ვერ ვიპოვე.

15 ეს მტკიცება ზედაპირული მიდგომით, ან საკითხის უცოდინრობით არ არის გამოწვეული. პირადად ვახლდი ედუარ შევრდნაძეს უმაღლესი დონის შეხვედრებზე და გარკვეული წვლილიც კი მიმიძღვის ამერიკელების დარწმუნებაში, რომ

საქართველოსთან მათი ურთიერთობა პერსპექტიული პოლიტიკური პროცესების განვითარებას შეუწყობდა ხელს.

16 გავრცელებული აზრი, რომ საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში წარმოადგენდა ერთგვარ დემოგრაფიულ ოაზისს, არ აღმოჩნდა საფუძვლიანი. ისინი, ვინც ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ რუსეთის იმპერიაში 100 წლის მანძილზე, 1801-1901 წლებში საქართველოს მოსახლეობა გაორმაგდა ანგარიშს არ უწევენ ერთ გარემოებას, რომ საუკუნის მანძილზე თუ ეთნიკურ ერთეულს არ „გადაუვლის“ რაიმე ტოტალური ეპიდემია, ან არ ჩაებმება მკაცრ და სისხლისმღვრელ ომში, მოსახლეობა ოთხმაგდება. ჩვენს შემთხვევაში კი მხოლოდ გაორმაგდა. გარდა ამისა საქართველოს მოსახლეობა მონაწილეობდა რუსეთის ყველა ომებში.

17 საინტერესოა, თუ საქართველო არ დადგება ამერიკის გვერდით და არ შეეცდება გახდეს ევროკავშირის წევრი, მაშინ საით უნდა წავიდეს იგი? ამ კითხვას მარტივად გასცა პასუხი ნოდარ ნათაძემ: „ამერიკას უნდა, რომ საქართველოში მატარებელი დადიოდეს, რუსეთს კი ეს არ უნდა. ჩვენ ქართველებს გვინდა მატარებლით სიარული. ე.ი. ჩვენ ამერიკის მეკავშირეები უნდა ვიყოთ«.

18 ადმინისტრირების „დისციპლინარული“ და „მაკონტროლებელი“ მიდგომების შესახებ, აზრი ეკუთვნის ფრანგ მეცნიერს მიშელ ფუკოს. რომელიც, სამწუხაროდ, ახალგაზრდა, 54 წლის გარდაიცვალა, რამაც განაპირობა მისი პერსონის პოპულარობა. ფუკოსა და მის მიმდევრებს, სამწუხაროდ, ერთი სახელმწიფოს მაგალითზე არ შეუმოწმებიათ საკუთარი კონცეპცია, არც ქვეყნის რომელიმე წამყვანი ინსტიტუციონალური ფორმირების თვალსაზრისით განუხილავთ საკითხი. ეს თეორია ძირითადად იფარგლება სპეციალური და შეზღუდული სოციალური გარემოთი. კერძოდ, ფუკომ საკუთარი თეორია შეიმუშავა ფსიქიატრიული სავადმყო 19 ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ გადასახადის გადამხდელი და გადასახადების ბიუჯეტში მამობიზირებელი ინსტიტუტები საბაზრო კონომიკის პირობებში ერთი და იგივეა, ეს არი ქვეყნის მეწარმეობა. ყველა გადასახადის მობილიზაცია სახელმწიფო ბიუჯეტში, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იხდის მას, ხდება მეწარმეთა მიერ, მათი საწარმოების ბუღალტრული ქვედანაყოფების მიერ. ქვეყნის საგადასახადო და სხვა ფისკალური ინსტიტუტები კი ახდენენ გადასახადების მობილიზაციის სისწორის შემოწმებას. მაშინ როდესაც არ არსებობს ბიზნესის დაწყებაზე დისციპლინარული ადმინისტრირება, მნიშვნელოვან ხასიათს იღებს გადასახადების გადახდის წესების ინტერპრეტაციებში განსხვავებულობა მეწარმეთა და სახელმწიფოს ფისკალურ აგენტებს შორის. აქედან გამომდინარეობს ყველა დანარჩენი გაუგებრობები, რომლის მოწმეც ხდება ჩვენი საზოგადოება.

20 ლატვიამ ევროკავშირში შესვლის შემდეგ დახურა თავისი შაქრის ქარხნები და გადავიდა პოლონური შაქრის მოხმარებაზე, ასევე შეუმცირდა თევზჭერის და რეალიზაციის ქვოტები. სოფლის მეურნეობაში დაიწყო სპეციალიზაციის სხვა დარგების კულტივირება. მაგალითად, რაფსის, რომლის გამოყენების არავითარი ბაზა არ გააჩნიათ

ადგილზე. არსებითად შეუმცირდათ ნათესი ფართობები, რამაც გამოიწვია გადამამუშავებელი მრეწველობის შეკვეცა და სამუშაო ძალის აქტიური გადინება ქვეყნიდან. ევროკავშირში მუშავდება საერთო ეკონომიკური საკითხები, რომლის გამოყენებაც ლატვიის ეკონომიკას კვლავ აღმავლობას უქადის.

21 საქართველოს რკინიგზა, ფოთის და ბათუმის პორტები, ჭიათურა - ზესტაფონის მეტალურგიული კვანძი, ენერგო მატარებელთა სატრანსპორტო მაგისტრალები (შაჰ-დენიზ-ბაქო-თბილისი-ერზურუმი, ბაქო-თბილისი-ჯეიპანი, ბაქო-თბილისი სუფსა), კავშირგაბმულობის საწარმოები (ჯეოსელი, მაგთიკომი), ელექტრო ენერგო გენერაციის საწარმოები, რამოდენიმე მსხვილი ბანკი და სხვები, შეიძლება ითქვას, ინტეგრირებულები არიან მსოფლიო ბაზარზე. მიუხედავად მათი ინტეგრირების ხარისხისა (უკვე აღვნიშნეთ, მათი ინტეგრაციის მარგინალური ხასიათი), ზოგიერთ მათგანი ტრანსეროვნულ კორპორაციათა შემადგენლობაშია და რამდენადმე გამოსულია ქართული ეკონომიკური პოლიტიკის უშუალო ზემოქმედების სფეროდან. ამ შემთხვევაში შეინიშნება პირიქითა პროცესი, ტრანსეროვნული კორპორაციები ახდენენ რეალურ ზეგავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე.

22 გლობალური კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელ ინდექსთა ერთობლიობაში მცირე და საშუალო მეწარმეობის საკითხები ვერ პოულობს საკუთარ ასახვას. იგი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ინდიკატორს, მაგრამ ცალკეული ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში მისი მნიშვნელობა არც საკამათოა და თითქმის შეუცვლელია.

23 ერთი საუკუნის წინანდელ საქართველოში მცირე ბიზნესის აქტიურობის რამოდენიმე მაგალითი გვაქვს. რეალური ინოვაციის მაგალითია ქართულ მეღვინეობაში ყიფიანის მიერ სამი ჯიშის (საფერავი 4, მუჯურეთული 34 და ალექსანდროული 58 პროცენტი) ყურძნისაგან ახალი ღვინის დამზადება, რომელიც დღეს „ხვანჭკარის“ სახელით არის ცნობილი. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ იმპერიულ რუსეთში წვრილი მეწარმე არ იყო ბედის ანაბარა მიტოვებული, არსებობდა სპეციალური სახელმწიფო ინსტიტუტი „კუსტართა კომიტეტი“, რომელსაც ჰქონდა ფართო ფილიალური ქსელი და ნერგავდა იმ დროისათვის მოწინავე სამეურნეო გამოცდილებას. მისი მთავარი სახელმწიფო ფუნქცია იყო ადგილებზე გამოევლინა ახალი პროდუქციის წარმოების პირობები, მოემზადებინა კადრები და მოეწყო წარმოება-რეალიზაციის მექანიზმი. ამ ინსტიტუტის თბილისში მდებარე „კავკასიის კუსტართა კომიტეტმა“ შეიმუშავა თუშური წინდების წარმოების კოოპერაციული სისტემა, მისი რეალიზაციის მრავალფეროვანი ფორმებით. ეს კოპერაცია ეგრეთ წოდებული საოჯახო კოოპერაციის ფორმას წარმოადგენდა. შემდეგში ცნობილი მხატვრის იული სტრაუმეს ძალისხმევით შემუშავებული იქნა ამ წინდა-პაჭიჭების დიზაინი, რომელსაც საფუძვლად დაედო გელათის მონასტერში შემორჩენილი ჩუქურთმისა და ფრესკული მოხატულობის ფრაგმენტები, აგრეთა ყარაბაღისა და ვანის ტბის ნიკო მარის ექსპედიციის მიერ მიკვლეული არქეოლოგიური გათხრებში ნაპოვნი მხატვრული ფორმები. ამ კომიტეტისა და ისევ ი. სტრაუმეს ძალისხმევით აღსდგა ქართული მეხალიჩეობა, მის

მიერ შესრულებულმა კედის ხალიჩამ 1904 წელს პარიზის გამოფენაზე ოქროს მედალი მოიპოვა. გარდა ხელოსნობისა წვრილი მეტარმების დახმარებისათვის კავკასიის კუსტარული კომიტეტი დიდ საქმიანობას ეწეოდა. მათი მეშვეობით შემოიტანეს მაღალმწარმოებული ფრანგული ჯიშის ვაშლები, რომლებიც გავრცელდა საქართველოში. ლატიფშა ბარათაშვილის ვაშლის ბაღიდან შამპანური რენიტი 1904 წელს აღიარებული იქნა საუკეთესოდ საერთაშორისო გამოფენაზე. გურიაში გავრცელდა ამ ჯიშის ვაშლის ნარინჯოვანი ნაირსახეობა, რომელსაც ადგილობრივმა მოსახლეობამ „ნაცარა ვაშლი“ უწოდა და საექსპორტოდ აწარმოებდა. ასევე იმერეთში მაღალმწარმოებული ცხვრის ჯიშების წარმოება მათ საქმიანობას უკავშირდება. მათი ძალისხმევით მოხდა ადგილობრივი ყველის წარმოების დარაიონება და ა.შ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსად მიმაჩნია, ამიერკავკასიის „სასამართლო-საექსპერტო ბიუროს“ ჩინოვნიკების ძმები კუპცისების საქმიანობა. ერთ-ერთმა მათგანმა იან კუპცისმა სპეციალურად შეისწავლა ქართლში გავრცელებული მახობლიანი პურის წარმოებისა და მისი ადამიანზე ზემოქმედების ხარისხი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქმე გვაქვს მაწიერ და მიკროელემენტებით უაღრესად მდიდარ კვების პროდუქტთან, რის შემდეგაც მახობლიანი პური რეკომენდებული იქნა ჯარისკაცებისათვის და დაიწყეს ექსპერიმენტები კურლანდიაში და რუსული იმპერიის სხვა ტერიტორიებზე მის მოსაყვანად. ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვის მეორე ძმას რობერტ კუპცისს, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა ქართული მინერალური წყლები და დიდი პროპაგანდა გასწია მისი ათვისების საქმეში. მართალია, ძმებ კუპცისების საქმიანობა დაკავშირებული არ ყოფილა მცირე ბიზნესის განვითარების ინსტიტუციასთან, მაგრამ მათზე შევჩერდით საკითხის დღევანდელი აქტუალობის გამო. ის რესურსები, რომლებიც ბუნების წყალობით გაგვაჩნია, ჩვენი მეწარმეთა შემოქმედებითი აქტიობით შესაძლებელია გახდეს ახალ წამოწყებათა (ინოვაციების) საფუძველი, რაც შექმნის გარანტიას ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებისთვისაც.

24 ემპირიული დაკვირვებით ვრწმუნდებით რომ ფასების მატებამ მიიღო პერმანენტული და შეუქცევადი ხასიათი. ფასები იზრდება ზოგიერთ ისეთ პრდუქტზეც, რომელზედაც ასეთი ზრდის საფუძველი არ გვაქვს, მაგრამ მთლიანად აგრარულ სექტორში არსებითმა „ჩავარდნებმა“ გამოიწვია თანამდევი მოვლენები. ეს მოვლენა აგრარული კრიზისის გამოვლენაა, მხოლოდ. ამ უკანასკნელს კი საქართველოში საკუთარი საფუძველი აქვს. მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა დააჩქარა მისი შედეგების მოვლენათა ზედაპირზე გამოტანა.

25 საქართველოში არ განხილულა სოფლის მეურნეობის განვითარების არცერთი მოდელი. საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი ტექნიკური მხარდაჭერით რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა სასოფლო სამეურნეო ექსპერტების დიდი ჯგუფი, რომელთა საქმიანობის შედეგები ან არ მიიღეს მხედველობაში (მაგალითად, მეთევზეობაში), ანდა შემუშავებული კონცეპტები არ ითვალისწინებდა საქართველოს განვლილ (არა მარტო კომუნისტურ) გამოცდილებას. სოფლის მეურნეობის ის ტიპი, რომელიც ჩვენთან არც თუ სტიქიურად ჩამოყალიბდა, ახლოსაა ტაივანში არსებულ აგრარულ გამოცდილებასთან. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს შეგნებულად განხორციელდა

უცხოელი ექსპერტების ზეგავლენით. მაგრამ, შრომისადმი დამოკიდებულებიდან, სასოფლო სამეურნეო კულტურების მოყვანის ტექნოლოგიური თავისებურებებიდან და გასაღების ბაზრებთან უშუალოდ მწარმოებელთა მაკავშირებელი მექანიზმის განსხვავებულობის გამო, შეიძლება ითქვას, ამ რეკომენდაციებმა მხოლოდ უარყოფითი შედეგები დაბადა. საინტერესოა ისიც, რომ აგრარულ სფეროში მოვლინებულ ექსპერტებს თავი ისე ეჭირათ თითქოს მათი რეკომენდაციები ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტებებს წარმოადგენდნენ, ისინი ხშირად მონაწილეობდნენ გადაწყვეტილებათა მიღებაშიც და ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციები (მათი ექსპერტების საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე) ჩვენი აგრარული კრიზისის მხოლოდ თანამონაწილეებად უნდა განვიხილოთ.

26 საინტერესოა ის ფაქტი, რომ საქართველოში სწორედ ამ, ბუნებრივი პროდუქტების უშუალო მოხმარების პერიოდში, გამოვლენილი აგრიკულტურული მიღწევები არის დღევანდელობის დომინანტა. ენდემური ჯიშის ხორბალი, ყურძნის ადგილობრივი ჯიშები, ხევსურული და მეგრული ძროხა, კახური ღორი და ა.შ. ქმნის საქართველოში უნიკალური სასოფლო სამეურნეო წარმოების ბაზისს. მეტიც, ამ ბაზისზე შესაძლებელი ხდება თანამედროვე მდგრადი განვითარების კონცეფციის ფარგლებში ინოვაციები და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება.

27 სოფლის მეურნეობის კონვერსაციული მოდელი არსებითად მნიშვნელოვანია დღესაც. მასზე უარის თქმა არ შეიძლება იმიტომაც, რომ მცირე მეწარმისათვის შეუძლებელია მეცნიერული კვლევების ჩატარება ცალკეულ ნიადაგების ხარისხობრივ შესასწავლად. საქართველოში მიწის კადასტრი სახელმწიფო პრეროგატივაა და საჭიროა შემუშავდეს მისი პარამეტრების საყოველთაოდ გასაგებად ფერმერებისათვის სახელმძღვანელოდ გარდაქმნის მეთოდოლოგია.

28 ლოკაციის მოდელის გამოყენება საშუალებას მოგვცემს დადგინდეს ცალკეცლ პროდუქციაზე სპეციალიზირებული ფერმების სამეურნეო პარამეტრები. მაგალითად, ხორბლის მწარმოებელმა ფერმერმა, რომ შექმნას ეფექტიანი (შედეგიანი) საწარმო ერთეული მას ესაჭიროება არანაკლებ 60-80 ჰექტარი სავარგული, მაშინ როდესაც მეკარტოფილე ფერმერისათვის 20 ჰექტარი სავსებით საკმარისია. აგრეთვე შრომის ინტენსიონის დღევანდელ პირობებში მეჩაიე მეწარმისათვის ერთი ჰექტარიც კი საკმაოდ დიდია. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მაღალხარისხიანი საღვინე ყურძნის საწარმოებლად 15 ჰექტარი საკმარისია, თუ იარსებებს კორდინაციის რაციონალური ფორმები მეღვინეობის საწარმოებთან. სამწუხაროდ, უნდა შევნიშნოთ რომ საქართველოში გაუქმდა ცხვრის გადასარეკი ტრასების ერთიანი მაკონტროლებელი სამსახური. ამის გამო ჩვენი მეცხვარეები საძოვართა ადგილმონაცვლეობისას ურთულეს პირობებში იმყოფებიან. მაშინ, როდესაც პროფესიონალული შევნიშნოთ გამოვლილივით აქვს შესწავლილი საქართველოს ტერიტორიაზე ცხვრის მიგრაციის ყველა მიმართულება და მათი სასმელი წყლის მიწოდების ადგილები. ჩვენ უარი ვთქვით ამ მეტად საშურ საქმეზე. ამიტომაც იოლად ელევა ქართველი მეცხვარე თავის მონაგარს და ირანში ყიდის ცოცხალ პროდუქტს. ისიც საინტერესოა, რომ ამ საბაზრო სეგმენტში ქართველი მეცხვარეები კონკურენციას უწევენ ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის

მეცხვარებს. როდესაც გადასარეკში ნამყოფი და ნაწველი ცხვარი კონკურენტულ ბრძოლაში იგებს სახორცე ჯიშებთან, არგუმენტი ერთად- ერთია, დაბალი ფასი.

29 საქართველოში ამჟამად იგნორირებულია სამეცნიერო მიღწევების დანერგვა აგრარულ სივრცეში. სამწუხაროდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ცალკეულ მეცნიერთათვის მხარდაჭერა შედეგებზე არსებითი მნიშვნელობით არ გამოირჩევა. მაშინ, როდესაც არიან ისეთი მეცნიერები, რომელთა ნოუ-ჰაუ უდაოდ მაღალ შედეგებს მოგვიტანდა სახელმწიფოს მიერ მისი მხარდაჭერის შემთხვევაში. მხედველობაში გვაქვს პროფესორ რამაზ გახოკიძის აღმოჩენა, რომელიც ცოცხალი ორგანიზმის უჯრედზე ზემოქმედებით იწვევს ბიოლოგიურ აქტივაციას. მისი პრეპარატი, რომელიც „ბიორაგის“ სახელივთ არის ცნობილი, უიაფესია თავის საზღვარგარეთულ ანალოგებთან შედარებით (200 გრამი „ბიორაგი“ = 3 ლარს, მისი ამერიკული ანალოგი კი 1 გრ=5000 აშშ გ). „ბიორაგი“ გამოცდილია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, თითქმის ყველა კულტურის მიმართ, იძლევა უნიკალურ შედეგებს. მისი წარმოებაში მასობრივი გამოყენება არ ხდება ჩინოვნიკთა ბიუროკრატიზმისა და საკითხის მნიშვნელობის გაუაზრებლობის გამო.

30 მაღალ ანაზღაურების მოდელის გამოყენება საქართველოში შესაძლებელია სანამ არსებობს სამეცნიერო ბაზები და სანამ სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა დაეყრდნოს სამაჟულო მეცნიერების მიღწევებს. გარდა ამისა ახალი სპეციალიზაციის კულტურების წარმოება და ახალი ტექნოლოგიების შემოტანა ქვეყანაში ამ მოდელის საფუძველზე უნდა მოხდეს.

31 ვგულისხმობთ აგრარულ სფეროში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. საქართველოს მასახლეობის 48 პროცენტი სოფლად ცხოვრობს, მათი უდიდესი ნაწილი სოციალური დახმარების მომლოდინეა. ჩვენ ვერასოდეს ვერ დავძლევთ მთისა და მთისწინა რაიონებში სიღარიბის პრობლემებს სანამ აյ არ აღორძინდება მეწარმეობა. სოფელის მეურნეობის განვითარება ამ რაიონებში კი ტურიზმის განვითარების საფუძვლად იქცევა, გარდა ამ ზონის რეკრეაციული რესურსებისა და კულტურული მემკვიდრეობის ნაშთებისა, თვით ქართული აგრარული კულტურა, თავისი თვითმყოფადობით შეიძლება იქცეს ტურიზმის ობიექტად, რაც გაამრავალფეროვნებს ტურისტული ათვისების შესაძლებლობებს.

32 არაფერს ვამბობთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელაღებით გაუქმებაზე, იქ სადაც ასეთი კოოპერატული ტიპის საწარმოები მაღალ ეფექტური იყო. ამ საკითხზე ახლა რეაგირება დაგვიანებულიცაა და დაუმსახურებლად მიანიჭებს რომელიმე პოლიტიკურ ძალას გარკვეულ დივიდენდს, რისი სურვილიც არ გვაქვს. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ სოლის მეურნეობის გაძლილის ნორმატულ ბუნებაზე, რომელიც ძირშივე მცდარ პოსტულატებს ეყრდნობოდა. მაგალითად, სასოფლო სამეურნეო ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობის ხარისხი ითვლებოდა 100 ჰექტარ სასოფლო სამეურნეო სავარგულზე, ხოლო საქართველოში 1000 ჰექტარი სავარგული რომ ჰქონდა ასეთი, მეურნეობები თითზე ჩამოსათვლელი იყო. გარდა ამისა მსხვილფეხა პირუტყვის საკვების რაციონიცა და წველადობის ნორმები უაღრესად ბიუროკრატიზირებული იყო. მაგალითად, ფური 300 კილოგრამს თუ არ მოიწველიდა

წელიწადში არარენტაბელურად ითვლებოდა. კითხვაზე, მაშ როგორ ხდებოდა კამეჩი მაღალმწარმოებელი პირუტყვი თუ მას 1200-1500 კილოგრამზე მეტ რძეს არ იწველიდა, პასუხი არ გვქონდა და არც გვაღელვებდა. ანალოგიურად, სურსათის წარმოების ნორმატივები გაუგებარ მაჩვენებლებში გამოიხატებოდა. ეს ნორმატული ბაზა შემდგომში ჩვენი აგრარული პოლიტიკის გააზრების მეთოდოლოგიურ ბარიერს ქმნიდა. უჭირდა თავის „სიმართლეში“ დარწმუნებულ სპეციალისტებს ახალი გარემოებათა გათვალისწინება. 1994-95 წლებში, ზოგიერთ ცნობილი აგრაიკოსის დასარწმუნებლად, რომ საქართველოს ძალა შესწევს საკუთარი საჭიროებებისათვის პური თვითონვე აწარმოო, დიდი ძალისხმევა და დრო დამჭირდა. მათ მიერ იმდენად მძლავრად იყო აღქმული სსრკ-ის დროინდელი წარმოდგენა, რომ ერთ სულ მოსახლეზე, თუ ტონა ხორბალს არ აწარმოებ, ისე დამოუკიდებელ სასურსათო ბაზას ვერ შექმნი, რომ გაუჭირდათ ამ მცდარი და მავნე დებულების დაძლევა.

33 მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ საკუთარი განვითარების საერთო დონიდან და კულტურული მემკვიდრეობიდან გამომდინარე, ყველა ქვეყანა თვითონ ქმნის საკუთარი აგრარული პოლიტიკის საფუძვლებს და მისი რეალიზაციის მექანიზმს. ამიტომ სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა სამეურნეო გარემოებები ყალიბდება, რომლებიც აისახება ქვეყნის საკანონმდებლო ბაზაში.

34 მაგალითად, ხევსურეთში მეცხოველეობის ფერმერული საწარმო გახდება გარანტი აქ ტურისტული ნაკადებისათვის სრული სერვისის შესაქმნელად. სხვა უფრო ნაკლებად რომანტიკულ რეგიონებში კი სასოფლო სამეურნეო საწარმო თვით შეიძლება გახდეს ტურისტული ინტერესის საგანი. ახალ ზელანდიაში ღვინის ქარხნებთან არსებული საჭაშნივები ტურისტების დიდი ინტერესს იწვევს. ავსტრალიაში ყველის დაჭაშნივების სპეციალური კვების ობიექტებია. ასევე დიდ ინტერესს იწვევს საყვავილეთა, ბაღ-ვენახებისა და ბაღჩების დათვალიერება, მოსავლის აღებაში მონაწილეობა.

35 აგფლაცია არის აგრარულ პროდუქციაზე ფასების ზრდა. ეს პროცესი თავიდან დაუკავშირეს ნავთობის ფასების ზრდას, მაგრამ შემდგომში გაირკვა, რომ მას საკუთარი საფუძველიც გააჩნია. ამ საკითხებზა საქართველოს მასმედიაში რამდენჯერმე გამოვიდა მ. სიმონიშვილი არსებითი ანალიზითა და რეკომენდაციებით.

36 ამ საკითხში მსოფლიოში სხვადასხვა გამოცდილება არსებობს. მაგალითად, ჩილეშე შექმნილია სპეციალური ფონდი, რომელიც ქმნის საწარმოებს და შემდეგ ახდენს მათ აუქციონზე რეალიზაციას. ერთ-ერთი საწარმო, რომელიც ორგანიზებული იყო, ჩილეს მდინარეებში ორაგულის მოშენებისა და გადამუშავებისათვის ფონდს დაუჯა 1.5 მილიონი და აუქციონზე მიყიდა ადგილობრივ ბიზნესმენებს 5 მილიონად. სხვა ქვეყნები სხვა მეთოდებს მიმართავენ, მაგრამ ერთში ყველა საერთო აზრისაა, ფერმერს არ ტოვებს სახელმწიფო მარტოს ბუნებისა და საბაზრო სტიქიის წინაღმდეგ.

37 თელეთში მღამე ნიადაგზე, რომელიც თავთავიანი კულტურებისათვის არ არის რეკომენდებული, შავნაბადას მონასტრის მიწის ნაკვეთზე ფერმერმა ჟორა გაბრიჭიძემ,

პროფესორ რამაზ გახოვიძის პრეპარატის „ბიორაგის“ გამოყენებით, გარდა ხორბლისა: ჭარხლის, წიწაკის, პამიდვრის, სორგოსა და სიმინდის უხვი მოსავალი მიიღო. ამ ენთუზიასტთა გამოცდილება ნამდვილად გასათვალისწინებელია. მხედველობაშია მისაღები მემინდვრეობის ავტორიტეტული სპეციალისტის ედნარ ნიქაბაძის დაკვირვებებიც სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ამაღლების მიმართულებით.

38 საქართველოს ტყეებში უხვად არის გარეული კენკრა და ხილი, რომელიც შესაძლებელია არყის წარმოების ნედლეულად იქცეს. ტყის ნობათი ტყემალთან, ქლიავთან, ჭანჭურთან, ხურმასა და თუთასთან ერთად შექმნის სანადლეულო ბაზას უნიკალური ალკოჰოლიანი სასმელების საწარმოებლად. გვინდა ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებასაც, მსოფლიოში სიტყავ „ვოდკა“ რუსული წარმოშობისაა და ნიშნავს მხოლოდ ხორბლისაგან დამზადებულ ალკოჰოლურ სასმელს. ასეთივე სასმელს დამზადებულს ვაშლისაგან „კალვადოსს“ ეძახიან მისი ადგილწარმოების საფრანგეთის პატარა ქალაქის კაენის საპატივცემულოდ. არც ერთ ქვეყანაში სპირტის გამოხდის წესით მიღებულ სასმელებს ერთი და იგივე სახელი არ ქვიათ, როგორც ეს საქართველოშია: ხილის არაყი, ჭაჭის არაყი, ვაშლის არაყი და ა.შ. ამ აზრს იმიტომ ვანვითარებ, რომ რომელიმე ენთუზიასტ მეწარმეს გაუჩნდეს იდეა და თავის წარმოებული „ტყემლის არაყი“ დაარეგისტრიროს, როგორც „ტყემალიაკი“ ან „ტყემალადი“, ან სულაც სხვაგვარად, ისე, როგორც ჩვენმა მეზობელმა სომხებმა თუთისაგან ნაწარმ სასმელს „ტუტოვკა“ უწოდეს და მისი რეალიზაცია რუსეთის ბაზარს ანდეს. ამ სფეროშიც ახალი „ბრენდის“ ფორმირების მიზნით დიდი სამუშაო გვიძევს წინ. მსოფლიო ბაზარი კი ჩვენგან ელოდება ახალ ინოვაციების საფუძველზე შექმნილ ახალ სასმელებს.

39 კლასტერი თანამედროვე ინფორმატიკის ცნებაა, რომელიც უკავშირდება კომპიუტერული ტექნოლოგიებში იმფორმაციის ნაკადების (სხივების, წნულების) გარკვეულ ერთობლიობას. ეს ტერმინი ეკონომიკაში შემოიტანა ჰარვარდის პროფესორმა მაიკლ პორტერმა და აღნიშნა ეკონომიკის სხვადასხვა დარგობრივ საწარმოთა ერთობლიობა, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან საერთო ტექნოლოგიური აუცილებლობით. მაგალითად, ქერის წარმოება, ლუდის წარმოების ნედლეულს ქმნის, ნარჩენები ხდება საფურაჟე საკვების წარმოების ბაზა, მიღებული საკვები ითხოვს ვიტამინურ გამდიდრებას, რომელიც ლუდის წარმოების საფუძველზე იქმნება და ა.შ. საქართველოში არასრული კლასტერის ფორმას ატარებს ჭიათურაზესტაფონი-ვარციხე ჰესის სამრეწველო კვანძი.

40 ჩვენ მიწაზე კერძო საკუთრების მოწინაღმდეგე არა ვართ, მაგრამ ვაღიარებთ, რომ საკუთრების როგორც იურიდიული ფენომენის ეკონომიკური რეალიზაციის განსხვავებული ფორმები არსებობს. ასეთი განსხვავება ჯერ კიდევ რომის სამართლი-სათვის იყო მისაღები. ამიტომ როდესაც მიწაზე კერძო საკუთრებაზე ვლაპარაკობთ, კერძო საკუთრების ეს ნაირსახეობა არ უნდა აცურიოთ საერთოდ ყოველგვარ მატერიალურ ფასეულობებზე საკუთრების ფორმებში. მიწაზე საკუთრების ეკონომიკური ფორმა, მისი ეკონომიკური რეალიზაციის ფორმა, განსხვავებული უნდა იყოს სხვა სახის უძრავ ქონების რეალიზაციის ფორმებისაგან. ეს განსხვავება უნდა

გამოხატავდეს მიწის, როგორც უნიკალური ბუნებრივი წარმონაქმნის მნიშვნელობას საზოგადოებისათვის. სხვა საკითხია მიწაზე არსებული წარმონაქმნები, რომლებიც მიწასთან ერთად ან მის გარეშე უნდა განვიხილოთ. ამგვარად მიწის შეფასების სისტემა ერთ-ერთი უმთავრესი ატრიბუტია მიწასარგებლობის პროცესში.

41 ჩვენ სრულიად ვიზიარებთ პატრიარქის შიშს გლობალიზაციის თანმხლებ საშიშროებათა გამო. მართლაც, როდესაც სხვა ქვეყნების ძალისხმევით აპირებ შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლას, ძალაუნებურად ხდები უცხოელი სპეციალისტების ცდის პოლიგონი. ხდები ის ობიექტი, რომლისკენაც მიმართულია განვითარებული ქვეყნების ღონისძიებათა სისტემა, საკუთარი ეკონომიკური ინტერესების ფარგლებში შეგიწყონ ხელი. ეს კი, საშიშროებას უქმნის საკუთარ კულტურულ თვითმყოფადობის, თანდათანობით ცილდები საკუთარ ისტორიულ გზას. რაც არ უნდა კეთილიგანზრახვით მოდიოდეს უცხოელი შენს ქვეყანაში, არასდროს არ არსებობს გარანტიები ეროვნული კულტურის მონაპოვართა დაცვისა და განვითარებისათვის. მსოფლიომ გამონაკლისებიც იცის. მაგალითად, იაპონიის განვითარების მოდელებზე უცხოელებიც მუშაობდნენ, დღევანდელი იაპონიის საბაზრო მექანიზმის ფორმირებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით შვედ ეკონომისტებს, მაგრამ მათი საქმიანობის ამოსავალ მახასიათებლებს იაპონელები აყალიბებდნენ. იაპონიისათვის საკუთარი მსგავსების საფუძველზე განვითარება იყო მთავარი. იაპონიის გამოცდილება ჩვენთვის გაკვეთილად უნდა იქცეს.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. თბილისის ეკონომიკურ ურთირთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოველწლიური სამეცნიერო შრომები. 2010;
2. Саати Т., Кернс К., Аналитическое планирование. Организация системи., М., „Радио и связь“. 1993;
3. რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი, ეკონომიკური პოლიტიკა., ორ წიგნად. თბ., «უნივერსალი», .2010;
4. Система национальных счетов 1993., Брюссель/Луксембург. 1998;
5. Доклад о развитии человека за 1998 год Нью-Йорк. 1998;
6. Доклад о развитии человека за 1999 год Нью-Йорк.1999;
7. ნაუმ ჩომსკი, მოგება და ხალხი - ნეოლიბერალიზმი და გლობალური განვითარება, 2000 (ინგლისურ ენაზე);
8. ჯენი თეირმანი, ქეთრინ ევანსი, ფილოსოფია. სახელმძღვანელო დამწყებთათვის. დ.გეგეშიძის საერთო რედაქციით. თბ., 2000;
9. ე. შევარდნაძე, ფიქრი წარსულზე და მომავალზე, თბ., პალიტრა, 2006;
10. 2008-2011 წლების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მოვლე სახელმძღვანელო. თბ., 2007;
11. Рагиб Кулиев, Гулиев, Торгул Гулиев, Эффективная политика развития малого и среднего предпринимательства: лучшая практика и новые условия., Баку. NURLAR. 2009;

12. European Charter for small enterprises adapted at the European Council. June. 2000;
13. Экономическая Энциклопедия., М., Сов Энциклопедия, т. 2. 1975;
14. Майкл Портер. Мировая экономика., М., 1998;
15. Оикрытое письмо Президенту СССР М. С. Горбачеву., Журнал „Энергия, Экономика, Техника, Экология.“ №8. 2000.

ბესო ალადაშვილი, პროფესორი

ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების ერთიანი სისტემის ფორმირების პარადიგმა

გლობალიზაციის შედეგად საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების მზარდმა ინტერნაციონალიზაციამ და შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავებამ მნიშვნელოვნად შეასუსტა ამ პროცესებში ჩართული ცალკეული ქვეყნების ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების დონე და მთელი რიგი თანმდევი ნებატიური მოვლენების პროვოცირება გამოიწვია.

«გლობალიზაციის მომხრეები საერთაშორისო ეკონომიკის შემდგომ ლიბერალიზაციასა და ქვეყნების შიდა ეკონომიკის დერეგულირებას გვთავაზობენ. ამ წინადადებებს სერიოზული შედეგი მოჰყვა აზიაში და ახლადწარმოქმნილ ფინანსურ ბაზრებზე, რამაც ეკონომიკური კრიზისი, უმუშევრობა და მოსახლეობის გაღარიბება გამოიწვია» (პოლ ჰერსტი, გრემ ტომპსონი, «გლობალიზაციის კრიტიკული ანალიზი», თბ., 2005, გვ. 10). გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა გაცილებით რთულდება, ვიდრე «ცივი ომის» და ორპოლუსიანი მსოფლიოს დროს. ორი სისტემის – კაპიტალისტურისა და სოციალისტურის დაპირისპირების პირობებში ეროვნული ინტერესები უფრო ღიად და გამოკვეთილად ფიქსირდებოდა. ამიტომ საფრთხეებიც შედარებით მარტივად პროგნოზირებადი იყო.

ეკონომიკური გლობალიზაციის შედეგად კი მთელი რიგი ახალი საფრთხეები წარმოშვა, კერძოდ: გაღრმავდა ქვეყნებს შორის ეკონომიკური უთანასწორობა; გაიზარდა სასაქონლო, საფონდო და სავალუტო ბაზრების დამოკიდებულება გეოპოლიტიკურ ფაქტორებზე და აქედან გამომდინარე ეკონომიკური განვითარების არასტაბილურობა; სახეზეა სამუშაო ძალის მზარდი ლეგალური და არალეგალური მიგრაცია; გაიზარდა ორგანიზებული დანაშაული, განსაკუთრებით «კორპორატიული თაღლითობა» (მაგალითად, «ენრონისა» და «ბერნარ მედოფის» საფინანსო თაღლითობები) და ა.შ.

თანამედროვე გლობალურ მსოფლიოში სხვა ქვეყნის წინააღმდეგ უშუალო სამხედრო მოქმედებებმა და აშკარა დაპირისპირებამ ადგილი დაუთმო ზემოქმედების

უფრო ელასტიურ და ფარულ ფორმებს – ეკონომიკურ ომს, სტრატეგიული რესურსების ექსპორტ-იმპორტის პოლიტიკურ ბერკეტად გამოყენებას, ეკონომიკურ ბლოკადას, სანქციას, სახელმწიფო და კომერციული საიდუმლო ინფორმაციის არასანქცირებულ მოპოვებას და ა.შ. – რისი საშუალებითაც ხორციელდება სხვა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის შესუსტება და საკუთარი ეროვნული ინტერესების გატარება.

ამ კუთხით გლობალიზაცია საკმაოდ დიდ საფრთხეს უქმნის არა მარტო დღეს არსებულ მყიფე საერთაშორისო ეკონომიკურ წესრიგს (საერთაშორისო უსაფრთხოებას), არამედ ართულებს ეროვნული და საერთაშორისო ინსტიტუტების ეფექტიან ურთიერთქმედებას.

1945 წლიდან დაწყებული, XXI საუკუნის დამდეგამდე ხდებოდა განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების აშშ-ის ეკონომიკურ და პოლიტიკურ კურსთან ადაპტაცია, რომელიც ამ ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან და ეროვნული უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარეობდა. ამ პირობებში ცალკეული ქვეყნების ეკონომიკა და ეკონომიკის მართვის ეროვნული სტრატეგია თანდათან მნიშვნელობას კარგავდა. ამავე დროს, XXI საუკუნის დასაწყისში განვითარებული მოვლენები და უპირველესად 2008 წლის გლობალური ეკონომიკური კრიზისი, რომლის პროვოცირება სწორედ აშშ-იდან დაიწყო, გვიჩვენებს, რომ ყოველ სახელმწიფოს საერთაშორისო თანამეგობრობასთან ადაპტირებული და შეთანხმებული ეროვნული უსაფრთხოების დამოუკიდებელი სტრატეგია და პოლიტიკა უნდა ჰქონდეს.

ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების ერთიანი სისტემის განუყოფელი ნაწილია და ეკონომიკური ბაზისის პირველადობიდან გამომდინარე, მისი საფუძველიცაა.

საზოგადოების განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია გვიჩვენებს, რომ ქვეყნის პოლიტიკურ, სამხედრო, სოციალურ, კულტურულ და ა.შ. განვითარებას საბოლოო ჯამში ეკონომიკური განვითარება განსაზღვრავს.

ამ პირობებში სასიცოცხლო აუცილებლობას იძენს ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების (ეეუ) არსებული დონის შეფასების ერთიანი, მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის ფორმირება.

ჩვენი აზრით ეეუ შეფასების ერთიანი სისტემის ფორმირება მოიცავს სამი, ურთიერთთან მჭიდროდ დაკავშირებული დონისძიებების თანმიმდევრულ განხორციელებას. კერძოდ ესაა:

1. ეეუ შეფასების ინსტიტუციური უზრუნველყოფა;
2. ეეუ შეფასების სისტემისა და მეთოდების განსაზღვრა;
3. ეეუ შეფასების ინდიკატორებისა და პარამეტრების ფორმირება.

აღნიშნული საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ შეფასების ერთიანი სისტემის ფორმირება, წარმართვა და მონიტორინგი ქვეყნის ეეუ პრობლემების დროული და ეფექტიანი გადაწყვეტის საფუძველია.

1. ეეუ შეფასების ინსტიტუციური უზრუნველყოფა

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნის (უპირველესად საპრეზიდენტო და საპრეზიდენტო-საპარლამენტო მმართველობის ფორმით) ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ინსტიტუციური უზრუნველყოფის (მ.შ. შეფასების სისტემის და მეთოდების) საკითხების რეგულირება, პრეზიდენტის უმთავრესი საკონსულტაციო ორგანოს – ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭოს და მისი აპარატის პრეროგატივაა.

საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე ეეუ ერთიანი სისტემის ფორმირება, წარმართვა და მონიტორინგი ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭოს აპარატის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა, რაც შემდეგი თანმიმდევრობით უნდა ხორციელდებოდეს:

პირველ უტაპზე აუცილებელია შესაბამისი სამინისტროებიდან და უწყებებიდან ობიექტური ინფორმაციის ოპერატიული მიღება.

– საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ეეუ სტრატეგიისა და მიზნობრივი პროგრამების პოლიტიკურ-დიპლომატიური მხარე;

– ფინანსთა, ეკონომიკის, ენერგეტიკისა და სხვა «ეკონომიკური ბლოკის» სამინისტროებმა უნდა მოამზადონ წინადადებები ეეუ სტრატეგიისა და მიზნობრივი პროგრამების ეკონომიკური მეთოდებით შესასრულებლად;

– საგარეო დაზვერვის, უშიშროების, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა უზრუნველყონ ეეუ სტრატეგიისა და მიზნობრივი პროგრამების შესრულებისთვის აუცილებელი ობიექტური ინფორმაციის ოპერატიული მოპოვება და წინადადებების მომზადება საფრთხის გასანეიტრალებლად.

მოპოვებული ინფორმაცია და შემუშავებული რეკომენდაციები მიეწოდება ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭოს აპარატს.

მეორე უტაპზე ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭოს აპარატში განხორციელდება სხვადასხვა სამინისტროებიდან შემოსული მასალების ანალიზი და შეჯერება, რის შედეგადაც გამოცალკევდება ის ეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური. სოციალური, ეკოლოგიური და სხვ. რისკები და გამოწვევები, რომელთა განხორციელება ან პირიქით – შეუსრულებლობა საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკურ ინტერესებს. ამის საფუძველზე განისაზღვრება ეეუ არსებული დონის შეფასების ძირითადი ინდიკატორები და პარამეტრები.

მესამე უტაპზე ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭოს აპარატში, შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით თითოეული კონკრეტული რისკის-ფაქტორისა და გამოწვევის გასანეიტრალებლად დამუშავდება მოვლენათა შესაძლო განვითარების მრავალვარიანტული სიტუაციური მოდელი, რის საფუძველზეც ხელისუფლების უმაღლესი პირებისათვის უნდა შედგეს საპასუხო მოქმედებათა რეკომენდაციები.

მეოთხე უტაპზე აღნიშნულ რეკომენდაციებს განიხილავს და დაამტკიცებს ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭო.

მეხუთე უტაპზე ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭოს მიერ დამტკიცებულ რეკომენდაციებს და მოქმედების პროგრამებს (მ.შ. ძირითად ინდიკატორებსა და პარამეტრებს) მიეცემათ ნორმატიული სახე (კანონის, პრეზიდენტის ბრძანებულების ან განკარგულების ფორმით) და დაიყვანება კონკრეტულ შემსრულებლებამდე.

ეეუ მიზნობრივი პროგრამების შესრულების და შესაბამისი პოლიტიკის რეალიზაციის შეფასებას ანხორციელებს ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭოს აპარატი.

2. ეეუ ფაქტიური მდგომარეობის შეფასების ძირითადი მეთოდები

ეეუ ფაქტიური მდგომარეობის შეფასების სისტემა და მეთოდები დამოკიდებულია ეეუ უზრუნველყოფის დამუშავების კონკრეტულ დონეზე. სახელმწიფოს ეეუ დონის შეფასება განსხვავებულ მაჩვენებლებს მოითხოვს ვიდრე საზოგადოების ან პიროვნების ეეუ.

ბუნებრივია, რომ სახელმწიფოს ეეუ შეფასებას გაცილებით რთული და მრავალმხრივი მაჩვენებლების ანალიზი სჭირდება, ვიდრე დანარჩენ ორს.

დღეისათვის გამოიყენება ეეუ არსებული მდგომარეობის შეფასების შემდეგი ძირითადი მეთოდები:

- ექსპერტული შეფასების;
- სტატისტიკური ანალიზის;
- სიტუაციური მოდელირების.

ა. ეეუ არსებული დონის ექსპერტული შეფასების მეთოდი გულისხმობს სხვადასხვა პროფილისა და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების (ექსპერტების) ჯგუფების შექმნას და მათ მიერ შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას. ეს შედარებით მარტივი მეთოდია. ცდომილების და სუბიექტური შეფასებების აღბათობა საკმაოდ მაღალია.

ამავე დროს პოზიტიურად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ეეუ შეფასების ექსპერტული მეთოდი გულისხმობს დარგის ან მიმართულების ყველაზე კვალიფიციური კადრების შერჩევას, რომელთა დასკვნა და რეკომენდაციები თავისუფალი იქნება პოლიტიკური კონიუნქტურისგან.

გარდა ამისა, ეს მეთოდი გაცილებით ოპერატიულია, ვიდრე დანარჩენები.

ამ დროს გამოიყენება ექსპერტების ერთობლივი მუშაობის შემდეგი ფორმები: «ინტელექტუალური შეტევის», «სცნარების შედგენის», «საქმიანი თამაშების», «დელფის» და სხვ.

ეეუ ექსპერტული შეფასების მეთოდის ეტაპებია:

- შეფასების მიზნების და ამოცანების ჩამოყალიბება;
- ინფორმაციის მოძიების და დამუშავების მეთოდებისა და ხერხების შერჩევა;

- ექსპერტთა ჯგუფის დაკომპლექტება;
- ექსპერტიზის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება;
- საბოლოო ანგარიშის შედგენა.

ბ. ეეუ შეფასების სტატისტიკური ანალიზის მეთოდი გულისხმობს ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ეეუ უზრუნველყოფის ამსახველი სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის გამოყენებით ეეუ არსებულ მდგომარეობასთან შედარებითი პარალელური კვლევების ჩატარებას და ამის საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას. ამ მეთოდის უარყოფითი მხარეა ის, რომ მხოლოდ მექანიკური გამოყენებისას საკმაოდ მაღალია ცდომილების ხარისხი.

გ. ეეუ შეფასების სიტუაციური მოდელირების მეთოდი დღეისათვის ითვლება კრიტიკული სიტუაციების, გამოწვევებისა და ეკონომიკური საფრთხეების მეცნიერული ანალიზის ყველაზე ეფექტურიან საშუალებად. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა ოპტიმალურად გადაიჭრას შემდეგი პრობლემები:

- მონაცემთა ბაზის მონიტორინგი;
- რთული სიტუაციების (პრობლემების, საფრთხეების) მოსალოდნელი განვითარების ტენდენციების ანალიზი;
- მოსალოდნელი კონკრეტული რისკების, პრობლემების და საფრთხეების ანალიზი;
- შესაძლო სცენარების მოდელირება გლობალურ, სტრატეგიულ და ლოკალურ დონეებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ეეუ ფაქტიური მდგომარეობის შესახებ მაქსიმალურად სრულ სურათს სამივე მეთოდის კომპლექსური გამოყენება იძლევა.

ეეუ არსებული მდგომარეობის შეფასების სისტემას (ინდიკატორებსა და პარამეტრებს) და კონკრეტულ მეთოდებს განსაზღვრავს და მათი შესრულების მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭოს აპარატი.

3. ეეუ შეფასების ინდიკატორებისა და პარამეტრების ფორმირება

როგორც უკვე ავლნიშნეთ, სხვადასხვა სამინისტროებიდან და უწყებებიდან შემოსული მასალების ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე განისაზღვრება ეეუ არსებული დონის შეფასების ძირითადი ინდიკატორები და პარამეტრები.

ეეუ ინდიკატორები ეროვნული ეკონომიკური ინტერესების ცალკეული მიმართულებების მიხედვით განსაზღვრული ის აგრეგირებული ხარისხობრივი ეკონომიკური მაჩვენებლებია, რომელთაც შეუძლიათ ეროვნულ ეკონომიკას ყველაზე მეტი საფრთხე შეუქმნან.

მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირება; ფულად-საკრედიტო სისტემის არასტაბილურობა; საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების დივერსიფიცირება; სტრატეგიული რესურსების მარაგების შექმნა; ბიუჯეტის დეფიციტი; საგარეო და საშინაო ვალი; სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ტემპების შემცირება; ძირითადი ფონდების მოველება; არსებული რესურსული პოტენციალი და მისი შევსება; კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის დონის ზრდა; უცხოურ ინვესტიციებზე დამოკიდებულების ზრდა და ა. შ.

ეეუ ინდიკატორების განსაზღვრა უნდა განხორციელდეს შემდეგი დონეების მიხედვით:

ა. გლობალურ დონეზე – ქვეყნის წინაშე მდგარი სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს უზოგადესი ინდიკატორები (ქვეყნის ეკონომიკური სუვერენიტეტის დაცვა, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება დროის ხანგრძლივი პერიოდისათვის; ეკონომიკური პოტენციალის სრული ამოქმედება; მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება და ა.შ.).

ბ. გეოსტრატეგიულ დონეზე – დროის სხვადასხვა პერიოდისათვის ქვეყნის წინაშე არსებული სტრატეგიული ამოცანებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს შესაბამისი ინდიკატორები (ეკონომიკის სტრუქტურული ტრანსფორმაცია, უცხოური ინვესტიციების სტიმულირება; საზოგადოების ქონებრივი პოლარიზაცია, უმნიშვნელოვანესი რესურსების სტრატეგიული მარაგების შექმნა, ინფრასტრუქტურის ოპტიმალური ფუნქციონირება და ა.შ.).

გ. ტაქტიკური მიზნების დონეზე – ამ დროს უნდა განისაზღვროს ის ინდიკატორები, რომლებიც დააკონკრეტებენ სრატეგიულ ინდიკატორებს (მაგალითად, მრეწველობის, აგრარული სექტორის და სხვ. ხვედრი წილი მშპ-ში, სტრატეგიული მარაგების რესურსული შემადგენლობა და ოპტიმალური მოცულობა, კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო არტერიების დივერსიფიცირების კონკრეტული ფორმები და ა.შ.)

მას შემდეგ, რაც განისაზღვრება ეეუ ინდიკატორები, უნდა დადგინდეს მათი რაოდენობრივი საზღვრები (ზღვრული პარამეტრები), რომელთა გადამეტება (ან შეუსრულებლობა) ეწინააღმდეგება ეეუ ინტერესებს და საბოლოო ჯამში ქვეყნის უსაფრთხოების ერთიან სარტყელს არღვევს.

ეს პარამეტრები, ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით რაოდენობრივად უნდა აფასებდნენ ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობას, ხოლო მათი დამტკიცება ოფიციალურ (საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების) დონეზე უნდა მოხდეს, რის შემდეგაც ისინი მიიღებენ სავალდებულო ნორმის სახეს და მათი შესრულება აუცილებელი გახდება.

რაოდენობრივი ზღვრული პარამეტრების მაგალითებია: მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მინიმალური დონე; ინფლაციის ტემპების მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი; საბაჟო ტარიფების ოპტიმალური სიდიდე; სტრატეგიული რესურსების კონკრეტული სახეების (ბენზინი, ხორბალი, ფქვილი, დიზელის საწვავი და ა.შ.) მინიმალური მარაგები (ტონებში ან დღეებში); ბიუჯეტის დეფიციტის მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი; საგარეო და საშინაო ვალის მაქსიმალური პარამეტრები; სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის და ძირითადი ფონდების განახლების ტემპები და ა.შ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეეუ უმაღლესი დონე მიიღწევა იმ შემთხვევაში, როდესაც ეეუ ინდიკატორების მთელი სისტემა წინასწარ დადგენილ უსაფრთხოების საზღვრებს ანუ ზღვრულ პარამეტრებს (რომლებიც, როგორც წესი, ციფრულ გამოხატულებაშია) არ სცილდება.

კონკრეტული რაოდენობრივი მაჩვენებლების დამუშავების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს, როგორც მინიმალურად და მაქსიმალურად დასაშვები საზღვრები, ასევე ე.წ. «დერეფანიც».

3.1. ეეუ შეფასების ინდიკატორებისა და პარამეტრების სპეციფიკა ცალკეული ქვეყნების მიხედვით

უნდა აღინიშნოს, რომ ეეუ შეფასების სისტემა, უპირველესად კი ინდიკატორები და პარამეტრები, მნიშვნელოვნად განსხვავდება ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონიდან, გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან, ერის მენტალიტეტიდან და სხვა – სუბიექტური და ობიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე.

ეკონომიკურად მაღალგანვითარებული და განვითარებული ქვეყნებისთვის ეეუ ფილოსოფია ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის (ეკონომიკურ, სამხედრო-პოლიტიკურ და სხვ. სფეროებში) მიღწევასა და ხანგრძლივი დროით შენარჩუნებას, ასევე გლობალური საფრთხეების (ტერორიზმი, სტიქიური მოვლენები, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება და სხვ.) განეიტრალებას გულისხმობს. ამ ქვეყნებს ეეუ არსებული დონის შეფასების ანალოგიური ხედვა აქვთ, თუმცა საკმაოდ განსხვავებულია ეეუ უზრუნველყოფის მიღწევის კონკრეტული მეთოდები, ხერხები, გზები და რაც მთავარია – შესაძლებლობები. აშშ წლების მანძილზე ითვლებოდა მსოფლიოს ლიდერად ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამხედრო და ა. შ. სფეროებში. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილი იქნება, თუ ეეუ შეფასების საკითხებს სწორედ ამ ქვეყნის მაგალითზე გავეცნობით.

3.2. აშშ-ის ეეუ შეფასების ძირითადი ინდიკატორები და პარამეტრები

აშშ მსოფლიოში პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების გადასაჭრელად ინსტიტუციური რეფორმები განახორციელა: 1947 წელს მიიღო შესაბამისი კანონი და შექმნა სპეციალური სტრუქტურა – «ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) საბჭო».

შემდგომ პერიოდში ეროვნული უსაფრთხოების, მათ შორის ეეუ, პრობლემების მეცნიერული კვლევა მსოფლიოში კიდევ უფრო გაფართოვდა, თუმცა აშშ ამ მხრივაც ლიდერად რჩებოდა. გამოქვეყნდა ამერიკელი პოლიტოლოგებისა და მეცნიერების მთელი რიგი სამეცნიერო ნაშრომები და სტატიები (ჟ. ლიპმანის, ჯ. რენერის რ. კენანის და სხვ.), სადაც განხილული იყო ეროვნული უსაფრთხოების აქტუალური საკითხები.

შეიძლება მკაფიოდ გამოვკვეთოთ ის ფაქტორები რომლებმაც გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინეს აშშ-ის, როგორც ზოგადად ეეუ კონცეფციის, ასევე მისი შეფასების სისტემის ფორმირებაზე. კერძოდ:

1. ათწლეულების მანძილზე თავისუფალი საბაზო სისტემის უნივერსალურობის თეორიის და ეკონომიკური კრიზისების თვითრეგულირების პრინციპების ოფიციალურ სახელმწიფო იდეოლოგიად აღიარებამ;

2. სხვა კონტინენტებიდან უზარმაზარი საზღვაო სივრცით დაცილებამ და ძლიერი აგრესორი მეზობლების არყოლამ (რამაც დამპყრობლური ომებისაგან დაიცვა ქვეყანა) ხელი შეუწყო აშშ-ის ადმინისტრაციის გლობალური – ტრანსოკეანური კატეგორიებით აზროვნების ჩამოყალიბებას და მაქსიმალურად დაიცვა ამერიკის საშინაო ბაზარი.

ეკონომიკური გლობალიზაციის პიროებებში აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების უპირველეს კრიტერიუმად მიჩნეულია მსოფლიო მასშტაბით ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ხანგრძლივი პერიოდით შენარჩუნება. საინტერესოა ის გარემოება, რომ ამერიკელებისთვის კონკურენტუნარიანობა – უცილობელი პირველობის სინონიმია და მისი არეალი დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ამჟამად ის მოიცავს არა მარტო სამხედრო-პოლიტიკურ და საფინანსო-ეკონომიკურ, არამედ სამეცნიერო-ტექნიკურ, საინფორმაციო, კულტურულ, სპორტულ და ა.შ. სფეროებსაც.

ამ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის და პოლიტიკის ფორმირებაზე მოქმედი ობიექტური ფაქტორების შესწავლის შემდეგ უკვე გასაკვირი არ არის, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია ეკონომიკური უსაფრთხოების მხოლოდ გლობალურ პრიორიტეტებს სახავს და «ღია» საბაზო ეკონომიკის პირობებში ეეუ შემდეგ ინდიკატორებს ანიჭებს უპირატესობას:

1. მსოფლიოში თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის განმტკიცება;
2. აშშ-ის შეუფერხებელი გასვლა მსოფლიოს, როგორც სანედლეულო, ასევე გასაღების ბაზრებზე;
3. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და გლობალური ეკონომიკური ზრდისათვის ხელშეწყობა.

როგორც ვხედავთ ზემოაღნიშნულ ეეუ პრიორიტეტულ ინდიკატორებში ადგილი არ მოიძებნა ეკონომიკური უსაფრთხოების ისეთი «წვრილმანი» საკითხებისათვის, როგორიცაა:

1. ექსტრემალური ვითარებისთვის (ტერაქტი, გლობალური სტიქიური მოვლენები და ა.შ.) დამახასითებელი საფინანსო-ეკონომიკური, ენერგეტიკული და სასურსათო პრობლემები;

2. კომპანიების გაკოტრება არაკეთილსინდისიერი მეწარმეობის მეთოდების გამოყენების გამო და ამის შედეგად წარმოქმნილი პანიკა საფონდო და სავალუტო ბაზრებზე («ენრონის» და ბერბარ მედოფის «საფინანსი პირამიდა»)

3. გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს «თვითრეგულირებადი» საბაზრო მექანიზმებისა და საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტების ეფექტურობის შესუსტება, რის გამოც ისინი ვერ უზრუნველყოფენ ცალკეული ქვეყნების ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების აუცილებელ დონეს;

4. ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ საკუთარ კორპორატიული ინტერესების სახელმწიფოს ინტერესებზე მაღლა დაყენება და ა.შ.

ამიტომაც იყო, რომ მრავალწლიანი თეორიული გათვლების, პრაქტიკული გამოცდილების და ასევე მრავალმილიარდიანი ხარჯების მიუხედავად, მსოფლიოს ზესახელმწიფო - აშშ უსუსური აღმოჩნდა ტერორისტების წინაშე. ტერაქტის შემდგომ თითქმის ორი კვირის მანძილზე აშშ-ის სახელმწიფო სტრუქტურები და კერძო სექტორი პანიკასა და ქაოსში იმყოფებოდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ ფაქტიურად მოუმზადებელი აღმოჩნდა ტერაქტების შედეგად წარმოქმნილი საშინაო და საგარეო ეკონომიკური საფრთხეების ოპერატიულად გადაწყვეტისთვის.

აშშ-ის ადმინისტრაცია და ამერიკელი ექსპერტები შორს იყვნენ იმ აზრისგან, რომ ოდესმე მშვიდობიან პერიოდში სურსათითა და პირველადი მოხმარების საქონლით ვაჭრობის ნორმირება მოუხდებოდათ ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში.

აშშ-ის ადმინისტრაციის მთავარი შეცდომა ის იყო, რომ ნაკლები ყურადღება ექცეოდა ეკონომიკური უსაფრთხოების იმ საკითხებს, რომლებიც ამერიკელთა აზრით მხოლოდ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის იყო დამახასიათებელი.

აშშ-დან პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის იმპულსები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში გავრცელდა და, სამწუხაროდ, არც ევროპისა და აზიის სახელმწიფოები აღმოჩნდნენ მზად ამგვარი ეკონომიკური საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

ტერაქტებმა მძლავრი უარყოფითი მუხტი მისცა მსოფლიოს გლობალურ ეკონომიკურ განვითარებას. კიდევ უფრო გაღრმავდა ეკონომიკური კრიზისი ცალკეულ ქვეყნებსა და დარგებში

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებმა გლობალურ ურთიერთობებში ახალ ფენომენს – საერთაშორისო ეკონომიკურ ტერორიზმს მისცეს დასაბამი.

ამ მოვლენების შედეგად ტერაქტების ორგანიზატორებმა საკუთარი ტერორისტული მიზნების გარდა, უდიდეს ფინანსური მოგებას მიღწიეს აქციების, ძვირფასი ლითონებისა და ვალუტის სპეციალისტების სამსახურის მიმდევარი.

ამიტომ, XXI საუკუნეში მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ შეიძლება იქცეს გლობალური ეკონომიკური ტერორიზმი და ტრანსნაციონალური კორპორაციების არაკეთილსინდისიერი ბიზნესის შედეგად საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის პროვოკირება.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დღეისათვის კერძო პირებისა და სხვდასხვა ორგანიზაციების ხელში არსებული ფინანსური, ინტელექტუალური და ტექნიკური რესურსები სავსებით საკმარისია საფონდო, სავალუტო და სასაქონლო ბაზრებზე პანიკის («მართვადი ქაოსის») შესაქმნელად, მაშინ გასაგებია, თუ რა საშიშროების წინაშე დგას კაცობრიობა, თუმცა ამ დროს გამორიცხული არ არის შემთხვევითობაც.

ამ რეალური საფრთხის გასააზრებლად ერთ მაგალითს მოვიყვანთ.

2010 წლის 5 მაისს აშშ საფონდო ბაზრებმა 15 წუთში ერთი ტრილიონი დოლარი დაკარგეს. რამდენიმე წუთში ზოგიერთი კომპანიის აქციები 60-100 %-ით გაუფასურდა. «დოუ-ჯონსის» ინდექსი თითქმის 1000 პუნქტით დაეცა, რაც ამ საფონდო ინდექსის არსებობის ისტორიაში ერთდროული დაცემის რეკორდი იყო. პანიკამ მოიცვა ევროპისა და აზიის საფონდო ბაზრებიც. საფონდო ექსპერტების აზრით, ამ ქაოსის მიზეზი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი საფინანსო ჯგუფის *“Citigroup”*-ის რიგით ტირეიდერის მექანიკური.

შეცდომა იყო, რომელმაც ელექტრონული ვაჭრობის დროს 16 მილიონი დოლარის ნაცვლად 16 მილიარდი დოლარის ფიუჩერსების გაყიდვის ბრძანება გასცა (სიჩქარეში «ბილლიონ» და «მილლიონ» შეემალა).

მომავალშიც არავინაა დაზღვეული მსგავსი შეცდომებისგან, ამიტომ შემთხვევითი ან «მართვადი» საფონდო პანიკის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ამგვარი საფრთხეების გსანეიტრალებელი საერთაშორისო მექანიზმების შექმნა.

3.3. ეეუ შეფასების ძირითადი ინდიკატორები და პარამეტრები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის

ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ე.წ. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილების გაცნობა, გაანალიზება და ჩვენთვის მისაღები გადაწყვეტილებების გაზიარება ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების არსებული დონის შეფასების მხრივ.

გარდამავალი («ტრანზიტული») ეკონომიკის ქვეყნებისთვის კი, ეეუ პირველ ეტაპზე სოციალისტური (ტოტალიტარული) ფორმიდან საბაზრო სისტემაზე გადასვლის პრობლემების დაძლევა, ხოლო შემდეგ კი, დროის ხანგრძლივი პერიოდისათვის ეკონომიკის სტაბილური და მდგრადი განვითარების მიღწევა. ამ ქვეყნებისთვის ეეუ შეფასების პარამეტრების განსაზღვრის დროს პრიორიტეტული უნდა იყოს მაღალგანვითარებული ქვეყნების მიერ მიღწეული დონესთან შედარება.

ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ეეუ დამახასიათებელია ეკონომიკური საფრთხის შინაარსობრივად ძირითადად ერთგვაროვანი მაჩვენებლები, რომელთა შორის განსხვავება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონით, ასევე ეკონომიკური საფრთხის დროსა და სივრცეში ზემოქმედების მასშტაბებითა და სიძლიერის ხარისხით გამოიხატება.

თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ეკონომიკურად მაღალგანვითარებული და განვითარებული ქვეყნები ეეუ შეფასებისას გაცილებით ნაკლებ ინდიკატორებსა და პარამეტრებს იყენებენ, ვიდრე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, შესაძლებელია ეეუ იმ ინდიკატორებისა და რაოდენობრივი (ხარისხობრივი) პარამეტრების ძირითადი სახეების განსაზღვრა, რომლებიც ყველა ქვეყნისთვის საერთო იქნება, კერძოდ:

ინდიკატორების დასახელება ზღვრული პარამეტრები

I. წარმოების სფერო

- | | |
|--------------------------------|---|
| ა. მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) | ეკ. განვითარებული |
| – მშპ-ის საერთო მოცულობა | ქვეყნების მშპ-ის საშუალო
მაჩვენებლის 75% და
საშუალო მსოფლიო
მაჩვენებლის 100% |
| – მოსახლეობის ერთ სულზე | ეკ. განვითარებული |
| | ქვეყნების საშუალო
მაჩვენებლის 50% |
| – მშპ-ის შემცირება ტემპი | 30-40% |
| – სამრეწველო პროდუქციის წარმო | |

ების ტემპები	%
ბ. წარმოების სტრუქტურა	
გადამამუშავებელი მრეწველობა	არანაკლებ %
მანქანათმშენებლობა	არანაკლებ %

გ. მაღალტექნოლოგიური პრო-	
დუქციის წილი წარმოების	
მთელ მოცულობაში	6-10%

დ. იმპორტის ხვედრი წილი	
მოსახლეობის მოხმარებაში,	
მ. შ. სურსათში	შიდა მოხმარების 20-25 %

II. უცხოური ინვესტიციების მაქსიმალური მოცულობა

ა. სამრეწველო პროდუქციის	
წარმოებაში	მშპ-ს 25-50%
ბ. ინვესტიციების წილი მომპოვებელ	%
დარგებში	
გ. საბანკო სექტორში	25-50%

III. სტრატეგიული დარგების განვითარების ტემპები

ა.	%
ბ.	
გ.	
დ.	

IV. მოსახლეობის ცხოვრების დონე

ა. დეცილური კოეფიციენტი	9-10
ბ. უმუშევრობის ფაქტიური დონე	7%
გ. სამომხმარებლო ფასების ინდექსი	
დ. სასიცოცხლო მინიმუმი	
ე. მინიმალური ხელფასის შეფარდება საშუალოსთან	1:3
ვ. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრების	
მოსახლეობის მაქსიმალური ხვედრითი წილი	
მოსახლეობის მთლიან რაოდენობაში	10%

V. მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლები

ა. ფულის მასა	მშპ-ის 50%
ბ. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი	მშპ-ის 5%
გ. საგარეო ვალის მაქსიმალური ზღვარი	მშპ-ის 25%
დ. საშინაო ვალის მაქსიმალური ზღვარი	მშპ-ის 30%
ე. ნაღდი უცხოური ვალუტის მოცულობა ნაღდ უცხეროვნულ ვალუტასთან შედარებით	დადებითი %
ვ. საგადამხდელო ბალანსის საღდო	
ზ. საგარეო სავაჭრო ბალანსის საღდო	დადებითი
თ. ექსპორტის მინიმალური მოცულობა	მშპ-ში
ი. საგადასახადო შემოსავლების მოცულობა მშპ-სთან მიმართებაში	50-70%
კ. მზა პროდუქციის ხვედრი წილი ექსპორტის მთელ მოცულობაში	
ლ. ნედლეულისა და ბუნებრივი რესურსების % ხვედრი წილი ექსპორტის მთელ მოცულობაში	
მ. საგარეო-ეკონომიკური კავშირების დივერსიფიცირების დონე და სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულების «კრიტიკული საზღვრები»	
ნ. საშინაო ბაზრებზე დომინირების დონე დონე (გაიაანგარიშება პროდუქციის ცალკეული (გაიანგარიშება პროდუქციის ცალკეული სახეების მიხედვით))	
ო. საგარეო ბაზრებზე ეროვნული საექსპორტო პროდუქციის ხვედრითი წილი	

ეროვნული წარმოების გადამეტებული (ანუ კრიტიკულ ზღვარს გადაცილებული) საექსპორტო ორიენტაცია მოცემულ ქვეყნას დამოკიდებულს ხდის: საერთაშორისო ბაზებზე მსოფლიო ფასებისა და კონიუნქტურის ცვალებადობაზე, საერთაშორისო კონკურენციაზე და ა. შ. ეს კი ძალზე მნიშვნელოვანი საფრთხეა ეკონომიკურად სუსტი, ვიწრო (შეზღუდული) საექსპორტო სპეციალიზაციის (პოტენციალის) მქონე ქვეყნებისათვის.

ასევე მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს მეორე უკიდურესობა – ზედმეტი დამოკიდებულება იმპორტზე. ამ შემთხვევაში მსოფლიო ფასების ზრდა, სატრანსპორტო არტერიების ბლოკირება, ეკონომიკური სანქციები და ა. შ. ეროვნულ ეკონომიკას დიდ საფრთხეს უქმნის.

V1. ფულად-საკრედიტო სფეროს სტაბილურობა

- ა. ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობის დონე

- ეროვნული ვალუტის რეალური
მსყიდველობითი უნარი (პარიტეტი)
- ბ. საბანკო სისტემის მდგრადობის ხარისხი
 - მოკლევადიანი დეპოზიტების ხვედრი წილი
ანაბრების მთელ მოცულობაში %
 - უცხოურ და ეროვნულ ვალუტაში
დეპოზიტების თანაფარდობა («დოლარიზაციის
კოეფიციენტი») 25-30%
 - გრძელვადიანი კრედიტების მინიმალური
მოცულობა მთლიან საკრედიტო პორტფელში %
 - ფულის ბრუნვის სიჩქარე

VII. სასურსათო უსაფრთხოების დონე

- ა. სასიცოცხლო მნიშვნელობის სასურსათო
რესურსების მარაგების ნორმა 60 დღე
 - ბ. საკუთარი სასურსათო პროდუქციის წარმოების
ტემპები %
 - გ. თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი
(იმპორტირებული სასურსათო
პროდუქციაზე დამოკიდებულების
მაქსიმალურად დასაშვები დონე) 30-40%
- სასურსათო უსაფრთხოების დონე განისაზღვრება ძირითადი სასურსათო პროდუქტების დღიური მარაგებით. «ფაო»-ს (სურსათის მსოფლიო ორგანიზაცია) მიერ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით, უსაფრთხოების მინიმალური დონე შეადგენს სასიცოცხლო მნიშვნელობის სურსათის (ხორბალი, ფქვილი, შაქარი, ზეთი, ხორცის და თევზის კონსერვები და ა. შ.) მოხმარების 60 დღის მარაგს.

თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი განისაზღვრება სურსათის საერთო მოხმარების მოცულობის შეფარდებით ადგილზე წარმოებული სურსათის მოცულობასთან. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ეს კოეფიციენტი უკანასკნელ ოც წელიწადში 99-დან 113%-მდე გაიზარდა, ხოლო განვითარებად ქვეყნებში კი პირიქით, შემცირდა 103-დან 98%-მდე.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ბოლო ათი წლის მანძილზე თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 99-დან 94%-მდე შემცირდა.

VIII. ენერგეტიკული უსაფრთხოების დონე

- ა. საკუთარი სათბობ-ენერგეტიკული - %
რესურსებით უზრუნველყოფის
დონე და მისი ზრდის პოტენციალი
- ბ. იმპორტირებული სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით
უზრუნველყოფის დივერსიფირების დონე

გ. ძირითადი ენერგეტიკული რესურსების
მარაგების ნორმა

- 90 დღე

IX. ერთიანი ეკონომიკური სივრცის დაცვის დონე (ხარისხი)

ა. სტრატეგიული დარგების

ამ დარგის ძირითადი უცხოური კაპიტალისგან ფონდების, დასაქმებულთა, დაცვის ხარისხი წარმოების და რეალიზაციის 20-30% გაკონტრო ლების შემთხვევაში

ბ. ეკონომიკური საზღვრების დაცვის
ხარისხი

ეკონომიკური გლობალიზაციის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი «თავისუფალი ვაჭრობა» ორლესული მახვილივითაა: პოზიტიურ ეკონომიკურ პროცესებს, ხშირად ეროვნული ეკონომიკისათვის ნეგატიური შედეგის მომტანი ფაქტორები ახლავს. ამიტომ ეროვნული ეკონომიკური სივრცის და ადგილობრივი ბაზრის დაცვის მოქნილი სისტემის ფორმირება ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების უმნიშვნელოვანესი პრობლემაა.

X. ეკონომიკის კრიმინალიზაციის მაჩვენებელი

ა. კორუფციის დონე

ბ. ეკონომიკური დანაშაულის
ზრდა

%

გ. «ჩრდილოვანი» ეკონომიკის მაქსიმალური
ხვედრი წილი მშპ-ში

5-10%

ეკონომიკის კრიმინალიზაცია ეეუ მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამ დროს მცირდება საგადასახადო შემოსავლები და ადგილი აქვს ბიუჯეტის დეფიციტს, რის გამოც სახელმწიფო კარგავს მაკროეკონომიკური მართვის ფინანსურ ბერკეტებს. უკიდურესად მწვავდება სოციალური პრობლემები, იზრდება «უფსკრული» მდიდრებსა და ღარიბებს შორის, სუსტდება საბაზრო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი – კონკურენცია, სახელმწიფო ქონების პრივატიზების დროს იკარგება სამართლიანობისა და ეფექტურობის პრინციპი. ფერხდება საზოგადოების სტაბილური განვითარების გადამწყვეტი წინაპირობის – საშუალო ფენის ჩამოყალიბების პროცესი.

ყოველივე ზემოაღნიშნული საბაზრო სისტემის დისკრედიტირებას ახდენს, რაც განსაკუთრებით საშიშია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის.

ეკონომიკური სახის დანაშაულები პირობითად შემდეგნაირად შეიძლება დავაჯგუფოთ:

- დარღვევები საქონლის იმპორტირებისას (კონტრაბანდა, დასაბეგრი მოცულობის ხელოვნური შემცირება და ა. შ.);

- დარღვევები საქონლის ექსპორტირებისას (ფიქტიური ექსპორტის გაფორმების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დღგ-ის უკანონოდ მიღება; ნედლეულის ექსპორტისას დოკუმენტაციის გაყალბების გზით მისი მზა პროდუქციად გაფორმება და შეასაბამისი აკრძალვებისა და შეზღუდვებისაგან თავის დაღწევა და სხვ.);

- ბიუჯეტში გადასახადების გადახდისაგან თავის არიდება (წარმოებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების რეალური მოცულობების დამალვა; მოგების მოცულობის დამალვა; ხელფასის ფონდიდან გადასახადის ხელოვნური შემცირება და ა. შ.);

- დარღვევები სახელმწიფო ქონების პრივატიზებისას (კონკურსებისა და აუქციონების გაყალბება; სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებიდან მისაღები დივიდენდების ხელოვნური შემცირება და სხვ.);

- დარღვევები სახელმწიფოს საგარეო ვალის კლირინგული ოპერაციებით მომსახურებისას და ა. შ.

საერთაშორისო ორგანიზაცია «ტრანსპერენს ინტერნეიშენალი» ყოველწლიურად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ატარებს კორუფციისა და მასთან დაკავშირებული მოვლენების შესწავლას, რისთვისაც ტარდება იმ უცხო ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური ექსპერტების, ანალიტიკოსებისა და ბიზნესმენების გამოვითხვა, რომლებიც შესასწავლ ქვეყანაში მოღვაწეობენ. გამოვითხვა ეხება მექრთამეობის და კორუფციის ხერხებს, მეთოდებს და ინტენსივობას, როგორც სახელმწიფო (ძირითადად საგადასახადო, საბაჟო და სამართალდამცავი ორგანოები, მერიები და მუნიციპალიტეტები), ასევე სხვა სტრუქტურებშიც.

XI. ეკონომიკის სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორების ოპტიმიზაცია

ა. სახელმწიფო სექტორის წილი,	
სულ მშპ-ში მ.შ.	15-20%
– მანქანათმშენებლობის პროდუქცია	%
– სათბობ-ენერგეტიკული სექტორი	%

XII. სამეცნიერო-ტექნიკური და ინტელექტულური პოტენციალისუსაფრთხოება

ა. განათლებაზე გაწეული დანახარჯების მინიმალური დონე	მშპ-ის 2%
ბ. მეცნიერებაზე გაწეული დანახარჯების მინიმალური დონე	მშპ-ის 5%
გ. სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის განვითარებაზე გაწეული დანახარჯების	

მინიმალური დონე	მშპ-ის 2-3%
დ. დანახარჯები ინოვაციაზე	მშპ
ე. მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ემიგრაციის კრიტიკული დონე (ზღვარი)	%-ად მთლიან რაოდენობასთან

ზემოაღნიშნული ინდიკატორები, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის უსაფრთხოების მაჩვენებლებთან ერთად განსაზღვრავენ სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის ტემპებს და ის ქვეყნები, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ამ პარამეტრებს ეკონომიკური განვითარების მარგინალურ (პერიფერიულ) შრეებში რჩებიან. მათი როლი და მნიშვნელობა მსოფლიო გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში მხოლოდ დამხმარე და ვიწროსპეციალიზაციის ფუნქციებით შემოიფარგლება. მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ემიგრაციის («ტვინების გადინების») კრიტიკული ზღვარის გადამეტება მნიშვნელოვანი საფრთხის მატარებელია ნებისმიერი ქვეყნისათვის, რაც შემდეგი ძირითადი მიზეზებითაა განპირობებული:

- ა) იკარგება სპეციალისტის მომზადებაზე გაწეული თანხები;
- ბ) მცირდება ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალი;
- გ) ემიგრირებული სპეციალისტები უკვე სხვა ქვეყნისთვის ქმნიან კონკურენტუნარიან პროდუქტს.

XIII. სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის კომუნიკაციების უსაფრთხოება პროცენტობით

ა. სატრანსპორტო არხების
დივერსიფიცირების დონე

– რკინიგზით გადატანილი ტვირთების მოცულობის ზრდის ტემპი	%
– საავტომობილო ტრანსპორტით გადატანილი ტვირთების მოცულობის ძრდის ტემპი	%
– სამოქალაქო ავიაციით ტვირთზიდვის ზრდის ტემპი	%
– საზღვაო ფლოტით ტვირთზიდვის ზრდის ტემპი	%
– ნავთობ და გაზსადენების ხვედრითი წილი მთლიან ტვირთბრუნვაში	%

ბ. კავშირგაბმულობის და ელექტრონული კომუნიკაციის
დივერსიფიცირების დონე

ხაზგასმით უნდა ავღნიშნოთ, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ეეუ შეფასების ძირითადი ინდიკატორების და პარამეტრების ზემოთ მოტანილი ჩამონათვალი გარკვეულწილად პირობითია და იცვლება კონკრეტული ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

დასასრულ უნდა ავღნიშნოთ, რომ დღეისათვის ეკონომიკური გლობალიზაციის ძირითადი ფაქტორების საქართველოს ეროვნულ ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე ზემოქმედების შეფასება და თანმდევი ნეგატიური მოვლენების განეიტრალება მნიშვნელოვან პრობლემადაა ქვეული.

ამიტომ, ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასების ერთიანი სისტემის ფორმირება: შეფასების ინსტიტუციური უზრუნველყოფა; შეფასების სისტემისა და მეთოდების განსაზღვრა და შეფასების ძირითადი ინდიკატორებისა და პარამეტრების ფორმირება, ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ამოცანად გვესახება.

სწორედ ამ საკითხების დროულ და ეფექტურ გადაწყვეტაზე იქნება დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ეკონომიკური ინტერესების მუდმივი დაცვა და ეკონომიკის დინამიური და სტაბილური განვითარება, როგორც მშვიდობიან (ნორმალურ) პერიოდში (პირობებში), ასევე საშინაო და საგარეო ექსტრემალური სიტუაციებისა და სამხედრო-პოლიტიკური, - ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვ. საფრთხეების ზემოქმედების გათვალისწინებით.

გიორგი ღალანიძე, პროფესორი

ეკონომიკური ინდექსები და ეკონომიკური რეალობა

ეკონომიკური განვითარების ინდექსები სხვადასხვა ამოცანების შესასრულებლად ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ამ ტიპის ინდექსების გამოყენება განსაკუთრებით აქტუალური გახდა გლობალიზაციის ფონზე, როდესაც მსოფლიო ეკონომიკაში სრულიად ახალი კონკურენტული ვითარება ჩამოყალიბდა. ეს ვითარება იქმნება ეკონომიკური განვითარების მსოფლიო კანონზომიერებათა შეუქცევადობით, თანამშრომლობის აუცილებლობით, რომლის შინაგანი დინამიზმი მარტივად შეიძლება დავახასიათოთ ფორმულით – ყველა ყველას კონკურენტია. საერთაშორისო ორგანიზაციები სახელმწიფოების მთავრობებს სთავაზობენ სხვადასხვა ინდექსებით შეაფასონ თავიანთი ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებები. ამ ინდექსების გამოყენება არ ცვლის ცხოვრების დონის ან ცხოვრების ხარისხის შეფასების ფუნდამენტალურ მაჩვენებლებს, ისეთებს როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე ან ადამიანის განვითარების ინდექსი. ამ ინდექსების არსებობა პირველ რიგში აიხსნება სურვილით დაანახონ სხვადასხვა სახელმწიფოებს მათი რეალური პრობლემები და ამდენად პოლიტიკური ნება და მალისბმევა მიმართული იქნას სწორედ ამ

პრობლემების მოგვარებაზე. სხვა საკითხია თუ როგორ დასკვნებს გააკეთებენ სხვადასხვა სახელმწიფოები და როგორი მიმართულებით წარმართავენ თავიანთ ძალისხმევას.

საქართველოს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, სოციალური პრობლემები და მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის დაბალი ტემპით ზრდა, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, საქართველოს მიერ რამოდენიმე მნიშვნელოვან ეკონომიკურ ინდექსში მაღალი ადგილების დაკავება აშკარად ქმნის გარკვეულ დაბნეულობას და ხშირად გამოიხატება მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მიერ ამ ინდექსებისადმი დაბალ ნდობაში. წინამდებარე სტატია ეფუძნება ავტორის მიერ ჩატარებულ კვლევას და წარმოაჩენს ამ საკითხის ფართო აუდიტორიისათვის უკეთ გაცნობის მცდელობას.

ჩვენი ყურადღება ამჯერად შეჩერდება სამ მნიშვნელოვან იდექსზე: ბიზნესის კეთების სიმარტივე; ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი; გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი. პირველი ორი ინდექსი არა მხოლოდ სპეციალისტებისათვის, არამედ მოსახლეობის ფართო ფენებისათვისაც კარგად არის ცნობილი, თუმცა ბოლო ინდექსზე მხოლოდ აკადემიურ წრეებში მსჯელობენ.

ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსს ამუშავებს საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, მსოფლიო ბანკის ერთ-ერთი შემადგენელი სტრუქტურა. აღნიშნული ინდექსი ძირითადად ორიენტირებულია პოტენციურ ინვესტორებზე, რათა მათ შეექმნათ ნათელი წარმოდგენა სხვადასხვა ქვეყნებში ბიზნესის წარმოების პროცესზე. ინდექსი აგებულია ათი მაჩვენებლის საფუძველზე, რომლებსაც თანაბარი წონები აქვთ მინიჭებული. ეს მაჩვენებლებია: ბიზნესის დაწყება; სამშენებლო ლიცენზიების რაოდენობა; მუშაკთა დაქირავება; საკუთრების რეგისტრაცია; კრედიტის აღების შესაძლებლობა; ინვესტორთა დაცვა; გადასახადების გადახდა; საზღვრისპირა ვაჭრობა; კონტრაქტების შესრულება; ბიზნესის დახურვა. თავისთავად ცხადია, რომ სხვადასხვა მაჩვენებლები სხვადასხვა ერთეულებში იზომება.

საქართველომ 2005 წლიდან დაწყებული საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია.

ცხრილი 1.

საქართველოს ადგილი ბიზნესის კეთების სიმარტივით


	ბიზნესის ეკონომიკური ტენდენცია	ბიზნესის სიმარტივე	სამშენებლო მდგრადირების რაოდენობა	მუშაკთა დაწყების რაოდენობა	საკუთრების რეგისტრაცია	კრედიტის მისამართის დაწყებულობა	ინვესტიციების მისამართის დაწყებულობა	გადახდა ბაზარზე გადახდა	საზღვრის მისამართის გადახდა	კრედიტის მისამართის გადახდა	პაზუსტი სასახლეების მისამართის გადახდა	
საქართველო	11	5	7	9	2	30	41	64	30	41	95	

იმავე პერიოდში ინვესტიციების ზრდის გათვალისწინება ნათლად მიანიშნებს, რომ ინდექსმა აშკარად აჩვენა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები, კერძოდ კი ლიბერალიზაცია, რომელმაც შეამცირა ადმინისტრაციული ბარიერები და ამდენად საქართველომ საბოლოო ჯამში საკმაოდ მაღალი ადგილები დაიკავა. ამავე

პერიოდში საქართველომ, როგორც რეფორმატორმა სახელმწიფომ, მიიღო ძალიან მაღალი შეფასება.

ცხრილი 2.

საქართველოს ადგილები ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით



მონაცემების ზედაპირული ანალიზიც კი აჩვენებს, რომ საქართველოს მაჩვენებლები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა, პირველი ოთხი მაჩვენებლით საქართველო აშკარად ლიდერობს, ხოლო დანარჩენ ექვს მაჩვენებელში მისი შედეგები გაცილებით უარესია. უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ოთხი მაჩვენებელი პირადაპირ უკავშირდება ადმინისტრირების პროცესს და ამდენად ამ მაჩვენებლების მიხედვით მდგომარეობის გაუმჯობესება პოლიტიკური ნების პირობებში შესაძლებელი იყო. საქართველოს მთავრობას ეს პოლიტიკური ნება გააჩნდა და შესაბამისად გატარებულმა ლიბერალურმა რეფორმებმა გარკვეული დადებითი შედეგები გამოიღო. დანარჩენი მაჩვენებლები მოითხოვდნენ სიღრმისეულ კაონომიკურ რეფორმებს, რომელთა განხორციელება, ერთი მხრივ, დროის მოკლე მონაკვეთში ძალზე რთულია, და, მეორე მხრივ, მათი დადებითი შედეგები კაონომიკაზე მყისიერად არ აისახება. შევჩერდეთ ორ მაჩვენებელზე, რომელშიც საქართველოს ყველაზე ცუდი შედეგები აქვს. ესაა საგადასახადო ადმინისტრირება და ბიზნესის დახურვა. საგადასახადო ადმინისტრირება ნიშნავს არა მხოლოდ საგადასახადო სტრუქტურების ძალაუფლებას, არამედ გადასახადების გადახდის საყოველთაობას. ნებისმიერ ბიზნესს ჭირდება გადასახადების გადახდაში საყოველთაობა, რათა კონკურენტულ ბრძოლაში ყველა თანაბარ მდგომარეობაში იყოს ჩაყენებული. შერჩევითობა გადასახადების გადამხდელების მიმართ გარკვეულ გადამხდელებს აყენებს უკეთეს პირობებში და ხელს არ უწყობს თავისუფალი კონკურენციის პრინციპების განვითარებას.

საბაზრო ინფრასტრუქტურის შემადგენელი სტრუქტურების განუვითარებლობა ზღუდავს ტაქტიკური ინვესტორებისათვის ქვეყნიდან გასვლას და ამდენად არ უწყობს ხელს მათ შემოსვლას ქვეყანაში. ტაქტიკური ინვესტორების მოსაზიდად აუცილებელია საბირჟო ვაჭრო ბის სისტემის განვითარება, რაც საშუალებას მოგვცემს გავუმარტივოთ ტაქტიკურ ინვესტორებს ფუნქციონირება, სამწუხაროდ, აქციონირების პროცესი საქართველოში არასოდეს არ სარგებლობდა მაღალი პოპულარობით და ეს ობიექტურად ართულებს პროცესს.

ალბათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა შევაჩეროთ ორი, თითქოს ერნაირი ბუნების მქონე, მაჩვენებლის აშკარა განსხვავებაზე. ბიზნესის დაწყება საქართველოში

საკმაოდ მარტივია და შესაბამისად გვაქვს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი, ხოლო ბიზნესის დახურვაში ყველა სხვა მაჩვენებელთან შედარებით ყველაზე უარესი შედეგი. თავისი ბუნებით ეს ორი მაჩვენებელი მიეკუთვნება ადმინისტრირების სფეროს და ამდენად ასეთი განსხვავება არალოგიკურია. რეალურად ბიზნესის დაწყება მიეკუთვნება დისციპლინარულ ადმინისტრირებას, ანუ ბიზნესის დაწყება რეგულირდება ლიცენზიებითა და ნებართვებით, შესაბამისად ლიცენზიებისა და ნებართვების გაუქმება ამარტივებს ბიზნესის დაწყების პროცესს. ბიზნესის დახურვა კი მაკონტროლებელი ადმინისტრირების სფეროა და აქ მხოლოდ ნებართვების ან ლიცენზიების შემცირებით შეუძლებელია პროცესის გამარტივება. განსხვავება ადმინისტრირების ამ ორ ფორმას შორის აშკარად მიანიშნებს თუ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას მდგომარეობის გამოსასწორებლად. ეს განსხვავება ასევე ადასტურებს თუ რატომ არის საქართველოს განმაზოგადებელი ეკონომიკური მაჩვენებელი მშპ მოსახლეობის ერთ სულზე აშკარა დისონანსში იმ სახელმწიფოებთან შედარებით, რომლებსაც ამ ინდექსით დაახლოებით საქართველოს მსგავსი მაჩვენებელი აქვთ¹.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის გაანგარიშებას აწარმოებენ ისეთი ცნობილი ორგანიზაციები, როგორიცაა ჰერიტეჯის ფონდი და უოლსტრიტ ჟურნალი (Heritage Foundation & Wall Street Journal). ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ასევე აგებულია ათი თავისუფლების პრინციპზე: ბიზნესის; ვაჭრობის; ფისკალური; სამთავრობო დანახარჯები; მონეტარული; საინვესტიციო; ფინანსური; საკუთრების უფლებები; კორუფცია და სამუშაო ძალა.

ცხრილი 3

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი (2010)

ქვეყნა-მიერა	ბიზნესის თავისუფლება	გატრობის თავისუფლება	ფინანსურის თავისუფლება	სამთავრობის თავისუფლება	მონეტარული თავისუფლება	სამთავრობის თავისუფლება	ფინანსურის თავისუფლება	საქართველოს ბეჭისაღაცვა	ქორწილის მაღალა	სამუშაო ძალა	ქვეყნის მიერა თავისუფლება
საქართველო	87,9	89,1	89,1	65,3	70,2	70,0	60,0	40,0	39,0	93,7	26

აქაც, ისევე როგორც პირველ შემთხვევაში, გამოიყოფა მაჩვენებელთა ორი ჯგუფი მაღალი მაჩვენებლები და დაბალი მაჩვენებლები. ამ უკანასკნელს განეკუთვნება საკუთრების უფლებები და კორუფცია. პრინციპულად აქაც იკვეთება იგივე ტენდენცია ადმინისტრირების გაუმჯობესების ხარჯზე, კერძოდ, ძალიან სწრაფი ლიბერალიზაციით საქართველომ მიაღწია რამოდენიმე მაჩვენებლის მიხედვით ძალიან კარგ შედეგებს, რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი, კერძოდ, 26-ე ადგილი მსოფლიოში და მე-14 ევროპაში.

სამწუხაროდ, საქართველო ვერ დაიკვენის თავის მაჩვენებლებს გლობალურ კონკურენტუნარიანობაში. ამ უკანასკნელ ინდექსს აქვეყნებს მსოფლიო ეკონომიკური

¹ ამ საკითხთან დაკავშირებით მიზანშეწონილია იხილოთ პროფესორ დავით იაკობიძის სტატია ამავე კრებულში

ფორუმი (World Economic Forum). 2010-11 წლების გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით საქართველო 93-ე ადგილზეა.

უფრო დეტალურად განვიხილოთ კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდოლოგიური ასპექტები. მაჩვენებლები დაყოფილია სამ ჯგუფად: საბაზისო მოთხოვნები; ეფექტურობის ზრდის ხელშემწყობი ფაქტორები; ინოვაცია და კომპლექსურობა (განვითარებულობა).

საბაზისო მოთხოვნები იყოფა ოთხ მიმართულებად (თითოეულის წონაა 25%): 1. ინსტიტუტები, რომლებიც თავის მხრივ იყოფა სახელმწიფო (75% მიმართულების შიგნით) და კერძო (25%); 2. ინფრასტრუქტურა, რომელიც ორ ჯგუფად იყოფა (თანაბარი წონებით 50%). სატრანსპორტო, და ენერგო და სატელეფონო; 3. მაკროეკონომიკური გარემო; 4. ჯანდაცვა და დაწყებითი განათლება, რომელიც იყოფა ორ თანაბარ წონიან ქვეჯგუფად ჯანდაცვა და დაწყებითი განათლება.

ეფექტურობის ზრდის ხელშემწყობი ფაქტორები იყოფა:

5. უმაღლესი განათლება და ტრეინინგი (17%), რომელიც იყოფა სამ (33%) ქვეჯგუფად: განათლების რაოდენობრივი მაჩვენებლები; განათლების ხარისხობრივი მაჩვენებლები და პროფესიული ტრეინინგი;

6. სასაქონლო ბაზრების ეფექტურობა (17%), რომელიც იყოფა კონკურენცია (67%) და მოთხოვნის ხარისხობრივი პირობები (33%);

7. სამუშაო ძალის ბაზრის ეფექტურობა (17%), რომელიც იყოფა ორ თანაბარ ქვეჯგუფად: მოქნილობა და ტალანტის გამოყენების ეფექტურობა;

8. ფინანსური ბაზრების განვითარება (17%) იყოფა ორ თანაბარწონიან ქვეჯგუფად: ეფექტურობა და სანდოობა;

9. ტექნოლოგიური მზადყოფნა (17%) იყოფა ორ თანაბარ წონიან ჯგუფად: ტექნოლოგიების ათვისება და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება;

10. ბაზრის ზომა (17%), იყოფა შიდა ბაზრის ზომა (75%) და საგარეო ბაზრების ზომა (25%). ინოვაცია და კომპლექსურობა (განვითარებულობა), რომელიც იყოფა ორ თანაბარწონიან ქვეჯგუფად:

11. ბიზნესის განვითარება;

12. ინოვაციურობა.

ცალკეული ქვეჯგუფები, თავის მხრივ, წარმოდგენილია სხვადასხვა მაჩვენებლებით, გაანგარიშების კონკურეტული მეთოდიკები მოცემულია ტექნიკურ დანართში. შესაძლებელია განვიხილოთ სხვადასხვა სახელმწიფოების სამივე მაჩვენებელი, რათა საბოლოო ჯამში შეგვექმნას წარმოდგენა ამ მაჩვენებლების ურთიერთკავშირზე და მათ კავშირზე რეალურ ცხოვრების დონესთან.

ცხრილი 4

სახელმწიფოების შედარებითი მაჩვენებლები წამყვანი ეკონომიკური
ინდექსების (საერთაშორისო) მიხედვით

სახელმწიფო	ეკონომიკური თავისუფლების 42748 ინდექსი	გლობალური კონკურენტუნარ იანობა	ბიზნესის კეთების სიმარტივე	შშპ ერთ სულზე აშშ დოლარებში სსფ 2009
ჰონ-კონგი	1	11	3	42748
სინგაპური	2	3	1	50523
ავსტრალია	3	16	9	38911
ახალი ზელანდია	4	23	2	26708
ირლანდია	5	29	7	39468
შვეიცარია	6	1	21	43007
კანადა	7	10	8	38025
აშშ	8	4	4	45381
დანია	9	9	6	35757
ჩილე	10	30	49	14341
დიდი ბრიტანეთი	11	12	5	34519
მაერიკი	12	55	17	12527
ბაჰრეინი	13	37	20	27068
ლუქსემბურგი	14	20	64	78395
ჰოლანდია	15	8	30	39938
ესტონეთი	16	33	24	17908
ფინეთი	17	7	16	33556
ისლანდია	18	29	14	38023
იაპონია	19	6	15	32608
მაკო	20	-	-	33000 ²
შვედეთი	21	2	18	35965
ავსტრია	22	18	28	38839
გერმანია	23	5	25	34212
კვიპროსი	24	40	40	28544
სენტ ლუსია	25			10178
საქართველო	26	93	11	4757
ტაივანი	27	13	46	31834
ბოკვანა	28	76	45	13992
ლიტვა	29	47	26	16542
ბელგია	30	19	22	35422

² ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაცემები 2009 წ.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის და ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით სახელმწიფოები ძირითადად მსგავს მაჩვენებლებს აჩვენებენ რამოდენიმე გამონაკლისის გარდა. ამდენად ეს ორი მაჩვენებელი ძირითადად ორიენტირებულია რათა განისაზღვროს სახელმწიფოს პოტენციალური შესაძლებლობები და ამდენად ამ მაჩვენებლებსა და რეალურ ცხოვრების დონეს შორის უშუალო კავშირი არა. რასაკვირველია, მაღალი შედეგების მიღწევა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ, როგორც უაზრო ახირება. ამ ორი ინდექსის მიხედვით მაღალი შედეგები ქმნიან დადებით ფონს სახელმწიფოს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისათვის და პოზიტიურ ზეგავლენას ახდენენ პოტენციურ ინვესტორებზე.

კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელი კი გამოხატავს სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების დონეს და მისი კავშირი რეალურ ცხოვრების დონესთან აშკარაა. სამწუხარო ფაქტია, რომ საქართველოს კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლები ინარჩუნებენ სტაბილურ დინამიკას და არ უმჯობესდებიან ბოლო სამი წლის განმავლობაში. ეს აშკარად მიუთითებს სიღრმისეული ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობაზე. ჩატარებულმა ლიბერალიზაციამ მოგვცა გარკვეული დადებითი შედეგები, თუმცა შემდგომი გაუმჯობესება ამ მიმართულებით პრაქტიკულად არ მოიტანს რაიმე გარღვევას.

ეკონომიკური რეფორმირების შემდეგი ტალღა უკვე ორიენტირებული უნდა იქნას კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, კერძოდ ინფრასტრუქტული პროექტები უნდა გაღრმავდეს, ვინაიდან მათი ეფექტი მოკლე დროის პერიოდებში იქნება გამოვლენილი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კურსი განათლების უპირობო პრიორიტეტად გამოცხადებაზე ცალსახად სწორია. ასევე დადებითად უნდა შეფასდეს ახალი ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მშენებლობის გადაწყვეტილება, რამაც მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი საქართველოს ძალზე დაბალი მაჩვენებლების გაუმჯობესებას ინოვაციებთან მიმართებაში. ძალზე სერიოზულ ფაქტორად რჩება ბიზნესისა და მეცნიერების დაახლოების საკითხი. სამწუხაროდ, როგორც მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს აქ სწრაფი და ცალმხრივი გადაწყვეტილებები არ მუშაობენ და აუცილებელია კარგად გააზრებული სტრატეგიის შემუშავება. ამ სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები შესაძლებელია უკვე ეხლა გამოვკვეთოთ: ბიზნეს ინკუბატორების ქსელების ფორმირება უმაღლეს სასწავლებლებთან, უმაღლესი სასწავლებლების ბაზაზე ტექნოპარკების ან ტექნოპოლისების შექმნა, საგადასახადო შეღავათების დაწესება თუ კერძო კომპანიები ახდენენ მოგებიდან სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსებას, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების თანადაფინანსება სახელმწიფო და კერძო კომპანიების მიერ.

ამ ღონისძიებების კონცეპტუალიზაცია შესაძლებელია ერთიან სახელმწიფო პროგრამაში, რომელიც ორიენტირებული იქნება კონკურენტუნარიანობის მუდმივ ზრდაზე. ამავე პროგრამის ფარგლებში მიზანშეწონილია ყოველწლიურად დამუშავდეს კონკურენტუნარიანობის ანგარიში და სამოქმედო გეგმა. აღნიშნული პრაქტიკა ფართოდ გამოიყენება დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, განსაკუთრებით შთამბეჭდავია ამ მიმართულებით ირლანდიის რესპუბლიკის გამოცდილება და მიღწევები. პრაქტიკულად კონკურენტუნარიანობის ზრდის სამოქმედო გეგმა წარმოადგენს საზოგადოების ფართო კონსენსუსის ობიექტს, რომელსაც ეთანხმებიან როგორც

სახელმწიფო ასევე კერძო სტრუქტურები და არასამთავრობო სექტორი. მიზანშეწონილია კონკურენტუნარიანობის აზგარიში და სამოქმედო გეგმა შეიძლებას კარგად ცნობილმა და ნდობით აღჭურვილმა კვლევითმა ცენტრმა. ამ სამუშაოებში ფართოდ იქნებიან წარმოდგენილი აკადემიური წრეები, ერთი მხრივ, როგორც კონსულტანტები, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ოპონენტები.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. <http://www.doingbusiness.org/economyrankings/>;
2. <http://www.heritage.org/index/>;
3. <http://www.weforum.org/en/initiatives/gcp/Global%20Competitiveness%20Report/index.htm>.

ნიკო კვარაცხელია, პროფესორი

კონკურენტული უპირატესობის მიღწევა ტურიზმში, როგორც პრაგმატული სახელმწიფო პოლიტიკის წარმატება ურუგვაისა და უკრაინის მაგალითზე

ტურიზმი საქართველოში დინამიურად ვითარდება. განსაკუთრებით მაღალია ბოლო წლების მაჩვენებლები. დამოუკიდებელმა საქართველომ პირველად მიიღო წელიწადში მიღიონ ტურისტს მეტი, რაც არსებული ინფრასტრუქტურის პირობებში დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ქვეყანას, ტურისტული პოტენციალის სრულად ათვისების შემთხვევაში, შეუძლია წელიწადში 6-7 მიღიონი ტურისტის მიღება. ასეთი წარმატების მიღწევა კი შესაძლებელია სახელმწიფოს ხელშეწყობით და მსოფლიოში დაგროვილი გამოცდილების შემოქმედებითად გადმოღებით. აღნიშნულის შესანიშნავი მაგალითია ურუგვაი და უკრაინა.

ურუგვაი ტურისტული ქვეყანაა მრავალი კონკურენტუნარიანი უპირატესობებით. მათ შორისაა ულამაზესი ბუნებრივი პეიზაჟები და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა. ქვეყნის სომბოლო «მზე და ქვიშა» განსაზღვრავს მის დანიშნულებას. მაგრამ ამასთანავე ურუგვაიში დღითიდღე უფრო პოპულარული ხდება სოფლის ტურიზმი. ეს მიმართულება ძირითადი ხდება სახეობებს შორის. იგი წარმოადგენს მოსახლეობისთვის დამატებითი შემოსავლების მიღებისა და დასაქმების წყაროს, ამავე დროს საექსპორტო პროდუქტთა შორის სოფლის ტურიზმი უკვე პირველ ადგილზეა.

ურუგვაის ტერიტორია 176 215 კვ.კმ-ია. მოსახლეობა 2006 წლის მონაცემებით 3 323 906 ადამიანს შეადგენს. საქართველოსთან შედარებით მისი ტერიტორია სამჯერ დიდია, ხოლო მოსახლეობა საქართველოზე ნაკლები. ლანდშაფტებს შორის ჭარბობს ხასხასა მწვანე საძოვრები და ბუნებრივი პეიზაჟები. მთაგორიანი სოფლები თავს იწონებენ მწვანე ტყეებით და თეთრი ქვიშის პლაჟებით. მდინარეებით დაქსელილი ქვეყნის ტერიტორია სავსეა ტბებითა და წყალსაცავებით, ჭარბტენიანი ადგილებითა და ჭაობებით, სადაც 450-ზე მეტი სახეობის ფრინველი ბინადრობს, ზღვაში მრავლადაა კუ და ზვიგენი.

1975 წელს ურუგვაიში მიღებული კანონის თანახმად სახელმწიფო იცავს ფლორას და ფაუნას და აღიარებს ტურიზმს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად. კანონმდებლობით ტურიზმს დაკისრებული აქვს სოციალური ფუნქცია და განიხილება, როგორც დასვენებისა და ძალების აღდგენის საშუალება [10]. დიდი ყურადღება ექცევა ტუროპერატორებისა და ამ სფეროში მომსახურების მიმწოდებლობის საქმიანობას. აღნიშნული კანონით ტურიზმის განვითარებაზე პასუხისმგებელი ორგანოა ტურიზმისა და სპორტის სამინისტრო (MINTURD). აღმასრულებელ ხელისუფლებაში შექმნილია საკოორდინაციო საბჭო, ხოლო რეგიონებში ტურიზმის ოფისები. ურუგვაის 19 რეგიონში წარმატებით

მოქმედებს ტურიზმის ოფისები, რომლებსაც დამოუკიდებელი იერარქია და სტრუქტურა აქვთ. მათი საქმიანობა დინამიურს ხდის ტურიზმის განვითარებას. გარდა ამისა ქვეყანას გააჩნია ტურიზმის განვითარების ეროვნული სტრატეგია და სოფლის ტურიზმის განვითარების გეგმა. სოფლისა და ეკოტურიზმის განვითარების ეროვნული საბჭო (CONATUR) მოქმედებს ტურიზმისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით. ეს პროგრამა მხარდაჭერილია სახელმწიფოს მიერ ყველა დონეზე და მის განსახორციელებლად საერთაშორისო განვითარების ბანკმა (IDB) გამოყო სოლიდური თანხები. ურუგვაის სახელმწიფო პროგრამის მიხედვით ურუგვაის ტურიზმისა და სპორტის სამინისტროს დავალებული აქვს ”ტურიზმის სტრატეგიული დანიშნულების ამაღლება და კონკურენუნარიანობის გაუმჯობესება”. მასში ჩართულია ქვეყნის მთავრობა მთლიანად, ეროვნული კონგრესი, რეგიონული მმართველობები, ტურიზმის კომისია და წარმომადგენლობითი პალატა, კერძო სექტორი, ტუროპერატორები და კერძო პირები [7].

ცნება «სოფლის ტურიზმი» ურუგვაიში უფრო ფართო მნიშვნელობით იხმარება, ვიდრე ზოგადად ეს მიღებულია სხვა ქვეყნებში. სოფლის ტურიზმი განიხილება, როგორც სოფლის მეურნეობის აღორძინებისა და გაჯანსაღების საშუალება. მისი მიზანია ფერმერთა შემოსავლების ზრდა. ამიტომ ურუგვაის სასოფლო თემები აქტიურად არიან ჩართული ამ პროგრამის განხორციელებაში.

პროგრამა გულისხმობს შემდეგ ქმედებებს:

ა) დაკვირვება, ან აქტიური მონაწილეობა წარმოების პროცესში სოფლად: პასიური და აქტიური ქმედებები, როგორიცაა შინაური ცხოველების მოვლა, წველა, მონაწილეობა მოსავლის აღებაში, ნადირობა, თევზაობა და ა.შ.;

ბ) ცხენზე სეირნობა: ფერმის ტერიტორიაზე, ან სპეციალურ მარშრუტებზე, შესაძლებელია ღამის თევით. ასეთი მოგზაურობების ხანგრძლივობაა რამდენიმე საათიდან, რამდენიმე დღის ჩათვლით. ურუგვაის გააჩნია შესანიშნავი ბუნებრივი პირობები დასვენების ამ ფორმის განსავითარებლად;

გ) ორნიტოლოგია. დასვენების ერთერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა დაცულ ტერიტორიებზე. თავისი მდებარეობის გამო (განსაკუთრებით ეკვადორთან სიახლოვე), ურუგვაიში მრავლადა გადამფრენ ფრინველთა სამიგრაციო ტერიტორიები, სადაც შესაძლებელია მათზე დაკვირვება;

დ) სპორტული საწყალოსნო შეჯიბრებები. ურუგვაი ითვლება მტკნარი წყლების სამოთხედ. ჩქარი მდინარეები საუკეთესო პირობებს ქმნის რაფტინგის, კანოეს, თევზჭერისა და სხვა სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად. ეთნოგრაფია, ანთროპოლოგია, გაუჩინს ტრადიციები ასევე მნიშვნელოვანია სოფლის ტურიზმით დაინტერესებისათვის. გასტრონომიული ტურიზმი სოფლის ტურიზმის განსაკუთრებული მიმართულებაა. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები, სოკოს შეგროვება, მწვადის – “asado”-ს მომზადება ადგილობრივი წესით, ცხენზე სეირნობა, ადგილობრივი ტრადიციებისა გაცნობა და სუვენირების დამზადება, ადგილობრივი კულინარიის დაგემოვნება დაუვიწყარს ქმნის ამ ქვეყნის სოფლის ტურიზმს.


2010 წლის ივნისში ურუგვაის პრეზიდენტმა ხოსე მუჯიკამ და გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (მტო) გენერალურმა მდივანმა ტალიბ რიფაიმ განიხილეს ურუგვაიში ტურიზმის განვითარების მდგომარეობა და სახელმწიფოს მიერ

გატარებული ღონისძიებების შედეგები. გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ურუგვაი არის მსოფლიოში ტურიზმის გონივრულად განვითარების საუკეთესო მაგალითი [11].

მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკა შეესაბამება მტო-ს რეკომენდაციებს, რაც იძლევა ურუგვაის უდიდესი ტურისტული პოტენციალის სრულად გამოყენების საშუალებას. ტ. რაფაის განმარტებით, ურუგვაის ისტორიაში არ დარეგისტრირებულა ტურიზმის სექტორის ასეთი ზრდა. აღსანიშნავია, რომ 2009 წელს ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 1.4 მილიარდი აშშ დოლარი, რაც ექსპორტიდან მიღებულ შემოსავლებს შორის სხვა დარგებთან შედარებით ყველაზე მეტია. ურუგვაიში ტურიზმის განვითარების დინამიკა გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) მონაცემების საფარებელზე, ასახულია ჩვენ მიერ შედგენილ დიაგრამაზე:

ნახ. №1

ურუგვაის საერთაშორისო ტურიზმის სტატისტიკა: 1. ჩამოსული უცხოელი ტურისტების რაოდენობა; 2. ტურიზმოდან მიღებული შემოსავლები აშშ დოლარებში. *



წყარო: გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია (UNWTO)

ურუგვაი მდიდარია აგრეთვე გეოთერმული სამკურნალო წყლებით, რომელთა გამოყენება შესაძლებელია წელიწადის ცივ თვეებში. დასავლეთ ურუგვაიში ფუნქციონირებს არაერთი კურორტი, სადაც თერმული წყლები სამკურნალოდ გამოიყენება. ასეთივე კურორტების დიდი რაოდენობაა არგენტინის ჩრდილო-აღმოსავლეთში. ძალიან წარმატებულია ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების საკითხებში კოოპერაცია არგენტინისა და ურუგვაის ტურიზმის ასოციაციებს შორის. ორივეგან ვითარდება ბალნეოლოგიური კურორტების ინფრასტრუქტურა და აგრეთვე მოსახლეობის მიერ თერმული წყლების საყოფაცხოვრებო მიზნებით გამოყენება [3].

ურუგვაელმა მეცნიერებმა გაანალიზეს 20 წლის (1987-2006) ყოველკვარტალური სტატისტიკური მონაცემები და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ქვეყანაში მაღალია

ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ეფექტიანობა და მისი გავლენა ერთიან ეროვნულ პროდუქტზე. ანალიზმა ცხადყო ის ფაქტიც, რომ ურუგვაიში ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ძირითადი წყარო მეზობელი არგენტინელების მიერ ურუგვაიში დახარჯული თანხებია [2].

ამ შემთხვევაში უცხოელების მიერ მომსახურებაზე დახარჯული თანხები განიხილება როგორც ექსპორტი, რომელმაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა. ურუგვაელმა მეცნიერებმა შექმნეს მოდელი – ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების ჰიპოთეზა (Export Led Growth Hypothesis (ELGH). საერთაშორისო ტურიზმის სასიკეთო გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე დაწვრილებით განიხილეს ჯერ კიდევ 2001 წელს შანმა და ვილსონმა (Shan & Wilson). მათი მტკიცებით ტურიზმს გააჩნია შემდეგი შესაძლებლობები: 1. ტურიზმიდან მიღებული ვალუტა მნიშვნელოვანი წყაროა წარმოების გასაფართოებლად; 2. ტურიზმი ასრულებს მასტიმულირებელ როლს ინვესტიციების მოზიდვაში და მისი მეშვეობით ახალი ინფრასტრუქტურის შექმნაში; 3. ამასთანავე ტურიზმი ხელს უწყობს ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებას და პირდაპირ თუ ირიბად ზემოქმედებს მათ ზრდაზე; 4. ტურიზმის მეშვეობით იზრდება დასაქმებულთა რაოდენობა და მათი შემოსავლები; 5. ტურიზმის განვითარების შედეგად იზრდება წარმოების სფერო; 6. ტურიზმი მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანური კაპიტალის ზრდის, ტექნიკური პროგრესის გავრცელების, სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის საქმეში.

ურუგვაი სამხრეთ ამერიკის ყველაზე პატარა ქვეყანაა. იგი მოქცეულია ბრაზილიასა და არგენტინას შორის და გააჩნია ლათინურ ამერიკაში ყველაზე დაბალი სასიცოცხლო მინიმუმი და სიცოცხლის ყველაზე მაღალი ხანგრძლივობა. ურუგვაი დემოკრატიის ტრადიციული ქვეყანაა, იგი გამორჩეულია ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობით და უსაფრთხოების მაღალი დონით. ეს მახასიათებლები იზიდავს სამხრეთ ამერიკელ ბიზნესმენებს და მდიდარ ფენას და დასასვენებლად ურუგვაის ანიჭებულ უპირატესობას. ურუგვაის ტურიზმი ძლიერ არის დამოკიდებული არგენტინაზე და სეზონურობაზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ურუგვაიში შემოსულ ტურისტთა 60% და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ნახევარი არგენტინელებზე მოდის, რაც აიხსნება ასწლეულობით ჩამოყალიბებული ტრადიციებით. ურუგვაის ზღვის სანაპირო ყველაზე ახლოსაა მეზობელი არგენტინის მოსახლეობის ერთი ნაწილისათვის. მით უმეტეს, რომ ტერიტორიული სიშორე ევროპისა და აშშ-ს ტურისტული ცენტრებიდან სამხრეთ ამერიკულ ტურიზმს აქცევს რეგიონულ ტურიზმად. აღსანიშნავია, რომ უმდიდრეს არგენტინელთა უმრავლესობას გააჩნია უმრავი ქონება ურუგვაის კურორტებზე, განსაკუთრებით საქვეყნოდ განთქმულ Punta del Este-ზე, მსოფლიო მნიშვნელობის კურორტზე, რომელიც ლიდერია ზღვის კურორტებს შორის და მასზე მოდის დამსვენებელთა ლომის წილი. ეს უნიკალური კურორტია მთელს სამხრეთ ამერიკაში და მას პერიოდულად იკვლევენ ცნობილი დაწესებულებები, რომლებიც ერთხმად აღიარებენ ფასისა და ხარისხის თანაფარდობას, რაც არგენტინელებისათვის მისაღებად ითვლება.

სპეციალისტებმა გამოიკვლიეს არგენტინელთა შემოსავლების ზრდასა და ურუგვაის მიერ მომსახურებაზე ფასების ზრდას შორის თანაფარდობა. რაც არგენტინელთა სამოგზაურო მოტივაციის გაზრდის საფუძველი გახდა. რაც შეეხება მთლიანი შიდა

პროდუქტის ელასტიურობას, კვლევის პერიოდში მოსახლეობის ერთ სულზე რეალური დანახარჯების ოდენობა გაიზარდა 0.42-ით. ეს იმას ნიშნავს, რომ დანახარჯების 100%-ით გაზრდის შემთხვევაში მთლიანი შიდა ეროვნული პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე 42%-ით გაიზრდებოდა.

ურუგვაიში ტურიზმი სამართლიანად განიხილება სავალუტო შემოსავლების შევსების მნიშვნელოვანი წყაროდ, მოსახლეობის დასაქმების რეალურ პირობად და ამდენად ქვეყნის ეკონომიკის ზრდის საშუალებად. ტურისტული ქვეყნების მთავრობების უმრავლესობა აღიარებს ტურიზმის კეთილმყოფელ გავლენას ეკონომიკის ზრდაზე და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. მათი ქმედებები შესაბამისად მიმართულია ტურისტული პოტენციალის პრაგმატულად გამოყენებისკენ. ურუგვაის ეკონომიკაში ტურიზმი ასრულებს მნიშვნელოვან როლს დღგ-ს გაზრდის თვალსაზრისით.

ამრიგად, ურუგვაი არის ტურისტული მიზნებით ქვეყნის შესაძლებლობების რაციონალურად გამოყენების შესანიშნავი მაგალითი. მისაბამია იგი ტურიზმის კანონმდებლობის მოწესრიგების, შემოსავლების ბიუჯეტში ასახვისა და დათვლის საკითხებში. რაც მთავარია, ურუგვაი წარმოადგენს იშვიათ ნიმუშს, როგორი სარგებლობა შეიძლება მოუტანოს პატარა ქვეყნას გაცილებით დიდ მეზობელ ქვეყნებთან გონივრული პოლიტიკის გატარებამ და კეთილმეზობლურმა დამოკიდებულებამ. სამწუხაროდ, ეს მაგალითი საქართველოსთვის რუსეთის ფედერაციის მტრული პოლიტიკის გამო სრულიად გამოუსადეგარია.

უკრაინა ევროპის ერთ ერთი უდიდესი ქვეყანაა. მისი ტერიტორია 603 628 კვ.კმ.-ია, ხოლო მოსახლეობა – 2010 წლის შეფასებით 45 962 900 ადამიანი. იგი, როგორც ტერიტორიით, ასევე მოსახლეობით, თითქმის ათჯერ აღემატება საქართველოს. ქვეყნის სიგრძე დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ 1300 კმ-ია, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 900 კმ-ს შეადგენს. უკრაინაში 981 კმ-ზე მოედინება ევროპის ერთ ერთი უდიდესი მდინარე – დნეპრი, რომლის საერთოს სიგრძე 2201 კმ-ია. ქვეყნის ყველაზე შთამბეჭდავი მთათა სისტემა კარპატებია, რომელიც უკრაინის დასავლეთ ნაწილში 270 კმ-ზეა გადაჭიმული. მისი ყველაზე მაღალი მწვერვალი – გოვერლა 2061 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. ქვეყნის ძირითადი ნაწილის კლიმატი ზომიერად კონტინენტურია, მხოლოდ ყირიმის ნახევარკუნძულზეა სუბტროპიკული კლიმატი.

უკრაინაში 22 ეროვნული პარკი და 21 ნაკრძალია, რომელთაგან 4 ბიოსფერული, ხოლო 17 ბუნებრივი ნაკრძალია. მატერიალური კულტურის ხუთი ობიექტი უკრაინიდან შესულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში: 1. წმინდა სოფიას ტაძარი კიევში (XI ს.); 2. კიევო-პეჩერის ლავრა (1051 წ.); 3. ლვოვის ისტორიული ცენტრი (XIII ს.); 4. სტრუვეს გეოდეზური რკალის პუნქტები ოდესისა და ხმელნიციის ოლქებში; 5. წიფლის პირველქმნილი ტყეები კარპატებში.


უკრაინის ტურისტულ ცენტრებსა და რეგიონებს შორის ყველაზე მეტ ტურისტებს იზიდავს დედექალაქი კიევი, კარპატისპირეთის კურორტები და ყირიმის ნახევარკუნძული. უკრაინაში სამოგზაუროდ ჩამოსულ ტურისტთა უდიდესი უმრავლესობა – (78%) ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდანაა. საერთოდ, უკრაინას მეზობლები ამარაგებენ ტურისტებით. კერძოდ, უნგრეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი – აღმოსავლეთ ევროპიდან, ხოლო რუსეთი, ბელორუსი და მოლდოვა – დასთ-დან.

უკრაინა ყოველწლიურად 20-25 მილიონ ტურისტს იღებს და იგი ტურისტების მიღების რაოდენობით რამდენიმე წელია მსოფლიოს ტოპ-ათეულში შედის. უკრაინა მიღებული ტურისტების რაოდენობით უსწრებს რუსეთის ფედერაციას. სამაგიეროდ რუსეთი გაცილებით მეტ შემოსავლებს იღებს ტურიზმიდან. უკრაინაში შემოსულ ტურისტებზე და ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებზე მეტყველებს ნახატი № 2.

ნატ. №2

უკრაინის საერთაშორისო ტურიზმის სტატისტიკა:

- ჩამოსული უცხოელი ტურისტების რაოდენობა; 2. ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები აშშ დოლარებში. *



წერო: გაეროს მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია (UNWTO)

მიუხედავად იმისა, რომ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები უკრაინაში გაცილებით დაბალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში, აյ ბევრია მაღალშემოსავლიანი საწარმოები და სასტუმროები. ტურისტული «პან უკრეინ»-ის მტკიცებით იზრდება მოთხოვნა მაღალფასიან და კომფორტულ სასტუმროებზე. ეს განსაკუთრებით ყირიმის ზღვისპირა სასტუმროებს შეეხება.

ყირიმის ყველაზე შემოსავლიანი სასტუმროები. (შემოსავლები მლნ. გრივნაში)

სასტუმრო	2009 წ.	2008 წ.
"იალტა-ინტურისტი"	99,0	94,5
"პალმირა-პალასი"	55,9	48,4
"პანსიონატი ზღვა"	48,4	46,2
"სასტუმრო ორვანდა"	42,7	42,1
"ჰელიოპარკი. ფიჭვნარი"	28,8	29,8

წყარო: «TOP-100. Рейтинг лучших компаний Украины»

როგორც ცხრილიდან ჩანს, სამვარსკვლავიანი სასტუმრო «იალტა-ინტურისტი» ყირიმის ყველაზე შემოსავლიანი სასტუმრო გახდა და 2009 წელს მისმა შემოსავალმა 99 მილიონი გრივნა შეადგინა, რაც 4,5 მლნ. გრივნით მეტია წინა წელთან შედარებით. სასტუმროს წმინდა მოგებამ 2 მლნ. გრივნას მიაღწია. თუმცა, მოგების თვალსაზრისით სასტუმროებს შორის ყველაზე მაღალი წმინდა მოგება ჰქონდა სასტუმრო "ჰელიოპარკ. ფიჭვნარი" – 4,5 მლნ. გრივნა, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია [5].

ყირიმის ნახევარკუნძული მთლიანად დიდი საკურორტო და ტურისტული ცენტრია, რომელიც ყოველწლიურად მილიონბით ტურისტს იზიდავს. 2010 წლის რვა თვეში ყირიმმა მიიღო 4 მილიონი ტურისტი, რაც 18%-ით მეტია წინა წელთან შედარებით. ყირიმი თანაბრად აინტერესებთ, როგორც ზღვაზე დამსვენებლებს, ისე კულტურული და ბუნების ტურიზმის მოყვარულებს [8].

უკრაინის კარპატები პოტენციურად საერთაშორისო ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დესტინაციას წარმოადგენს. ეს თეზისი განპირობებულია შემდეგი მოსაზრებებით:

მაღალია კარპატისპირეთის რესურსული ბაზა, სადაც სამკურნალო თვისებების მქონე 800-ზე მეტი მინერალური წყარო და ჭაბურღილია;

ასევე დიდია სხვადასხვა ფორმის ტურიზმის, განსაკუთრებით ბუნების ტურიზმის განვითარების პოტენციალი;

რეგიონის მომგებიანი მდებარეობა – ევროპის ცენტრი;

კარპატებში, სხვა რეგიონებთან შედარებით, მაღალია ეკოლოგიური უსაფრთხოების დონე. კარპატებს არ შეხებია ის კატაკლიზმები, რაც ქვეყნის სხვა რეგიონებმა გადაიტანეს;

კარპატების სოციალურ-ეკონომიკური სპეციფიკა მდგომარეობს განსახლების სიმჭიდროვეში. აქ 1,3 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, რაც ტურიზმს უზრუნველყოფს სათანადო კადრებით, მაგარამ, სამწუხაროდ, მთა ვერ უზრუნველყოფს ადამიანების ისეთ ინტენსიურ დასაქმებას, როგორც ბარი, ან ურბანიზებული ქალაქები. ამიტომ კარპატების ერთერთი მთავარი პრობლემა დასაქმებაა.

კონკურენტუნარიანი რეკრეაციული სფერო კარპატების უპირატესობაა სხვა რეგიონებთან შედარებით [12].

უკრაინის სახელმწიფო (კულტურისა და ტურიზმის სამინისტრო) ზრუნავს უკრაინის რეკლამირებასა და საერთაშორისო ბაზარზე წინწაწევაზე. ბოლო სიახლე, რომელიც წელს შევიდა მწყობრში – არის უკრაინის ტურიზმის დიდი პორტალი

UkraineCityGuide.com. (<http://www.ukrainecityguide.com/>), რომლის მიზანია წარმოაჩინოს უკრაინა მსოფლიო ტურიზმის მექად. ამჟამად ვებ-გვერდი რუსულ და ინგლისურ ენებზე ავრცელებს ინფორმაციას უკრაინის ღირშესანიშნაობების, დანიშნულების ადგილების, ქალაქებისა და ქვეყნის რეგიონების შესახებ. საიტზე განთავსებულია მუდმივმოქმედი და განახლებადი რუბრიკა «ინფორმაცია უკრაინაზე», რომლის მიზანია დადებითად წარმოაჩინოს ქვეყნის კულტურა, სპორტისა და ეკონომიკის წარმატებები. ვებ-გვერდი ინოვაციურია, დატვირთულია სასიამოვნო კლიპებითა და ვიზუალური მასალით, სხვადასხვა რჩევებით და, რაც უაღესად საჭიროა, იგი ინტერაქტიულია და შესაძლებელია მომხმარებლის აზრის დაფიქსირება და კითხვაზე პასუხის მიღება.

განსაკუთრებით კარგადაა ორგანიზებული უკრაინაში სასკოლო ტურიზმი და ექსკურსიები. აღნიშნულ საქმიანობას არეგულირებს უკრაინის კანონი: «კლასგარეშე განათლების შესახებ», ხოლო კონკრეტული ღონისძიებები გათვალისწინებულია ტურიზმის განვითარების რეგიონულ პროგრამებში. სასკოლო ტურიზმს უკრაინაში ხუთი მიმართულება აქვს:

1. სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზაცია;
2. მასობრივი სპორტულ-ტურისტული მუშაობა მოსწავლე ახალგაზრდობასთან და პედაგოგებთან;
3. საგარეო სპორტული საქმიანობა;
4. მეთოდური მუშაობა;
5. მუშაობა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

სასკოლო ექსკურსიები, ნორჩ ალპინისტთა, საწყალოსნო, სათხილამურო, ველო და მოტო წრეები არსებობს ყველა სკოლაში და ამ საქმიანობას ეძლევა სათანადო შეფასება.

უკრაინის მომგებიანი გეოგრაფიული მდებარეობა იძლევა ტრანზიტისა და სატრანზიტო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას. აქ თავს იყრიან ევროპისა და აზიის, განსაკუთრებით, ახლო აღმოსავლეთის ტრანზიტული მგზავრები. შესაბამისად ქვეყანას სჭირდება განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, რომელიც საერთაშორისო ტურიზმის განვითარების საფუძველია. ამ მიმართებით უკრაინას აფერხებს სატრანსპორტო საშუალებათა და კომუნიკაციების მსოფლიო სტანდარტებთან შეუსაბამობა და გადაზიდვების უსაფრთხოების პრობლემა. შესაძლოა ნაწილი აღნიშნული პრობლემისა გადაიჭრას ფეხბურთში 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის უკრაინაში ჩატარებისთვის გაწეული მოსამზადებელი სამუშაოების ფარგლებში [4].

ტურისტული სატრანსპორტო საშუალებები, რომელთა ძირითადი სპეციალიზაცია ტურისტების მომსახურებაა, უკრაინაში საკმაოდ განვითარებულია. მათ ტურისტული მომსახურების პირველად საწარმოებს მიაკუთვნებენ. ესენია: ჩარტერული ავია კომპანიები, საბაგირო გზები ზამთრის კურორტებზე, საექსკურსიო და საკრუიზო გემები, რკინიგზა და საზოგადოებრივი საბაგირო გზები, საბორანე საშუალებები, ხოლო მეორადი მომსახურების სატრანსპორტო საწარმოები ძირითადად ადგილობრივ მოსახლეობას ემსახურიან, მათ შორის ადგილობრივ ტურისტებსაც (კაბუშკინი, 2001; კვარტალნოვი, 2000).

უკრაინის სახელმწიფოში შემუშავებულ იქნა სოციალური ტურიზმის განვითარების მხარდამჭერი სამი განსხვავებული კონცეპტუალური მიდგომა. პირველ ვარიანტში

დასახულია არაპირდაპირი გზებით სახელმწიფოს მხარდაჭერა. არაპირდაპირ გზებში იგულისხმება:

მაღალი საინვესტიციო რეიტინგის მიღწევა და შენარჩუნება ტურიზმის სფეროში;
სოციალური ტურიზმისათვის საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის შექმნა;
სოციალური ტურიზმისათვის საგადასახადო შეღავათების მინიჭება;
სოციალური ტურიზმისათვის იაფი კრედიტების მოძიება და ხელშეწყობა;
მეორე ვარიანტად მოაზრება სპეციალური პირობები, რომელიც განხორციელდება ეკონომიკის წარმატებით განვითარების შემთხვევაში.

მესამე ვარიანტი კი სოციალური ტურიზმის განვითარებას მთლიანად კერძო სექტორს აკისრებს. ამ ვარიანტის განხორციელება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა ტურიზმის წვლილი მთლიან შიდა პროდუქტში (მშპ) მსგავსად განვითარებული ქვეყნებისა 10-30%-ს მიაღწევს. თანახმად ევროპული გამოცდილებისა, სოციალური ტურიზმის განვითარებაში მონაწილეობს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო და არასამთავრობო სექტორი, როგორც ფედერალური, ისე რეგიონული და მუნიციპალური მმართველობითი ორგანოები [6].

ამრიგად, უკრაინა, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანა, შესამჩნევი წარმატებების მიღწევის შესანიშნავი მაგალითია ტურიზმის განვითარების საკითხებში ახლებური მიდგომების პრაქტიკაში დანერგვის თვალსაზრისით. საქართველოსთვის განსაკუთრებით მისაბაძია ტურიზმის განვითარების სამოქმედო გეგმა და მისი თანმიმდევრული განხორციელება ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში და კარპატის-პირეთში. მისაბაძია უკრაინის სახელმწიფოს მიდგომები სოციალური ტურიზმის ხელშეწყობისა და სასკოლო ტურიზმის განვითარებაში. სასარგებლოა უკრაინის გამოცდილება სატრანზიტო ტურისტების მომსახურებაშიც.

პრაგმატულმა სახელმწიფო პოლიტიკამ ტურიზმში უკრაინასა და ურუგვაიში სრულიად გაამართლა და აღნიშნულ ქვეყნებს მნიშვნელოვანი წარმატებები მოუტანა. საჭიროა საქართველომ შემოქმედებითად გადმოიღოს ამ ორი ქვეყნის გამოცდილება და პრაქტიკაში გამოიყენოს უკვე აპრობირებული სახელმწიფო მიდგომები.

Л о ж б а с

1. Tourism Highlights. UNWTO. 2005-2010;
2. The Tourism-Led-Growth Hypothesis for Uruguay, January, 26 2009 (<http://ssrn.com/abstract=1333102>);
3. Abel Pesce. THERMAL SPAS: AN ECONOMICAL DEVELOPMENT ALTERNATIVE ALONG BOTH SIDES OF THE URUGUAY RIVER. In: GHC BULLETIN, SEPTEMBER 2002;
4. Наталия Ткаченко, ТУРИЗМ И ПРОБЛЕМЫ ТРАНСПОРТНОЙ ИНФРАСТРУКТУРЫ В УКРАИНЕ, Jurn. SCIENCE – FUTURE OF LITHUANIA 2009, Vol. 1, No. 6;
5. Куприянов Е.А АНАЛИЗ РАЗВИТИЯ ТУРИСТИЧЕСКОЙ ОТРАСЛИ АР КРЫМ. 1. <http://tourlib.net/statti-tourism/uprijanov.htm>;
6. ВЛАЩЕНКО Н.Н. РАЗРАБОТКА КОНЦЕПТУАЛЬНОЙ МОДЕЛИ РАЗВИТИЯ СОЦИАЛЬНОГО ТУРИЗМА В УКРАИНЕ КАК ЗАЛОГА СТАБИЛЬНОГО ФУНКЦИОНИРОВАНИЯ САНАТОРНО-КУРОРТНЫХ КОМПЛЕКСОВ РЕГИОНОВ <http://eprints.ksame.kharkov.ua/.../338-343–ВЛАЩЕНКО–Н.Н..pdf>;
7. URUGUAYrS TOURISM DEVELOPMENT STRATEGY. In:www.investjamaica.com;
8. Rural and green tourism development concept. In: <http://www.undp.crimea.ua/content.php?type=04-bottom-right>;
9. <http://www.ukrainecityguide.com>;
10. <http://www.agn-csa.org/csa-publications/Uruguay.pdf>;
11. <http://www.eturbonews.com/16618/president-uruguay-highlights-tourism-s-role-economic-growth>;
12. <http://skole.com.ua/ru/papers/13-turizm/40-kturism.html>;
13. www.mckinsey.com/aboutus/Ukraine–Economic–Growth–RUS.pdf.

სამართალი

იაკობ ფუტკარაძე, პროფესორი

საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში

შესავალი. საკონსტიტუციო კონტროლის საკითხები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში. დემოკრატიული საწყისებიდან საკონსტიტუციო კონტროლის საბჭოური სისტემის საფუძვლებისაკენ. საბჭოური საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმი საქართველოში. დემოკრატიული გარდაქმნები სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში. საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში. დასკვნა.

შესავალი

საკონსტიტუციო კონტროლი ეროვნული სამართლებრივი ინსტიტუტია. მისი მოწყობა და უფლებამოსილების განსაზღვრა თვითონ სახელმწიფოს სუვერენულ ნებაზეა დამოკიდებული. საკონსტიტუციო კონტროლი მოწოდებულია დაიცვას შესაბამისი ქვეყნის კონსტიტუცია – სახელმწიფოს ძირითადი კანონი. მისი მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ მოცემულ სახელმწიფოში მიღებული თუ გამოცემული ნებისმიერი სამართლებრივი აქტი შესაბამებოდეს კონსტიტუციას, არ ეწინააღმდეგებოდეს მის ნორმებს, დებულებებსა და პრინციპებს. კონსტიტუციასთან შეუსაბამობისა და წინააღმდეგობის შემთხვევაში კი საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო ბათილად, იურიდიულად ძალადაკარგულად აცხადებს შესაბამის სამართლებრივ აქტს ან მის სათანადო ნაწილს.

წინამდებარე ნაშრომში პირველადაა ერთობლივად განხილული საკონსტიტუციო კონტროლის ქართული ინსტიტუტის შემოღება და განხორციელების ფორმები, მისი მნიშვნელობა საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში, კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფასა და ადამიანის უფლებების დაცვაში. სტატიაში გაანალიზებულია საკონსტიტუციო კონტროლის საკანონმდებლო მოწესრიგების მიზანი და დანიშნულება, დახასიათებულია საქართველოს საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო, მისი შექმნის წესი, უფლებამოსილება და სამართლებრივი მდგომარეობა, ადგილი სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში.

ყოველ სახელმწიფოში საკონსტიტუციო კონტროლის შემოღება ემყარება კონსტიტუციის უზენაესობის, მისი უმაღლესი იურიდიული ძალის პრინციპს. სწორედ ამ პრინციპის აღიარების საფუძველზე ხდება შესაძლებელი საკონსტიტუციო კონტროლის ეროვნული ინსტიტუტის დაფუძნება და განხორციელება. წინააღმდეგ

შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლის შემოღება შეუძლებელი იქნებოდა. კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპი კი თვით ძირითად კანონშია განმტკიცებული. ასეა ყველა ქვეყანაში და ამ მხრივ გამონაკლისს არც საქართველო არ წარმოადგენს.

საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში (მისი თავდაპირველი რედაქცია მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს) აღნიშნულია, რომ „საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას“ (მე-6 მუხლის პირველი პუნქტი).

საქართველოს კონსტიტუციის ეს დებულება განმეორებულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ 2009 წლის 22 ოქტომბრის კანონის მე-10 მუხლში, სადაც დამატებით აღნიშნულია, რომ საქართველოს კონსტიტუციას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა სხვა სამართლებრივი აქტების მიმართ.

საკონსტიტუციო კონტროლის შემოღება კონსტიტუციის, როგორც სახელმწიფოს ძირითადი კანონის დაწესებასთან არის დაკავშირებული. ეს დადასტურებულია მსოფლიო სახელმწიფო-სამართლებრივი განვითარების თეორიითა და პრაქტიკით. ბუნებრივია, ასეთივე მდგომარეობაა საქართველოშიც, რომელმაც კონსტიტუციის მიღება რუსეთის იმპერიისაგან განთავისუფლების შემდეგ შეძლო. საქართველოს პირველი კონსტიტუცია მხოლოდ XX საუკუნის პირველ მეოთხედში იქნა მიღებული და აქედან იწყება საკონსტიტუციო კონტროლის ქართული ინსტიტუტის ისტორია.

კონტროლის განხორციელების ფორმა და შინაარსი კონსტიტუციით განისაზღვრება. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ კონსტიტუციის შეცვლის დროს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების ფორმაც შეიძლება შეიცვალოს. ამიტომ ამა თუ იმ ქვეყნის საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის შესწავლის პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს არა მარტო მოქმედი კონსტიტუცია, არამედ ადრინდელი ძირითადი კანონების სათანადო მონაცემები.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საქართველოში დღემდე მიღებულია ექვსი კონსტიტუცია. ესენია – 1921 წლის 21 თებერვლის, 1922 წლის 2 მარტის, 1927 წლის 4 აპრილის, 1937 წლის 13 თებერვლის, 1978 წლის 15 აპრილისა და 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციები.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოს ზემოაღნიშნული ექვსი ძირითადი კანონიდან ერთი მიღებულია ქვეყნის გასაბჭოებამდე, ოთხი – საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს, ხოლო ერთი – საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდგომ პერიოდში. 1921 წლის კონსტიტუცია არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის – 1918-1921 წლებში არსებული დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ძირითადი კანონი. 1922 წლის კონსტიტუცია განამტკიცებდა ფორმალურად ცალკე არსებული, ფაქტობრივად კი რუსეთის ფედერაციაზე დამოკიდებული საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სამართლებრივ სტატუსს. 1927 წლის კონსტიტუცია აკანონებდა საქართველოს გაერთიანებას ამიერკავკასიის ფედერაციაში და მისი მეშვეობით – საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. 1937 და 1978 წლების კონსტიტუციები განამტკიცებდნენ საქართველოს, როგორც მოკავშირე რესპუბლიკის სამართლებრივ მდგომარეობას ერთიან საბჭოთა საკავშირო სახელმწიფოში. რაც შეეხება 1995 წლის კონსტიტუციას, იგი გამოხატავს სუვერენული საქართველოს სამართლებრივ სტატუსს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში.

საქართველოს კონსტიტუციებში საკონსტიტუციო კონტროლი სხვადასხვა მოცულობითაა მოწესრიგებული. სრული სამართლებრივი ინსტიტუტის სახით იგი 1995 წლის კონსტიტუციამ განამტკიცა. წინანდელ კონსტიტუციებში კი საკონსტიტუციო კონტროლის რეგულაცია მხოლოდ ცალკეული ნიშნებისა და ელემენტების აღნიშვნით შემოიფარგლებოდა.

მსოფლიო სახელმწიფო-სამართლებრივ თეორიასა და პრაქტიკაში საკონსტიტუციო კონტროლის სხვადასხვაგვარი ინსტიტუტები არის ცნობილი. კერძოდ, გვხვდება ისეთი ქვეყნები, სადაც არ არსებობს საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური ორგანო. ასეთ ქვეყნებში კონტროლს თავთავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოები, მათ შორის – სასამართლოები. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქცია შეიძლება მხოლოდ საერთო სასამართლოებს ჰქონდეთ შეთავსებული.

არაიშვიათად, იქმნება საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სპეციალური ორგანოები. ასეთი ორგანო შეიძლება იყოს სასამართლო დაწესებულება, როგორიცაა, სახელდობრ, საკონსტიტუციო სასამართლო. ამგვარი ორგანო სასამართლო საქმიანობისათვის დადგენილი საპროცესო ნორმების საფუძველზე მოქმედებს. მისთვის დამახასიათებელია დემოკრატიული წესები, ისეთი ნიშან-თვისებები, როგორიცაა, კერძოდ, საქმის განხილვა ღია სასამართლო სხდომაზე, აგრეთვე მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები.

არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებს არა სასამართლო, არამედ სხვა სახელმწიფო ორგანო.

საკონსტიტუციო კონტროლის ამა თუ იმ მოდელის შემოღება ქვეყნის თავისებურებებზეა დამოკიდებული. ამ დროს მეტ-ნაკლებად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ქვეყნის სახელმწიფო წესწყობილება და პოლიტიკური რეჟიმი, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონე, სამართლებრივი კულტურა, ტრადიციები და სხვა გარემოებები.

ცხადია, ხსენებულმა ფაქტორებმა იმოქმედეს საკონსტიტუციო კონტროლის განვითარებაზე საქართველოში და განაპირობეს მისი სხვადასხვა ფორმების დამკვიდრება ქართული სახელმწიფოებრიობის ამა თუ იმ ისტორიულ ეტაპზე.

საკონსტიტუციო კონტროლის საკითხები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში

საკონსტიტუციო კონტროლის ქართული სამართლებრივი ინსტიტუტი 1918-1921 წლებში არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან იწყება და საკვლევამიებო თემის უშუალო განხილვაც, ცხადია, 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით უნდა დავიწყოთ. თუმცა, საჭიროა ითქვას, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს საკონსტიტუციო კონტროლზე მსჯელობა მხოლოდ თეორიული ასპექტით შეიძლება. საქმე ის არის, რომ 1921 წლის 25 თებერვალს საქართველო გასაბჭოვდა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის საფუძველზე და სამი დღის წინ მიღებულ კონსტიტუციას პრაქტიკულად არ უმოქმედია. მიუხედავად

ამისა, აუცილებელია საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის იმ დებულებების წარმოჩენა, რომლებიც განსახილველ საკითხებთანაა დაკავშირებული.

1921 წლის კონსტიტუციით დაკანონებულია ამ ძირითადი კანონის უმაღლესი იურიდიული ძალა. მისი მე-8 მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, „კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედა აზრის წინააღმდეგია“.

ამასთან ერთად სამართლებრივი აქტი საერთოდ და მათ შორის ნორმატიული აქტები, თავისთავად ცხადია, კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა იყოს გამოცემული. საქართველოს ხსენებული კონსტიტუციის მე-5 მუხლი განსაზღვრავდა, რომ ყოველ კანონსა და სავალდებულო დადგენილებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, უკეთუ იგი სათანადო წესით არის გამოცხადებული.

1921 წლის კონსტიტუციაში გადაწყვეტილია ამ ძირითად კანონამდე მიღებული ნორმატიული სამართლებრივი აქტების იურიდიული ძალის საკითხი: „კონსტიტუციის მიღებამდე გამოცემული და გამოქვეყნებული კანონი და დეკრეტი ძალაში რჩება, უკეთუ კონსტიტუციასა და მის პრინციპებს არ ეწინააღმდეგება“ (მუხ. 9).

1918-1921 წლებში არსებული დემოკრატიული რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანო იყო ჯერ საქართველოს ეროვნული საბჭო, ხოლო შემდეგ – დამფუძნებელი კრება, რომელიც იმავდროულად პარლამენტის ფუნქციებსაც ითავსებდა. კონსტიტუციით, უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოდ განისაზღვრა „საქართველოს პარლამენტი“. კონსტიტუციამ დაადგინა პარლამენტის ნორმატიული აქტების სახეები. ძირითადი კანონის 53-ე მუხლის ძალით, საქართველოს იმდროინდელ პარლამენტს შეეძლო გამოეცა კანონი, დეკრეტი და დადგენილება.

ამასთანავე კონსტიტუციის ზემოაღნიშნული (53-ე) მუხლით დადგენილია, რომ კანონის, დეკრეტისა და დადგენილების გამოქვეყნების წესი ცალკე კანონით იქნება განსაზღვრული.

1921 წლის კონსტიტუციამ დაადგინა აგრეთვე იმდროინდელი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის – საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის სამართლებრივი აქტების სახეები. მთავრობის თავმჯდომარე, კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-3 აბზაცის შესაბამისად, გამოსცემდა ბრძანებებსა და განკარგულებებს კანონის აღსრულებისათვის.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს უფლება არ ჰქონდა შეეჩერებინა კანონის მოქმედება, ან დაებრკოლებინა მისი შესრულება (მუხ. 70).

ჩვენი თემისათვის განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლის მე-2 აბზაცი.

ამ აბზაცის მიხედვით, საქართველოს „კონსტიტუციის შესრულება და მისი პრინციპების განხორციელება კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლების მოვალეობას შეადგენს“.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებას და კონსტიტუციის პრინციპების ცხოვრებაში გატარებას ერთი რომელიმე განსაკუთრებული ორგანოს მეშვეობით. კანონმდებელმა დაადგინა, რომ საქართველოს

კონსტიტუციის შესრულება სახელმწიფო ხელისუფლების ყოველი ორგანოს მოვალეობას წარმოადგენდა. კონსტიტუციის შესრულება მის დაცვასა და დარღვევის თავიდან აცილებას, შეუსრულებლობის აღკვეთასაც გულისხმობდა.

კონსტიტუციის 72-ე მუხლში განსაზღვრულია „მთავრობის საერთო უფლება და მოვალეობა“. აქ ერთ-ერთ ასეთ უფლება-მოვალეობად მიჩნეულია „თვალ-ყურის დევნა და აღსრულება კონსტიტუციისა და კანონებისა“ (72-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი). ამასთანავე, კონსტიტუციის 103-ე მუხლით, მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს უფლება ჰქონდათ შეეჩერებინათ ადგილობრივი თვითმმართველობის დადგენილება და განვარგულება, თუ იგი ეწინააღმდეგებოდა კანონს (შეჩერების წესი და პირობა კანონით უნდა განსაზღვრულიყო). ასეთ შემთხვევაში საქმე დაუყოვნებლივ გადაეცემოდა სასამართლოს.

ამგვარად, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით, მართალია, არ არის გათვალისწინებული საკონსტიტუციო კონტროლის სპეციალური ორგანოს შექმნა, მაგრამ ეს პრობლემა უყურადღებოდ მაინც არ არის დატოვებული. ძირითად კანონში საგანგებოდაა აღნიშნული მთავრობის უფლება და მოვალეობა, რომ თვალყური ადევნოს კონსტიტუციის აღსრულებას ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, განახორციელოს საკონსტიტუციო ზედამხედველობა.

საკონსტიტუციო ზედამხედველობის ფუნქცია დამატებით ჰქონდა შეთავსებული საქართველოს მთავრობას, რომელიც საერთოდ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს წარმოადგენდა (კონსტიტუციის 66-ე მუხლის თანახმად, „უმაღლესი მართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას“).

საზოგადოდ, კანონების დაცვაზე ზედამხედველობას სენატი ახორციელებდა. კონსტიტუციის 76-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებობს ერთი უმაღლესი სასამართლო – სენატი, რომელიც თვალყურს ადევნებს კანონის დაცვას („სენატი მოვალეა ... თვალყური ადევნოს კანონის დაცვას“).

საქართველოს სენატის დებულება (მიღებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1919 წლის 29 ივლისს)² აწესებდა: საქართველოს სენატი არის უზენაესი სასამართლო, რომელიც თვალყურს ადევნებს კანონის დაცვასა და სისწორით ასრულებას მთავრობის ყოველი დაწესებულების, თანამდებობის პირისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ (მუხ. 1); უკეთუ სენატი დაინახავს, რომ მინისტრის ან მთავრობის სხვა უმაღლესი წარმომადგენლის ცირკულარი, განვარგულება ან სავალდებულო დადგენილება ეწინააღმდეგება კანონს, განვარგულება უნდა გასცეს მათი მოქმედების შეჩერებისათვის, ანდა გააუქმოს იგი მთლიანად ან ნაწილობრივ (მუხ. 6); საჩივარი მინისტრის მოქმედებისა და განვარგულების შესახებ, აგრეთვე მთავრობის დაწესებულებათა შორის კომპეტენციის გამო „ატეხილი“ დავის გადაწყვეტა სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილებას ექვემდებარება (34-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტები). სენატის ამ უფლებამოსილებაში საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციაც მოიაზრებოდა.

აღნიშნული დებულებით (იხ. მე-6 მუხლის შენიშვნა), ყველა მინისტრსა და მთავრობის სხვა უმაღლეს წარმომადგენელს ევალებოდა წარედგინა სენატისათვის,

² საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), თბ., 1990, გვ. 295-307.

გამოცემისთანავე, თავისი ცირკულარის, სავალდებულო დადგენილების, ინსტრუქციის, განმარტებისა და ზოგადი ხასიათის განკარგულების ასლები. ეს წესი წინასწარი კონტროლის განხორციელების წინაპირობას წარმოადგენდა.

ამგვარად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობა ითვალისწინებდა როგორც შემდგომი, ისე წინასწარი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 75-ე მუხლის ძალით, კონსტიტუციის დარღვევისათვის მთავრობის თავმჯდომარე და მთავრობის წევრები პასუხისმგებელნი იყვნენ სასამართლოს წინაშე. მათი პასუხისგებაში მიცემა მხოლოდ პარლამენტს შეეძლო. მთავრობის თავმჯდომარისა და წევრების გასამართლება კი საერთო წესით წარიმართებოდა.

ამ კონსტიტუციურ დანაწესთან მიმართებით მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონმდებლობაში არ იყო გათვალისწინებული იმპიჩმენტის წესით პასუხისმგებლობის პოლიტიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი.

დემოკრატიული საწყისებიდან საკონსტიტუციო კონტროლის საბჭოური სისტემის საფუძვლებისაკენ

1921 წლის 25 თებერვალს დაემხო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. საქმე ის იყო, რომ რუსეთის ფედერაციამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ 1921 წლის თებერვალ-მარტში განახორციელა პირდაპირი აგრესია შეიარაღებული ინტერვენციის ფორმით, საბჭოთა წესწყობილების ექსპორტირება სამხედრო ოკუპაციის საფუძველზე³.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელი – გამორიცხული იყო საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით განმტკიცებული იმ დებულებების განხორციელება, რომლებიც საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტს შეეხებოდა.

საქართველოში მოეწყო საბჭოთა სახელმწიფო აპარატი. იგი რუსეთის ფედერაციაში დამკვიდრებული პრინციპების საფუძველზე ჩამოყალიბდა. საქართველოშიც საკონსტიტუციო კონტროლის ისეთივე სამართლებრივი ინსტიტუტი იქნა შემოღებული, როგორიც არსებობდა ჯერ რუსეთის ფედერაციაში, შემდეგ კი საბჭოთა საკავშირო სახელმწიფოში. ამიტომ მიზანშეწონილი და აუცილებელიც არის თავდაპირველად საკონსტიტუციო კონტროლის იმ დებულებების განხილვა, რომლებიც ჩამოყალიბებულია როგორც პირველ საბჭოთა ძირითად კანონში – რუსეთის ფედერაციის 1918 წლის კონსტიტუციაში, ისე სსრ კავშირის 1924, 1936 და 1977 წლების კონსტიტუციებში.

სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციას წინ უძლოდა და საერთო-საკავშირო სახელმწიფოს არსებობის მთელი პერიოდის მანძილზე მოქმედებდა „ხელშეკრულება

³ ამ საკითხზე იხ., კერძოდ, ი. ფუტკარაძე, საქართველოს გასაბჭოების სამართლებრივი შეფასება, უკრ. „სახელმწიფო და სამართალი“, 1990, №5 გვ. 24-42.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ», რომელიც 1922 წლის 30 დეკემბერს მიიღო სსრკ საბჭოების პირველმა ყრილობამ. ქვემოთ ამ ხელშეკრულების სათანადო დებულებაც იქნება წარმოდგენილი.

რუსეთის ფედერაციის 1918 წლის კონსტიტუცია განსახილველ საკითხს შეეხება მესამე განყოფილებაში – „საბჭოთა ხელისუფლების კონსტრუქცია“. აქ ლაპარაკია ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებზე, კერძოდ კი სრულიად რუსეთის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და კაზაკთა დეპუტატების საბჭოების ყრილობაზე და მის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტზე („ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი“) შემდგომში აღინიშნება შემოკლებით – ცავი). სრულიად რუსეთის ცავის ორგანიზაციისადმი მიძღვნილ თავში აღნიშნულია, რომ ეს ორგანო ზოგადად წარმართავს მუშურ-გლეხური მთავრობისა და ქვეყნის ყველა საბჭოთა ორგანოს საქმიანობას, აერთიანებს და ათანბებს საკანონმდებლო და მმართველობით მუშაობას და თვალყურს ადევნებს საბჭოთა კონსტიტუციის, სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობისა და საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების გადაწყვეტილებათა გატარებას ცხოვრებაში.

ამგვარად, რუსეთის ფედერაციის 1918 წლის კონსტიტუციის მიხედვით, საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს წარმოადგენდა სრულიად რუსეთის საბჭოების ცავი. კონსტიტუციის 31-ე მუხლის ძალით, ცავი იყო რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და მაკონტროლებელი ორგანო.

მაშასადამე, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება რუსეთის ფედერაციის ცავის მაკონტროლებელი ფუნქციის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენდა.

საკავშირო მასშტაბით პირველი ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც საკონსტიტუციო კონტროლის საკითხი აისხა, იყო 1922 წლის 30 დეკემბრის „ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ“⁴. ხელშეკრულების პირველ მუხლში განსაზღვრული იყო ის საკითხები, რომლებიც მიეკუთვნებოდა საბჭოთა კავშირის გამგებლობას მისი უმაღლესი ორგანოების სახით. ერთ-ერთ ასეთ ბოლო საკითხად დასახელებული იყო მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოების ყრილობების, ცავებისა და სახალხო კომისართა საბჭოების ისეთი დადგენილებების გაუქმება, რომლებითაც საკავშირო ხელშეკრულება დაირღვეოდა.

ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ პირდაპირი გაგებით არ წარმოადგენდა კონსტიტუციას. ამასთან, ეს ხელშეკრულება იყო კონსტიტუციური მნიშვნელობის დამფუძნებელი აქტი და თავისი არსით კონსტიტუციას უტოლდებოდა. შემდგომში იგი საფუძვლად დაედო სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციას. ამიტომაც, ამ ხელშეკრულების ზემოაღნიშნული ჩანაწერი საკონსტიტუციო კონტროლის დანაწესად უნდა იქნეს მიჩნეული.

სსრ კავშირის პირველ – 1924 წლის კონსტიტუციაში მეორე განყოფილების სახით შევიდა „ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ“. უმაღლეს საკავშირო ორგანოთა გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხთა ნუსხაში (ბოლოსწინა საკითხად) აღნიშნულია მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოების

⁴ ხელშეკრულების ტექსტი იხ. გამოცემაში: ი. სტალინი, თხზ., ტ.5 (1921-1923), თბ., 1949, გვ. 435-441.

ყრილობებისა და ცავების იმ დადგენილებების გაუქმება, რომლებითაც დაირღვეოდა სსრ კავშირის კონსტიტუცია. აქ, 1922 წლის 30 დეკემბერს დამტკიცებული ხელშეკრულების ტექსტისაგან განსხვავებით, აღარ იხსენიება მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები. ეს იმას ნიშნავს, რომ მათი დადგენილებების კონსტიტუციურობის საკითხი ფორმალურად არ ექვემდებარებოდა სსრ კავშირის უმაღლეს ორგანოებს.

1924 წლის საკავშირო კონსტიტუციაში იმ ორგანოდ, რომელსაც უშუალოდ ევალებოდა საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება, დასახელებულია სსრ კავშირის ცავის პრეზიდიუმი. კონსტიტუციის 30-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი თვალყურს ადევნებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის ცხოვრებაში გატარებას და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საბჭოების ყრილობისა და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ყველა დადგენილების აღსრულებას“.

ამასთან ერთად, საკავშირო ცავის პრეზიდიუმს უფლება ჰქონდა (1) შეეჩერებინა და გაეუქმებინა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და ცალკეული სახალხო კომისრების, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების ცავებისა და სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილებანი და (2) შეეჩერებინა მოკავშირე რესპუბლიკის საბჭოების ყრილობის დადგენილებანი იმ პირობით, რომ შემდეგ მათ წარუდგენდა განსახილველად და დასამტკიცებლად სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

თავის მხრივ, სსრ კავშირის ცავს, კონსტიტუციის მე-20 მუხლის შესაბამისად, შეეძლო შეეჩერებინა ან გაეუქმებინა სსრ კავშირის ცავის პრეზიდიუმის, მოკავშირე რესპუბლიკების საბჭოების ყრილობებისა და სსრ კავშირის ტერიტორიაზე არსებული ხელისუფლების სხვა ორგანოების დეკრეტები, დადგენილებები და განკარგულებები.

სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციით, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებაში ჩართული იყო აგრეთვე საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლო. კონსტიტუციის 43-ე მუხლით გათვალისწინებული იყო, რომ რევოლუციური კანონიერების განმტკიცების მიზნით სსრ კავშირის ცავთან არსდება უმაღლესი სასამართლო. მისი ერთ-ერთი ფუნქცია იყო საბჭოთა კავშირის ცავის მოთხოვნით მიეცა დასკვნა მოკავშირე რესპუბლიკის ამა თუ იმ დადგენილების კანონიერების საკითხზე კონსტიტუციასთან მიმართებით.

მაშასადამე, გამოდის, რომ საკონსტიტუციო კონტროლს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოც ახორციელებდა. ცავის პრეზიდიუმი ამ ფუნქციას დამოუკიდებლად და უმაღლესი სასამართლოს მეშვეობითაც ასრულებდა.

საკავშირო სასამართლოს უფლებამოსილება საკონსტიტუციო კონტროლის სფეროში უფრო დაკონკრეტებულია დებულებაში სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შესახებ (დაამტკიცა სსრკ ცავის პრეზიდიუმმა 1923 წლის 23 ნოემბერს). ამ დებულების მიხედვით, უმაღლესი სასამართლოს ფუნქციებში შედიოდა:

1. სსრ კავშირის ცავის მოთხოვნით მიეცა დასკვნა სსრ კავშირის კონსტიტუციასთან მიმართებით მოკავშირე რესპუბლიკების ცავებისა და სახალხო კომისართა საბჭოების,

აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ამა თუ იმ დადგენილების კანონიერების შესახებ;

2. როგორც მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური ორგანოების წინადადებით, ისე თვით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ინიციატივით, კონსტიტუციასთან შეუსაბამობის მოტივით, შეეტანა წარდგინება სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმში სსრ კავშირის ცენტრალური ორგანოებისა და ცალკეული სახალხო კომისარიატების დადგენილებების (სსრ კავშირის ცაკისა და მისი პრეზიდიუმის დადგენილებათა გამოკლებით), მოქმედებებისა და განკარგულებების შეჩერებისა და გაუქმების თაობაზე. ასეთი წარდგინების შეტანა, სსრ კავშირის ცაკის 1924 წლის 14 ივლისის განაწესის მიხედვით, მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორებსაც შეეძლოთ⁵.

1924 წლის საკავშირო კონსტიტუციის დებულებები, ცხადია, შეეხებოდა საქართველოსაც, რომელიც იმ დროს სსრ კავშირის შემადგენლობაში ამიერკავკასიის ფედერაციის მეშვეობით შედიოდა. ამდენად, საქართველოზე ამ პერიოდში ამიერკავკასიის ფედერაციის კონსტიტუციის მოქმედებაც ვრცელდებოდა.

ამიერკავკასიის ფედერაციის 1925 წლის 14 აპრილის კონსტიტუციის პირველი მუხლი განსაზღვრავს, რომ ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის გამგებლობას მისი უმაღლესი ორგანოების, სახელდობრ კი ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობისა და მისი ცაკის სახით მიეკუთვნება ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების საბჭოების ყრილობების ცაკებისა და სახალხო კომისართა საბჭოების იმ დადგენილებების გაუქმება, რომლებიც არღვევენ ამ (ე. ი. ამიერკავკასიის ფედერაციის) კონსტიტუციას.

აღნიშნული კონსტიტუციის მე-15 მუხლით, ფედერაციის უმაღლესი საკანონმდებლო, განმკარგულებელი და მაკონტროლებელი ორგანო არის ამიერკავკასიის ცაკი. ამ ორგანოს მაკონტროლებელი ფუნქციის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენდა ის, რომ იგი თვალყურს ადევნებდა ამიერკავკასიის ფედერაციის კონსტიტუციის, საბჭოების ყრილობისა და ფედერაციის ყველა სახელმწიფო ორგანოს დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას.

ანალოგიურადაა განსაზღვრული კონსტიტუციის 28-ე მუხლით ამიერკავკასიის ფედერაციის ცაკის პრეზიდიუმის ფუნქციაც. ისიც თვალყურს ადევნებდა ფედერაციის კონსტიტუციის ცხოვრებაში გატარებას და ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობის, აგრეთვე ამიერკავკასიის ცაკის დადგენილებათა აღსრულებას ხელისუფლების ყველა ორგანოს მიერ.

ამიერკავკასიის ცაკის პრეზიდიუმი საზედამხედველო ფუნქციას ფედერაციის კონსტიტუციასთან მიმართებით ამიერკავკასიის ფედერაციის უმაღლესი სასამართლოს მეშვეობით ახორციელებდა. ეს სასამართლო ამიერკავკასიის ცავთან არსებობდა. კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად, ამიერკავკასიის ფედერაციის უმაღლესი სასამართლო ამიერკავკასიის ცაკის პრეზიდიუმის მოთხოვნის საფუძველზე იძლეოდა დასკვნებს ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების ამა თუ იმ დადგენილების

⁵ იხ. დოკუმენტების კრებული – „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა და განვითარება“, მოსკ., 1973, გვ.333 (რუს. ენაზე)

კანონიერების თაობაზე (ცხადია, ამიერკავკასიის ფედერაციის კონსტიტუციასთან მიმართებით).

საკონსტიტუციო კონტროლის საკითხი სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციაში ზოგადად, შემდგომი დაკონკრეტების გარეშე ფორმულირებული. სახელდობრ, ძირითადი კანონის მე-14 მუხლის „დ” პუნქტის შესაბამისად, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გამგებლობას მისი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სახით, სხვა სათანადო საკითხებთან ერთად, მიეკუთვნება სსრკ კონსტიტუციის შესრულების კონტროლი და იმის უზრუნველყოფა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციები შეესაბამებოდეს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას.

კონსტიტუციის ჩანაწერის ზოგადი ხასიათი და კონკრეტული მექანიზმის არარსებობა საკონსტიტუციო კონტროლის მხოლოდ ფორმალურად შემოღებას, მარტო დეკლარირებას მოასწავებდა.

სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის ჩანაწერი საკონსტიტუციო კონტროლის თაობაზე 1936 წლის ძირითადი კანონის ანალოგიურია. ამ კონსტიტუციითაც (კერძოდ, 73-ე მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით), საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით განაგებს სხვადასხვაგვარ მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა შორისაც იხსენიება სსრკ კონსტიტუციის შესრულებისადმი კონტროლი და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციასთან მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების შესაბამისობის უზრუნველყოფა.

ზემოხსენებული საკავშირო „სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოებიდან“ საკონსტიტუციო კონტროლთან მიმართებით კონსტიტუციაში კონკრეტულად მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმია დასახელებული.

კონსტიტუციის 121-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ახორციელებს კონტროლს სსრკ კონსტიტუციის შესრულებაზე და უზრუნველყოფს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციები და კანონები შეესაბამებოდეს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციასა და კანონებს.

ამგვარად, 1977 წლის საკავშირო კონსტიტუციის მიხედვით, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომპეტენციაში შედიოდა.

სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების კომპეტენციისადმი მიკუთვნებულ საკითხთა შორის საკონსტიტუციო კონტროლთან ერთად იხსენიება აგრეთვე სსრ კავშირის ტერიტორიაზე მთლიანად საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობის უზრუნველყოფა, საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების დადგენა.

1977 წლის კონსტიტუციის ფარგლებში საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების საკითხთან დაკავშირებით, ერთგვარი სიახლის თვალსაზრისით, საყურადღებოა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი (მიღებულია 1979 წლის 19 აპრილს).

რეგლამენტის 59-ე მუხლში ჩაწერილია, რომ სსრკ-ის უმაღლესი საბჭო უშუალოდ და მის მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით ახორციელებს კონტროლს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრივ სსრ კავშირის კონსტიტუციის, საკავშირო კანონებისა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებების შესრულებასა და ცხოვრებაში გატარებაზე.

ამგვარად, საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოებიდან განსახილველი პერიოდის კანონმდებლობაში სახელდებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან ერთად თვით საკავშირო უმაღლესი საბჭოც იხსენიება.

1977 წლის კონსტიტუციის მოქმედების ბოლო პერიოდში შეიქმნა სსრ კავშირის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტი, რომლის კომპეტენციაც საკავშირო სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა.

საბჭოური საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმი საქართველოში

სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეები საქართველოს კონსტიტუციაში 1922 წელს აისახა და კონსტიტუციურ კანონმდებლობაში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ბოლომდე დარჩა⁶. ამ იდეებიდან ზოგიერთი იმთავითვე აშკარად უტოპიური ხასიათისა და ანტიეროვნული შინაარსისა იყო. ამის საილუსტრაციოდ ქვემოთ ორი მაგალითი იქნება მოყვანილი.

უტოპიური იყო მსოფლიო საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა და მასში საქართველოს გაერთიანება, რაც 1922 წლის კონსტიტუციის მე-4 მუხლით გამოცხადდა: „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა აცხადებს თავის მტკიცე გადაწყვეტილებას – შევიდეს მთლიან საერთაშორისო სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის ოჯახში, როგორც კი ამისათვის შეიქმნება სათანადო პირობები, ამასთან ერთად იგი აღიარებს თავის სრულ სოლიდარობას ამჟამად არსებულ საბჭოთა რესპუბლიკებთან».

ანტიეროვნული იყო თავისი არსით და ქართული სახელმწიფოებრიობის დაშლა-დაქუცმაცებას ისახავდა მიზნად 1927 წლის კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 აბზაცი: „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა აღიარებს ... მის ტერიტორიაზე მოსახლე სხვადასხვა ხალხის უფლებას, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესი ორგანოს ნებართვით, გამოიყოს ავტონომიურ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად ან ავტონომიურ ოლქად».

საგულისხმოა, რომ ეს ანტიქართული საკონსტიტუციო ჩანაწერი საქართველოს ბოლო საბჭოთა კონსტიტუციაში – 1978 წლის ძირითად კანონშიც აისახა: „საქართველოს სს რესპუბლიკის გამგებლობას მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით ექვემდებარება ... საქართველოს სს რესპუბლიკის შემადგენლობაში ახალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების შექმნა და შემდგომი წარდგენა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად» (72-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული ეს ნორმა, სამწუხაროდ, მოსკოვიდან ზეწოლის შედეგად, მართალია, მოდიფიცირებული სახით, მაგრამ მაინც

⁶ საქართველოს საბჭოთა (1922, 1927, 1937 და 1978 წლების) კონსტიტუციების ტექსტები იხ. გამოცემაში: საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), თბ., 1983.

შემორჩა საქართველოს საბჭოურ კონსტიტუციაში ეროვნული ძალების გამარჯვების შემდგომ პერიოდშიც: „.... ახალი ავტონომიური ფორმირების შექმნის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის საყოველთაო-სახალხო კენჭისყრით (საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმით)».

ბუნებრივია, რომ ყველა საბჭოთა სამართლებრივი ინსტიტუტი და მათ შორის საკონსტიტუციო კონტროლიც საქართველოში, ისევე როგორც მთელ საბჭოებში, სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეების დამკვიდრებას, მათი განხორციელების საქმეს ემსახურებოდა.

საქართველოს პირველი (1922 წლის) საბჭოთა კონსტიტუციის 63-ე მუხლის „ა“ პუნქტის ძალით, სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობის განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნებოდა „საბჭოთა კონსტიტუციის ძირითად საფუძველთა დაწესება, დამატება და შეცვლა“.

კონსტიტუციის მიხედვით (მუხ. 22), „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლეს კანონმდებელ, გამგებელ და კონტროლის გამწევ ორგანოდ“ ითვლებოდა სრულიად საქართველოს ცაკი.

1922 წლის კონსტიტუციის 24-ე მუხლში განსაზღვრული იყო სრულიად საქართველოს ცაკის ფუნქციები, რომელთა შორისაც არის საკონსტიტუციო კონტროლის უფლება-მოვალეობა: სრულიად საქართველოს ცაკი „.... აერთიანებს და ათანამებს მუშაობას კანონმდებლობისა და მართვა-გამგეობის სფეროში, თვალყურს ადევნებს საბჭოთა კონსტიტუციის (აგრეთვე სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობებისა და საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების) დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას“.

სხვა რაიმე დებულება ან ნორმები საკონსტიტუციო კონტროლის და მისი განხორციელების მექანიზმის შესახებ საქართველოს 1922 წლის კონსტიტუციაში არ არის მოცემული. მასში არაფერი არაა ნათქვამი არც სასამართლოსა და არც საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის საქმიანობაზე საკონსტიტუციო კონტროლის სფეროში.

ცაკის პრეზიდიუმთან დაკავშირებით 1922 წლის კონსტიტუციაში ზოგადადაა აღნიშნული, რომ (1) „სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებს შუა, პრეზიდიუმს უფლება აქვს შეაჩეროს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი დაგადაიტანოს ისინი გადასაწყვეტად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმში“; (2) „სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი თვალყურს ადევნებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებათა სისრულეში მოყვანას და ითვლება მთელი მუშაობის ხელმძღვანელად როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივადაც“ (საქართველოს 1922 წლის კონსტიტუცია, მუხ. 36,38).

1922 წლის კონსტიტუციისაგან რამდენადმე განსხვავებულად იყო წარმოდგენილი საკონსტიტუციო კონტროლის საკითხი საქართველოს 1927 წლის ძირითად კანონში.

1927 წლის კონსტიტუციაშიც საქართველოს უზენაესი ხელისუფლების მატარებლად მიჩნეულია სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების ყრილობა, ხოლო ყრილობიდან ყრილობამდე – სრულიად საქართველოს საბჭოების ცაკი.

საბჭოების ყრილობის განსაკუთრებული გამგებლობის საგნად კონსტიტუციის მე-19 მუხლის „ა“ პუნქტით გამოცხადებულია „საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციის ძირითადი საფუძვლების დაწესება, შეცვლა და შევსება“, აგრეთვე ამ კონსტიტუციის იმ ნაწილობრივი ცვლილებების საბოლოო დამტკიცება, რასაც საქართველოს ცაკი მიიღებდა ყრილობებს შუა პერიოდში.

სრულიად საქართველოს ცაკი რესპუბლიკის უზენაეს საკანონმდებლო, განმკარგულებელ და საკონტროლო ორგანოს წარმოადგენდა. იგი „საერთო გეგმით“ წარმართავდა საქართველოს მთავრობის და ხელისუფლების ყველა სხვა ორგანოს მოქმედებას, აერთიანებდა და ათანხმებდა მუშაობას კანომდებლობისა და მმართველობის დარგში, თვალყურს ადევნებდა ყრილობების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებას.

ცაკის მუშაობის ორგანიზაციულ ფორმას სესია წარმოადგენდა. სესიებს შუა პერიოდში ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო, განკარგულებელი და საკონტროლო ორგანო იყო სრულიად საქართველოს საბჭოების ცაკის პრეზიდიუმი.

საკონსტიტუციო კონტროლის საკითხთან მიმართებით ყურადღებას იქცევს 1927 წლის კონსტიტუციის 37-ე მუხლი: „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი თვალყურს ადევნებს საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის ცხოვრებაში გატარებას და აგრეთვე ხელისუფლების ყველა ორგანოს მიერ სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობისა და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ყველა დადგენილების შესრულებას. იგი არის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანო როგორც ცენტრში, ისე ადგილზე“.

როგორც ვხედავთ, საქართველოს 1927 წლის კონსტიტუციაში, 1922 წლის ძირითადი კანონისაგან განსხვავებით, გამოკვეთილად არის წარმოდგენილი ცაკის პრეზიდიუმის ფუნქცია საკონსტიტუციო კონტროლის სფეროში.

ცაკის პრეზიდიუმს უფლება ჰქონდა შეეჩერებინა და გაუქმებინა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს (მთავრობის) და სხვა ორგანოების, სახალხო კომისრების (მინისტრების) დადგენილებები და განკარგულებები, აგრეთვე შეეჩერებინა „ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების და სამაზრო საბჭოების ყრილობათა დადგენილებანი“ (1927 წლის კონსტიტუცია, მუხ. 40).

საკონსტიტუციო კონტროლის საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობისა და ცაკის კომპეტენცია იმ მხრივ, რომ მათ შეეძლოთ „ავტონომიური სოც. საბჭოთა რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქების საბჭოთა ყრილობის და მათი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების, აგრეთვე საბჭოთა სამაზრო ყრილობებისა და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებათა გაუქმება და შეჩერება, თუკი ისინი არღვევენ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციას და სარესპუბლიკო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა დადგენილებებს“.

მეტად მნიშვნელოვანი იყო სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობისა და ცაკის უფლებამოსილება, რომ გაეუქმებინათ აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის საბჭოების ყრილობის, ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს ყველა ის

დადგენილება, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს კონსტიტუციას (1927 წლის კონსტიტუცია, მე-20 მუხლის „თ“ პუნქტი და მუხ. 90).

საქართველოს 1937 წლის კონსტიტუცია სსრ კავშირის 1936 წლის ძირითადი კანონის საფუძველზე არის მოღებული. ამიტომ ბუნებრივია, რომ მასშიც, შესაბამისი საკავშირო კონსტიტუციის მსგავსად, საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი მხოლოდ ზოგადად, დაკონკრეტების გარეშე და არსებითად ფორმალურად არის დეკლარირებული.

1937 წლის კონსტიტუციის მე-14 მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით, „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა თავისი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სახით“, „ღებულობს საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციას, შეაქვს მასში ცვლილებანი და დამატებანი, ახორციელებს მისი შესრულების კონტროლს ...“

ამ ძირითადმა კანონმა განსაზღვრა, რომ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებს აქვთ თავიანთი კონსტიტუციები. ავტონომიების ძირითადი კანონები შესაბამისად ითვალისწინებდნენ რესპუბლიკათა თავისებურებებს და აგებული იყვნენ საქართველოს სსრ და სსრ კავშირის კონსტიტუციების, „სრულ შესაბამისად“ (მუხ. 24).

თუკი აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი არ ეთანხმებოდა საქართველოს სსრ კანონს, მაშინ კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-2 აზაციის ძალით, მოქმედებდა საქართველოს კანონი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თაობაზე, განსახილველ თემასთან მიმართებით, უნდა ითქვას, რომ მისი ფუნქციები საკონსტიტუციო კონტროლის სფეროში არ იყო განსაზღვრული.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კომპეტენციაში შემავალ საკითხთა შორის კონსტიტუციის 36-ე მუხლის „დ“ პუნქტში აღნიშნულია საქართველოს სსრ და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილებებისა და განკარგულებების, აგრეთვე ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს გადაწყვეტილებებისა და განკარგულებების გაუქმების უფლებამოსილება იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ შესაბამებოდნენ კანონს.

საქართველოს 1978 წლის კონსტიტუცია, 1977 წლის საკავშირო ძირითადი კანონის ანალოგიურად, განსაზღვრავდა, რომ საქართველოს სსრ გამგებლობას მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით ექვემდებარება „საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესრულებისადმი კონტროლი და საქართველოს სსრ კონსტიტუციასთან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კონსტიტუციების შესაბამისობის უზრუნველყოფა“ (მუხ.72, პუნქტ. 2).

ავტონომიური რესპუბლიკების ძირითად კანონებთან დაკავშირებით კონსტიტუცია (79-ე მუხლის მე-2 აზაცი) ადგენდა, რომ ისინი შესაბამებიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებს და ითვალისწინებენ ავტონომიის თავისებურებებს. ამასთან, საქართველოს სსრ კანონები სავალდებულო და ერთნაირი ძალის მქონე იყო ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. იმ შემთხვევაში, თუ ავტონომიური რესპუბლიკის კანონი არ ეთანხმებოდა საქართველოს სსრ კანონს, მოქმედებდა საქართველოს კანონი.

საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება უშუალოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ევალებოდა: „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ... კონტროლს უწევს საქართველოს სსრ კონსტიტუციის დაცვას და უზრუნველყოფს, რომ ავტონომიურ რესპუბლიკათა კონსტიტუციები და კანონები შეესაბამებოდეს საქართველოს სსრ კონსტიტუციასა და კანონებს“ (115-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

რაც შეეხება საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს, 1978 წლის კონსტიტუციის 120-ე მუხლის შესაბამისად, იგი კონტროლს უწევდა მის წინაშე ანგარიშვალდებული ყველა სახელმწიფო ორგანოს საქმიანობას.

დემოკრატიული გარდაქმნები სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში

1978 წლის კონსტიტუცია იყო საქართველოს უკანასკნელი საბჭოთა ძირითადი კანონი. იგი მოქმედებდა 1992 წლის 21 თებერვლამდე, როდესაც საქართველოს სამხედრო საბჭომ ცნო 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის უზენაესობა და გამოცხადდა მისი ამოქმედება არსებული რეალიების გათვალისწინებით.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ბოლო პერიოდში 1978 წლის კონსტიტუციამ ბევრი არსებითი ხასიათის ცვლილება განიცადა. ერთ-ერთი მათგანი შეეხებოდა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის დაარსებას. ამ საკითხს აწესრიგებდა საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციის განახლებული რედაქციის 119-ე მუხლი.

კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი უნდა აერჩია საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს პოლიტიკისა და სამართლის დარგის სპეციალისტებისაგან ათი წლის ვადით. ამ ორგანოს შემადგენლობაში გათვალისწინებული იყო კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და 7 წევრი, მათ შორის – აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლები.

კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტში არჩეულ პირს არ შეეძლო ერთდროულად ყოფილიყო იმ ორგანოს შემადგენლობაში, რომლის აქტები ექვემდებარებოდა კომიტეტის შემოწმებას. დადგინდა, რომ კომიტეტის წევრი თავისი მოვალეობის შესრულებისას დამოუკიდებელი იქნებოდა და დაემორჩილებოდა მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი ფართო უფლებამოსილების მქონე ორგანოდ მოიაზრებოდა. მას წინასწარი კონტროლის უფლებამოსილებაც დაუკანონდა. კომიტეტი საკუთარი ინიციატივით ან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დავალებით წარუდგენდა უზენაეს საბჭოს დასკვნებს, თუ რამდენად შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციას რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ განსახილველი აქტების პროექტები.

კომიტეტს თვალყური უნდა ედევნებინა, თუ რამდენად შეესაბამებოდა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს ავტონომიური

რესპუბლიკების კონსტიტუციები და კანონები, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებები და განკარგულებები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებები და განკარგულებები, რაიონის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების საკრებულოების გადაწყვეტილებები.

ასევე, კომიტეტი საკუთარი ინიციატივით ან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დავალებით, აგრეთვე უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისა და მუდმივი კომისიების, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის, ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების წინადადებით იძლეოდა დასკვნებს, თუ რამდენად შეესაბამებოდა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტები.

კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს უნდა მიეცა დასკვნები საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების იმ დარღვევების შესახებ, რომელთაც ჩაიდენდნენ რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირები.

თუ დადასტურდებოდა, რომ აქტი ან მისი ცალკეული დებულებები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას ან კანონებს, კომიტეტი სადავო აქტის გამომცემ ორგანოს გაუგზავნიდა თავის დასკვნას ამ შეუსაბამობის გამოსასწორებლად. ასეთი დასკვნის გამოტანა შეაჩერებდა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა თუ კანონის საწინააღმდეგო აქტის ან მისი ცალკეული დებულების შესრულებას.

კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს უფლება ეძლეოდა წარდგინებით შესულიყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში, საქართველოს პრეზიდენტთან და რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში მათ წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა თუ თანამდებობის პირთა იმ აქტების გაუქმების შესახებ, რომლებიც დაარღვევდნენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას ან კანონებს.

კონსტიტუციაში დადგენილი იყო, რომ კომიტეტის ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავდა საქართველოს კანონი რესპუბლიკის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შესახებ.

მართალია, 1978 წლის კონსტიტუციის განახლებულ რედაქციაში გათვალისწინებული იქნა საქართველოს კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი და მისი სტატუსიც განისაზღვრა, მაგრამ საქმე ამით დამთავრდა და იგი პრაქტიკულად არ შექმნილა. ამგვარად, კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი საქართველოს სახელმწიფო-სამართლებრივ ისტორიაში მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე გამოიკვეთა.

საკონსტიტუციო კონტროლის საკითხი 1978 წლის კონსტიტუციის განახლებულ რედაქციასთან მიმართებით უკავშირდება აგრეთვე პრეზიდენტობის დაწესებას – საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღებას. სახელმწიფოს მეთაურის – საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის სტატუსი, მისი უფლება-მოვალეობანი 1991 წლის 14 აპრილის კანონით კონსტიტუციის მე-13¹ თავში იყო განსაზღვრული.

კონსტიტუციის 121⁴ მუხლის პირველი პუნქტით დადგინდა, რომ საქართველოს პრეზიდენტი არის რესპუბლიკის მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონების დაცვის გარანტი.

საქართველოს პრეზიდენტს უფლება ჰქონდა გაეუქმებინა რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებები და განკარგულებები, სამინისტროებისა და სხვა სათანადო ორგანოთა აქტები, პრეფექტების განკარგულებები და ბრძანებები.

პრეზიდენტი უფლებამოსილი იყო შეეჩერებინა ავტონომიური რესპუბლიკის კანონების, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებებისა და მისი პრეზიდიუმის აქტების, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების მოქმედება, თუ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს.

ასე იყო გადაწყვეტილი კონსტიტუციის დაცვის, მისი უზენაესობის უზრუნველყოფის საკითხები იმ დროისათვის, როდესაც საქართველოს - მრავალსაუკუნოვან ისტორიაში პირველად დაფუძნდა პრეზიდენტის - ქართული სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობა. მაგრამ მალე მოვლენები ტრაგიკულად განვითარდა და არა მარტო საკონსტიტუციო კონტროლი, არამედ კანონიერი ხელისუფლების ძალადობით - იარაღით დამხობისა და სამოქალაქო ომის შედეგად მთელი სახელმწიფოებრივი ცხოვრებაც კი მოიშალა. მოგვიანებით, 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული იქნა საქართველოს ახალი - რიგით მეექვსე კონსტიტუცია. ახლებურად მოეწყო ქვეყნის მართვაგამგებლობა და საკონსტიტუციო კონტროლიც სრულიად სხვა, სუვერენული სახელმწიფოს შესაფერის საწყისებზე წარიმართა.

საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში

1995 წლის კონსტიტუციის საფუძველზე შეიქმნა საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სპეციალიზებული სასამართლო ორგანო. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბების შემდგომ განვლილმა პერიოდმა აჩვენა, რომ ეს იყო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, წინწადგმული ნაბიჯი ქართული დემოკრატიის, ეროვნული სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებისა და დამკვიდრების გზაზე.

სიძნელეებით გაჯერებულ განვლილ წლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ხელისუფლების განშტოებათა სისტემაში ანგარიშგასაწევ, სერიოზულ სახელმწიფო ორგანოდ ჩამოყალიბდა. დროის ამ შედარებით მცირე მონაკვეთში საკონსტიტუციო სასამართლო ისე ორგანულად შეერწყა სამიათასხუთასწლოვან ქართულ სახელმწიფოებრიობას, რომ მის გარეშე წარმოუდგენელიც კია თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოს არსებობა და ჭეშმარიტი დემოკრატიული განვითარება. დაბრკოლებათა მიუხედავად, ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო-სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად მოქმედი საკონსტიტუციო სასამართლო კვლავაც გაამართლებს თავის დანიშნულებას, თუკი თავის საქმიანობას წარმართავს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციისადმი დამორჩილების საფუძველზე. მისი

დაფუძნების არსი და ისტორიული დანიშნულებაა საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფა და ადამიანის უფლებათა დაცვა.

ყურადღებას იქცევს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დაფუძნების დრო და გარემოებანი. XX საუკუნის 90-იანი წლები მნიშვნელოვანი პერიოდია საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში, რამდენადაც დროის ამ მონაკვეთში აღდგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და განხორციელდა სერიოზული დემოკრატიული გარდაქმნები. სამართლებრივი რეფორმების თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ახალი ორგანო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სახით ქვეყნის ისტორიაში პირველად სწორედ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირობებში 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულმა კონსტიტუციამ გაითვალისწინა. 1996 წლის 24 ივლისს საზეიმო ვითარებაში საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი შემადგენლობის მოსამართლებმა დადეს ფიცი, რაც ნიშნავდა მათი უფლებამოსილების ოფიციალურ აღიარებას.

სპეციფიკურია საკონსტიტუციო სასამართლოს ადგილი საქართველოს სასამართლო სისტემაში. საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის 82-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულებისა და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით.

ამგვარად, საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოს კონსტიტუციით სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთ ფორმად არის აღიარებული. სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმებს შორის კონსტიტუცია პირველ რიგში სწორედ საკონსტიტუციო კონტროლს ასახელებს, რაც ამ სამართლებრივი ინსტიტუტის განსაკუთრებული როლისა და დანიშნულების გამოხატულებად უნდა იქნეს მიჩნეული.

კანონმდებლობით მკვეთრად არის ერთმანეთისაგან გამიჯნული საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების კომპეტენციები.

საკონსტიტუციო სასამართლო დამოუკიდებელია სხვა ორგანოებისაგან. იგი წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოს, რომლის დანიშნულებაა უზრუნველყოს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობა და კონსტიტუციური კანონიერება, დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. საკონსტიტუციო სასამართლოს არ აქვს ზედამხედველობის უფლება საერთო სასამართლოების საქმიანობაზე.

რაც შეეხება საქართველოს საერთო სასამართლოებს, ისინი ახორციელებენ მართლმსაჯულებას – განიხილავენ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს და ადმინისტრაციული ხასიათის დავებს. შესაბამისად, მათი საქმიანობა წარიმართება სისხლის სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე. საკონსტიტუციო სასამართლოში კი სამართალწარმოების სხვა წესები გამოიყენება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფუძემდებლური კანონმდებლობა სამი დონის აქტებს მოიცავს. კერძოდ, სასამართლოს საკანონმდებლო ბაზას ქმნის: საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მეხუთე თავი – „სასამართლო ხელისუფლება“, სახელდობრ კი ძირითადი კანონის 82-ე, 83-ე, 88-ე და 89-ე მუხლები; „საქართველოს

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ» 1996 წლის 31 იანვრის ორგანული კანონი; „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ» 1996 წლის 21 მარტის კანონი.

საკონსტიტუციო სასამართლოს შიდა ორგანიზაციული საკითხები წესრიგდება პლენურის მიერ დამტკიცებული რეგლამენტით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტი პირველად მიღებული იქნა სასამართლოს პლენურის 1996 წლის 15 აგვისტოს დადგენილებით).

სასამართლოს შემადგენლობა, მისი მოწყობა კონსტიტუციითა და ორგანული კანონით განისაზღვრება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისაგან. სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამს ირჩევს პარლამენტი სიითი შემადგენლობის არანავლებ სამი მეხუთედით, სამ წევრს კი ნიშნავს უზენაესი სასამართლო (პლენური).

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება. მოსამართლეთა შერჩევის დროს ითვალისწინებენ კანდიდატის პროფესიულ გამოცდილებას, რაც უნდა შეეფერებოდეს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მაღალ სტატუსს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადა 10 წელია. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

კონსტიტუციითა და ორგანული კანონით დადგენილია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დამოუკიდებლობის, ხელშეუხებლობისა და შეუცვლელობის გარანტიები მისი უფლებამოსილების მთელი ვადის განმავლობაში.

კერძოდ, არავის არ აქვს უფლება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს მოსთხოვოს ანგარიში და განმარტება კონკრეტულ საქმეზე. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა აკრძალულია და ისჯება კანონით.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი სარგებლობს ხელშეუხებლობით. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა, დაკავება და დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩერეკა საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, საკონსტიტუციო სასამართლოს დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

ორგანული კანონი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ითვალისწინებს მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესაძლებლობას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ:

ზედიზე 6 თვის განმავლობაში ვერ ასრულებდა ან წელიწადში 3 თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ ასრულებდა თავის მოვალეობას;

დაიკავა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა ან ეწევა კანონით აკრძალულ საქმიანობას⁷;

დაარღვია კანონის ის მოთხოვნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უფლება არა აქვს გაამჟღავნოს სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების დროს გამართული თათბირის არსი ან მოსამართლის მიერ კენჭისყრისას დაკავებული პოზიცია;

ჩაიდინა მოსამართლისათვის შეუფერებელი საქციელი, დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა, გადადგა თანამდებობიდან, სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, გარდაიცვალა ან სასამართლომ აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად, ანდა გამოაცხადა გარდაცვლილად.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სტრუქტურულად შედგება პლენუმისა და ორი კოლეგიისაგან.

პლენუმის შემადგენლობაშია საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრავე წევრი, კოლეგიებში კი ოთხ-ოთხი მოსამართლეა. კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს პლენუმი. კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ პრეზიდენტის, პარლამენტისა და უზენაესი სასამართლოს მიერ გამწესებული წევრები კოლეგიებში რაც შეიძლება თანაბრად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი.

საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს თავისი აპარატი სხვადასხვაგვარი სამსახურებით. მოსამართლეთა აპარატს შეადგენენ თანაშემწეები და რეფერენტები.

საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შეთანხმებული წინადადებით ირჩევს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს 5 წლის ვადით. სასამართლოს თავმჯდომარის წინადადებით საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი ირჩევს თავმჯდომარის ორ მოადგილეს და სასამართლოს მდივანს.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე წელიწადში ერთხელ საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტსა და უზენაეს სასამართლოს უგზავნის ინფორმაციას ქვეყანაში კონსტიტუციური კანონიერების შესახებ. იგი წარუდგენს სასამართლოს პლენუმს დასამტკიცებლად საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტს, ანაწილებს საქმეებს რეგლამენტით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე იწვევს სასამართლოს პლენუმს, უმღვება მის სხდომებს, ხელს აწერს პლენუმზე მიღებულ გადაწყვეტილებას, განჩინებას, საოქმო ჩანაწერს, დასკვნას და სხდომის ოქმს. იგი ხელმძღვანელობს საკონსტიტუციო სასამართლოს აპარატის საქმიანობას, ახორციელებს კანონმდებლობით და რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები იმავდროულად არიან კოლეგიების თავმჯდომარეები. ისინი უმღვებიან კოლეგიების სხდომებს და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით ასრულებენ თავმჯდომარის ცალკეულ ფუნქციებს. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს

⁷ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან ან ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისა. იგი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი უნდა გადადგეს სხვა თანამდებობიდან ან/და შეწყვიტოს ზემოაღნიშნული საქმიანობა ფიცის დადების დღიდან.

თავმჯდომარის არყოფნის დროს ან მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობისას, თავმჯდომარის მოვალეობას, მისივე დავალებით, ასრულებს ერთ-ერთი მოადგილე, ასეთი დავალების არარსებობისას კი – უხუცესი მოადგილე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი მოსამართლის უფლებამოსილების გარდა ახორციელებს პლენუმისა და კოლეგიების სხდომების მოსამზადებელ ღონისძიებებს, იღებს ზომებს სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის, ორგანიზებას უწევს სასამართლოს ოფიციალური დოკუმენტაციის დაგზავნასა და როგორც პლენუმის, ისე სასამართლო კოლეგიების სხდომათა ოქმების წარმოებას, მათ გაფორმებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში შედის სხვადასხვაგვარი საკითხების გადაწყვეტა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ძირითადი მიზანია ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის უზრუნველყოფა. საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის 89-ე და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლებში.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების საფუძველზე უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს:

1. საქართველოს კონსტიტუციასთან კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონების, პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და პარლამენტის დადგენილებების მიღების/გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობის საკითხები;

2. დავა სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის თაობაზე;

3. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხი;

4. დავა რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ;

5. საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი;

6. საერთაშორისო ხელშეკრულებათა ან შეთანხმებათა კონსტიტუციურობის საკითხი;

7. საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი;

8. საქართველოს პრეზიდენტის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრის, კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხი;

9. დავა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის დარღვევის თაობაზე;

10. საქართველოს კონსტიტუციასთან, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ კონსტიტუციურ კანონთან, კონსტიტუციურ შეთანხმებასთან,

საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან და საქართველოს კანონებთან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი.

ამასთან, თუ საერთო სასამართლოში კონკრეტული საქმის განხილვისას სასამართლო დაასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რათა ის კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც უნდა გამოიყენოს სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეული იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს. საქმის განხილვა განახლდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ.

სამომავლოდ მიზანშეწონილია საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით განიხილოს და გადაწყვიტოს აგრეთვე საერთო სასამართლოს მიერ კონკრეტულ საქმეზე მიღებული საბოლოო აქტის კონსტიტუციურობის საკითხი, როდესაც ამოწურულია შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო დაცვის ყველა საშუალება⁸.

კანონმდებლობით ზუსტად არის გამიჯნული პლენუმისა და კოლეგიის განსჯადი საკითხები.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი განიხილავს: საქართველოს კონსტიტუციასთან კონსტიტუციური შეთანხმების, საქართველოს კანონების, პარლამენტის ნორმატიული დადგენილებების, საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის, აგრეთვე საქართველოს საკანონმდებლო აქტებისა და პარლამენტის დადგენილებების მიღება-გამოცემის, ხელმოწერის, გამოქვეყნებისა და ამოქმედების შესაბამისობის საკითხებს; საერთაშორისო ხელშეკრულებათა ან შეთანხმებათა კონსტიტუციურობის საკითხს; საქართველოს პრეზიდენტის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრების, კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხსა და საერთო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მიმართვას; დავას აჭარის ავტონომიური სტატუსის განმსაზღვრელი კონსტიტუციური კანონის თაობაზე; საქართველოს კონსტიტუციასთან, ხსენებულ კონსტიტუციურ კანონთან, კონსტიტუციურ შეთანხმებასთან, საერთაშორისო აქტებთან და საქართველოს კანონებთან აჭარის უმაღლესი საბჭოს ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხს.

საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში შემავალ დანარჩენ საკითხებს, რომლებიც ზემოთაა დასახელებული, განიხილავენ კოლეგიები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი კონსტიტუციური სარჩელითა და კონსტიტუციური წარდგინებით მიმართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი არიან საქართველოს პრეზიდენტი, მთავრობა, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედი, სასამართლო, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები, სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები და სხვა ფიზიკური

⁸ ი. ფუტკარაძე, სასამართლო ხელისუფლება და მირითადი უფლებები საქართველოს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში, ქურნ. „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა”, 2009, №1, გვ. 71-72.

პირები, აგრეთვე საქართველოს იურიდიული პირები. ამათ კონსტიტუციის ახალი რედაქციით ემატება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო და საკრებულოები.

საკონსტიტუციო სამართალწარმოება იწყება კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების შეტანით. საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ და რეგისტრირებულ სარჩელებსა და წარდგინებებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე რიგითობის დაცვით გადასცემს კოლეგიებს. პლენუმის განსახილველ საქმეებზე სასამართლოს თავმჯდომარე თვითონ ნიშნავს მომხსენებელ მოსამართლეს.

კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების არსებითად განსახილველად მიღების საკითხს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი/კოლეგია წყვეტს ზეპირი მოსმენის გარეშე. კანონით დადგენილ შემთხვევებში იმართება განმწერიგებელი სხდომა.

საქმის განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოში ღიაა, მაგრამ კანონმდებლობით გათვალისწინებულია სხდომის ან მისი ნაწილის დახურულად ჩატარება.

საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეები არიან: მხარეები – პირები და ორგანოები, რომლებიც „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის შესაბამისად ითვლებიან მოსარჩელეებად ან მოპასუხეებად; მხარეთა წარმომადგენლები – ნდობით აღჭურვილი პირები, რომელთათვისაც მხარეებს კანონით დადგენილი წესით გადაცემული აქვთ თავიანთი უფლებამოსილება (საკონსტიტუციო სასამართლოში წარმომადგენლის დანიშვნა სავალდებულოა, თუ კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგინების შემტან პირთა რაოდენობა ორზე მეტია, აგრეთვე როცა მოსარჩელე მოთავსებულია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში); მხარეთა ინტერესების დამცველნი – ადვოკატები ან უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სხვა პირები, რომლებიც სამართალწარმოებაში მონაწილეობენ მხოლოდ მხარეებთან ან მათ წარმომადგენლებთან ერთად (მათი დანიშვნის უფლება აქვს როგორც მხარეს, ისე მის წარმომადგენელს).

საქმის არსებითად განხილვა საკონსტიტუციო სასამართლოში წარიმართება ზეპირად, გარდა ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სასამართლო საქმეს არსებითად წყვეტს წერილობით. საკონსტიტუციო სასამართლოს აქტზე ხელს აწერს საქმის განხილვაში მონაწილე ყველა მოსამართლე, მიუხედავად კენჭისყრისას დაკავებული პოზიციისა. ამასთან, საქმის განხილვის მონაწილე მოსამართლეს უფლება აქვს გადაწყვეტილების მიღების დროს ჰქონდეს განსხვავებული აზრი, რომელიც გადმოიცემა წერილობითი ფორმით.

კანონმდებლობით დადგენილია სასამართლო აქტების სახეები, მათი იურიდიული ძალა და აღსრულების წესი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აქტებია გადაწყვეტილება, განჩინება, საოქმო ჩანაწერი და დასკვნა.

სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის ან კონსტიტუციური წარდგინების განსახილველად მიღების შესახებ იღებს საოქმო ჩანაწერს, ხოლო მიუღებლობის თაობაზე – განჩინებას.

კონსტიტუციური სარჩელისა და წარდგინების არსებითად განხილვისას საკონსტიტუციო სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას. გამონაკლისია წარდგინება იმპიჩმენტის საკითხზე, აგრეთვე იმ საერთაშორისო ხელშეკრულებისა თუ შეთახმების

ან მათ ცალკეულ დებულებათა კონსტიტუციურობის თაობაზე, რომლებიც ექვემდებარება რატიფიცირებას. ამ შემთხვევებში მიღება დასკვნა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, განჩინება და დასკვნა დასაბუთებული უნდა იყოს. გადაწყვეტილება, განჩინება, საოქმო ჩანაწერი და დასკვნა საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ისჯება კანონით.

არაკონსტიტუციურად ცნობილი სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი იურიდიულ ძალას კარგავს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან, საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტის შემთხვევაში კი – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნებისთანავე.

ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ (25-ე მუხლის მე-3 პუნქტი) განსაზღვრავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს აქტი მისი გამოქვეყნების შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, თუ თვით ამ აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ არ შეიძლება ისეთი სამართლებრივი აქტის მიღება თუ გამოცემა, რომელიც შეიცავს იმავე შინაარსის ნორმებს, რომლებიც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.

სასამართლოს გადაწყვეტილებისა და დასკვნის ასლები აუცილებლად ეგზავნებათ საქართველოს პრეზიდენტს, მთავრობას, პარლამენტსა და უზენაეს სასამართლოს.

საკონსტიტუციო სასამრთლოს გადაწყვეტილებას უკუქცევითი ძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დავა სახელმწიფო ორგანოთა შორის კომპეტენციის ფარგლებს ეხება. კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს მის საფუძველზე ადრე გამოტანლი სასამართლოს განაჩენისა და გადაწყვეტილების გაუქმებას. იგი იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების პროცესში დასაშვებია ერთგვარი დროებითი სანქციის გამოყენება. სახელდობრ, თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგი, იგი უფლებამოსილია შეაჩეროს სადაცო აქტის მოქმედება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

დასკვნა

საკონსტიტუციო კონტროლის შემოღება კონსტიტუციის არსებობითა და მისი დარღვევის თავიდან აცილების საჭიროებით არის განპირობებული. კონსტიტუციის დაცვა წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის უმთავრეს მიზანს, მის

დანიშნულებას. სწორედ ეს გარემოება არის საკონსტიტუციო კონტროლის ფართოდ გავრცელების ძირითადი ფაქტორი.

მსოფლიო პრაქტიკასთან შედარებით, საკონსტიტუციო კონტროლის სამართლებრივი ინსტიტუტი საქართველოში საკმაოდ გვიან ჩამოყალიბდა.

საერთაშორისო მასშტაბით პირველი პრეცედენტი საკონსტიტუციო კონტროლის სფეროში, მერბერი-მედისონის სასამართლო დავის თაობაზე ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სახით, 1803 წელს განხორციელდა. იგი მსოფლიოში პირველ დაწერილ და დღემდე მხოლოდ რამდენიმე (სულ 27) შესწორება-დამატებით მოქმედ ძირითად კანონს – 1787 წლის ამერიკულ კონსტიტუციას დაუკავშირდა.

მართალია, საქართველოს სახელმწიფოებრივ მოწყობაში კონსტიტუციონალიზმის ჩანასახების, პარლამენტარიზმისა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დანერგვის მცდელობა (ე.წ. „კარვის“ დაარსების მოთხოვნა) ინგლისის პარლამენტის შექმნამდე (1265 წლამდე) 80 წლით ადრე მოხდა, მაგრამ იგი საბოლოოდ მარცხით დასრულდა. შემდგომ პერიოდში, დამპყრობელთა გამანადგურებელი შემოსევების შედეგად ქვეყანა როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურადაც დაჭვეითდა და XV საუკუნის მიწურულს ერთმანეთისაგან განკერძოებულ სამეფო-სამთავროებად დაიშალა. XIX საუკუნის დასაწყისში კი რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია და საერთოდ გააუქმა ქართული სახელმწიფოებრიობა.

დამოუკიდებლობა საქართველომ 1918 წლის 26 მაისს აღიდგინა. 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული იქნა საქართველოს პირველი კონსტიტუცია და, შესაბამისად, ჩაისახა საკონსტიტუციო კონტროლის ქართული სამართლებრივი ინსტიტუტის საწყისები.

მალე რუსეთმა კვლავ განახორციელა საქართველოს ოკუპაცია და გასაბჭოების შედეგად ქვეყანაში კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფის საბჭოური სისტემის საფუძვლები დამკვიდრდა. საქართველოს 1922, 1927, 1937 და 1978 წლების ძირითადი კანონებით შემოღებული იქნა კონსტიტუციის დაცვის იმდროინ-დელი რუსული მექანიზმი.

საბჭოთა იმპერიის დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში საკონსტიტუციო კონტროლის ხაზით გატარდა ცალკეული დემოკრატიული გარდაქმნები. სიახლეები კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტისა და საქართველოს პრეზიდენტისათვის რესპუბლიკის ძირითადი კანონის დაცვის გარანტის ფუნქციის კონსტიტუციურად განმტკიცებით გამოიხატა.

საკონსტიტუციო კონტროლის საერთაშორისო დონის სამართლებრივი ინსტიტუტის დაფუძნება საქართველოში 1995 წლის კონსტიტუციის მიღებას უკავშირდება. ამ ძირითადი კანონის საფუძველზე ჩამოყალიბდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, განისაზღვრა მისი სტატუსი და უფლებამოსილება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს მოქმედი კონსტიტუციის უზენაესობას. ამიტომ მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სახელმწიფო ორგანოების სისტემაში.

საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნაში მონაწილეობს ხელისუფლების სამივე განშტოება, მაგრამ მათი გავლენა მხოლოდ ფორმირების სტადიით შემოიფარგლება. ამის შემდეგ ურთიერთობები ხელისუფლებათა გამიჯვნის პრინციპით ხორციელდება. საკანონმდებლო ორგანო განსაზღვრავს სასამართლოს სტატუსს, აღმასრულებელი ხელისუფლება ქმნის პირობებს მისი საქმიანობისათვის, ხოლო თავის მხრივ სასამართლო აკონტროლებს მათ საქმიანობას.

ხელისუფლების განშტოებათა შეთანხმებული მოქმედება წარმატებული საკონსტიტუციო კონტროლისა და იმავდროულად მთელი სახელმწიფოებრივი მექანიზმის გამართულად მუშაობის უმნიშვნელოვანესი გარანტია.

რომან შენგელია, პროფესორი

ქართული საბიუჯეტო სამართლის საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პრობლემა

საბაზრო მეურნეობის პრინციპების დამკვიდრების პროცესში მნიშვნელოვნად იზრდება ინტერესი საფინანსო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირებისადმი. შესაბამისი სამართლებრივი ბაზის სრულყოფის აუცილებლობას საფუძველი დაუდო ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა გარდაქმნებმა. მეწარმეობა სამეურნეო საქმიანობის მირითადი ფორმა გახდა; გაიმიჯნა ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციები ფინანსების სფეროში; საჯარო და კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების თანასწორობისა და განვითარების კონსტიტუციური გარანტიები მტკიცედ შეერწყა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ საყოველთაოდ მიღებულ პრინციპებსა და საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

ყოველივე ეს მკვეთრად აისახა საფინანსო სამართლის ნორმებით რეგულირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შინაარსსა და სტრუქტურაში. შეიქმნა ახალი საფინანსო სამართლებრივი ინსტიტუტები, მნიშვნელოვნად გაფართოვდა საფინანსო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეთა წრე, არსებითად შეიცვალა მათი უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობის დონე, უფრო მეტად გამოიყენება საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების საფინანსო სამართლის სფეროში მიღწეული გამოცდილება.

საბაზრო მეურნეობის პირობებში ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია ფინანსების მექანიზმის ეფექტური გამოყენება საზოგადოებისა და სახელმწიფოს ამოცანების შესაბამისად. ეს კი შესაძლებელია საფინანსო სამართლის ნორმების მოთხოვნათა განუხრელი დაცვით. ქვეყნის მთლიანი საბიუჯეტო სისტემა საფინანსო სამართლის ნორმების საფუძველზე იძენს ფუნქციონალურ დატვირთვას, რაც

საბოლოოდ გულისხმობს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის, სოციალური სფეროს, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ფინანსურ უზრუნველყოფას. საფინანსო სამართლებრივი ნორმების საშუალებით ხდება სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების შექმნა-გამოყენება, ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელება, საბანკო საქმიანობის წარმოება და სხვ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საგადასახადო ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირება. გადასახადები არა მარტო საბიუჯეტო შემოსავლების ძირითადი წყაროა, არამედ ეკონომიკის რეგულირების ეფექტური საშუალებაცაა. ფულით მართვაზე უკეთესი საშუალება კაცობრიობას ჯერ არ მოუგონია.

საფინანსო სამართლის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს საბიუჯეტო სამართალი. ამიტომ ამ ინსტიტუტის სრულყოფის საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის ღრმა ანალიზსა და ეროვნული საბიუჯეტო სამართლის შექმნა-განვითარებაში დიდი ხნის მანძილზე დაგროვილი გამოცდილების ეფექტურად გამოყენებას.

საზღვარგარეთული ქვეყნების საბიუჯეტო სამართლებრივ ურთიერთობებში ძირითადი ყურადღება გასამახვილებელია საბიუჯეტო სამართლის არსზე, წყაროებსა და პრინციპებზე. ყურადსაღებია საბიუჯეტო პროცესის ძირითადი სტადიების თავისებურებანიც. სწორედ ამ საკითხებით შემოიფარგლება ის ინტერესი, რომელიც საფუძვლად ედება ქართული და უცხოური კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ძირითად მიმართულებებს.

1. საზღვარგარეთის ქვეყნების უკანასკნელი პერიოდის კანონმდებლობამ ახლებურად განსაზღვრა სააფინანსო-სამართლებრივი ინსტიტუტების მნიშვნელოვანი ნაწილის შინაარსი, რითაც საფინანსო სამართალი ზოგადად და საბიუჯეტო სამართალი კერძოდ, დაუქვემდებარა სახელმწიფოებრივი ამოცანების სამსახურს. სახელმწიფოს საფინანსო სისტემაში ბიუჯეტი ძირითადი რგოლია. იგი სახელმწიფო შემოსავლებისა და გასავლების ნუსხაა. სწორედ ამ შემოსავლების მობილიზაციის პროცესში და გასავლების ხარჯვისას წარმოშობილ ურთიერთობათა მარეგულირებლად გამოდის საბიუჯეტო სამართალი. თუ ადრე ბიუჯეტი ძირითადად დაკავშირებული იყო სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ საქმიანობასთან, უკანასკნელ პერიოდში იგი თავისი ზეგავლენით მოიცავს აგრეთვე წარმოების სფეროსაც. ეს განპირობებულია ეკონომიკურ სფეროში სახელმწიფოს აქტიური საქმიანობით. სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით კაპიტალისტური სახელმწიფო ხელს უწყობს მონოპოლიების ეკონომიკური პოზიციების გამაგრებას და აწარმოებს ეროვნული შემოსავლის მათ სასარგებლოდ გადანაწილებას. საზღვარგარეთელი მეცნიერები სულ უფრო ხშირად მიუთითებენ ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევის აუცილებლობის შესახებ. მაგალითად, ცნობილი ფრანგი მეცნიერი პოლ მარი გოდმე არ მალავს რა თავის სიმპატიებს ღია ეკონომიკის, თავისუფალი კონკურენციისა და საბაზრო მეურნეობის პრინციპების მიმართ, ამავე დროს თვლის, რომ ეს ეკონომიკის განვითარების გუშინდელი დღეა. მისი აზრით, თუ ადრე სახელმწიფო თითქმის არ ერეოდა ეკონომიკურ ცხოვრებაში და იგი კერძო კაპიტალის სფეროს განეკუთვნებოდა, დღეს სახელმწიფო ფუნქციების განსახორციელებლად საფინანსო ინსტიტუტების სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის გამოყენების აუცილებლობა დგას. ეს კი სახელმწიფო ფუნქციების მუდმივი მოდერნიზაციისა და გაფართოების პირობებში ეკონომიკაში მისი ჩარევის

საფუძველი ხდება. სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა ეკონომიკის სტაბილიზაცია, რაც ძირითადად ფისკალური ანუ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკით ხორციელდება. სწორედ ფისკალური პოლიტიკის განხორციელების, გადასახადებისა და ხარჯების მანიპულირებით ხდება კონტროლი ინფლაციაზე, ეროვნული წარმოების რეალური მოცულობის ზრდა, დასაქმების რეგულირება და ეკონომიკური ზრდის დაჩქარება. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ყველაზე ეფექტურ საშუალებას საბიუჯეტო-საფინანსო ინსტრუმენტების ეფექტური გამოყენება წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ფინანსების ცენტრალიზებულ მართვას დიდი ხნის ისტორია აქვს, ტერმინი «ბიუჯეტი» ეკონომიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში XIX საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება. იგი წარმოადგენდა სახელმწიფო შემოსავლებისა და გასავლების წინასწარი მოწონების დამადასტურებელ აქტს. მისი დამტკიცება ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ, ბიუჯეტს აძლევდა კანონით განსაზღვრული პირობების საფუძველზე სახელმწიფო სახსრების გამოყენების შესაძლებლობის მქონე სამართლებრივი ნორმების ერთობლიობის სახეს. ამიტომ ითვლება, რომ ბიუჯეტი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, არ არსებობს იმ ქვეყნებში, რომლებშიც არ არის კონსტიტუციური მმართველობა. ნებისმიერ ქვეყანაში საბიუჯეტო ურთიერთობები რეგულირდება საკანონმდებლო აქტებით, თუმცა საბიუჯეტო კანონისადმი სხვადასხვაგვარი მიდგომა არსებობს. კონტინენტურ ქვეყნებში ბიუჯეტი მოიცავს როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯების ნაწილსაც და მტკიცდება ერთიანი საკანონმდებლო აქტით. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის 110-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ‘ფედერაციის ყველა შემოსავალი და გასავალი შეიტანება ბიუჯეტის გეგმაში». იგივე აზრია ჩადებული საფრანგეთის კონსტიტუციის 47-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც საბიუჯეტო წლის დაწყებამდე პარლამენტმა უნდა მიიღოს ფინანსური კანონი, რომლითაც უნდა განისაზღვროს ქვეყნის შემოსავლები და ხარჯები. საერთო სამართლის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ინგლისი და კანადა, ფინანსური ბილი ანუ ბიუჯეტის შემოსავლები და ბილი ასიგნებათა შესახებ ანუ საბიუჯეტო გასავლები პარლამენტის მიერ განიხილება და მიიღება ცალ-ცალკე.

საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში ბიუჯეტის ცნების ერთნაირი გაგება არ არსებობს, შესაბამისად არც დოქტრინაშია ამ მხრივ ერთიანი აზრი. ბიუჯეტი მიჩნეულია როგორც სახელმწიფო შემოსავლებისა და გასავლების განწერა, მთავრობისათვის შემოსავლების აკრეფისა და მათი ხარჯვის უფლების მიმნიჭებელი კანონი ან სახელმწიფო მეურნეობის წარმართვის გეგმა. მიუხედავად ამისა, ბიუჯეტის შინაარსი პრინციპში ერთნაირია და იგი სხვადასხვა ასპექტით შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც დოკუმენტი, რომელშიც გაერთიანებულია: სახელმწიფოს შემოსავლები და გასავლები – მატერიალური ასპექტი; კანონი ან კანონები – იურიდიული ასპექტი; სახელმწიფოს შემოსავლებისა და ხარჯების წინასწარი გეგმა – ადმინისტრაციული ასპექტი; შეგროვებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების კრებსითი ფორმულა – საბუღალტრო ასპექტი; მთავრობისათვის პარლამენტის ნებართვა სახელმწიფო ფინანსების ფორმირებისა და გამოყენების შესახებ – პოლიტიკური ასპექტი; სახელმწიფოს მიერ ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაზე ზემოქმედების ინსტრუმენტი – ეკონომიკური და სოციალური ასპექტი.

ქართული კანონმდებლობით ბიუჯეტი წარმოადგენს სახელმწიფოს ფუნქციების განსახორციელებლად აუცილებელი ფულადი სახსრების მობილიზაციისა და გამოყენების ძირითად საფინანსო გეგმას. ლიტერატურაში კი ბიუჯეტად მიჩნეულია სახელმწიფოსათვის აუცილებელი ფულადი სახსრები ან ასეთი სახსრების წარმოქმნის საფინანსო გეგმა. უკანასკნელი უფრო ზუსტად ასახავს კანონში გამოხატულ პოზიციას. საქართველოს კანონი საბიუჯეტო უფლებების შესახებ უფრო ნათლად უნდა გამოხატავდეს არა მარტო ბიუჯეტის ცნების ძირითად ნიშნებს, არამედ მისი შინაარსის სხვადასხვა ასპექტებსაც.

2. საზღვარგარეთის ქვეყნების საბიუჯეტო სამართლის წყაროებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია კონსტიტუციებს. ისინი ადგენენ საბიუჯეტო საქმიანობის ამოსავალ დებულებებსა და ძირითად პრინციპებს, აგრეთვე საბიუჯეტო პროცესის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს. გერმანიაში საბიუჯეტო სამართლის საფუძვლები განმტკიცებულია მისი ძირითადი კანონის მეათე განყოფილებაში, რომელსაც «ფინანსები» ქვია და მოიცავს 12 მუხლს. მათში იმდენად დეტალურადაა მოწესრიგებული საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობები, რომ ლიტერატურაში მან გერმანიის საფინანსო კონსტიტუციის სახელწოდება მიიღო. აღნიშნულ თავში განხილულია: ხარჯების განაწილება ფედერაციასა და ლანდებს შორის, მათი საკანონმდებლო კომპეტენცია ფინანსების სფეროში, გადასახადებისაგან მიღებული შემოსავლების განაწილება, ფინანსების მართვა, საბიუჯეტო მეურნეობა ფედერაციასა და ლანდებში, ფედერაციის ბიუჯეტის გეგმა და ბიუჯეტის კანონი, საბიუჯეტო კონტროლი და სხვ. საფრანგეთში ძირითად წყაროებს წარმოადგენს კონსტიტუცია და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია. კონსტიტუციით განსაზღვრულია ბიუჯეტის მომზადების, მიღებისა და შესრულების წესი, ხოლო დეკლარაცია კი განამტკიცებს მოსახლეობის ფართო ფენების ჩართვას სახელმწიფოს ფუნქციების შესასრულებლად აუცილებელი სახსრების მობილიზაციისა და ხარჯვის საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში. ამერიკის 1787 წლის კონსტიტუცია ადგენს კონგრესის უფლებას მიიღოს ქვეყნის ბიუჯეტი. მასში აღნიშნულია, რომ კონგრესის უფლებაა «დაადგინოს და აკრიფოს გადასახადები, ბაჟი, აქციზები, რათა გადაიხადოს შეერთებული შტატების ვალი, უზრუნველყოს ერთობლივი თავდაცვა და საყოველთაო კეთილდღეობა. ყველა ასაკრეფი ბაჟი და აქციზები ერთნაირი უნდა იყოს მთელ შეერთებულ შტატებში». ყურადღებაა გამახვილებული ადმინისტრაციის საფინანსო საქმიანობაზე, კონტროლის განხორციელების აუცილებლობაზე. აღნიშნულია, რომ ხაზინიდან ფულის გაცემა უნდა მოხდეს მხოლოდ კანონით დადგენილ ასიგნებათა საფუძველზე, დროდადრო უნდა გამოქვეყნდეს ცნობები და ანგარიში მთელი სახელმწიფო ფულის შემოსავლისა და დანახარჯების შესახებ. კონსტიტუციაში ყურადღებაა გამახვილებული ფედერალური სახელმწიფოსა და შტატების საფინანსო უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ. მაგალითად, დადგენილია, რომ კონგრესის თანხმობის გარეშე არცერთ შტატს არ შეუძლია დაბეგროს რაიმე ბაჟით ან გამოსაღებით საქონლის შემოტანა ან გატანა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს სრულიად აუცილებელია შტატის საინსპექციო კანონების შესრულებისათვის. შტატში შემოსატანი ან გასატანი საქონლის დაბეგვრის შედეგად მიღებული წმინდა მოგება გადადის შეერთებული შტატების ხაზინის განკარგულებაში. ამ სახის ყველა კანონი ექვემდებარება კონგრესის კონტროლსა და გადასინჯვას.

შვედეთის კონფედერაციის 1999 წლის ფედერალური კონსტიტუციით განსაზღვრულია კონფედერაციის, კანტონებისა და კომუნების საბიუჯეტო უფლებამოსილებანი, საერთო სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისა და მისი შესრულების შესახებ სახელმწიფო ანგარიშის განხილვა-დამტკიცების წესი. იტალიის რესპუბლიკის 1947 წლის კონსტიტუციით განსაზღვრულია საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობათა ძირითადი დებულებები. კონსტიტუციის მიხედვით «ყველა სახის პირადი ბეგარა ან ქონებრივი გადასახადი შეიძლება დადგენილ იქნეს მხოლოდ კანონის საფუძველზე». 75-ე მუხლის მიხედვით დაუშვებელია რეფერენდუმის ჩატარება გადასახადების ან ბიუჯეტის შესახებ კანონების თაობაზე. 81-ე მუხლში კი აღნიშნულია, რომ დროებითი ბიუჯეტი შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ სპეციალური კანონის საფუძველზე და მისი მოქმედების ვადა არ უნდა გადასცდეს ოთხ თვეს. ძირითადი კანონით ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ არ შეიძლება დადგინდეს ახალი გადასახადები და ან ახალი ხარჯები.

საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობათა სფეროში მოქმედი კონსტიტუციური დებულებები დეტალურ რეგლამენტირებას პოულობს ცალკეულ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებში. მათში თავმოყრილია პროცესუალური და მატერიალური ხასიათის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს ბიუჯეტისა და სხვა საფინანსო აქტების მიღებისა და რეალიზაციის პროცესს, აგრეთვე საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობების სუბიექტების უფლება-მოვალეობებს. ასეთი აქტები საზღვარგარეთის თითქმის ყველა ქვეყანაშია მიღებული.

გერმანიაში მოქმედებს საფინანსო ხასიათის კანონების მთელი ბლოკი, რომლითაც დეტალურადაა მოწერილი აღნიშნული ურთიერთობები. ამ კანონებშივეა მოცემული მათი ამოქმედების მექანიზმები. ამასთან, საბიუჯეტო ურთიერთობათა რთული და დინამიური ხასიათის გამო, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სისტემატურად ახლდება პარლამენტის მიერ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია კანონი «ფედერაციისა და ლანდების საბიუჯეტო სამართლის პრინციპების შესახებ» და მისი დამატება «ბიუჯეტის სტრუქტურის გაუმჯობესების შესახებ». ამ აქტებში დეტალურად არის გადმოცემული ბიუჯეტის დაგეგმვის, აღრიცხვის ორგანიზაციის, ანგარიშგების, საფინანსო კონტროლისა და სხვა საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში მრავალი ბიუჯეტი არსებობს ფედერალური, ლანდების და თემების ბიუჯეტების სახით, სამართლებრივი ნორმების უმეტესობა ეხება ფედერალურ ბიუჯეტს, რომელიც გერმანიის საბიუჯეტო სისტემის ძირითად სტრუქტურას წარმოადგენს და მისი ფულადი რესურსების ნახევარზე მეტის აკუმულაციას ახდენს. საფრანგეთში სპეციალურ საფინანსო-საბიუჯეტო კანონებს მიეკუთვნება წლიური კანონი ფინანსების შესახებ, მაკორექტირებელი კანონი, რომელსაც ცვლილებები შეაქვს წლიურ კანონში და აღსრულებითი კანონი, რომლის მეშვეობითაც ხდება ფინანსების შესახებ მიღებული კანონის აღსრულება. ესპანეთში კონსტიტუციით განსაზღვრული დებულებები საბიუჯეტო სამართლის შესახებ დეტალიზებულ იქნა 1991 წლის კანონში ბიუჯეტის შესახებ, რომელშიც განსაზღვრულია ერთმანეთისაგან გამიჯნული საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებანი ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, დამტკიცებისა და შესრულების სფეროში, აგრეთვე საბიუჯეტო კლასიფიკაციის სახეები და პრინციპები. ამერიკაში, ჩვეულებრივ, ბიუჯეტის ფორმირება და მისი შესრულების კონტროლი საკანონმდებლო ხელისუფლებას

ეკუთვნის, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებას ბიუჯეტის შესრულების უფლება-მოვალეობა გააჩნია. უკანასკნელ პერიოდში მთავრობამ 1921 წლიდან მიიღო საბიუჯეტი ინიციატივის უფლება. მოგვიანებით კიდევ უფრო გაფართოვდა აღმასრულებელი ხელისუფლების საბიუჯეტო უფლებამოსილებანი, რაც ძირითადად განაპირობა 1974 წელს მიღებულმა კანონმა ბიუჯეტის კონტროლისა და იმპაუდმენტის შესახებ (იმპაუდმენტი არის გადაწყვეტილება საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაზე უარის თქმის შესახებ), აგრეთვე 1985 წლის კანონმა ბალანსირებული ბიუჯეტისა და დეფიციტის მიმართ კონტროლის განსაკუთრებული ზომების შესახებ. კანადაში პირველად 1878 წელს იქნა მიღებული კანონი გაერთიანებული შემოსავლებისა და აუდიტის შესახებ. მასში საბიუჯეტო სახსრების გამოყენებისა და საბიუჯეტო კონტროლის ფორმები განისაზღვრა. 1977 წელს კი საბიუჯეტო კონტროლის ფორმები დაზუსტდა კანონით «მთავარი აუდიტორის შესახებ». სპეციალური კანონით არის მოწესრიგებული პროვინციების საფინანსო დოკუმენტის საკითხები.

საზღვარგარეთის ქვეყნების უმრავლესობაში საბიუჯეტო სამართლის წყაროს მიეკუთვნება აგრეთვე ის საფინანსო დოკუმენტები, რომლებიც ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. ისინი შეიძლება იყოს ძირითადი და დამატებითი სახისა. ძირითად დოკუმენტებს მიეკუთვნება საფინანსო კანონები, რომელთა პარლამენტში გატარების პროცედურა არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივი კანონების მიღების პროცედურისაგან. საფინანსო კანონს გააჩნია რამდენიმე ნაირსახეობა. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია კანონი ყოველწლიური ფინანსების შესახებ. სწორედ ასეთ კანონში აისახება სახელმწიფოს ყველა შემოსავალი და ხარჯი. მისი მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფო მთელი წლის განმავლობაში ფინანსების შესახებ. საკრედიტო, სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკას. საფინანსო წლის დასრულებისას ხდება ბიუჯეტის შესრულების შესახებ ახალი კანონის მიღება, რომელშიც აისახება აღმასრულებელი ხელისუფლების საბიუჯეტო საქმიანობის მდგომარეობა.

საბიუჯეტო სამართლის წყარის განსაზღვრული თავისებურებით ხასიათდება ფედერაციული სახელმწიფოს ცალკეული სუბიექტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები. მათ შეუძლიათ აგრეთვე მიიღონ დელეგირებული საკანონმდებლო აქტები, რომლებიც გამოიცემა საკანონმდებლო ორგანოების ნებართვით და შეუძლიათ ცვლილებების შეტანა მოქმედ კანონმდებლობაში. ასეთი აქტების მიღებას აკონტროლებს პარლამენტი. ისინი წინასწარ უნდა იქნენ მოწონებული პარლამენტის მიერ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი გაუქმება ხდება.

საბიუჯეტო ურთიერთობათა სიმრავლე განაპირობებს მათი განსაზღვრული ნაწილის კანონქვემდებარე აქტებით რეგულირების აუცილებლობას. ასეთ აქტებში უფრო დეტალურადაა განვრცობილი კონსტიტუციური და საკანონმდებლო საბიუჯეტო დებულებები. ისინი, ჩვეულებრივ მიიღება სახელმწიფოს მეთაურების, მთავრობის ხელმძღვანელების, ცალკეული მინისტრებისა და უწყებათა ხელმძღვანელების მიერ. ამ მხრივ აღსანიშნავია საფრანგეთში დამკვიდრებული პრაქტიკა. იქ საბიუჯეტო სამართლის ყველა ძირითადი პრინციპი განმტკიცებულია არა კანონებით, არამედ 1959 წლის ორდონანსით, რომელსაც საფრანგეთის ძირითად საფინანსო ნორმატიულ აქტს უწოდებენ. ეს ორდონანსი ეხება ორგანული ფინანსური კანონების მიღებისა და

შინაარსის განსაზღვრის საკითხებს. საფრანგეთში მოქმედებს აგრეთვე დეკრეტი სახელმწიფო აღრიცხვის შესახებ, რომლითაც განსაზღვრულია საბიუჯეტო სახსრების განმკარგულებელთა უფლებამოსილებანი. კანადაში ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი რეგულირდება გენერალ-გუბერნატორის მიერ მიღებული აქტებით, რომლებიც მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებათა პრაქტიკული რეალიზაციის გზებს შეიცავენ. გერმანიაში ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციაში შედის საბიუჯეტო კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის ანალიზი და შესაბამისად საბიუჯეტო კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით ნორმატიული აქტების გამოცემა. ასეთი აქტები წინასწარ უნდა შეთანხმდეს პარლამენტთან. ინგლისში ბიუჯეტის სამართლებრივ რეგლამენტაციაში მნიშვნელოვანი როლი საკონსტიტუციო ადათს (ჩვევას) ეკუთვნის. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის საგადასახადო დაბეგვრის საფინანსო ინიციატივა ადათის საფუძველზე სამეფო კარის პრეროგატივაა და ვიდრე ასეთი ინიციატივა არ არსებობს, მანამ თემთა პალატა არაა უფლებამოსილი განიხილოს მთავრობის საბიუჯეტო წინადადებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საქართველოში საბიუჯეტო სამართლის ძირითადი დებულებები უფრო დეტალურად იქნეს განმტკიცებული კონსტიტუციით. ამ მხრივ სამაგალითოდ გამოდგება გერმანიის ძირითადი კანონი. კონსტიტუციური დებულებები დეტალურ ანალიზს უნდა შეიცავდეს სპეციალურ კანონებში. ფინანსებთან და ბიუჯეტთან დაკავშირებული ურთიერთობების მნიშვნელოვანი ნაწილი, მართალია, რეგულირდება საქართველოს კანონით «საბიუჯეტო უფლებების შესახებ» და ყოველწლიურად ბიუჯეტის მიღებასთან დაკავშირებით მიღებული კანონით, მაგრამ მათი ნაწილი კი რეგულირდება არასპეციალური ნორმატიული აქტებითაც. ამიტომ აუცილებელია ერთიანი კოდიფიცირებული აქტის – საბიუჯეტო კოდექსის მიღება. ასეთ კოდექსში გაერთიანებული იქნება ბიუჯეტთან დაკავშირებული ნებისმიერი საზოგადოებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი კანონები. კანონქვემდებარე აქტების მიღების შესაძლებლობა მხოლოდ გამონაკლისის სახით უნდა არსებობდეს.

3. საზღვარგარეთის ქვეყნების საბიუჯეტო სამართლის განვითარების ტენდენციები ნათლად ვლინდება მის ძირითად პრინციპებში. მათ შორის ერთ-ერთი უპირველესია ბიუჯეტისათვის ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიღებული აქტის ფორმის მიცემა. უმეტესად ბიუჯეტი კანონის სახით მიიღება და ეს კონსტიტუციურად არის განმტკიცებული. ბიუჯეტის საკანონმდებლო წესით გაფორმება, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია გადასახადების დაწესების საპარლამენტო ნებართვასთან. ზოგიერთ ქვეყანაში ბიუჯეტს გააჩნია არა კანონის, არამედ საპარლამენტო რეზოლუციის (ფინეთი, ნორვეგია) ან ბილის (ინგლისი, კანადა) ფორმა. დამახასიათებელია ისიც, რომ უმეტესად ანგლოსაქსურ ქვეყნებში ბიუჯეტი ერთიანი აქტის სახით არ მიიღება. მაგალითად, ამერიკაში 1977 წლიდან მთლიანი ბიუჯეტის განხილვა მართალია კონგრესის ორივე პალატის რეზოლუციის საფუძველზე ხდება, მაგრამ მას კანონის მაღა არ გააჩნია და ამიტომ ცალკე აქტების სახით კონგრესი დებულობს ბილს ფინანსებისა (შემოსავლების) და ბილს ასიგნებათა (ხარჯების) შესახებ. საფრანგეთში ფინანსების შესახებ ორდონანსის მიხედვით ყოველწლიურად მიიღება საფინანსო სახსრების მობილიზაციისა და სახელმწიფო ხარჯების აქტები

კანონით დადგენილი ოდენობის ფარგლებში. ამასთან, საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მთლიანი საბიუჯეტო დოკუმენტის მიღება კი არ ხდება, არამედ ყოველწლიურად დგება ტექნიკური დოკუმენტი, რომელიც მექანიკურად აერთიანებს საერთო ბიუჯეტს, ხაზინის სპეციალურ ანგარიშებს, კრედიტების განაწილების ცხრილებს და სხვა დოკუმენტებს.

ბიუჯეტის ბალანსირების პრინციპი შემოსავლებისა და გასავლების თანაბრობის უზრუნველყოფის აუცილებლობას გულისხმობს. მის განუხრელ დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს. უმეტესად ბალანსირებული ბიუჯეტების მიღება ხდება. თუმცა უკანასკნელ პერიოდში ზოგიერთ სახელმწიფოში ბიუჯეტის ბალანსირება სასურველ იდეალს წარმოადგენს და არაფერი უშლით ხელს მათ მთავრობებს პარლამენტში დასამტკიცებლად წარადგინონ არაბალანსირებული ბიუჯეტიც. დოქტრინისა და კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტის ბალანსირება ნიშნავს საბიუჯეტო ხარჯების ჯამობრივი შესაბამისობა ბიუჯეტის შემოსავლებსა და დეფიციტის დაფინანსების წყაროებთან. ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, დამტკიცებისა და შესრულების პროცესში საფინანსო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოები ვალდებული არიან გამოვიდნენ ბიუჯეტის დეფიციტის მინიმიზაციის აუცილებლობიდან. 1997 წელს ევროსაბჭომ ამსტერდამში მიიღო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ დეფიციტი მის წევრ სახელმწიფო

ებში არ უნდა აჭარბებდეს საერთო შიდა პროდუქტის 3%-ს. პრაქტიკაში სხვადასხვა «გაუთვალისწინებელი» გარემოებანი ხშირად დაბალანსებული ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ დამატებითი კრედიტების გახსნის საფუძველი ხდება. პარლამენტიც იძულებულია გასცეს ნებართვები სხვადასხვა სახის ასიგნებაზე. დამატებითი კრედიტები ბიუჯეტში იწვევს დეფიციტის წარმოშობას და მის ზრდას. ასეთი ტენდენციის შეჩერებას ცდილობენ საკანონმდებლო მექანიზმებით (შესწორებული ბიუჯეტის მიღება და სხვ.). შესწორებულ ბიუჯეტში აუცილებლად უნდა მიეთითოს დამატებითი კრედიტების დაფინანსების კონკრეტულ წყაროებზე.

სახელმწიფოთა შორის ინტეგრაციული პროცესების განვითარება ხელს უწყობს საბიუჯეტო ბალანსირების პრინციპის განმტკიცებას საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ევროსაბჭოს მიერ მიღებულ აქტებს. მაგალითად, მასტრიხტში მიღებული ეკონომიკური კრიტერიუმები, რომლებმაც ერთგვარი წინაპირობა შექმნეს ევროკავშირის ქვეყნების ერთიან ევროპულ სავალუტო კავშირში გაერთიანების თაობაზე, მასტიმულირებელ ზეგავლენას ახდენენ ცალკეული ქვეყნების ეროვნულ-საბიუჯეტო პოლიტიკისა და კანონმდებლობის სრულყოფის თვალსაზრისით.

საზღვარგარეთის ქვეყნების საბიუჯეტო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს ბიუჯეტის სისრულის მოთხოვნა. ყველა სახის შემოსავალი და ხარჯი სრულად უნდა იყოს ასახული ბიუჯეტში. მთავრობას არ უნდა გააჩნდეს ისეთი ფულადი სახსრები და ასიგნებანი, რომლებიც ბიუჯეტში არ არის ასახული. სრული ბიუჯეტის პირობებში გამორიცხულია აღურიცხავი ფულადი ფონდების გადანახვა განსაკუთრებული გარემოებებისათვის, რომელთა ხარჯვის კონტროლი საკანონმდებლო ხელისუფლებისათვის ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება. ამ პრინციპის განხორცილება შესაძლებელია ბრუტო-ბიუჯეტის მიღების შემთხვევაში. მასში დეტალურად აისახება

შემოსავლებსა და ხარჯებთან დაკავშირებული მთავრობის ყველა ოპერაცია. მისგან განსხვავებით, ნეტო-ბიუჯეტში მხოლოდ «სუფთა» სალდო შედეგებია გამოხატული. მაგალითად, საგადასახადო შემოსავლები ასეთ ბიუჯეტში აისახება მის ამოღებაზე გაწეული ხარჯების (საგადასახადო სამსახურის შენახვა) გაუთვალისწინებლად. პრაქტიკაში ხშირად გვხვდება შერეული ბიუჯეტები. ასეთ ბიუჯეტში შესაძლებელია საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობა სალდოს ფორმით აისახოს, ხოლო საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები კი – საერთო თანხებით. ყველა შემთხვევაში აუცილებელია ბიუჯეტში სახელმწიფო ფინანსების ყოველგვარი მოძრაობა სრულად იყოს ასახული.

ბიუჯეტის სისრულის მოთხოვნის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს ბიუჯეტის ერთიანობის პრინციპი. იგი გულისხმობს სახელმწიფოს ყველა შემოსავლისა და ხარჯის გაერთიანებას ერთი უნივერსალური ბიუჯეტის ჩარჩოებში. ბიუჯეტის ერთიანობა არ ნიშნავს ერთიანი საბიუჯეტო აქტის მიღებას. ბიუჯეტის ერთიანობა საბიუჯეტო სისტემის ერთიანობას გულისხმობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საბიუჯეტო სისტემის ცალკეული რგოლები ერთნაირ სამართლებრივ საწყისებზე ყალიბდება. ერთნაირი საბიუჯეტო დოკუმენტაცია იქმნება შემოსავლებისა და გასავლების ერთიანი საკლასიფიკაციო სქემით და სხვ. ხშირად სამთავრობო წრეების დაინტერესება ბიუჯეტის სისრულისა და ერთიანობის მოთხოვნისადმი თავის არიდების შესახებ, ნაკარნახევია ცალკეული მუხლების მიხედვით სახელმწიფო ხარჯების პრივილეგირებული და პრიორიტეტული წარმოების, პარლამენტის საბიუჯეტო კონტროლის შესუსტებისა და ხაზინის რეალური მდგომარეობის დაფარვის სურვილით. პრაქტიკულად ყოველივე ეს ვლინდება სხვადასხვა სპეციალური და არასაბიუჯეტო ფონდების შექმნაში, დამატებითი დროებითი და საგანგებო ბიუჯეტების ფორმირებაში, ბიუჯეტითა და ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებული ასიგნებების ზრდაში და სხვ. ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი მდგომარეობა ახსნილია საფინანსო სფეროში სახელმწიფო ფუნქციების ზრდითა და აღმასრულებელი ხელისუფლების საბიუჯეტო უფლებების გაფართოებით. საფრანგეთში დამატებით ანუ ძირითად ბიუჯეტს მიერთებული ბიუჯეტები იქმნება იმ სახელმწიფო უწყებების მიმართ, რომლებიც, მართალია, არ არიან იურიდიული პირები, მაგრამ განსაზღვრული საფინანსო ავტონომიით სარგებლობენ (სამოქალაქო ავიაცია, სახელმწიფო ზარაფხანა, საპატიო ლეგიონი და სხვ.). ასეთი ბიუჯეტები ძირითად ბიუჯეტან ერთად მტკიცდება პარლამენტის მიერ. ამერიკაში ფედერალური ბიუჯეტის პარალელურად ფუნქციონირებს ათეულობით დროებითი და მუდმივი ფონდები (საკრედიტო, სოციალური, სამეცნიერო-ტექნიკური დას ხვ.). ინგლისში სახელმწიფო ვალის ხარჯების, სახელმწიფო საწარმოების კაპიტალდაბანდებების დაფინანსება ხდება ბიუჯეტისაგან განკერძოებული სასესხო ფონდის სახსრებით. სახელმწიფო ფინანსების ფორმირება სხვადასხვა არასაბიუჯეტო ფონდებში, მათი სახელმწიფოებრივი მიზნებისათვის გამოყენების შესაძლებლობებს საკმაოდ ასუსტებს. ამიტომ მიზანშეწონილი ხდება ბიუჯეტის ერთიანობის პრინციპის მაქსიმალურად დაცვა.

საბიუჯეტო სამართლის ერთ-ერთ აუცილებელ პრინციპს წარმოადგენს საჯარო ხარჯების პრიორიტეტობა. ფართო გაგებით იგი საჯარო და კერძო ფინანსებს შორის გამიჯვინის საფუძველია. კერძო ფინანსების წარმოქმნა განპირობებულია ეკონომიკური

კანონების მოქმედებით. ამასთან, გასაწევი ხარჯების ოდენობა განისაზღვრება მიღებული შემოსავლების მიხედვით. საჯარო ფინანსების მარეგულირებელი საფინანსო-სამართლებრივი ნორმები განსაზღვრულ უპირატესობას სახელმწიფო ხარჯების წარმოებას ანიჭებენ. სახელმწიფოს ფუნქციების განხორციელებისას მთავრობა განსაზღვრავს რა საჯარო ხარჯების პრიორიტეტულობას, საფინანსო ბალანსირების აუცილებლობიდან გამომდინარე, ადგენს სახელმწიფო შემოსავლების ოდენობას. ამ პრინციპის ერთგვარი უარყოფა, რაც პარლამენტის მიერ შემოსავლების, შემდეგ კი ხარჯების განსაზღვრაში გამოიხატება, განპირობებულია ხაზინაში შემოსულობათა უწყვეტობის გარანტირებულობის სურვილით და სრულებითაც არ აფერხებს საჯარო ფინანსების მიზნობრივ ფუნქციონირებას. ვიწრო გაგებით საჯარო ხარჯების პრიორიტეტულობა ნიშნავს ბიუჯეტში მხოლოდ ისეთი გასავლების გათვალისწინებას, რომლებიც აუცილებელია სახელმწიფო ფუნქციების განსახორციელებლად. იმის დასადგენად, თუ რომელი ხარჯია აუცილებელი, საჭიროა პოლიტიკური ანალიზი და განვითარების კონკრეტულ ეტაპზე სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ეკონომიკური შეფასება. საზღვარგარეთის ქვეყნების საბიუჯეტო სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება სახელმწიფო ეკონომიკის განვითარებისათვის. ამას დიდი მნიშვნელობა განსაკუთრებით იმ ქვეყნებში აქვს, სადაც სახელმწიფო ეკონომიკა ეროვნული ეკონომიკის ძირითადი ნაწილია. იტალიასა და საფრანგეთში, აგრეთვე ინგლისსა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში ეკონომიკის მაღალი კონცენტრაცია სახელმწიფოს ხელშია. ასეთი სახელმწიფოები დიდ დახმარებას უწევენ კერძო კაპიტალსაც, მონოპოლიებისათვის სახელმწიფო უზრუნველყოფს საგარეო ვაჭრობისა და განვითარებად ქვეყნებში კაპიტალის დაბანდებისათვის ხელსაყრელ პირობებს. დიდ მნიშვნელობას იძენს აგრეთვე ბიუჯეტიდან პირდაპირი საფინანსო მხარდაჭერა კერძო საწარმოებისადმი – უმეტესად სესხებისა და სუბსიდიების ფორმით. ასეთ ვითარებაში საჯარო ხარჯების პრიორიტეტის პრინციპი უმრავლეს ქვეყნებში ბიუჯეტის შედგენის საფუძვლად ფუნქციონალური ნიშნის მოქცევა უნდა ჩაითვალოს (თავდაცვა, მმართველობა, სოციალური ღონისძიებანი და სხვ.). შეიცვალა ბიუჯეტის შედგენის ტექნიკაც. ჯერ ხდება იმ საფინანსო რესურსების განსაზღვრა, რომელიც საჭირო იქნება ამა თუ იმ ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებების განსახორციელებლად, შემდეგ კი – იმ წყაროების გამომებნა, რომელიც საფუძვლად დაედება ამ ღონისძიებათა დაფინანსებას. ასეთ პირობებში მნიშვნელოვანად ადვილდება საბიუჯეტო პრიორიტეტების განსაზღვრა.

საზღვარგარეთის ქვეყნების საფინანსო სისტემის დროში მოქმედების მნიშვნელოვანი მახასიათებელია ბიუჯეტის პერიოდულობის პრინციპი. საერთო წესის მიხედვით ბიუჯეტი მტკიცდება განსაზღვრული დროით. უმეტესად იგი ერთწლიანია. აქედან გამომდინარე, პარლამენტის ნებართვა ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების მობილიზაციასა და ხარჯვაზე მხოლოდ ერთი წლით მოქმედებს. ამიტომ არ შეიძლება ბიუჯეტის დეფიციტი ან პროფიციტი მომდევნო წელზე იქნეს გადატანილი.

საბიუჯეტო წელი საზღვარგარეთის ქვეყნებში ერთდროულად არ იწყება, რაც მათ საბიუჯეტო პროცესის ასინქრონულ ხასიათს განაპირობებს. ბევრგან საბიუჯეტო წელი კალენდარულ წელს ემთხვევა, დანარჩენებში კი – სხვადასხვა დროს. საბიუჯეტო წლის სხვადასხვა დასაწყისი ძირითადად განპირობებულია ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული

ტრადიციებით, საკანონმდებლო ორგანოების სესიების მოწვევის ვადებით და სხვა გარემოებებით.

საზღვარგარეთის ქვეყნების საბიუჯეტო სამართლისათვის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ერთწლიანი საბიუჯეტო ვადის ცვალებადობა კონკრეტულ ვითარებათა გათვალისწინებით. ბიუჯეტების მოცულობის სისტემატური ზრდა სახელმწიფოს წინაშე აყენებს მისი ფუნქციების დაზუსტების ამოცანას. ასეთი ქვეყნების მთავრობები წარმატებით ეწევიან ბიუჯეტებიდან კაპიტალდაბანდებათა დაფინანსებას. ეს დაბანდებანი ერთ საბიუჯეტო წელზე მეტი ხნით ახდენენ გავლენას სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესზე. გარდა ამისა, ბიუჯეტის დეფიციტურობა და მასთან დაკავშირებული ინფლაცია აიძულებს სახელმწიფოს გამოძებნოს მათი დაძლევის გზები, რაც არ თავსდება ერთი წლის ფარგლებში. სწორედ ეს გარემოება დაედო საფულვლად, უკანასკნელ პერიოდში საზღვარგარეთელი თეორეტიკოსებისა და კანონმდებლების სწრაფვას, ჩამოყალიბებინათ «ბიუჯეტი-გეგმის» ცნება, რომელშიც აისახა სახელმწიფოს შემოსავლებისა და გასავლების ზრდის პერსპექტივა. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა საფრანგეთი, იტალია, შვედეთი, ნორვეგია და სხვ. წლიური ბიუჯეტები, შემოსავალ-გასავლების ანგარიშგებანი დაქვემდებარებულია მრავალწლიან გეგმა-პროგრამებზე, რომლებშიც მთავარი ყურადღება ეთმობა სამხედრო ამოცანებსა და უახლოესი ტექნიკის დანერგვას საგარეო ბაზარზე მსხვილი მონოპოლიების კონკურენტუნარიანობის გაზრდის თვალსაზრისით. გერმანიაში 1967 წლიდან შეიცვალა საბიუჯეტო წყობა და შემოღებულ იქნა ხუთწლიანი საბიუჯეტო გეგმები. მათში ძირითადი ყურადღება ეთმობა გადასახადის წყაროთა გაფართოებას, დაფინანსების ცენტრალიზაციის გაძლიერებას და მსხვილ მონოპოლიათა მიმართ დახმარებას. გერმანიის ძირითად კანონში პირდაპირაა მითითებული, რომ «ბიუჯეტის გეგმა დადგინდება ბიუჯეტის კანონით ერთი წლით ან წლების მიხედვით დაყოფილი რამდენიმე საფინანსო წლისათვის». საბერძნეთის ძირითადი კანონით დაშვებულია ორწლიანი ბიუჯეტის დამტკიცება. შვედეთში საბიუჯეტო პერიოდი განისაზღვრება ეკონომიკური ციკლის პერიოდით, რაც ხშირად აღემატება ერთწლიან ვადას. შესაძლებელია ისეთი შემთხვევებიც, როცა მთელი ბიუჯეტი კი არ მიიღება ერთწლიან პერიოდზე მეტი ვადით, არამედ მისი ცალკეული ნაწილები. მაგალითად, გერმანიის სამხედრო ბიუჯეტი – სამხედრო სეპტენატი მიიღება შვიდი წლის ვადით. ამასთან, რაიხსტაგის მიერ ყოველწლიურად უნდა იქნეს სანქციონირებული ხარჯების გადება. ზოგიერთ ქვეყანაში ბიუჯეტის ცალკეული ნაწილები ერთხელ დამტკიცების შემდეგ არ საჭიროებს ყოველწლიურ რეგლამენტირებას. ასეთი სისტემა ძირითადად ინგლისშია გავრცელებული. იქ დედოფლისა და სახალხო ხარჯები, მაღალი თანამდებობის მოხელეთა – თემთა პალატის სპიკერის, ლორდ კანცლერის ხელფასები და პენსიები, ევროკავშირის ფონდის ანარიცხები და ზოგიერთი სხვა ხარჯები ყოველწლიურ დამტკიცებას არ საჭიროებს.

ყოველწლიურობის პრინციპიდან გადახრად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ბიუჯეტის დამტკიცება ერთ წელზე ნაკლები ვადით. აქ იგულისხმება დროებითი ერთთვიანი და კვარტალური ბიუჯეტების მიღება და ფინანსების კორექტირების შესახებ კანონებით დადგენილი შემოსავლებისა და გასავლების ერთ წელზე ნაკლები ვადით წარმოების საკანონმდებლო ნებართვები.

დაბოლოს კიდევ ერთი პრინციპი, რომლის შინარსი გასათვალისწინებელია ქართული საბიუჯეტო კანონმდებლობის კოდიფიციის დროს. ესაა გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპი. მისი განხორციელება ხელს უწყობს ხარჯების განსაზღვრას სახელმწიფოებრივი ამოცანებიდან გამომდინარე, დაფინანსების კონკრეტული და რეალური წყაროების დადგენას, მათ გათვალისწინებას ბიუჯეტში ყველასათვის ხელ-მისაწვდომი ფორმით და ეფექტური საბიუჯეტო კონტროლის განხორციელებას. აღნიშნული პრინციპის მოქმედება მიმართულია საბიუჯეტო ანგარიშებისა და სხვა მონაცემების ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. ამიტომ მისი განუხრელი დაცვა საბანკო სისტემისა და სამეწარმეო სფეროში დასაქმებული წრეების ინტერესებს შეესაბამება. მათ ყოველთვის აინტერესებთ ხაზინის შესახებ სრული და გაუყალბებელი ინფორმაცია.

ზემოაღნიშნული პრინციპების განხორციელების პროცესში გამოვლენილი დადებითი და უარყოფითი მხარეების გათვალისწინება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართული საბიუჯეტო კანონმდებლობის სრულყოფას.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

- 1.Поль Мари Годме,Финансовое право фракций. М., 1978;
- 2.Финансовое право,под редакцией Е.Ю.Грачевой и Г.П.Толстонятенко. М., 2003;
3. რომან შენგელია, საზგვარგარეთის ქვეყნების საფინანსო სამართალი. თბ., 2004;
4. ეკონომიკური თეორია. გ.ადეიშვილისა და რ. ასათიანის რედაქციით, თბ., 1998;
5. ვასილ ჩანტლაძე, კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები. თბ., 1972;
6. ავთანდილ დემეტრაშვილი, მსოფლიოს ქვეყნების კონსტიტუციები. თბ., 1992;
7. ლევან ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბ., 2008.

დავით ძამუკაშვილი, პროფესორი

ცვლილებანი საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სამართალში

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის შემადგენელ ინსტიტუტებში, კერძოდ, საპატენტო, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონში 2010 წელს შევიდა ცვლილებები, რომლებმაც, ფაქტობრივად, გამოიწვია ინტელექტუალური საკუთრების სამართლის რეფორმა. ცვლილებების მთავარი მიზანი ევროპის ინტელექტუალური საკუთრების სამართალთან ეროვნული სამართლის რაც შეიძლება მეტი ჰარმონიზაციის მიღწევა იყო. შედეგად მივიღეთ დღევანდელი სახით არსებული ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, რომლის ავარგიანობის ძირითად საკითხებს გვინდა შევეხოთ ამ წერილში. ანალიზს რეტროსპექტიული განხილვით დავიწყებთ.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული სამართლის შექმნა გასული საუკუნის 90-იანი წლებში დაიწყო. ეს ხანა გამოირჩეოდა ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ახალი კონცეფტუალური გააზრებით. ამ მიმართულებით გაშლილი მეცნიერული და კანონშემოქმედებითი საქმიანობის წინამდობლი გაერთიანებული ევროპა იყო. საქმე ის გახლდათ, რომ ინტელექტუალური საკუთრების სამართალი ევროპის ქვეყნების სივრცეში არ იყო შეხმატკილებული იმდენად, რომ ერთიან ბაზარზე საქონელბრუნვისათვის ხელი არ შეეშალა. ვითარების მეცნიერულმა შესწავლამ გამოავლინა მნიშვნელოვანი განსხვავებების არსებობა საავტორო და საპატენტო სამართალში, ნაკლები სხვაობა გამოვლინდა სასაქონლო ნიშნების სამართალში. გაერთიანებული ევროპის ერთიანი კანონმდებლობის ამოქმედების მიზნით გამოიცა მრავალი დირექტივა და დანაწესი (Regulations). დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად გადამუშავდა ევროპის ქვეყნების ეროვნული კანონები, ხოლო ზოგიერთ სფეროში, კერძოდ, დიზაინებისა და სასაქონლო ნიშნების სფეროში ჩამოყალიბდა ევროპის გაერთიანებაში შემავალი ქვეყნების მთელ ტერიტორიაზე ერთიანი ძალის არსობრივი და პროცედურული ნორმების მქონე კანონმდებლობა. ევროპის გაერთიანების ქვეყნების მოქალაქეებთან და იურიდიულ პირებთან ერთად სხვა ქვეყნების მაცხოვრებლებსა და იურიდიულ პირებსაც გაუჩნდათ არჩევანი მოიპოვონ გაერთიანების ერთიანი დიზაინის ან სასაქონლო ნიშნის უფლება, ანდა რომელიმე ქვეყნის ეროვნული უფლება. სადაც საკითხების განსჯისას, დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, სავალდებულო გახდა დირექტივების ნორმის გამოყენება, მიუხედავად მისი ეროვნულ კანონში ჩართვისა.

ამ ვითარებამ და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში (შემდგომ «ვმო») გაწევრიანებასთან დაკავშირებულმა პროცესმა მოითხოვა ქართული კანონმდებლობის სრულყოფაც, ეს კიდევ უფრო გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც საქართველომ იკისრა ევროპის გაერთიანების სამართალთან ეროვნული სამართლის შეხამების ვალდებულება.

თანამედროვე მოთხოვნები, რომლების დაკმაყოფილებაც მოუწევდა საქართველოს თავიდანვე იყო ცნობილი კანონშემოქმედებითი საქმიანობით დაკავებულ ქართველ

მეცნიერთა და სპეციალისტთა ჯგუფისათვის, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი ცივილისტი სერგო ჯორბენაძე («ბატონი სერგო») და რომელმაც შეიმუშავა პირველი ეროვნული ინტელექტუალური საკუთრების სამართლის შემადგენელი აქტების პროექტები. ისინი 1992 წელს ამოქმედდა გამოგონების, სამრეწველო ნიმუშების (დიზაინის) და სასაქონლო ნიშნების შესახებ დებულებების სახით⁹. ამ ჯგუფმა, გარკვეული მოსაზრებებით, ზოგიერთ თანამედროვე მოთხოვნას გვერდი აუარა, რაც მაშინდელ საკანონმდებლო ნორმებში ასახა. ეს ყველაზე მეტად საპატენტო სამართალზე ითქმის. მატერიალური ნორმების გარდა უფლებათა მოპოვებასთან დაკავშირებულ იმ ნორმებზეც იგივე უნდა ითქვას, რომლებითაც დადგინდა პროცედურული საფასურების ოდენობის განსხვავება ქართველ და უცხოულ განმცხადებელთათვის. უცხოულები მრავალჯერ მეტ თანხას იხდიდნენ. ამგვარ ვითარებას გაგებით მოეკიდნენ საერთაშორისო დონეზეც და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სამართალში არსებული ზოგიერთი ხარვეზი ხელშემშელი არ აღმოჩნდა მრავალმხრივ ხელშეკრულებებში და კონვენციებში მონაწილეობისათვის, ვმო-ში გაწევრიანების ჩათვლით.

როგორც უკვე აღინიშნა, 1992 წელს მიღებული დებულებები საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სამართლის პირველი აქტები იყო. 1995 წელს საქართველოს კონსტიტუციის ამოქმედებით ინტელექტუალური საკუთრების სამართლებრივი ნორმები მისი 23-ე მუხლით განმტკიცდა. 1996 წელს ამოქმედდა მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების შესახებ კანონები.

ცალკე გამოსაყოფია 1997 წელს სამოქალაქო კოდექსის შემოღება. კერძო სამართლის კონსტიტუციად წოდებული ეს აქტი გამოსარჩევი იმითიც არის, რომ საქართველოში დამკვიდრდა ცნება «ინტელექტუალური საკუთრების სამართალი». ამავე სიტყვებით დასათაურდა სამოქალაქო კოდექსის IV წიგნი, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ საერთაშორისო მრავალმხრივ ძირითად ხელშეკრულებებთან და კონვენციებთან მიერთების გათვალისწინებით საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ინსტიტუტის ჩამოყალიბება პრაქტიკულად დასრულებას მიუახლოვდა, მითუმეტეს, რომ მასში სრულად შევიდა საავტორო სამართალი. სამოქალაქო კოდექსის ამ წიგნითვე საქართველოს სამართლებრივ ცნებებს შეემატა «სამრეწველო საკუთრება».

ინტელექტუალური საკუთრების სამართალი დღევანდელი სახით 1999 წელს მოგვევლინა. ამ წელს საქართველოში ამოქმედდა ყველა ის კანონი, რომელიც აქამდე არ ყოფილა შემოღებული, კერძოდ, დებულებების ნაცვლად ძალაში შევიდა საპატენტო და სასაქონლო ნიშნების შესახებ კანონები, სამოქალაქო კოდექსს გამოეყო და ცალკე აქტად ამოქმედდა საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონი, რომელიც გადამუშავდა ვმო-ის და გაერთიანებული ევროპის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევის მიზნით. ძალაში შევიდა ორი ახალი კანონიც – ინტეგრალური მიკროსქემების ტოპოლოგიის შესახებ და ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული სასაზღვრო ღონისძიებების შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ 1999 წელს ჩატარდა ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობის სრული გათანამედროვება

⁹ საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ჩამოყალიბების ისტორიის დასაწყისს მკითხველი მეტი დაწვრილებით გაეცნობა ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში «საქართველოს საპატენტო სისტემა», ჟურნალი „ინტელექტუალური საკუთრება“, 2003 წ., №1

– ის აქტები, რომლებიც აქამდე დებულებების სახით მოქმედებდა შეიცვალა კანონებით, თუმცა დებულება სამრეწველო ნიმუშების შესახებ გაუქმდა და ამ ობიექტის დაცვა საპატენტო კანონის საგანი გახდა; ცალკე კანონად გამოიყო სამოქალაქო სამართლის საავტორო სამართალი; ამოქმედდა ორი ახალი კანონი. ადრინდელი კანონმდებლობის ბევრი ნორმა დაიხვეწა, ბევრი ხელუხლებელი დარჩა, ხოლო ბევრი ისეთი ნორმაც შემორჩა, რომლებიც ჯერ კიდევ მოითხოვდა სრულყოფას.

ევროპის კანონმდებლობასთან რაც შეიძლება მეტად მიახლოების მიზნით 2010 წელს შევიდა ცვლილებები საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების იმ კანონებში, რომლებიც ინტელექტუალურ-შემოქმედებით ნაყოფს იცავს, კერძოდ, საპატენტოში და საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონში, რომლებიც ინტელექტუალური საკუთრების სამართლის მთავარ კანონებად ითვლება.

ყველაზე დიდი ცვლილება საპატენტო სამართალმა განიცადა. მას მოაკლდა ძალზე თავისებური ობიექტი – სამრეწველო ნიმუში, ამასთანავე ახალი საპატენტო კანონში შევიდა მრავალი ნოველა. ამ კანონში შესული არსობრივი და პროცედურული ახალი ნორმები შეეხო: პატენტის გირავნობას, სამედიცინო პროდუქტის საგნის მქონე პატენტის მოქმედების ვადის გაგრძელებას, საგამომგონებლო დონის ex-officio შეფასებას, ხელახალ ექსპერტიზას, პატენტრწმუნებულის არჩევას, დასაქმებულთა მიერ შექმნილ გამოგონებაზე პატენტის მფობელობას, გაცემულ პატენტში ცვლილებების შეტანას, საქპატენტის სააპელაციო პალატაში საჩივრის შეტანას იმ საფუძვლების შესამოწმებლად, რომლებზეც ექსპერტიზას არ უმსჯელია და ამასთან დაკავშირებით პატენტის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანას, სააპელაციო საჩივრის განხილვის ვადის დადგენას, ინტერესთა კონფლიქტს, სარჩელის უზრუნველყოფას. გარდა ამისა სასარგებლო მოდელისათვის გამოიყო ახალი თავი.

ამ წერილში უმთავრეს ყურადღებას დავუთმობთ შეცვლილი საპატენტო კანონის ცვლილებებსა და სიახლეებს.

პატენტის დაგირავება ერთ-ერთი სიახლეა. მართალია, სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნორმებზე მითითება ჭარბობს, მაგრამ სპეციალური დათქმები გაკეთდა. პატენტის გირავნობის ხელშეკრულება ბათილია, თუ ის წერილობითი ფორმით არ დაიდო. პატენტის დაგირავება მხოლოდ ერთ პირს შეუძლია. გირავნობის ხელშეკრულება რეგისტრირდება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში «საქპატენტში», რომელიც აქვეყნებს შესაბამის მონაცემებს. დაგირავებული პატენტით დაცულ გამოგონებაზე პატენტ-მფლობელს ლიცენზიის გაცემა შეუძლია მოგირავნის თანხმობით, ხოლო დაგირავებამდე გაცემული ლიცენზიები ძალაში რჩება. მოგირავნის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დაშვებულია პატენტის გასხვისება, ოღონდ საამისოდ მან წინასწარ უნდა მიმართოს პატენტის მფლობელს. თავად გასხვისება ექვემდებარება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ აუქციონის წესს. თუ არსებობს დაგირავებულ პატენტზე განსაკუთრებული ლიცენზიის მფლობელი, მაშინ მას აქვს უპირატესი უფლება შეისყიდოს პატენტი. აღსანიშნავია, რომ აუქციონის ნაცვლად შეიძლება გამოცხადდეს ღია ლიცენზირების რეჟიმი. არის სხვა წვრილმანებიც, რომლების გაშუქებაც ამჯერად მიზნად არ დაგვისახავს.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ ცვლილებების შეტანისას გადასხვაფერდა ზოგიერთი ტერმინი. რითი იყო გამოწვეული ყოველივე ეს ჩვენთვის გაუგებარი დარჩა. ცვლილებების საკანონმდებლო ინიციატივის აღმძვრელ მთავრობასთან ურთიერთობა საქპატენტის იურიდიულ დეპარტამენტს ეკისრა და, ვფიქრობთ, ზოგიერთ შემთხვევაში მათ ვერ შეძლეს ტერმინის შეცვლის მსურველი შესაბამისი ჩინოვნივის დარწმუნება იმაში, რომ ინტელექტუალური საკუთრების ქართულ სამართალში მრავალი ტერმინი უკვე მთელი 20 წელი და მეტია რაც დამკვიდრდა და მათი შეცვლა კარგს არაფერს მოიტანდა. ამგვარი რამ ტერმინ «განსაკუთრებულ ლიცენზიაზე» ითქმის, რომელიც «ექსკლუზიური ლიცენზიად» გადასხვაფერდა. ცვლილება სრულიად უაზროა იმ კუთხით, რომ უცხო სიტყვა «ექსკლუზიური» ქართულ ინტელექტუალურ სამართალში «განსაკუთრებული»-ით შევიდა ჯერ კიდევ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში და, რადგან იგი სრულიად შეესაბამებოდა არს, 1992 წლის ზემოთ აღნიშნულ აქტებშიც უცვლელად აისახა. მშობლიურ ენაზე ზუსტი ტერმინის დამკვიდრება სერიოზული მონაპოვარია ხოლმე, რასაც გაფრთხილება სჭირდება. ამის საპირისპიროდ საპატენტო კანონში ქართული სიტყვა უკუგდებულია, ხოლო მის ნაცვლად უცხოურია შემოტანილი. იმის გათვალისწინებით, რომ სულ ახლახან უწმინდესმა და უნეტარესმა კათალიკოს პატრიარქმა ილია II საზოგადოებას ენის სიწმინდის დაცვისაკენ საგანგებოდ მოუწოდა, ვთვლით, რომ ეს ვითარება გამოსწორებას მოითხოვს. ამ მოწოდებას ამყარებს ის ფაქტიც, რომ გირავნობის ერთ ნორმაში, 62-ე მეოთხე პრიმა მუხლის მე-4 პუნქტში ტერმინად «განსაკუთრებული ლიცენზიაა» დარჩენილი. შედეგად მივიღეთ იურიდიული შეუსაბამობა, რომლის გადაჭრაც არც ისე იოლი იქნება. «განსაკუთრებულის» სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ ქონებრივი საპატენტო უფლება «განსაკუთრებული» დარჩა, ანუ არ შეიცვალა «ექსკლუზიურით». როგორც ვიცით, ლიცენზიის გაცემა უფლების დროებით გადაცემასთან არის დაკავშირებული და ისმის კითხვა რა უფლების ლიცენზირება ხდება ახალი ცვლილების მიხედვით?. ამ კუთხით ყურადსაღებია ისიც, რომ საავტორო სამართალში ანალოგიური ცვლილება არ გაკეთებულა და ყველაფერი წესრიგშია. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საპატენტო სამართლის ცვლილებით შექმნილია «ტერმინოლოგიური დომბალი».

მნიშვნელოვანია ცვლილება პატენტის ვადის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით, რაც გამოწვეული იყო ფარმაცევტული პატენტის მოქმედების ვადის განახლების შესახებ გაერთიანებული ევროპის 1993 წელს ამოქმედებული 1768/92 (Council Regulation 1768/92 on Pharmaceutical Patent Term Restoration) დანაწესის მოთხოვნის შესრულების მცდელობით, რომელსაც ევროპის ყველა ქვეყანაში აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა. ამიერიდან სამედიცინო პროდუქტზე გაცემული პატენტის ვადის ამოწურვის შემთხვევაში პატენტის მფლობელს საქართველოშიც აქვს უფლება გაიხანგრძლივოს პატენტის მოქმედება იმ ვადით, რაც მას მოაკლდა სარეალიზაციოდ გამოტანისათვის ნებართვის მისაღებად საჭირო პროცედურების შესრულების დროს, მაგრამ არაუმეტეს 5 წლისა, როგორც ამას ევროპის ზემოთ მითითებული დანაწესი ითვალისწინებს.

ძალზე დაუსაბუთებელი ცვლილება გაკეთდა დასაქმებულის ანდა შეკვეთის მიმღების მიერ შექმნილი გამოგონების პატენტის მფლობელობასთან დაკავშირებით. გამომგონებელი, რომელიც დასაქმებულია სამსახურებრივი ურთიერთობების ან

დაკვეთის შესრულებით ფაქტობრივად გახდა «კანონისეული დაყაჩაღების» მსხვერპლი. მე-19 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები ისეა ჩამოყალიბებული, რომ ყველა შემთხვევაში პატენტს მიიღებს დამსაქმებელი ან დამკვეთი. უნდა ითქვას, რომ ცვლილებამდელი კანონის მე-20 მუხლი პრობლემას აწესრიგებდა თანამედროვე პრინციპების გათვალისწინებით, ამჟამინდელი ნორმა კი ევროპის სამართალთან ახლოსაც აღარ არის. რისთვის გაკეთდა ეს ცვლილება გაუგებარია. ფაქტი ერთია, მშრომელი შემოქმედი კაცი საკუთარ ტექნიკურ შემოქმედებით შედეგზე პატენტს ვერ მიიღებს მაშინაც კი, როდესაც მის გამოგონებას არანაირი კავშირი არა აქვს სამსახურის ან შეკვეთის თემატიკასთან.

სასარგებლო სიახლეა შემოტანილი მე-40 პრიმა მუხლით, რომელიც აწესებს გაცემულ პატენტში ცვლილებების შეფანის შესაძლებლობას და ადგენს მის ფარგლებს. ნებადართულია მხოლოდ მექანიკური, ცალსახა შეცდომის გამოსწორება, რომელსაც არანაირი გავლენა არა აქვს არსზე.

მნიშვნელოვანი სიახლეა არსობრივი ექსპერტიზის დახვეწის კუთხით. აწი საქპატენტს მიეცა შესაძლებლობა გამოიტანოს გადაწყვეტილება საგამომგონებლო დონის შემოქმედის შედეგად. ასეთი გადაწყვეტილების გამოსატანად ექსპერტი ვალდებულია ჩაატაროს ტექნიკის დონის საინფორმაციო შესწავლა და თუ მას შეექმნება შთაბეჭდილება, რომ გამოგონება საგამომგონებლო დონეს აშკარად არ პასუხობს იგი მოახსენებს უფლებამოსილ ხელმძღვანელს, რომელიც დართავს მას ნებას გამოიტანოს გადაწყვეტილება პატენტის გაცემის თაობაზე. ვვარაუდობთ, რომ უმეტეს ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება უარყოფითი იქნება.

ხელახლი ექსპერტიზის ჩატარების პროცედურა სრულიად ახალია საქართველოს საპატენტო სამართლისათვის. იგი წარმატებულად გამოიყენება, მაგალითად, კანადაში. მიზანი სასამართლომდე ნაკლები საქმის მიტანაა, რაც, მრავალ შემთხვევაში, მოსამართლებს აარიდებს ტექნიკური ხასიათის სადაო საკითხების გადაწყვეტას. ეს პროცედურა შეიძლება წამოიწყოს დაინტერესებულმა პირმა იმ შემთხვევაში, როდესაც დაეყრდნობა ისეთ საფუძვლებს, რომლებზეც საქპატენტს არ უმსჯელია. მაგალითად, თუ კონკურენტს ხელთ ექნება ისეთი მტკიცებულება საიდანაც ირკვევა, რომ გამოგონებას არა აქვს სიახლე, ან არ პასუხობს საგამომგონებლო დონისადმი მოთხოვნას და ეს მტკიცებულება საქპატენტს არ ჰქონია ხელთ ან რაღაც სხვა მიზეზით ყურადღება არ მიუქცევია. ეს პროცედურა დავის განხილვის მსგავსია. საქპატენტს გადაწყვეტილება მხოლოდ დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი ანალიზისა და მტკიცებულების საფუძველზე გამოაქვს.

ამავე რიგის სასარგებლო ცვლილებაა **საქპატენტის სააპელაციო პალატისადმი** მიმართვის საფუძვლების დამაზუსტებელი ნორმის შეტანა კანონში, რომლის თანახმადაც შეიძლება აღიმრას მოთხოვნა არ გაიცეს პატენტი იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემული საფუძველი არ შეფასებულა და გადაწყვეტილება საქპატენტს არ გამოუტანია. მაგალითად, საგამოგონებლო დონისადმი შეუსაბამობის საფუძვლიანი ვარაუდი თუ არსებობს და დაინტერესებულ პირს შეუძლია დაამტკიცოს ეს გარემოება, მაშინ მას შეუძლია მიმართოს სააპელაციო პალატას. ასეთი მიმართვა დასაშვებია პატენტის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების შესახებ მონაცემების გამოქვეყნებიდან 3 თვის განმავლობაში მოთხოვნით არ გაიცეს პატენტი. აქვე აღვნიშნავთ, რომ კანონმა დაადგინა სააპელაციო საჩივრის განხილვის სამთვიანი ვადა, რაც ადრე არ იყო

გათვალისწინებული და აპელაციების გადაწყვეტას მრავალი თვე სჭირდებოდა. ნორმას ერთი ნაკლი აქვს – არ არის მითითებული რა შედეგი დადგება ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში. ზოგადი ადიმისტრაციულ-სამართლებრივი ნორმა, რომლის მიხედვითაც ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ საჩივარი არ დაკმაყოფილდა მისაღები არ არის, რადგან სააპელაციო პალატის არსებობა გამართლებული იმითი არის, რომ უნდა შემცირდეს სასამართლოსადმი მიმართვების რიცხვი. ასეთ შემთხვევაში კი აპელანტი აუცილებლად გააგრძელებს საქმეს სასამართლოში და, თუ საქმე მის სასარგებლოდ გადაწყვდა, მაშინ მას ექნება უფლება მოთხოვნები საქპატენტს წაუყენოს, თუნდაც სასამართლო ხარჯების ანაზღაურების ფარგლებში. ამიტომ, ვფიქრობთ, თუ სააპელაციო საჩივრის მოთხოვნაა არ გაიცეს პატენტი და განხილვის ვადა დაირღვა, ყველაზე მართებული იქნება კანონში შევიდეს ნორმა, რომლის თანახმადაც საჩივარი დაკმაყოფილებულად უნდა ჩაითვალოს.

პატენტრწმუნებულის არჩევის ვალდებულება იმპურატიულად კვისრებოდა უცხოელ განმცხადებელს ახალი კანონის მიღებამდე. ახლა უკვე ეს სავალდებულო აღარ არის. ნებისმიერ პირს შეუძლია თავად აწარმოოს საქმე საქპატენტთან, ოღონდ უნდა მიუთითოს საქართველოში არსებული მიმოწერის მისამართი და პირი ვინც იქნება მიმოწერის ადრესატი. ასეთი წესი სავსებით ეთანადება საერთაშორისო ნორმებს. მაგრამ ჩვენი ქვეყნის კანონი უფრო შორს წავიდა და წარმომადგენლის დანიშვნის შემთხვევაშიც აღარ არსებობს ვალდებულება კვალიფიცირებული სპეციალისტის, ანუ პატენტრწმუნებულის არჩევის თაობაზე. ამ კუთხით საქმე ვერ მოიგებს, რადგან გამოგონების გამოვლენა, განაცხადის შედგენა და შემდგომ უფლებების მოპოვების პროცედურის გაძლოლა, აგრეთვე, საპატენტო უფლებების მართვა მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნას – როგორც ტექნიკურს ისე საპატენტო-სამართლებრივს. ამიტომაა, რომ ნებისმიერი ქვეყნის კანონი განმცხადებელს ავადებულებს პატენტრწმუნებელი აირჩიოს, თუ გადაწყვიტა წარმომადგენლის დანიშვნა.

ახალია ნორმა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. მე-40 მეოთხე პრიმა მუხლის თანახმად იკრძალება იმ პირთა მიერ განაცხადის შეტანა პატენტის მიღების მოთხოვნით, რომლებიც განაცხადს წარადგენენ სანამ არ გასულა 12 თვე საქპატენტიდან მათი განთავისუფლების შემდეგ. ეს ნორმა გასაგებია, თუ იმ პირებს ვიგულისხმებთ, რომლებიც ექსპერტები და მათი ხელმძღვანელებია. დანარჩენ შემთხვევაში სრულიად უსამართლო ნორმაა, მაგალითად, თუ პირი მძღოლად მუშაობდა რატომ უნდა აეკრძალოს მას პატენტის მიღება. ნორმა კი ზუსტად ასე აწესრიგებს საკითხს, რადგან ის საქპატენტის ნებისმიერ თანამშრომელზეა გავრცელებული.

აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტი უკრძალავს პატენტრწმუნებულად საქმიანობის დაწყებას იმ ექსპერტებს, რომლებსაც 12 თვე არ გასვლია საქპატენიდან დათხოვნის შემდეგ. ასეთივე მდგომარეობაშია ექსპერტების პირველი რიგის ნათესავები. ეს ნორმაც დისკრიმინაციულია, განსაკუთრებით ექსპერტთა ნათესავების მიმართ. რა ინტერესთა კონფლიქტი იგულისხმება როდესაც ექსპერტი კერძო საქმიანობას იწყებს, ან თუ პატენტრწმუნებულის საქმიანობის დამწყები ექსპერტის ნათესავია?

68-ე მუხლის მე-3 პრიმა მუხლით საპატენტო კანონში შემოტანილია უფლებათა უზრუნველყოფის ნორმა. ეს ნორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსში სრულიად დამაკმაყოფილებლადა მოცემული და გაუგებარია რატომ მოხვდა საპატენტო კანონში.

ეს შემთხვევა გვაფიქრებინებს, რომ ცვლილება საქმისადმი დილეტანტური მიდგომის შედეგია.

სასარგებლო მოდელისათვის ახალ კანონში გამოიყო ცალკე თავი. იგი ორი მუხლისაგან შედგება. არსობრივი მოთხოვნები დაწესებულია 71-ე პრიმა მუხლით, რომლის მიხედვითაც სასარგებლო მოდელი მცირე გამოგონებადაა მიჩნეული. ადრინდელი კანონის მიხედვით სასარგებლო მოდელი გაუმჯობესებული მოწყობილობა, ნივთიერება ან ხერხი იყო. ამ ნორმის ნაკლი ის იყო, რომ ნათლად ვერ გამოკვეთდა გამოგონებისაგან განსხვავებას, თანამედროვე ხანაში პატენტები უმთავრესად ხომ არსებულის გაუმჯობესებებზე გაიცემა. ახალმა ნორმამ განსხვავება გამოკვეთა შემოქმედებითი ნაკლები დონის კრიტერიუმის შემოღებითაც. კერძოდ, არნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად სასარგებლო მოდელს აქვს საგამომგონებლო დონე, თუ ის ცხადად არ გამომდინარეობს ტექნიკის დონიდან მოცემულ დარგში გათვითცნობიერებული პირისათვის და არა საშუალო დონის სპეციალისტისათვის, როგორც ეს გამოგონებისთვისაა დადგენილი. გათვითცნობიერებულ პირად ვფიქრობთ ჩაითვლება ყველა ის პირი, რომლებსაც უმაღლესზე ნაკლები განათლება აქვთ მიღებული და პრაქტიკულ გამოცდილებას ფლობს. ბუნებრივია ასეთი პირის ცოდნის დონე ნაკლებია საშუალო დონის სპეციალისტისაზე. შესაბამისად, სასარგებლო მოდელის შექმნასაც ნაკლები შემოქმედებითი დონე დასჭირდება.

აღნიშნული მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით სასარგებლო მოდელის ექსპერტიზა წესრიგდება გამოგონების ექსპერტიზისათვის დადგენილი ნორმებით, თუ სპეციალური წესი არ არის გათვალისწინებული სასარგებლო მოდელისათვის გათვალისწინებული თავით. შესაბამისად, სასარგებლო მოდელისათვისაცაა გამოსაყენებელი საგამოგონებლო დონის მიმართ გადაწყვეტილების გამოტანის ახალი წესი. აგრეთვე, მხოლოდ მე-8 პუნქტით დადგენილი წესი განასხვავებს გამოგონების ექსპერტიზისაგან სასარგებლო მოდელის ექსპერტიზას, რომლის თანახმადაც სიახლის დასადგენად საინფორმაციო კვლევა მხოლოდ საქართველოში შეტანილი განაცხადებით შემოიფარგლება.

შემდეგი მუხლი აზუსტებს პროცედურულ შესაძლებლობებს. განმცხადებელს გაუჩნდა უფლება ერთდროულად შეიტანოს განაცხადი გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის მისაღებად, რომლებიც დამოუკიდებლად შეფასდება. მაგრამ, თუ გაიცა გამოგონების პატენტი და მანამდე სასარგებლო მოდელის პატენტი იყო უკვე გაცემული, მაშინ ეს უკანასკნელი გაუქმდება. თუკი გამოგონების პატენტი არ გაიცემა სიახლის უქონლობის გამო, მაშინ სასარგებლო მოდელის პატენტი ბათილად გამოცხადდება.

სასარგებლო მოდელის მიმართ დაწესებული ყველა ახალი ნორმა ხელს უწყობს კეთილსინდისიერ კონკურენციას და საგამომგონებლო აზროვნების განვითარებას, აგრეთვე სრულად ეთანადება საჯარო და კერძო ინტერესების ბალანსის დაცვის მიზნებს.

საპატენტო სამართლის ცვლილებების გაშუქება რომ დავასრულოთ უნდა შევეხოთ ნეგატიურ სიახლესაც. ახალი რედაქციის საპატენტო კანონით გაუქმდა შემოტანილი პატენტის ინსტიტუტი. მისი შემოტანა 1999 წელს გადაწყდა იმ ვარაუდით, რომ წაახალისებდა საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და საქართველოსათვის ახალი სასარგებლო ტექნოლოგიების საფუძველზე საწარმოების

ამოქმედებას. ვარაუდი არ გამართლდა, რამაც ამჟამინდელი ცვლილების შემდეგ გამოიწვია უცხოელთათვის შემოტანილი პატენტის მიღების შესაძლებლობის გაუქმება.

მოკლედ შევეხებით ინტელექტუალური საკუთრების სამართლის სხვა კანონების ცვლილებებსაც.

დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის მიღებით ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური საკუთრების სამართალი დაუბრუნდა 1999 წლამდე არსებულ მდგომარეობას, როდესაც დიზაინის სამართალი საპატენტოსაგან დამოუკიდებელი ინსტიტუტი იყო. დიზაინის ახალი ცნების შემოღებით დაცვას დაექვემდებარა ფართო მრავალი გარეგნული სახე, რომლებიც აქამდე ამას მოკლებული იყო. დადგინდა ახალი თანამედროვე კრიტერიუმები. ამ კანონის მიღებით საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სამართალი მნიშვნელოვნად მიუახლოვდა ევროპულს.

ცვლილება საავტორო სამართალშიც შევიდა. მასში სამსახურებრივი მოვალეობისა და დაკვეთის შედეგად შექმნილ ნაწარმოებზე უფლებების მფლობელი პირი განისაზღვრა საპატენტო კანონის ანალოგიით. იგივე ნორმა დიზაინის შესახებ კანონშიც შევიდა და როგორც შედეგი, კვლავ გვინდა აღვნიშნოთ, შემოქმედს ჩამოერთვა შესაძლებლობა საკუთარ ქმნილებას დაეპატრონოს მაშინაც, როდესაც მის შემოქმედებას სამსახურებრივ ურთიერთობებთან კავშირი არა აქვს.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. Intellectual Property in Europe, by Guy Tritton, Richard Davis, Michael Edenborough, Lames Graham, Simon Malinicz, Ashley Roughton, Second edition, Sweet&Maxwell, London, 2002;
2. Fundamenrals of United States Intellectual Property Law: Copyright, Patents and Trademark By Sheldon W. Halpern, Craig Allen Nard, Kenneth L. Port, Kluwer Law International, The Hague,1999;
3. დავით ძამუკაშვილი. სამრეწველო საკუთრება. გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში, თბ., 1998;
4. დავით ძამუკაშვილი. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბ., 2006;
5. საქართველოს საპატენტო სისტემა, ურნალი «ინტელექტუალური საკუთრება», 2003, № 1;
6. О понятии интеллектуальная собственность, ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი «იურიდიული მეცნიერებები», 2003, №1 <http://gesj.internet-academy.org.ge>.

დავით ბენიძე, სამართლის ფაქულტეტის დოქტორანტი

შეჯიბრებითობის პრინციპის ტრანსფორმაცია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში

XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს, უკვე დამოუკიდებელ საქართველოში დაიწყო სამართლებრივი რეფორმები, რომლებიც შემდეგ კიდევ უფრო ინტენსიური და შეუქცევადი გახდა. ახალი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა საჭიროებდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნას, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი იყო ქვეყნისათვის აგრერიგად აუცილებელ ევროპულ სტრუქტურებში გასაერთიანებლად. სწორედ ახალი საკანონმდებლო ბაზის შექმნით გახდებოდა შესაძლებელი იმის განსაზღვრა, განვითარების რომელ კურსს ირჩევდა ქვეყანა – ტოტალიტარული რეჟიმის მიმდევრად რჩებოდა თუ მტკიცედ ადგა დემოკრატიული აღმშენებლობის გზას.

პირველი სერიოზული ნაბიჯი ამ მიმართულებით 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული კონსტიტუციით გადაიდგა, რომელშიც გამოიკვეთა სახელმწიფოს კურსი. მასში აისახა არაერთი ფუნდამენტური, დემოკრატიული ღირებულების მქონე დებულება, რომელიც შემდეგ სხვა ნორმატიულ აქტებში იქნა რეგლამენტირებული. საკანონმდებლო სიახლეები შექმნით სისხლის სამართლებრივ სფეროსაც. კონსტიტუციით იქნა გარანტირებული სისხლის სამართალწარმოების საჯაროობა და დისპოზიციურობა, კანონიერება, შეჯიბრებითობა, დაცვის უფლება და სხვ.

კონსტიტუციაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე (85-ე მუხლის მე-3 პუნქტი). ამ დებულებამ შესაბამისი ასახვა ჰქონდა 1998 წლის 20 თებერვალს მიღებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. გამოჩენილი რუსი მეცნიერის, ი. პეტრუხინის მიერ მომზადებულ კოდექსის პროექტს პროფესორ გია მეფარიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილმა სამთავრობო კომისიამ სერიოზული გადამუშავების შემდეგ დასრულებული სახე მისცა.

აღნიშნული კოდექსის მიღებით საბოლოოდ ეთქვა უარი დრომოჭმულ ინკვიზიციურ პროცესს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არა ადამიანის უფლებების დაცვის გარანტი, არამედ მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვის და ავტორიტარული რეჟიმის განმტკიცების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იყო.

პირველად ქართული სისხლის საპროცესო სამართლის ისტორიაში სამართალწარმოების ერთ-ერთ ძირითად პრინციპად (ცხადია, სხვა პრინციპებთან ერთად) მიღებულ იქნა შეჯიბრებითობა. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის შესაბამისად: 1. სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე; 2. ბრალდების, დაცვისა და საქმის გადაწყვეტის ფუნქციები გამოყოფილია ერთმანეთისაგან და არ შეიძლება დაეკისროს ერთსა და იმავე ორგანოს ან ერთსა და იმავე თანამდებობის პირს; 3. მხარეებს სრული თანასწორობის საფუძველზე უფლება აქვთ წარმოადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მათს გამოკვლევაში, განაცხადონ

შუამდგომლობა და აცილება, გამოთქვან საკუთარი აზრი სისხლის სამართლის საქმის ნებისმიერ საკითხზე; 4. შეჯიბრებითობა წინასწარ გამოძიებაში უზრუნველყოფილია იმით, რომ: ბრალდების ფუნქცია ეკისრებათ პროკურორს, გამომძიებელს, საგამოძიებო ორგანოს უფროსს, აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელესა და მათ წარმომადგენლებს; დაცვის უფლება აქვთ ბრალდებულს, დამცველს, სამოქალაქო მოპასუხესა და მის წარმომადგენელს; ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს ეკისრება კონტროლი ბრალდებასა და დაცვას შორის და წინასწარი გამოძიების დროს წარმოქმნილი კოლიზიების გადაწყვეტისადმი; დაწესებულია სასამართლო კონტროლი მომკვლევის, გამომძიებლისა და პროკურორის იმ საპროცესო მოქმედებისადმი, რომელიც დაკავშირებულია მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან; ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, დამცველსა და პროცესის სხვა მონაწილეს ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და წესით უფლება აქვთ სასამართლოში გაასაჩივრონ მომკვლევის, გამომძიებლის ან პროკურორის უარი შუამდგომლობის, საჩივრისა თუ განცხადების დაკამაყოფილებაზე; 5. სასამართლო არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო, არ ასრულებს დაცვისა და ბრალდების ფუნქციას. სასამართლო ბრალდებისა და დაცვის მხარეებს უქმნის საჭირო პირობებს მტკიცებულებათა წარდგენისათვის, მათი ყოველმხრივი და სრული გამოკვლევისათვის; 6. სასამართლო შებოჭილი არ არის მხარეთა მოსაზრებებით.

მომდევნო ეტაპზე განხორციელებული სხვადასხვა სისტემური და ფუნქციური ცვლილებების (მოკვლევის ორგანოები და მომკვლევის ინსტიტუტი გაუქმდა, გამომძიებელს ჩამოერთვა ბრალდების ფუნქცია) გამო კოდექსის მე-15 მუხლის მე-4 ნაწილში 2005 წლის 25 მარტის კანონით შეტანილ იქნა ცვლილება და ბრალდების ფუნქცია დაეკისრა პროკურორს, აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელესა და მათ წარმომადგენლებს.

კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად: 1. სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია მხარეებს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა; 2. სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია თავი შეიკავოს ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა ძიებისაგან, გაითვალისწინოს, რომ მტკიცებულებათა აღმოჩენა, წარმოდგენა და გამოკვლევა მხარეთა კომპეტენციას განეკუთვნება; 3. თუ მხარეს ან მხარეებს უძნელდებათ მტკიცებულებათა აღმოჩენა და წარდგენა, სასამართლო (მოსამართლე) ვალდებულია ხელი შეუწყოს მათ მტკიცებულებათა გამოთხოვაში.

შეჯიბრებითობა, როგორც სამართალწარმოების ფუნდამენტური პრინციპი, არა მარტო კოდექსის შესაბამის მუხლებში იქნა დეკლარირებული, არამედ ცალკეული ნორმები, ზოგადი თუ კერძო, ზოგიერთი ხარვეზის მიუხედავად, მისი რეალიზაციისა და პრაქტიკული გამოყენების მყარ საფუძვლებს ქმნიდა.

შეჯიბრებითობის შემოთავაზებულმა მოდელმა მყარი გარანტიები შექმნა სისხლის სამართლის პროცესის ამოცანების გადასაწყვეტად, ადამიანის უფლებების დასაცავად. ამ მხრივ იგი ძალიან ახლოსაა განვითარებული ქვეყნების სტანდარტებთან; შეიძლება ითქვას, რომ ეს მოდელი კონტინენტური სამართლის ქვეყნების მოდელის ანალოგიურია.

1998 წლის 20 თებერვალს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით შეჯიბრებითობა დაცულია როგორც წინასწარი გამოძიების, ისე სასამართლო გამოძიების დროს. მხარეთა ფუნქციური თანასწორობა ქმნის იმის პირობებს, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ სამართალწარმოებაში და მტკიცებულებათა წარდგენის გზით დაიცვან თავიანთი პოზიციები. ამ კოდექსის 110-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მოპოვებული და მხარის მიერ წარმოდგენილი ცნობები უნდა დაერთოს საქმეს. ისინი უნდა შეამოწმოს და გამოიკვლიოს მეორე მხარემ, აგრეთვე ორგანომ, რომელიც პროცესს აწარმოებს. მხოლოდ დასაშვებად მიჩნეული მტკიცებულებები შეიძლება იქნეს გამოყენებული სასამართლო კამათსა და სასამართლო განაჩენში.

129-ე მუხლში კიდევ ერთხელ, ხაზგასმით არის აღნიშნული მხარეების უფლება, შეკრიბონ და წარადგინონ მტკიცებულებები. ამ მუხლის შესაბამისად: 1. დამცველს, აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელისა და სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლებს უფლება აქვთ: შეაგროვონ მათ მარწმუნებელ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის საჭირო ცნობები, მათ შორის, გამოავლინონ და შეკითხვები დაუსვან კერძო პირს, რომელიც ჯერ ოფიციალურად დაკითხული არ არის; გამოითხოვონ ცნობა, დახასიათება და სხვა დოკუმენტი სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებიდან, საწარმოდან ან ორგანიზაციიდან, რომელიც ვალდებულია შეასრულოს ასეთი მოთხოვნა; 2. დამცველისა და წარმომადგენლის მიერ ოფიციალურად წარმოებული გამოძიების გარეთ მოპოვებული მასალები, დოკუმენტები, ცნობები უნდა დაერთოს საქმეს და შეიძლება წარედგინოს სასამართლოს, როგორც მტკიცებულებანი; 3. დამცველის დასაბუთებული მოთხოვნა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სავალდებულოა გამომძიებლისა და პროკურორისათვის. ამ მოქმედების ოქმი უნდა დაერთოს სისხლის სამართლის საქმეს, ხოლო მისი ასლი გადაეცეს დამცველს, რომელსაც უფლება აქვს დაიმოწმოს ისინი ბრალდებულის უდანაშაულობის ან მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარე-მოებათა დასამტკიცებლად; 4. ცნობები წერილობითი და ზეპირი ფორმით, აგრეთვე საგნები და დოკუმენტები, რომლებიც შეიძლება იყოს მტკიცებულებები სისხლის სამართლის საქმეზე, უფლება აქვს წარმოადგინოს აგრეთვე ეჭვმიტანილმა, ბრალდებულმა, დაზარალებულმა, სამოქალაქო მოსარჩელემ, სამოქალაქო მოპასუხემ და მათმა წარმომადგენლებმა. როგორც ვხედავთ, დაცვის მხარის უფლებები მტკიცებულებათა მოპოვებასა და წარდგენასთან დაკავშირებით საკმაოდ შთამბეჭდავია.

ცალკე უნდა აღინიშნოს დაზარალებულის, როგორც ბრალდების მხარის, უფლებები მტკიცებულებათა წარდგენისა და შეფასების საქმეში. 1998 წლის 10 თებერვლის კანონის მიხედვით დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესში არის კერძო ბრალდებელი და საჭიროების შემთხვევაში სუბსიდიურ დევნას ახორციელებს. აյ მისი უფლებები თითქმის უთანაბრდება სახელმწიფო ბრალდებლის უფლებებს. ამაზე მიუთითებს კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის შესაბამისად, თუ პროკურორი უარს იტყვის ბრალდებაზე ან შეცვლის ბრალდებას, დაზარალებულს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს სასამართლოში მხარი დაუჭიროს წინანდელ ბრალდებას. როგორც ვხედავთ, პროკურორის მიერ ბრალდების მოხსნის შემთხვევაში მტკიცებულებათა შეკრების უფლებამოსილება დაზარალებულზე გადადის, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მის გაზრდილ უფლებამოსილებზე. დაზარალებულს სისხლის

სამართლის პროცესში სხვა უფლებებიც აქვს. იგივე შეიძლება ითქვას ბრალდებულსა და მის დამცველზე, აგრეთვე სამოქალაქო მოპასუხესა და მის დამცველზე.

როგორც აღვნიშნეთ, 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით შეჯიბრებითობის პრინციპი თანაბრად არის დაცული წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო გამოძიების დროს. კოდექსის 439-ე მუხლი სასამართლო განხილვის შეჯიბრებითობას ეხება. ამ მუხლის შესაბამისად: 1. სასამართლო განხილვა მიმდინარეობს ბრალდებისა და დაცვის მხარეთა პოლემიკის სახით; 2. ბრალდებისა და დაცვის მხარებს აქვთ თანაბარი საპროცესო უფლებები და შესაძლებლობები; 3. სასამართლოს უფლება არა აქვს შეასრულოს ბრალდების ან დაცვის ფუნქციები; 4. სასამართლო უზრუნველყოფს მხარეთა მიერ მტკიცებულებების წარდგენისა და გამოკვლევისათვის საჭირო პირობებს, ამასთან, იცავს მიუკერძოებლობას და თავს იკავებს საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებათა გამოთხოვისაგან; 5. განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე მოსამართლეს უფლება არა აქვს გამოთქვას აზრი განსასჯელის დამნაშავედ თუ უდანაშაულოდ ცნობის შესახებ; 6. ერთი მხარის შუამდგომლობასა და განცხადებასთან დაკავშირებით სასამართლო ისმენს მეორე მხარის აზრსაც; 7. სასამართლო განხილვისას ბრალდების მხარეს წარმოადგენენ პროცესურორი – სახელმწიფო ბრალდებელი, დაზარალებული (კერძო ბრალდებელი), სამოქალაქო მოსარჩევე და მათი წარმომადგენლები; დაცვის მხარეს – დამცველი, განსასჯელი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოპასუხე, მისი კანონიერი წარმომადგენელი. კოდექსის 447-ე მუხლის პირველ ნაწილში კიდევ ერთხელ, ხაზგასმით არის აღნიშნული სასამართლო განხილვაში მონაწილე დაზარალებულის უფლება, ისარგებლოს მხარის ყველა უფლებით. კოდექსის 475-ე მუხლი განსაზღვრავს მხარეების მიერ მტკიცებულებათა წარდგენისა და გამოკვლევის თანამიმდევრობას, მათ ეტაპებს, ამასთანავე, იცავს თანასწორობის პრინციპს. ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მტკიცებულებას ჯერ ბრალდების მხარე წარადგენს, შემდეგ – დაცვისა. ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევის დროს შეიძლება დაცვის მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევა ბრალდების მხარის თანხმობით. სასამართლო მტკიცებულებას არ წარადგენს, მაგრამ ხელს უწყობს მხარეებს მათს გამოთხოვაში. ამავე მუხლის 2¹ ნაწილის შესაბამისად, დაცვისა და ბრალდების მხარეები თავად უზრუნველყოფებს სასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა წარმოდგენას. მტკიცებულების წარმოსადგენად სასამართლო მხარეებს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა... თუ აღნიშნულ ვადაში მხარეებმა ვერ უზრუნველყველ მოწმის (მოწმეების) გამოცხადება, მოსამართლე უფლებამოსილია მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე განუსაზღვროს მას დამატებითი ვადა მტკიცებულების წარმოდგენისათვის და, საჭიროების შემთხვევაში, გამოიტანოს დადგენილება (განჩინება) მოწმის იძულებითი წარმოდგენის შესახებ. თუ მხარე კვლავ ვერ უზრუნველყოფს მტკიცებულების წარმოდგენას დანიშნულ ვადაში, სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით გამოიტანოს გადაწყვეტილება მტკიცებულების გამოქვეყნების თაობაზე.

მხარეთა თანასწორობაზე მიუთითებს აღნიშნულ მუხლში 2006 წლის 28 აპრილის კანონით შეტანილი დამატება, რომლის შესაბამისად, თუ მხარე არ შუამდგომლობს რომელიმე მოწმის დაკითხვას სასამართლოში, სასამართლოს მიერ ამ მოწმის საკუთარი

ინიციატივით გამოძახება და დაკითხვა დაუშვებელია (2² ნაწილი). ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, შეჯიბრებითობის პრინციპის შესაბამისად, ბრალდების ან დაცვის მხარე დაკითხავს მოწმეს, მოწინააღმდეგე მხარე კითხვებს უსვამს დაკითხულ მოწმეს (ჯვარედინი დაკითხვა) და მოწმის გამომძახებელი მხარე ისევ უსვამს მას კითხვებს (ხელახალი დაკითხვა).

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულება, რომელშიც ხაზგასმითაა აღნიშნული თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვის გარანტიები, არის 475-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმად, ბრალდების მხარეს უფლება აქვს წარადგინოს მტკიცებულება, რომელიც მითითებულია საბრალდებო დასკვნის დანართში. თუ ახალი მტკიცებულება გამოვლინდა სასამართლო განხილვისას, სასამართლო აცხადებს შესვენებას იმ დროით, რომელიც საჭიროა დაცვისათვის ამ მტკიცებულების გასაცნობად. დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში შეიძლება გამოცხადდეს შესვენება, რათა ამ მტკიცებულებას გაეცნოს ბრალდების მხარე... ამ შემთხვევაში ბალანსი სრულად არის დაცული.

აღსანიშნავია, რომ კოდექსის LI თავში მითითებული მთელი პროცედურა აგებულია ისე, რომ ხაზი ესმება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვას. თუმცა მასში არის შეუსაბამობები და ამ პრინციპებისთვის მიუღებელი დებულებები, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

საერთოდ, საქართველოს პარლამენტის მიერ 1998 წლის 20 თებერვალს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, როგორც ამას მართებულად აღნიშნავს პროფესორი გია მეფარიშვილი, ვერ ასცდა უწყებრივი ინტერესების გავლენას და მასში ამ და სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით ბევრი ცვლილება იქნა შეტანილი, მაგრამ მას უამრავი დადებითი მხარე ჰქონდა. ამ საკანონმდებლო აქტმა გაუძლო ყველაზე მძიმე, საწყის პერიოდს და საერთაშორისო ორგანიზაციების მოწონება და აღიარება დაიმსახურა; რაც მთავარია, ეს კოდექსი დიდი ხნის განმავლობაში ადამიანთა უფლებების დაცვის გარანტი იყო¹⁰.

მოკლედ შევეხებით იმ ცვლილებებს, რომლებიც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2004 წლის თებერვლიდან შევიდა და რომლებმაც, თამამად შეიძლება ითქვას, სერიოზული ეჭვის ქვეშ დააყენა შეჯიბრებითობის ფუნდამენტური პრინციპის დაცვის საკითხი. საქმე ეხება როგორც ფუნქციების, ისე სხვა უფლებამოსილებების გაზრდას ბრალდების მხარის სასარგებლოდ, რითაც ფაქტობრივად დაკნინდა შეჯიბრებითობის როლი და მნიშვნელობა. უშუალოდ შეჯიბრებითობის ნორმების დეფინიციებში რაიმე ხელშესახები ცვლილება ან დამატება არ შესულა, მაგრამ შეიცვალა, და თანაც არაერთხელ, ის ნორმები, რომელთა მეშვეობითაც რეალიზდებოდა შეჯიბრებითობის პრინციპი. მითითებული პერიოდიდან განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა არა მარტო შეჯიბრებითობის პრინციპს მიაყენა ზიანი, არამედ სამართალწარმოებაშიც სრული ქაოსი შექმნა.

სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, რომლის დროსაც დაცვის მხარეს შესაძლებლობა ეძლეოდა, გამოძიებისთვის დამატებითი მტკიცებულებები წარედგინა და დაშვებულ ხარვეზზე მიეთითებინა, წინასწარი გამოძიება იყო. ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით საქმის მასალების

¹⁰ მეფარიშვილი გ. ცხოვრება და კანონი. თბ., 2008 წ., გვ. 74–75.

გაცნობა შეიცვალა საპროცესო დოკუმენტების ასლის გადაცემით, რომლის დროსაც რამდენადმე მაინც იყო დაცული თანასწორობის პრინციპი. 2005 წლის 16 დეკემბრის კანონით საერთოდ გაუქმდა ბრალდებულისა და დაზარალებულის უფლება, გაცნობოდნენ საქმის მასალებს, და მის ნაცვლად შემოღებულ იქნა შეტყობინება საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოსათვის გადაგზავნის შესახებ. კოდექსის 416¹ მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გამოძიების დამთავრების და საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოსათვის გადაგზავნის შესახებ პროკურორი ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელი წერილობით ატყობინებდა მხარეებს. შეტყობინებასთან ერთად გამომძიებელი ბრალდებულს და მის დაცველს აძლევდა შესაძლებლობას, საკუთარი ხარჯით გადაეღოთ სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები. თუ ბრალდებული არასმენება, საქმის მთელი მასალის ასლი მას გადაეცემოდა სახელმწიფოს ხარჯზე.

ამდენად, შენარჩუნებულ იქნა წინასწარი გამოძიება, როგორც სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და დამოუკიდებელი სტადია, თუმცა შეიკვეცა დაზარალებულის, ბრალდებულის და მისი წარმომადგენლის უფლება, თანაბარ პირობებში ეპაქტრათ გამომძიებელსა და პროკურორთან პირის ბრალეულობის საკითხზე და მასალების გაცნობის შემდეგ საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოსათვის გადაგზავნამდე წარმოედგინათ დამატებითი მტკიცებულებები დანაშაულის კვალიფიკაციისა თუ საერთოდ ბრალდებულის უდანაშაულობის შესახებ. უფრო მეტიც, 2006 წლის 29 დეკემბრის კანონით კოდექსის 415-ე მუხლში შეტანილი ცვლილებით პროკურორს უფლება მიეცა, ბრალდების შეცვლის ან შევსების საჭიროების შემთხვევაში ჩამოეყალიბებინა ახალი ბრალდება უშუალოდ საბრალდებო დასკვნაში, პირის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემის შესახებ ახალი დადგენილების გამოტანის გარეშე. ამ ნორმის შესაბამისად, ბრალდებული მხოლოდ მრავალთვიანი წინასწარი გამოძიების დამთავრებისა და საქმის სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ, სასამართლოში იგებდა, რომ თურმე საგამოძიებო ორგანოები იმ ბრალდებით კი არ ედავებიან, რომელიც მას მისი ადვოკატის თანდასწრებით წაუყენეს გამომძიებელმა და პროკურორმა და რომლის ირგვლივ არაერთი შუამდგომლობა დააყენა მან თუ მისმა ადვოკატმა, არამედ გაცილებით მძიმე ბრალდებით¹¹.

ჩვენი აზრით, ფუნქციების ამგვარი შეზღუდვით აშკარად დაირღვა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები.

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებებით დაცვის მხარეს სერიოზული შეზღუდვები დაუწესდა საქმის სასამართლოში განხილვის სტადიაზედაც. 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 475-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ახალ მტკიცებულებათა გამოვლენისას ბრალდების მხარე, სასამართლო განხილვის დაწყებამდე არა უგვიანეს 7 დღისა, მოწინააღმდეგე მხარეს გადასცემდა ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ გამოტანილი დადგენილების ასლს. თუ ახალი მტკიცებულება გამოვლინდებოდა სასამართლო განხილვისას, სასამართლო აცხადებდა შესვენებას იმ დროით, რაც საჭირო იყო დაცვისათვის ამ მტკიცებულების

¹¹ ბენიძე ვ. საპროცესო კოდექსში ათეულობით გაუქმებული ნორმაა დარჩენილი - ცვლილებების გარეშე – სამართალი. №1, 2. 2008 წ.

გასაცნობად. დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში შეიძლებოდა გამოცხადებულიყო შესვენება, რათა ამ მტკიცებულებას გაცნობოდა ბრალდების მხარე. როგორც ვხედავთ, ვადა, დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა წარსადგენად შეზღუდული არ ყოფილა. მას უფლება ჰქონდა, სასამართლო განხილვის სტადიაზე, თუ აუცილებელი გახდებოდა ახალი მტკიცებულებების წარდგენა, არაერთი დასაბუთებული შუამდგომლობა დაეყენებინა; სასამართლო ვალდებული იყო დაეკმაყოფილებინა ისინი.

2005 წლის 17 ივნისის კანონით კოდექსის 475-ე მუხლის მე-4 ნაწილი შეიცვალა: ახალ მტკიცებულებათა გამოვლენისას ბრალდების მხარეს სასამართლო განხილვის დაწყებამდე არა უგვიანეს 7 დღისა მოწინააღმდეგე მხარისათვის უნდა გადაეცა მის ხელთ არსებული დამატებითი მტკიცებულებები დაცვის მხარისათვის, რომლის გაცნობის მიზნით ცხადდება შესვენება. 2006 წლის 28 აპრილის კანონით 475-ე მუხლის მე-4 ნაწილი შეიცვალა და იგი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: დაცვის მხარე მტკიცებულებებს (მათ შორის, მოწმის სახით დასაბარებელ პირთა სიას) სასამართლოში წარადგენს სასამართლო სხდომის დაწყებამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

ამრიგად, პროკურორის ვალდებულება, მტკიცებულებები წარედგინა სასამართლო განხილვის დაწყებამდე 7 დღით ადრე, შეიცვალა იმ მიმართებით, რომ ახალი მტკიცებულებების გამოვლენის შემთხვევაში უკვე დაცვის მხარეს უნდა წარედგინა ისინი არა უგვიანეს 5 დღისა. თუ რატომ უნდა წარედგინა პროკურორს მტკიცებულებები 7 დღით ადრე, სრულიად გასაგებია და დავას არ იწვევდა. პროკურორი ბრალდების მხარეა და ბრალდების მტკიცების მოვალეობაც მას აკისრია, ხოლო დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, პროკურორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებასთან დაკავშირებით მოემზადოს და გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები; მაგრამ იმ საკანონმდებლო ცვლილებას, რომლითაც დაცვის მხარეს დაეკისრა ახალი მტკიცებულებების არა უგვიანეს 5 დღისა წარდგენის მოვალეობა, ჩვენი აზრით, არავითარი გამართლება არ ჰქონდა. ეს იყო დაცვის უფლების შეზღუდვის და იმავდროულად მხარეთა თანასწორობის დარღვევის ტიპური მაგალითი.

შეჯიბრებითობის პრინციპის იგნორირების კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი საპროცესო შეთანხმების დროს დაზარალებულისთვის გასაჩივრების უფლების შეზღუდვაც იყო, რომლის შესახებაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი.

თუ როგორ ირღვევა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიდანაც ნათლად ჩანს:

1. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 2008 წლის 16 მარტს განიხილა ა. ლაბახუას (გვარი შეცვლილია) მიმართ სისხლის სამართლის საქმე დანაშაულზე, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით. საბრალდებო დასკვნით ა. ლაბახუას ბრალი ედებოდა იმაში, რომ შელაპარაკების ნიადაგზე ცივი იარაღის გულმკერდის არეში არაერთხელ ჩარტყმით განზრახ მოკლა ვ. კვირტია. საქმის სასამართლო განხილვის დროს მოწმედ დაკითხულმა დ. ვეკუამ ნაწილობრივ შეცვალა წინასწარი გამომიებისას მიცემული ჩვენება და განაცხადა, რომ აწ გარდაცვლილსა და ბრალდებულს შორის კამათი და ჩხუბი იმის გამო დაიწყო, რომ ვ.

კვირტიამ ე. წ. საქმის გარჩევის დროს მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა ა. ლაბახუას, კერძოდ, დედისა და მეუღლის მისამართით უშვერი სიტყვებით აგინა და მისი ოჯახის წევრები ღირსების შემლახავი სხვა ტერმინებით მოიხსენია. მოწმემ იქვე მიუთითა, რომ ამ ჩვენების დადასტურება შეეძლო ვ. კვირტიას მეზობელს, ლ. ბედიას, რომელიც წინასწარი გამოძიების ორგანოებს არ დაუკითხავთ (ბედიას არ სურდა მეზობლებთან ურთიერთობის გამწვავება და ამიტომაც არ გაამხილა, რომ შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა). მოწმე დ. ვეკუას ასეთი ჩვენების შემდეგ ა. ლაბახუას ადვოკატმა მაშინვე დააყენა შუამდგომლობა მოწმე ლ. ბედიას დაკითხვის შესახებ. იგი სასამართლომ არ დაავმაყოფილა იმ მოტივით, რომ დ. ვეკუას სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენება არ იყო სარწმუნო და დამაჯერებელი, რომ დაცვის მხარეს ლ. ბედიას დაკითხვისა და, მაშასადამე, ახალი მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ 5 დღით ადრე უნდა განეცხადებინა სასამართლოსა და მხარეებისათვის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 475-ე მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე. სასამართლომ მაშინაც არ დაავმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა მოწმე ლ. ბედიას დაკითხვის შესახებ, როცა ბედიამ წერილობითი განმარტებით ფაქტობრივად დაადასტურა მოწმე დ. ვეკუას მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენება. სამწუხაროდ, შემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა დაცვის მხარის მითითებული შუამდგომლობის მსგავსი იგნორირება მოახდინეს. ამრიგად, სასამართლოებმა თავიანთი უსაფუძვლო გადაწყვეტილებებით ხელიდან გაუშვეს ჭეშმარიტების დადგენისა და კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობა¹².

2. ქ. თბილისის საპატრულო სამსახურის საგამოძიებო დანაყოფი წინასწარ გამოძიებას აწარმოებდა ე. არუთინიანის ბრალდების საქმეზე. მას ბრალი ედებოდა ავტოსაგზაო შემთხვევის მოხდენაში, რომელსაც შედეგად მოჰყვა ერთი პირის გარდაცვალება. საქმეზე ჩატარებულმა პირველადმა ექსპერტიზამ ე. არუთინიანი მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევაში დაადანაშაულა, ხოლო დაცვის მხარის მიერ ჩატარებულმა ალტერნატიულმა ექსპერტიზამ იგი გაამართლა. გამოძიებამ დანიშნა მესამე ექსპერტიზა ორივე ექსპერტიზის ჩამტარებელ პირთა მონაწილეობით, მაგრამ შემდეგ ისე, რომ არ მიუღია ამ ექსპერტიზის დასკვნა, საქმე საბრალდებო დასკვნით არსებითად განსახილველად გადაუგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას. საქმის სასამართლო განხილვის დროს, რომელიც ერთი თვის შემდეგ დაიწყო, წარდგენილ იქნა კომისიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც გამოირიცხა ე. არუთინიანის ბრალეული ქმედება ავტოსაგზაო შემთხვევის მოხდენაში. აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა საქმეზე შეკრებილი სხვა მტკიცებულებებით დადასტურდა, რის გამოც სასამართლომ ე. არუთინიანის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა¹³. ამრიგად, იმის გამო, რომ დაირღვა თანასწორობის პრინციპი და დაცვის მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა, წინასწარი გამოძიების სტადიაზევე დაეყენებინა შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, ბრალდებულმა ორ თვეზე მეტი დაპყო უკანონო პატიმრობაში.

ბევრი სხვა მაგალითის მოყვანაც შეიძლება იმის ნათელსაყოფად, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი

¹² იხ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს არქივი, 2005 წელი.

¹³ იხ. ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს არქივი, 2005 წელი.

ცვლილებების შემდეგ უხეშად ირღვევოდა და პირვანდელ სახეს კარგავდა. მაგრამ ამჯერად ზემოთ მოყვანილი ფაქტებით შემოვიფარგლებით, მით უმეტეს, რომ აღნიშნული ხარვეზებიდან ზოგიერთი ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მეტ-ნაკლებად აღმოფხვრილია.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილმა არაერთმა და თანაც გაუმართლებელმა ცვლილებამ დღის წესრიგში კვლავ დააყენა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღების სავითხი. მის პროექტზე მუშაობა 2006 წლის გაზაფხულიდან დაიწყო. კოდექსი საქართველოს პარლამენტმა ხანგრძლივი დისკუსიებისა და განხილვის შემდეგ, 2009 წლის 9 ოქტომბერს მიიღო და ამოქმედდა 2010 წლის 1 ოქტომბრიდან.

ვერ ვიტყვით, რომ ახალმა კოდექსმა რამდენადმე არ გაამარტივა სისხლის სამართალწარმოება და გარკვეული გარანტიები არ შექმნა ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, მაგრამ მას, ჩვენი აზრით, სერიოზული ხარვეზებიც აქვს და მისი ავკარგიანობის შეფასება მხოლოდ მომავალში საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის ღრმა ანალიზის საფუძველზე იქნება შესაძლებელი.

თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც სერიოზული ყურადღება აქვს დათმობილი და მათი დაცვის გარანტიებიც არაერთ ნორმაშია ასახული. კერძოდ: როგორც უკვე აღინიშნა ახალი კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად: 1. სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე; 2. მხარეს უფლება აქვს, კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.

სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობასა და მხარეთა თანასწორობას ეხება კოდექსის 25-ე მუხლი, რომლის შესაბამისად: 1. სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა; 2. სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა. მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა. მოსამართლე უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევაში მხარეებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად; 3. განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე მოსამართლეს უფლება არა აქვს, აზრი გამოთქვას ბრალდებულის (მსჯავრდებულის) დამნაშავედ თუ უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე; 4. თუ სასამართლო სხდომაში ორივე მხარე მონაწილეობს, ერთი მხარის შუამდგომლობასთან ან საჩივართან დაკავშირებით სასამართლო ისმენს მეორე მხარის აზრსაც.

როგორც ვხედავთ, კანონმდებელი ამ შემთხვევაშიც შეეცადა დაეცვა სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპები და ნაწილობრივ მოახერხა კიდევ ეს. თუმცა გვაქვს ზოგიერთი შენიშვნა, რომელიც შეხება როგორც სტილისტურ, ისე შინაარსობრივ მხარეს. ჩვენი აზრით, კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შემთხვევაში ისინი გათვალისწინებული უნდა იქნეს.

არასწორად მიგვაჩნია კოდექსის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ფორმულირება, რომლის შესაბამისად, «სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა.» ჩვენი აზრით, ასეთი კატეგორიული ტონით სასამართლოსთვის რაიმე მოვალეობის დაკისრება დაუშვებელია. უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, აზრი იმპერატიულად, მაგრამ სხვაგარად გადმოცემულიყო, მაგალითად, ასე: «სასამართლომ მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად უნდა შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭების გარეშე.» ამ შემთხვევაში სიტყვა «ვალდებულია» იცვლება სიტყვით «უნდა». მათი მნიშვნელობა ერთი და იგივეა, მაგრამ სასამართლოსთან მიმართებით «ვალდებულია»-ს გამოყენება არ შეესაბამება აღნიშნული ნორმის შინაარსს. ჩვენი აზრით, აგრეთვე არასწორია ის, რომ აღნიშნული მუხლის რედაქცია თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს 1998 წელს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (კერძოდ, მისი 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის) ფორმულირებას.

ასევე სრულიად გაუმართლებლად მიგვაჩნია კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, რომელიც შეეხება მოსამართლის უფლებამოსილებას, გამონაკლის შემთხვევაში დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად, მაგრამ ის დასვას მხოლოდ მხარეებთან შეთანხმების შედეგად. ჩვენი აზრით, კანონმდებლის მიერ მსგავსი სიფრთხილის გამოჩენა დაუშვებელია; ასეთი შეზღუდვის დაწესებით, პირიქით, სასამართლოს ხელი ეშლება დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის დადგენაში. მოცემულ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ დამაზუსტებელი კითხვების დასმაზე, რომლებიც შეიძლება მოსამართლეს ჰქონდეს მხარეთა შეკითხვების ამოწურვის შემდეგ. თუ მოსამართლეს, რომელმაც უნდა დაადგინოს განაჩენი (არ აქვს მნიშვნელობა, გამამართლებელი თუ გამამტყუნებელი), წავართმევთ იმის უფლებას, რომ დამაზუსტებელი შეკითხვა დასვას ისე, რომ მხარეებს არ სთხოვოს ამის ნებართვა (რომელიც შესაძლებელია ვერც კი მიიღოს), მას იმავდროულად იმის უფლებას წავართმევთ, რომ თავისი შინაგანი რწმენით მიიღოს გადაწყვეტილება. ვფიქრობთ, ყოველივე ზემოაღნიშნული დადებით გავლენას არ ახდენს მართლმსაჯულების სწრაფად და ეფექტიანად განხორციელებაზე.

შინაარსობრივად მიუღებლად მიგვაჩნია 25-ე მუხლის მე-4 ნაწილიც, რომლის თანახმად, «თუ სასამართლო სხდომაში ორივე მხარე მონაწილეობს, ერთი მხარის შუამდგომლობასთან ან საჩივართან დაკავშირებით სასამართლო ისმენს მეორე მხარის აზრსაც.» ჩვენი შეხედულებით, სიტყვები «თუ სასამართლო სხდომაში ორივე მხარე მონაწილეობს» სრულიად ზედმეტია, რადგან თუ სხდომაში მხოლოდ ერთი მხარე მონაწილეობს, სასამართლო მეორე მხარის აზრს ვერ მოისმენს, ე. ი. ორივე მხარის მონაწილეობა ამ დროს თავისთავად იგულისხმება. უმჯობესი იქნებოდა, აღნიშნული ნორმა შემდეგნაირად ჩამოყალიბებულიყო: «სასამართლო ერთი მხარის შუამდგომლობასთან ან საჩივართან დაკავშირებით ისმენს მეორე მხარის აზრსაც.»

მოკლედ შევხებით იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს აქვს; ვგულისხმობთ იმ დებულებებს, რომლებიც

სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობასა და მხარეთა თანასწორობასთან დაკავშირებით შესაბამის მუხლებში არ არის ასახული. კერძოდ:

კოდექსის მე-9 მუხლში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ბრალდების, დაცვისა და საქმის გადაწყვეტის ფუნქციები გამოყოფილია ერთმანეთისაგან და არ შეიძლება დაეკისროს ერთსა და იმავე ორგანოს ან ერთსა და იმავე თანამდებობის პირს. ამ მუხლში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ასევე, ვის ეკისრება ბრალდების ფუნქცია და ვის აქვს დაცვის უფლება. ის გარემოება, რომ კოდექსის მე-3 მუხლში განმარტებულია, ვინ არის ბრალდების მხარე და ვინ – დაცვის მხარე, არაფერს ცვლის. ეს საკითხი გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სპეციალურ ნორმაში შეჯიბრებითობასთან დაკავშირებით.

კოდექსის 25-ე მუხლში აუცილებლად უნდა იყოს მითითება იმის შესახებ, რომ სასამართლო შებოჭილი არ არის მხარეთა მოსაზრებებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 და 25-ე მუხლები უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

«მუხლი 9. მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა:

1. სისხლის სამართლის პროცესი სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე ხორციელდება თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე;

2. ბრალდების, დაცვისა და საქმის გადაწყვეტის ფუნქციები გამოყოფილია ერთმანეთისაგან და არ შეიძლება დაეკისროს ერთსა და იმავე ორგანოს ან ერთსა და იმავე თანამდებობის პირს;

3. შეჯიბრებითობა წინასწარ გამოძიებაში და სასამართლო განხილვის დროს უზრუნველყოფილია იმით, რომ ბრალდების ფუნქცია ეკისრება პროკურორს, ხოლო დაცვის უფლება აქვს ბრალდებულს, მსჯავრდებულს, გამართლებულს და მათ ადვოკატს;

4. მხარეს უფლება აქვს ამ კოდექსით დადგენილი წესით წარადგინოს შუამდგომლობა, დამოუკიდებლად მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება;

მუხლი 25. სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობა:

1. სასამართლომ მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად უნდა შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭების გარეშე;

2. სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დამოუკიდებლად მოიპოვოს და გამოიკვლიოს ბრალდების დამადასტურებელი ან დაცვის ხელშემწყობი მტკიცებულებები. მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა. მოსამართლე უფლებამოსილია დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად;

3. განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე მოსამართლეს უფლება არა აქვს, აზრი გამოთქვას ბრალდებულის (მსჯავრდებულის) დამნაშავედ თუ უდანაშაულოდ ცნობის შესახებ;

4. ერთი მხარის შუამდგომლობასა და განცხადებასთან დაკავშირებით სასამართლო ისმენს მეორე მხარის აზრსაც;

5. სასამართლო შებოჭილი არ არის მხარეთა მოსაზრებებით.»

ახლა მოკლედ მიმოვიხილოთ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც დადებით თუ უარყოფით გავლენას ახდენს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების რეალიზაციაზე და შესაბამის პირობებს ქმნის მართლმსაჯულების სწორად და ეფექტურად განხორციელებისათვის.

თავდაპირველად შევეხოთ დადებით მხარეებს, რომელთა არაღიშვნა არ იქნება სამართლიანი, თუმცა რამდენად რეალურია მათი განხორციელება, ამას დრო და საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს.

კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ბრალდებულს უფლება მიეცა, თვითონ ან/და ადვოკატის დახმარებით მოპოვოს მტკიცებულება; ამ მტკიცებულებას ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულების თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. რაც მთავარია, ბრალდებულს მტკიცებულების მოპოვების სამართლებრივი გარანტიები და შესაძლებლობა მიეცა. კერძოდ, იმავე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ თუ მტკიცებულების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისათვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება. ჩვენი აზრით, სიტყვა «ვალდებულია» ამ შემთხვევაშიც არასწორად არის გამოყენებული. მის ნაცვლად მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს სიტყვა „უნდა“, რის შემდეგ ეს წინადადება ასეთ სახეს მიიღებს – მოსამართლემ უნდა მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარესათვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება. მოთხოვნა ამ შემთხვევაშიც იმპერატიული იქნება.

სიახლეა მხარეების მიერ შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლის წესის შემოღება. კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ბრალდების მხარე ასევე ვალდებულია ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები. მე-2 ნაწილის დაცვის ძალით დაცვის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ ბრალდების მხარე უფლებამოსილია დაცვის მხარისაგან მიიღოს ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც დაცვის მხარე აპირებს. 83-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ იმ მომენტისათვის არსებული მასალის მხარისათვის სრული მოცულობით გადაუცემლობა იწვევს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას... მე-6 ნაწილის შესაბამისად, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე 5 დღით ადრე მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მხარეებს ამ კოდექსით დადგენილი წესით საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას აქვთ თანაბარი უფლება-მოვალეობები. გამონაკლისია შემთხვევები, როცა დაცვის მხარე არ არის უფლებამოსილი, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით შემდეგი საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად: ა) ჩხრეკა; ბ) ამოღება. საკითხის ამდაგვარად გადაწყვეტას სრულად ვიზიარებთ, რადგან წარმოუდგენელია დაცვის მხარეს მიეცეს უფლება ჩატაროს ჩხრეკა თუ ამოღება, რომელიც კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოსაც კი ხშირ შემთხვევაში პრობლემების წინაშე აყენებს.

ახალ კოდექსში ერთ-ერთ პრიორიტეტულ პრინციპადაა მიჩნეული მტკიცებულებათა უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევა. მე-14-ე მუხლში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ სასამართლოს (ნაფიც მსაჯულებს) არ უნდა წარედგინოს მტკიცებულება, თუ მხარეებს მისი უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის თანაბარი შესაძლებლობა არ ჰქონიათ (კანონმდებელი გამონაკლისებსაც ითვალისწინებს).

მე-40 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ბრალდებულს დროულად უნდა შეატყობინონ მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩასატარებელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო და ადგილი. თუ ბრალდებულს ან/და მის ადვოკატს გონივრულ ვადაში არ ეცნობა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო და ადგილი, ასეთი საგამოძიებო მოქმედება არ უნდა ჩატარდეს, ხოლო ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

მხარეთა თანასწორობის დაცვის თვალსაზრისით მისაღებია მოთხოვნა, რომელიც გამოძიების დროს დაკითხვის წესს შეეხება. კერძოდ, კოდექსის 114-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გამოძიების სტადიაზე მხარის შუამდგომლობით მაგისტრატი მოსამართლის წინაშე პირი შეიძლება დაკითხული იქნეს მოწმედ. ანალოგიური უფლებებით სარგებლობს დაცვის მხარე დათვალიერების, საგამოძიებო ექსპერიმენტის, ამოცნობის, ექსპერტიზისა და სხვა საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების დროს.

შეჯიბრებითობის პრინციპის გამომხატველია და მტკიცებულებების შეკრებაში მოსამართლეთა ჩაურევლობაზე მიუთითებს კოდექსის 228-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, თუ მხარე არ აპირებს რომელიმე პირის მოწმედ დაკითხვას სასამართლოში, სასამართლოს მიერ ამ პირის საკუთარი ინიციატივით გამომახება და დაკითხვა დაუშვებელია. მხარეთა თანასწორობაზე მეტყველებს ასევე 242-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმადაც, ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობს დაცვის მხარე, ხოლო დაცვის მხარის წარდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევაში – ბრალდების მხარე. შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვის აუცილებლობა ხაზგასმითაა აღნიშნული კოდექსის 266-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტშიც: მხარეს შეუძლია ერთჯერადად საკასაციო წესით სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივროს გამამტყუნებელი განაჩენი, თუ სხდომის თავმჯდომარემ მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობის განხილვისას უკანონ გადაწყვეტილება მიიღო, რითაც არსებითად დაირღვა მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი.

როგორც ვხედავთ, კანონმდებელი ცდილობს დაიცვას ბალანსი ბრალდებისა და დაცვის მხარეთა უფლებრივ საკითხებში და, როგორც «კანონპროექტის მირითად არსში»

იყო განმარტებული, თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენოს მხარეები მათ მიერ მტკიცებულებათა მოპოვების, მოსამართლის წინაშე წარდგენისა და შეფასების მხრივ, აქცენტი გადაიტანოს შეჯიბრებითობის პრინციპზე დაყრდნობით მტკიცებულებების ღია სასამართლო კამათის პირობებში განხილვაზე და ამით ხაზი გაუსვას სასამართლო გამოძიების პრიორიტეტულობას.

დადებითთან ერთად, უნდა შევეხოთ იმ ნაკლოვან მხარეებსაც, რომლებიც, ჩვენი აზრით, კოდექსის ცალკეულ დებულებებს აქვს და მნიშვნელოვნად აფერმკრთალებს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებს.

«ვანონპროექტის ძირითად არსში» მითითებული იყო, რომ დაზარალებულის სტატუსი და უფლებები ახლებურად არის მოწესრიგებული - იგი აღარ არის მხარე, მაგრამ მას აქვს სახელმწიფო ბრალდებისაგან ინფორმაციისა და კონსულტაციის მიღების ფართო უფლებები.

ის, რომ დაზარალებული ბრალდების მხარე არ არის, კოდექსის ღირსებაზე კი არ მეტყველებს, არამედ პროცესის ერთ-ერთი ძირითადი მონაწილის უფლებების ყოვლად გაუმართლებელ შეზღუდვებზე მიუთითებს. დაზარალებული პრაქტიკულად სრულიად უუფლებოა და, გარდა ჩვენების მიცემისა, სხვა მხრივ არ მონაწილეობს სისხლის სამართალწარმოებაში. დედისთვის იმ უფლების წართმევა, რომ შეაფასოს და გაასაჩივროს მისი შეხედულებით სასამართლოს უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენი შვილის მკვლელობასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, ჩვეულებრივი უფლებრივი შეზღუდვა კი არა, არამედ უფრო ადამიანის დისკრიმინაციაა. ანალოგიური ნორმა არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში არ მოქმედებს და გაუგებარია თუ რამგანაპირობება მისი მაინცდამაინც საქართველოში დანერგვა. ამით იგნორირებულია თანასწორობისა და შეჯიბრებითობის ფუძემდებლური პრინციპები.

ზემოთ ითქვა და კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ შეჯიბრობითობას, როგორც სისხლის სამართლის პროცესის პრინციპს, თითქმის ყველა შესაბამის საპროცესი ნორმასთან აქვს შეხება და მისი დაცვა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის მხარეთა უფლებრივი საკითხები ასახული და განმტკიცებული კოდექსის სხვადასხვა მუხლებში. თავისთავად შეჯიბრებითობის პრინციპის აღიარება დადებითი მოვლენაა, მაგრამ მის პრაქტიკულ რეალიზაციას თან უნდა ახლდეს სათანადო საფუძველი და სამართლებრივი გარანტიები. კანონში დაშვებული თითოეული შეცდომა თუ ნორმის არასწორი ინტერპრეტაცია სერიოზულ ზეგავლენას ახდენს მხარეთა უფლებრივ საკითხებზე და აქედან გამომდინარე - მათ საქმიანობაზე.

კანონში ზუსტად უნდა იყოს გაწერილი მხარეთა უფლებამოსილებები და მკვეთრად გამიჯნული - მათი ფუნქციები. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილის თანახამდ, ბრალდების მხარეა გამომძიებელი და პროკურორი, ხოლო მე-7 ნაწილის შესაბამისად დაცვის მხარეა ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული და მათი ადვოკატი. პროკურორის, როგორც ბრალდების მხარის უფლებამოსილებები კანონში მკვეთრად არის განსაზღვრული და რეგლამენტირებული. იგი პროცესის მონაწილეთაგან ერთადერთია, რომელიც სავსებით მართებულად იწყებს და ახორციელებს სისხლის სამართლებრივ დევნას, აჩერებს და წყვეტს მას, უყენებს პირს ბრალდებას, სასამართლოში მხარს უჭერს მის მიერ წაყენებულ ბრალდებას და. ა.შ. მაგრამ იმ უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც კოდექსით აქვს მინიჭებული

გამომძიებელს, მისი ბრალდების მხარედ მიჩნევა სერიოზული დავის საგნად მიგვაჩნია. გამომძიებელს არა აქვს არც ერთი ისეთი საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტის უფლება, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელ ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს. ის არ ახორციელებს დევნას, მას არ გამოაქვს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ – იგი არ მიმართავს სასამართლოს რომელიმე აღკვეთის ღონისძიების ან სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიების გამოყენებაზე, არ იწყებს და არც აწარმოებს სისხლისსამართლებრივ დევნას. მას არც ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს. ერთადერთი უფლებამოსილება, რაც გამომძიებელს დაცვის მხარისაგან განსხვავებით აქვს, არის ის, რომ ჩერეკის თუ ამოღების დროს გადაუდებელი აუკლებლობის შემთხვევაში გამოიტანოს დადგენილება ამ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ, რაც შემდგომ სასამართლომ უნდა დააკანონოს. ყველა სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების უფლება ცხადია, აქვს დაცვის მახრესაც - მისი შუამდგომლობით გამოტანილი სასამართლო განჩინების საფუძველზე. გარდა ამისა, გამომძიებელი ვალდებულია შეკრიბოს და დაურთოს საქმეს ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი მტკიცებულებები. ერთი სიტყვით, გამომძიებელი აწარმოებს მტკიცებულებათა გამოკვლევას, რაზედაც შეფასებას იძლევა და გადაწყვეტილებას იღებს პროცესურორი. ასეთ პირობებში გამომძიებელი, ჩვენი ღრმა რწმენით, არამც და არამც არ შეიძლება ჩაითვალოს ბრალდების მხარედ. ამის გამო კოდექსის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილიდან სიტყვა „გამომძიებელი“ ამოღებული უნდა იქნეს.

ჩვენი აზრით, ასევე შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპების უგულებელყოფაა კიდევ ერთი გაუაზრებელი ნორმა, რომელიც განაჩენის დადგენასა და სასჯელის დანიშვნასთანაა დაკავშირებული. კერძოდ, 2010 წლის 1 ოქტომბერს ამოქმედებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად, «გამამტყუნებელ განაჩენს, სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან განთავისუფლებით, სასამართლო ადგენს, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ახალი კანონი აუქმებს ქნედების დანაშაულებრიობას.» მაშასადამე, თუ პირი სისხლის სამართლის პასუხისმგებაში იყო მიცემული კონკრეტული ქმედებისათვის, მაგრამ საქმის სასამართლოში განხილვისა და განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ეს ქმედება აღარ ითვლება დანაშაულად, მაშინ სასამართლო ადგენს გამამტყუნებელ განაჩენს, ნიშნავს სასჯელს და ათავისუფლებს მისი მოხდისაგან. ვთვლით, რომ ამ ნორმის კოდექსში შეტანა უფრო გაუგებრიობის ან უნებლივი შეცდომის შედეგია, ვიდრე გააზრებული პროცედურა, მისგან გამომდინარე შედეგებით. გამოდის, რომ ჩვენ პირს ვსჯით და გამოგვაქვს მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი ისეთი ქმედებისათვის, რომელიც განაჩენის გამოტანის დროისათვის დანაშაულად საერთოდ არ ითვლება, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანონმა გააუქმა მისი დანაშაულებრიობა. ეს, რომ არაფერი ვთქვათ კონსტიტუციური პრინციპების უგულებელყოფაზე, ეწინააღმდეგება თვით კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის მოთხოვნას, რომლის შესაბამისადც გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს, თუ ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას. ამრიგად, აღნიშნულია ორი თანაბარი პირობიდან - პირველ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება და პირი

მთლიანად რეაბილიტირებულია, ხოლო მეორე შემთხვევაში მის მიმართ დგება გამამტყუნებელი განაჩენი და, შესაბამისად, იგი ნასამართლევად ითვლება. აქ როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

ვფიქრობთ, სრულიად გაუმართლებელია ის შეზღუდვა, რომელიც კანონმდებელმა ადვოკატის მიერ საჩივრის შეტანასთან დაკავშირებით დააწესა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების და ბრალდებისა და სასჯელის ნაწილში. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადვოკატს არა აქვს უფლება ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ შეიტანოს საჩივარი ან უარი თქვას მასზე ბრალდებისა და სასჯელის ნაწილში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ბრალდებული არასრულწლოვანია, ან აქვს ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლი. ეს ნორმა გარდა იმისა, რომ ზღუდავს ადვოკატის უფლებას - სრულად განახორციელოს დაცვითი ფუნქცია, წინააღმდეგობაშია სხვა ნორმებთან. მისგან გამომდინარე ადვოკატს უფლება აქვს გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება ბრალდებისა და სასჯელის ნაწილში, მაგრამ ამისთვის ბრალდებულის თანხმობაა საჭირო. სხვა ნორმების შესაბამისად კი ადვოკატი საერთოდ არ სარგებლობს აღკვეთის ღონისძიების და ბრალდებისა და სასჯელის ნაწილებში მიღებული გადაწყვეტილების ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების უფლებით. სსკ-ის 207-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ სასამართლოს განჩინების სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გასაჩივრების უფლება მხოლოდ პროკურორსა და ბრალდებულს აქვთ. ამავე კოდექსის 292-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვთ მხოლოდ ბრალდებელს, ზემდგომ პროკურორსა და მსჯავრდებულს. ადვოკატს უფლება აქვს შეიტანოს სააპელაციო საჩივარი მხოლოდ მაშინ, როცა მსჯავრდებული არასრულწლოვანია, ან აქვს ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი. სხვა შემთხვევას კანონმდებელი არ ითვალისწინებს. ამგვარად, თუ ადვოკატს მიაჩნია, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს არასწორი ბრალდება შეერაცხა და სასჯელიც არასწორად დაენიშნა, მას არა აქვს უფლება გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება, გარდა ზემოხსენებული გამონაკლისისა. ეს კი სერიოზულ ზიანს აყენებს როგორც კონკრეტული პირის, ასევე მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელების ინტერესებს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საპატიმრო ადგილებში მყოფი ბრალდებული (მსჯავრდებული) ისედაც დათრგუნული, შეშინებულია და მას ძალზე გაუჭირდება დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება უკანონო აქტის გასაჩივრების შესახებ. ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაშიც კი, არსებობს რიგი ფაქტორები, რომლებიც ხელს შეუშლის მას თვითონ გამოიყენოს თავისი უფლება. მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმდება მაშინ, თუ სახელისუფლებო და სამართალდამცავი ორგანოები დაინტერესებული არიან მოცემული პიროვნების დასჯით.

ადვოკატს, სსკ-ის იმავე - 44-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ისედაც არა აქვს უფლება იმოქმედოს ბრალდებულის მითითებებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ. ასეთ პირობებში სრულად გაუგებარია, თუ რატომ უნდა აუკრძალო მას, რომ გაასაჩივროს უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება.

ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ახალ კანონში შემჩნეულ რამდენიმე ხარვეზზე და მასში შესატან ცალკეულ ცვლილება-დამატებებზე. სავარაუდოა, რომ საგამოძიებო და

სასამართლო პრაქტიკა მომავალში კიდევ მეტ ხარვეზს წარმოაჩენს. ეს არც იქნება გასაკვირი, რადგან სისხლის სამართლის პროცესი შინაარსობრივად რთული მეცნიერებაა და არსებული პრაქტიკის მუდმივი შესწავლა - გაანალიზებით იგი სისტემატურად უნდა დაიხვეწოს.

**გია მეფარიშვილი, პროფესორი
ია ჩხეიძე, ასისტენტ-პროფესორი**

დისკრეციის პრინციპთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესში

2010 წლის პირველ ოქტომბერს ძალაში შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.[1] ამ ახალმა საკანონმდებლო აქტმა ბევრი სიახლე შემოიტანა, მათ შორის პირველად ქართული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ისტორიაში ოფიციალურად დაკანონდა დისკრეციის პრინციპი. კანონშემოქმედებითი საქმიანობა ერთ-ერთი ურთულესია და იგი ყოველთვის ორ მირითად საწყისს ეფუძნება - შედარებითი სამართალმცოდნების მონაცემებს და იურიდიულ მეცნიერებას. საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გაცნობის შემდეგ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კანონშემოქმედებითი საქმიანობის ორივე ზემოთ აღნიშნული საწყისი მასში საფუძველშივეა უარყოფილი.

«დისკრეცია» ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს თანამდებობის პირის ან სახელმწიფო ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას საკუთარი შეხედულებისამებრ.[2] ქართულ საკანონმდებლო ტერმინოლოგიაში იგი დიდი ხანი არაა რაც დამკვიდრდა. მაგალითად, საქართველოს 1999 წლის 25 ივნისის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ლ» ქვეპუნქტის მიხედვით, დისკრეციული უფლებამოსილება გაგებულია, როგორც უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისად რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ამ ტერმინს არ იცნობდა. ახალმა საპროცესო კოდექსმა სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციული უფლებამოსილება მიანიჭა მხოლოდ პროკურორს. პროკურორი, გამოძიების სტადიაზე შეკრებილ მტკიცებულებათა საფუძველზე, რომლებიც საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისათვის, რომ ამ პირმა ჩაიდინა დანაშაული, უფლებამოსილია განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა, ანუ ცნოს პირი ბრალდებულად ან უარი თქვას ბრალდებაზე. სისხლისსამართლებრვი დევნის როგორც დაწყება, ასევე შეწყვეტა გამოძიების სტადიაზე წარმოადგენს პროკურორის განსაკუთრებულ კომპეტენციას, რა დროსაც იგი ხელმძღვანელობს საჯარო ინტერესებით (მუხლი 16).

გამოძიების შეწყვეტის ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების საფუძველს ახალი საპროცესო კოდექსი ცალკე განსაზღვრავს. ეს საფუძვლები არახალია, მაგრამ 105-ე მე-3 ნაწილში შეტანილია ნოვაცია, რომლის მიხედვითაც სისხლისსამართლებრივი დევნის შესაძლოა არ დაიწყოს ან შეწყდეს, თუ ის ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პოლიტიკას, რომლის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილი საჯაროა (ხაზგასმა ჩვენია – გ. მ., ი. ჩ.).

დაისმის კითხვა: მაშინაც კი, როდესაც პირის ბრალდებულად ცნობისთვის სახეზეა საკმარისი საფუძველი, უფლება აქვს თუ არა პროკურორს, კანონით მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში უარი თქვას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე ან შეწყვიტოს დაწყებული დევნა, თუ მაგალითად პირი იმხილება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში?

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამაზე არაფერს ამბობს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთი რამე სავსებით შესაძლებელია მოხდეს. დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების ერთადერთ საფუძველს წარმოადგენს არა კანონი, არამედ სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები, რომელსაც საქართველოს კანონის «პროკურატურის შესახებ» მე-8 მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტის მიხედვით, ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. მივაქციოთ ყურადღება კანონის კონსტრუქციას: **სისხლის სამართლის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილი საჯარო, ხოლო კერძო ნაწილი დახურული, საიდუმლო (?!)**

ვერაფერს იტყვი, ადამიანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საკითხის «გადაბარება» იუსტიციის მინისტრის მიერ გამოცემულ საიდუმლო ნორმატიულ აქტზე ფრიად «ორიგინალური მიგნებაა» და მას ანალოგი არსად მოეძებნება გარდა საქართველოსი. განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ ქართველი კანონმდებელი კვლავ აღიარებს – საიდუმლო ნორმატიული აქტის არსებობას, რაც იურიდიული ნონსესია და თანაც ადამიანის უფლებების სფეროში.

დავუბრუნდეთ ისევ საპროკურორო დისკრეციის საკანონმდებლო კონსტრუქციას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლის შესაბამისად, დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე პროკურორის უარი სასამართლოში არ საჩივრდება. იგი ერთჯერადად შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ პროკურორთან. აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლოში არ საჩივრდება ასევე გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილება. იგი შეიძლება ერთჯერადად გასაჩივროს მხოლოდ დაზარალებულმა, მხოლოდ ზემდგომ პროკურორთან (106-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ახალი საკანონმდებლო აქტის ეს მიდგომები მეტად დამაფიქრებელია და საგანგაშო. აშკარაა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა განვითარდა გაუარესებისკენ და არა პირიქით. მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ.

ჩვენი აზრით, დისკრეციის პრინციპის შემოღება და დაკანონება თანამედროვე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში მოხდა ნაჩქარევად, აშკარად გაუაზრებლად და იგი ისეთ ხარვეზებს შეიცავს, რომელიც დაუყოვნებლივ გასწორებას მოითხოვს.

მაინც საიდან შემოვიდა დისკრეცია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში და იყო თუ არა ამის აუცილებლობა? ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების საკანონმდებლო გამოცდილების გაცნობა და რას ამბობს აღნიშნულთან დაკავშირებით იურიდიული მეცნიერება.

დასაწყისშივე გვინდა აღვნიშნოთ, დისკრეციის პრინციპს საერთო სამართლის და კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა დიდი ხანია რაც იცნობს. შესაბამისად არსებობს ორი ძირითადი კონცეფცია, რომელიც ეხება პროკურორის დამოვიდებულებას ბრალდების მოცულობასა და ბრალდების ბედზე. პირველი უფრო კონტინენტური ევროპის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, სადაც პროკურორი დანაშაულის ნიშნების აღმოჩენისას ვალდებულია აღძრას სისხლის სამართლის საქმე, ჩაატაროს გამოძიება, შეკრებილი მტკიცებულებათა საფუძველზე განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა და მხარი დაუჭიროს მას სასამართლოში. აյ პროკურორის მიხედულობა მინიმალურია და იგი კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე ვალდებულია განახორციელეოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებანი.

მეორე, საერთო სამართლის ოჯახში შემავალი ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებისთვისაა დამახასიათებელი, სადაც პროკურორი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელია და სწორედ ის განსაზღვრავს საკუთარი მიხედულების საფუძველზე დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ თუ უარი თქვას სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე. სისხლისსამართლებრივი დევნის (ბრალდების) მოცულობას განსაზღვრავს პროკურორი და აქ ამ დროს სასამართლო კონტროლი მასზე არ ხორციელდება.[3]

არსებობს საინტერესო, ფუნდამენტური კვლევები სისხლის სამართლის საპროცესო მეცნიერებაში, სადაც დისკრეციის პრობლემები დეტალურადაა შესწავლილი. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტზე მომუშავე ჯგუფის წევრებმა ან არ იცოდნენ აღნიშნულის შესახებ ან იცოდნენ და სპეციალურად გააუარესეს კანონმდებლობა. ორივე დამაფიქრებელია და საგანგაშო.

თანამედროვე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ამჟამად რადიკალურ ცვლილებებს განიცდის. კანონმდებლობა ვითარდება ლიბერალიზაციის, სისხლისსამართლებრივი რეპრესიების გამოყენების რაც შეიძლება შეზღუდვის მიმართულებით. შესაბამისად, კაცობრიობა ეძებს სრულიად ახალ გზებს და უარს ამბობს უკვე დრომოჭმულ, მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე, არაადამიანურ სასჯელებზე. ლიბერალიზაციის ტენდენცია იკვეთება სისხლის საპროცესო სამართალში. შემოდის სრულიად ახალი საკანონმდებლო მიდგომები, რათა რაც შეიძლება ლიბერალური გახდეს სისხლის სამართლის იუსტიცია. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ინერგება იუვენალური იუსტიციის (არასრულწლოვანთა საქმეებზე) ლიბერალური მოდელები, აღდგენითი სამართალ-წარმოება (Restorativ justice - სისხლის სამართლის საქმეებზე წარმოების დამთავრება ბრალდებულის და დაზარალებულის შერიგებით, რომელშიდაც ჩართულია მედიატორი) და ა. შ.[4] დისკრეციის ინსტიტუტი ერთ-ერთი ასეთია.

1987 წლის 17 სექტემბერს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ევროსაბჭოს შემადგენლობაში გაერთიანებულ სახელმწიფოებს მიმართა შესაბამისი რეკომენდაციით,

რომელიც ითვალისწინებდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში «დისკურსიული სასამართლო დევნის» რაც შეიძლება ფართოდ დანერგვას, თუ ამ სახელმწიფოებში არსებული ისტორიული გარემოებები ან კონსტიტუცია ამის საშუალებას იძლევა (ხაზგასმა ჩვენია – გ. მ. და ო. ჩ.). აღნიშნული რეკომენდაციის მიხედვით, დისკურსიულ წარმოებაზე გარკვეული პირობებით უარის თქმის ან მისი შეწყვტის საკითხის დაყენებისას, საჭიროა ბრალდებულის თანხმობა. აღნიშნული თანხმობის არარსებობის შემთხვევაში დევნის მწარმოებელი ორგანო ვალდებულია გააგრძელოს ბრალდებულის დევნა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი ბრალდების წაყენებაზე სხვა მიზეზით იტყვის უარს (პუნქტი მე-7).

ბევრმა ქვეყანამ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის ეს რეკომენდაცია წარმატებით შეასრულა (მაგალითად: საფრანგეთმა, იტალიამ, გერმანიამ და ა. შ.). ასე, რომ თანამედროვე ევროპული სამართლისთვის დისკურსია ნამდვილად არაა უცნობი მოვლენა.[5]

აშშ-ს სისხლის სამართლის პროცესში დისკურსია უფრო «საპროკურორო დისკურსიის» სახელმძღვანელობითაა ცნობილი. იგი გულისხმობს პროკურორის თითქმის შეუზღუდავ უფლებამოსილებას, წარუდგინოს პირს ბრალდება დანაშაულის ჩადენაში, თუ უარი თქვას ბრალდების წაყენებაზე. მაშინაც კი, როდესაც სისხლის სამართლის საქმეზე საკმარისი მტკიცებულებებია მოპოვებული ბრალდების წასაყენებლად, პროკურორსა გააჩნია დისკურსიული უფლებამოსილება – არ გააკეთოს ეს და უარი თქვას ბრალდების წაყენებაზე «მიზანშეწონილობის» გამო. «მიზანშეწონილობის» დეფინიციის შინაარსი კანონმდებლობის მიერ არ განიმარტება და იგი წყდება პრაქტიკაში დამკვიდრებული სტანდარტების საფუძველზე. პროკურორისათვის ესოდენ ფართო უფლებამოსილების მინიჭება იმდენად ჩვეულებრივი მოვლენაა ამერიკულ სამართალში, რომ ამერიკელი იურისტები მას გარდაუვალ აუცილებლობად მიიჩნევენ.[6]

ევროპულ და ლათინური ამერიკის ქვეყნებში სრულიად სხვა რეალობასთან გვაქვს საქმე. იქ, იმ ქვეყნებში, დანაშაულის ჩადენის ფაქტზე პროკურორი კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე ვალდებულია «სავალდებულო გამოძიება» ჩატაროს. გულმოდგინედ განიხილოს ის მტკიცებულებები, რომლებსაც მას პოლიცია ან საქმით დაინტერესებული პირები წარუდგენენ და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადაწყვიტოს – წარუდგინოს თუ არა ბრალდება დანაშაულის ჩამდენ პირს.

ამერიკელი იურისტები საკმაოდ კრიტიკულები არიან პროკურორისათვის სისხლისამართლებრივი დევნის განხორციელებისას ესოდენ ფართო დისკურსიული უფლებამოსილების მინიჭების გამო. მათი აზრით, ფაქტობრივად შეუზღუდავი დისკურსია აშკარად შეიცავს სუბიექტივიზმის საფრთხეს. ასე მაგალითად, ერთ-ერთ შტატში პროკურორმა გამოიყენა დისკურსიული უფლებამოსილება და არ წარუდგინა პირს ბრალდება იმ მოტივით, რომ სამართალწარმოებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაღებული ხარჯები მიზანშეწონილი არ იყო დახარჯულიყო დანაშაულის ჩადენაში მხილებულ კონკრეტულ პირზე, მისი საზოგადოებისათვის მოსალოდნელი საფრთხის ხარისხის და ჩადენილი ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო.[7]

არსებობს საკმაოდ შთამბეჭდავი ლიტერატურის სია, თუ როგორ უნდა განხორციელდეს კონტროლი საპროკურორო დისკურსიაზე და რას უნდა ემყარებოდეს

დისკრეცია პროცენტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას. ავტორთა დიდი ნაწილი იხრება იმ აზრისაკენ, რომ უმჯობესია დისკრეციის საფუძვლები განსაზღვროს კანონმა, რომელმაც ზუსტად უნდა დაადგინოს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების საფუძვლები და ამით მნიშვნელოვნად შეზღუდოს ან თითქმის გამორიცხოს სუბიექტივიზმი. ეს მკვლევარები, საკმაოდ არგუმენტრებულად ასაბუთებენ, რომ სწორედ კანონის მეშვეობით დისკრეციის გამოყენებაა ის ერთადერთი გზა, რომელმაც უნდა გამორიცხოს სუბიექტივიზმი გადაწყვეტილების მიღებისას და ოფიციალურმა პირებმა ვერ შეძლონ არაობიექტური სტანდარტების დამკვიდრება სისხლის სამართლის პროცესში.[8]

რაც შეეხება კონტროლს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაზე. ამერიკელი იურისტები ერთადერთ სწორ გზად, პროცენტორის მიერ დისკრეციული უფლებამოსილების კანონიერ და რაც შეიძლება გამჭვირვალედ განსახორცილებლად, მიიჩნევენ სასამართლო კონტროლის შემოღებას. დაზარალებულს და საქმის შედეგებით დაინტერესებულ პირს უნდა ჰქონდეს პროცენტორის მიერ მითებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება და ამ გზით იხსნება ის უხერხულობები, რომლებზედაც ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი.

ძლიერი და საჯარო სასამართლო კონტროლი არის ის ერთადერთი გზა, რამაც უნდა აიძულოს პროცენტურა ჩაჯდეს კანონის მოთხოვნებში და მიუკერძოებელი იყოს დისკრეციული გადაწყვეტილების მიღებისას.[9]

რაც შეეხება კონტინეტური ევროპის სისხლის სამართლის საპროცესო სისტემებს: გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე პროცენტორი ვალდებულია რეაგირების გარეშე არ დატვოს ყოველი ეჭვი დანაშაულის შესახებ და ამ მიზნით იგი ვალდებულია ჩაატაროს გამოძიება (გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის §152 (2), §160, §170-ე (1)). ამასთან, გადაწყვეტილების მიღებისას, განახორციელოს თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა, პროცენტორი თავისუფალია გადაწყვეტილების მიღებაში, ოღონდ ვალდებულია საკუთარი პოზიცია წერილობით დაასაბუთოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონიერების პინციპი გერმანულ სისხლის სამართლის პროცესში არ მოქმედებს შეუზღუდავად, რადგან საპროცესო კანონი (§153), შეიცავს გამონაკლისსაც, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებს უფლებამოსილება გააჩნიათ უარი თქვან სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე. გერმანულ ლიტერატურაში, ასეთ მოვლენას უწოდებენ «ოპორტუნიტეტის» პრინციპს.[10] .გერმანული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ავალდებულებს პროცენტორს დისკრეციული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ წერილობითი პასუხი გადასცეს პირს, ვისი განცხადებითაც დაიწყო წარმოება სისხლის სამართლის საქმეზე. დაინტერესებულ პირს უფლება აქვს პროცენტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივროს სასამართლოში (§171-172).[11]

გერმანელი იურისტები საკმაოდ კრიტიკულნი არიან ოპორტუნიტეტის (მიზანშეწონილობის) პრინციპთან დაკავშირებით. მათი აზრით, მხოლოდ კანონმა უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული საფუძველი, როდესაც პროცენტორი გარკვეული მოსაზრებით უარს ამბობს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე.

საინტერესოა, რომ «ოპორტუნიტეტის პრინციპი» სისხლის სამართლის პროცესში ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს იყო ერთ-ერთი აქტუალური თემა გერმანულ სისხლის სამართლის საპროცესო მეცნიერებაში.[12]

საინტერესოა ცნობილი გერმანელი სწავლულის, მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორის კლაუს როესინის პოზიცია «ოპორტუნიტეტის» პრინციპის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. მისი აზრით, კანონიერების პრინციპმა თავდაპირველი თეორიული ბაზისი გენერალური და სპეციალური პრევენციის კანონმდებლობაში შემოღების შემდეგ მთლიანად დაკარგა. დემოკრატია, სამართლებრივი სახელმწიფო და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი მოითხოს, რომ კანონმდებელმა თავად განსაზღვროს დანაშაულებრივი ქმედების დასჯადობის პირობები და ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლება. მისი აზრით, აღნიშნული ზოგადსამართლებრივი მოთხოვნიდან, შესაძლებელია იყოს გამონაკლისიც, რომელიც დაიშვება კონსტიტუციით გარანტირებული «პროპორციულობის მიზანშეწონილობის» საფუძველზე, როდესაც სახელმწიფომ პროკურორის მეშვეობით უარი თქვა სისხლისამართლებრივი დევნის განხორციელებაზე, სწორედ პრევენციული მიზანშეწონილობის გამო.[13]

პროფესორი კლაუს როესინი ცალკე გამოყოფს გერმანული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ოთხ დიდი ჯგუფს, რომელთა საფუძველზე პროკურორი უფლებამოსილია უარი თქვას სისხლისამართლებრივი დევნის განხორციელებაზე. კერძოდ, 1. ბრალდება, რომელიც უნდა განხორციელდეს სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლის საფუძველზე მცირე მნიშვნელოვანია; 2. როცა სისხლისამართლებრივი დევნის ინტერესი შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას სხვანაირად (მაგალითად: პირმა ითანამშრომლა გამოძიებასთან, ნებაყოფლობით აანაზღაურა მიყენებული ზიანი, თავიდან ააცილა საფრთხე სახელმწიფოს და საზოგადოებას, ან/და იყო შანტაჟის ობიექტი და ა. შ.); 3. როცა სისხლისამართლებრივი დევნის განხორციელებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას გერმანულ სახელმწიფოს ინტერესებს (მაგალითად, სახელმწიფო დანაშაულის საქმეებზე); 4. როდესაც დაზარალებულს თავად შეუძლია განახორციელოს კერძო სისხლისამართლებრივი დევნა.[14]

საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის მიხედვით, დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში რესპუბლიკის პროკურორი უფლებამოსილია, დაიწყოს სისხლისამართლებრივი დევნა დანაშაულის ჩამდენის მიმართ.

დისკრეციული უფლებამოსილება საფრანგთის სისხლის სამართლის საპრცესო კანონმდებლობის მიხედვით შეზღუდულია და იგი არ გამოიყენება მძიმე დანაშაულის ჩამდენის მიმართ; პირის მიმართ, რომლის მიმართაც ადრე გამოყენებული იყო დისკრეციული უფლებამოსილება და ა.შ.

ფრანგული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებას სასამართლოში (საგამოძიებო პალატა) გაასაჩივროს პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებაზე (აღმდეგად) უარის თქმის ან სისხლისამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ.[15]

თითქმის ანალოგიურადაა გადაწყვეტილი საპროცესო დისკრეციის საკითხი ესპანეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (მუხლი მე-100) და სხვა ევროპული ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობაში. [16]

რაც შეეხება საბჭოთა პერიოდის და რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას, საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისათვის უცხო არ იყო საპროკურორო დისკრეციის ინსტიტუტი, ოღონდ იგი სხვანაირად იწოდებოდა. ასე მაგალითად, საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-6¹, მე-6², მე-7, მე-9 და მე-9¹ მუხლები ითვალისწინებდნენ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესაძლებლობას, პირის ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემასთან დაკავშირებით, ამხანაგური სასამართლოსათვის გადაცემასთან დაკავშირებით, პირის თავდებქვეშ გადაცემით სისხლის სამართლის საქმის აღუძვრელად.

ამ საფუძვლებით, წინასწარი გამომიების სტადიაზე სისხლისამართლებრივი საქმე წყდებოდა ან არ აღიძვრებოდა პროკურორის თანხმობით. საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დეტალურად ითვალისწინებდა, თუ რა შემთხვევაში გამოიყენებოდა აღნიშნული ზომები და ვის მიმართ. 1995 წლიდან, კოდექსში შემოღებული იქნა პროკურორის დადგენილების სასამართლოში გასაჩივრების წესიც (მუხლი 221¹-221⁴).

წინასწარი გამოძიების სტადიაზე მიღებული აღნიშნული გადაწყვეტილებები სპეციალურ ლიტერატურაში იწოდებოდა ე. წ. «სასამართლო-საგამოძიებო დეკრიმინალიზაცია»[17]

რუსეთის ფედერაციის 2002 წლის პირველ ივლისს ძალაში შესული ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საპროცურო დისკრეციის ესოდენ ფართო ჩამონათვალს უკვე აღარ ითვალისწინებს. თუმცა ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას ვითარების შეცვლის გამო, ბრალდებულის მიერ მცირე მნიშვნელობის დანაშაულის ან საშუალო სიმძიმის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში (მუხლის 26-ე).

პრატიკულად იგივეს ითვალისწინებდა საქართველოს 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდიქსი (28-ე მუხლის პირველი ნაწილის «ე» ქვეპუნქტი).

რაც შეეხება ქართულ საკანონმდებლო სივრცეს: საქართველოს კანონის «პროკურატურის შესახებ» მე-4 მუხლის «ა» ქვეპუნქტის მიხედვით კანონიერების პრინციპი პროკურატურის საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია. საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის მიხედვით პროკურორი ვალდებულია დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისას დაიწყოს გამოიხება (მუხლი მე-100) და განახორციელოს სისხლისამართლებრივი დევნა თუ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება (მუხლი 105-ე) (ხაზგასმა ჩვენია. – გ. მ. და ო. ჩ.). ამ შემთხვევაში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პოზიცია ემთხვევა კონტინენტური ევროპის ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების პოზიციებს. მაგრამ, რის საფუძველზე უნდა მიიღოს პროკურორმა დისკრეციული უფლებამოსილება სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების ან შეწყვეტისას სუფთა ამერიკულია. ამასთან, აღარ არსებობს პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამრთლოში გასაჩივრების შესაძლებლობა. დაზარალუბრულს უფლება აქვს მიმართოს საჩივრით მხოლოდ ზემდგომ პროკურორს. ამ

მხრივ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მნიშვნელოვნად აუარესებს დაზარალებულის უფლებრივ მდგომარეობას, რადგან ის მოკლებულია შესაძლებლობას სასამართლო კონტროლის მეშვეობით შეძლოს საკუთარი უფლებების და თავისუფლებების დაცვა. თუ გავითვალისწინებთ იმ სამწუხარო რეალობას, რომ დაზარალებული უკვე ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით აღარ წარმოადგენს მხარეს და იგი უფლებრივად გაუთანასწორდა მოწმეს, მნელი არ იქნება შესაბამისი დასკვნის გაკეთება, რომ უფლებრივი დაცულობის საკითხი დაზარალებულს მნიშვნელოვნად შეუმცირდა. გარდა ამისა, სასამართლოსთვის მიმართვის არ დაშვება პროცესის მონაწილეების მიერ აშკარა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასთან, საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასთან.

დასასრულს გვინდა გავაკეთოთ დასკვნა: თანამედროვე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შემუშავებისას უცხო ქვეყნის საკანონმდებლო გამოცდილების რეცეფცია (გადმოღება) გარდუვალია. მაგრამ, ასეთი გადმოღებები უნდა იყოს კარგად გათვლილი, შესაბამისობაში საქართველოს საკანონმდებლო აქტებთან და პირველ რიგში კონსტიტუციასთან. ძალზე მნიშვნელოვანია იმის გათვლა, თუ როგორ იმუშავებს ესა თუ ის საკანონმდებლო კონსტრუქცია ქართულ სინამდვილეში. ჩვენი აზრით, ქვეყანაში სადაც ოფიციალურადაა გამოცხადებული მკაცრი სისხლისამართლებრივი პოლიტიკა, «ნულოვანი ტოლერანტობა დამნაშავეთა მიმართ» პპროკურორისათვის კანონმდებლობით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილებანი, არ იქნება გამოყენებული დასჯითი პრაქტიკის ლიბერალიზაციის კუთხით. მკაცრი სისხლისამართლებრივი პოლიტიკა და ლიბერალიზაცია ურთიერთ-გამომრიცხავი კატეგორიებია. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში შემოტანილი დისკრეციის პრინციპის თეორიული და პრაქტიკული მხარეები მოითხოვს შესაბამის კორექტირებას და რაც შეიძლება სწრაფად.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. 2009. №31. მუხლი 190;
2. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი / ვაჟა გურგენიძის რედაქციით. თბ., 2004. გვ. 483;
3. Петрухин И.Л. Теоретические основы реформы уголовного процесса в России. Часть 1. М., 2004. С.82; Гущенко К.Ф., Головко Л.В., Филимонов Б.А. Уголовный процесс западных государств. М., 2002. С.65,113,118; Головко Л.В. Алтернативы уголовному преследованию в современном праве. Санкт-Петербург, 2002, С.15;
4. Карнизова Л.М. Созидая будущее: вклад И.Л. Петрухина в развитие и реализации идей восстановительного правосудия // В кн.: И.Л. Петрухин: жизнь в науке. Сборник статей и воспоминаний. М., 2010. С. 79-81;
5. Головко Л.В. Алтернативы уголовному преследованию в современном праве. Санкт-Петербург, 2002, С. 16-17;

6. Gerard e. Lynch. American law and lawer information. T. 3. Chicago: American Bar Asociaititon. 1998. P.10;
7. Gerard e. Lynch. American law and lawer information. T. 3. Chicago: American Bar Asociaititon. 1998. P.10;
8. Kelly G. Shaver, Marcia A. Gilbert, and Marylie C. Williams. Personality and Social Psychology Bulletin, 6 1975: vol.1: pp. 471-484; Jeff T. Ulmer, Megan C. Kurlichek, and John H. Karmer. Journal of Research in Crime and Delinquency, 11 2007: vol.44: pp.427-458; Todd R. Clear, John D. Hewitt, and Robert M. Regoli. Crime and Delinquency, 1, 1978: vol.24: pp.428-445; Keith A. Wilmot and Cassia Spohn. Criminal Justice Police Review, 9 2004; vol. 15: pp.324-343; Yue Ma. International Criminal Justice Review, 5 2002; vol.12: pp.22-52; Donald M. Barry and Aleksander Greer. Journal of Researchin Crime and Delinquency, 7 1981; vol.18: pp.254-271;
9. Gerard e. Lynch. American law and lawer information. T. 3. Chicago: American Bar Asociaititon. 1998. P.10;
10. Artur Hartmann, Rolf Schmidt: Strafprozessrecht/Grundzuege des Strafverfahrens; 1. Auflage; Grasberg bei Bremen; 2007. S. 71;
11. "Rechtswoerterbuch", begruendet von Dr. Carl Creifelds; herausgegeben von Dr. Klaus Weber; Ver;ag C. H. Muenchen. 2007. S. 20;
12. Markus Horstmann, Ueber Zwaecckmaessigkeitsprinzip, Praezisieren und Kontrolle im Strafprozessrecht:. Berlin, 2002. S. 51-55;
13. KKlaus Roxin. Streafprozessrecht. 25. Auflage. Muenchen, 1998. S. 17;
14. Klaus Roxin. Streafprozessrecht. 25. Auflage. Muenchen, 1998. S. 18;
15. Уголовно процессуальный кодекс Франции / Перевод Л.В. Головко. М., 2000.; Головко Л.В. Алтернативы уголовному преследованию в современном праве. Санкт-Петербург, 2002, С. 20;
16. Головко Л.В. Алтернативы уголовному преследованию в современном праве. Санкт-Петербург, 2002, С. 21;
17. Ной И. С. Новое в трактовке основных уголовно-правовых понятий // Сов. государство и право. 1982. №7.С. 95.; Стrogович М.С. Презумпция невиновности и прекращения уголовных дел по нереабилитирующим основаниям // Сов. государство и право. 1983. №2 С.75; Кузнецова Н. Ф. Совершенствование норм о преступлении // В сборнике - Проблемы совершенствования уголовного закона. М., 1984. С.33-34; Барабаш А.С., Володина А.М, Прекращение уголовных дел по нереабилитирующим основаниям. Томск 1986. С. 37-38.

შალვა ქურდაძე, პროფესორი

საპროცესო მოქმედების შესრულების თავისებურება სამოქალაქო სამართალწარმოებაში

§ 1. ზოგადი დებულებანი

მიუხედავად იმისა, რომ დღეს უფლებებისა და ინტერესების დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაფართოვდა, სრულიადაც არ არის იოლი იმ მხარემ, რომელიც საპროცესო დეტალებს არ იცნობს, მოიგოს პროცესი, ანუ მიაღწიოს იმას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება თავის სასარგებლოდ გამოვიდეს.

შეჯიბრებითობის როგორც სამოქალაქო პრინციპის განვითარება, განაპირობებს იმას, რომ მხარე, რომელსაც პროფესიონალი წარმომადგენელი არ ჰყავს, მოწინააღმდეგებსათან არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფება. მაგალითად, აშკარად «მომგებიან» საქმეზეც კი, მხარემ, რომელმაც სარჩელის უზრუნველყოფაზე წინასწარ არ იზრუნა, შეიძლება არც არაფერი მოიგოს, რადგან გადაწყვეტილების აღსრულების მომენტისთვის შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მოპასუხემ საკუთარი ქონება დიდი ხანია გაასხვისა. ან თუ მტკიცებულებათა გამოთხვასა და უზრუნველყოფაზე დროულად არ იზრუნა მხარემ, სასამართლო განხილვისას შეიძლება სერიოზულ სირთულეებს წააწყდეს და შედეგად, წააგოს საქმე.

ქვემოთ განხილული საპროცესო მოქმედებების შესრულება დასაშვებია ნებისმიერი კატეგორიის საქმის განხილვისას, საოჯახო სამართლებრივი იქნება ეს საქმე, შრომითი, საბინაო, მიწის თუ სხვა კატეგორიის საქმე. უფრო მეტიც, რიგი მათგანის შესრულება სამოქალაქო საქმის უფრო სწრაფ და ეფექტურ გადაწყვეტას უწყობს ხელს, ხოლო უფლების სასამართლო წესით დაცვას რეალურს ხდის.

ქვემოთ განხილულთაგან ყველა საპროცესო მოქმედებას საკუთარი მტკიცების საგანი აქვს (ლიტერატურაში ამგვარ მტკიცების საგანს ზოგჯერ «ლოკალურს» უწოდებენ); მტკიცების მოვალეობა განაწილებულია საქმის მონაწილე პირთა შორის, სწორედ მათ უნდა გადაწყვიტონ, რომელი საპროცესო მოქმედების შესრულება იქნება უფრო სწორი, საქმეში მათი სამართლებრივი პოზიციიდან გამომდინარე.

მხარეთა ინიციატივა და აქტივობა სამოქალაქო სამართალწარმოებაში გულისხმობს მათ თავისუფალ ორიენტაციას საპროცესო მოქმედებათა ლაბირინთებში, რაც მხარეებს სასამართლოში კონკრეტულ საქმეზე სამართლებრივი პოზიციის დამტკიცებაში ეხმარება, შედეგად კი საქმეზე კანონიერი, დასაბუთებული და აღსრულებადი გადაწყვეტილების გამოტანას უწყობს ხელს.

საპროცესო მოქმედებები სხვადასხვა ხასიათისაა. რიგ შემთხვევაში საპროცესო სამართლის ნორმა ითვალისწინებს საპროცესო მოქმედების შესრულების საფუძვლებს, ისე, რომ არ არის საჭირო შეფასებითი კატეგორიების დამსჯელობის გამოყენება. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე – 280-ე მუხლები პირდაპირ და არაორაზროვნად ასახელებს საქმის წარმოების შეჩერების საფუძვლებს. მაგალითად,

ასეთი საფუძველია ფიზიკური პირის გარდაცვალება ან მხარის მიერ ქმედუნარიანობის დაკარგვა.

სხვა შემთხვევაში საპროცესო ნორმა განუსაზღვრელი ხასიათისაა. მაგალითად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სასამართლოს შეუძლია ისეთი ფაქტების საფუძველზეც, რომელთაც ვარაუდის ხასიათი აქვთ და არ არის საჭირო მტკიცებულების წარდგენა ამ ფაქტების დასასაბუთებლად, ამიტომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიღების საფუძვლები არ იძლევა პასუხს კითხვაზე, რა მტკიცებულებები და რა ეტაპზე უნდა წარადგინოს მხარემ. ზოგიერთი კატეგორიის სამოქალაქო საქმის განხილვის თავისებურება და ცალკეული საპროცესო მოქმედების სპეციფიკა ურთიერთკავშირშია. ქვემოთ განხილული იქნება ის მოქმედებები, რომლებიც წესრიგდება განუსაზღვრელი ხასიათის ნორმებით.

§ 2. სარჩელის უზრუნველყოფა

ამ საპროცესო მოქმედების მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ, დავის მატერიალური ობიექტის შენარჩუნების გზით, სასამართლო გადაწყვეტილება მომავალში აღსრულებადი გახდეს. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიღების საფუძველი – საქმეში მონაწილე პირთა განცხადება ან შუამდგომლობაა. განცხადება წერილობითი ფორმით შეიტანება, ის უნდა შეიცავდეს მითითებას იმ მიზეზებზე, რომელთა გამოც განმცხადებელი სასამართლოს თხოვს სარჩელის უზრუნველყოფას და სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტულ ღონისძიებას. ჩვეულებრივ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიღებას სასამართლოს სთხოვს მოსარჩელე, მაგრამ შეიძლება შეიქმნას სიტუაცია, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფას ითხოვს არა მოსარჩელე, არამედ მოპასუხე, მაგალითად, როცა მას აღძრული აქვს შეგებებული სარჩელი. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია, განიხილოს მოცემული საკითხი, და, თუ საჭიროდ ჩათვლის, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მიიღოს.

ეს ღონისძიება, შეიძლება, მიღებული იქნას სასამართლოს ან მოსამართლის გადაწყვეტილებით, თუ მისი მიუღებლობა სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას გაართულებს ან შეუძლებელს გახდის (იხილე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი). ამგვარად, მხარემ, რომელიც სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის თხოვნით მიმართავს, უნდა დაამტკიცოს, რომ ამ ღონისძიების მიუღებლობამ, შეიძლება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება გაართულოს ან საერთოდ შეუძლებელი გახადოს.

სარჩელის უზრუნველყოფა დასაშვებია სამოქალაქო პროცესის ყველა სტადიაზე, სასარჩელო განცხადების მიღების მომენტიდან დაწყებული სასამართლოს მიერ გადაყვეტილების გამოტანამდე. მაგრამ ყველაზე შედეგიანი ის განცხადებაა, რომელიც სასარჩელო განცხადებასთან ერთად არის შეტანილი, რადგან საშუალებას იძლევა, დროულად დავიზღვიოთ თავი მოპასუხის მიერ ქონების რეალიზაციისაგან ან სხვა არასასურველი მოქმედებისაგან.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მხარე, რომელიც სარჩელის უზრუნველყოფაზე შუამდგომლობს, ვალდებულია, საკუთარი თხოვნის მიზეზებზე მიუთითოს. ეს

მიზეზები (გარემოებები) საქმის ხასიათზეა დამოკიდებული. მაგალითად, განქორწინების საქმეებზე – მეუღლის მიერ საერთო ქონების გაყიდვის ფაქტები და ა.შ. ხშირად ასეთი მიზეზი და გარემოება შეიძლება, მოპასუხის პირადი დახასიათება იყოს. მაგალითად, მოპასუხე მეუღლის მიდრეკილება ალკოჰოლიზმის ან ნარკოტიკებისადმი, რის გამოც მან, შეიძლება, გაასხვისოს დასაყადაღებელი ქონება და სხვა. მხარემ ასევე უნდა აირჩიოს და მიუთითოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლში ჩამოთვლილი სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიება.

ეს შეიძლება იყოს:

1. მოპასუხის კუთვნილი და მასთან ან სხვა პირებთან მყოფი ქონების, ფასიანი ქაღალდების ან ფულადი თანხის დაყადაღება (ყველაზე ხშირად გამოყენებადი ღონისძიება);
2. მოპასუხისთვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა. (მოცემული ღონისძიება გამოიყენება ასევე არაქონებრივი სარჩელების უზრუნველსაყოფად. ასე, მაგალითად, ფიზიკური პირის პატივისა და ღირსების, ასევე ფიზიკური პირის და იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის დაცვის საქმეებზე სასამართლოს უფლება აქვს საქმის გადაწყვეტამდე მოპასუხეს სპექტაკლის დადგმა ან მასალების პუბლიკაცია აუკრძალოს);
3. სხვა პირებისათვის აკრძალვა იმისა, რომ მოპასუხეს გადასცენ ქონება ან მის მიმართ სხვა რაიმე ვალდებულება შეასრულონ;
4. ქონების რეალიზაციის შეჩერება, ყადაღისგან მისი გათავისუფლების შესახებ სარჩელის შეტანის შემთხვევაში (მაგალითად, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეზე, ავტომობილი შეცდომით იქნა გამოტანილი აუქციონზე გასაყიდად, რადგან აღმასრულებელმა იგი მოვალის ქონებად მიიჩნია და შეიტანა ქონების აღწერის და დაყადაღების აქტში. მისი რეალიზაცია უნდა შეჩერდეს, მესაკუთრის მიერ ავტომობილზე ყადაღის მოხსნის შესახებ სარჩელის შეტანის შემთხვევაში);
5. მოპასუხის დავალდებულება, გადასცეს თავის მფლობელობაში არსებული ნივთი აღმასრულებელს სეკვესტრის (ქონების იძულებითი მართვა) სახით;
6. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადავო აქტის მოქმედების შეჩერება;
7. სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება ისეთ საქმეებზე, რომლებიც აღმრულია საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ კანონის საფუძველზე ან რომლებზედაც შეტანილია განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ.

დასაშვებია ერთდროულად სარჩელის უზრუნველყოფის რამდენიმე ღონისძიების გამოყენებაც. მთავარია, რომ შერჩეული ღონისძიება გონივრული და სარჩელის საგნის და ღირებულების ადექვატური იყოს. მაგალითად, ერთდროულად შეიძლება გამოყენებული იქნეს ყადაღის დადება და მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა.

სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიება უნდა მიიღოს, რომელიც სარჩელის საგანსა და ღირებულებას ყველაზე მეტად შეესაბამება.

მაგალითი: პრაქტიკაში მოსარჩელე ხშირად მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის დაუსაბუთებლად დიდ თანხებს ითხოვს, რადგან თვლის, რომ სასამართლო მის მოთხოვნებს მაინც შეამცირებს. მოსამართლე, მოთხოვნის გონივრულობის შეფასებისას, უფლებამოსილია, ნაწილობრივ უზრუნველყოს სარჩელი.

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებას ოპერატიულობის მიზნით სასამართლო განიხილავს და წყვეტს განცხადების შეტანიდან ერთი დღის ვადაში, მოპასუხის და საქმეში მონაწილე სხვა პირთა ინფორმირების გარეშე. მოსამართლე განიხილავს განცხადებას ერთპიროვნულად, სამოქალაქო საქმის სასამართლოში აღმდეგის, სამოქალაქო საქმის სასამართლო განხილვისთვის მომზადების, საქმის არსებითად განხილვის (მოსამართლის მიერ საქმის ერთპიროვნულად განხილვის შემთხვევაში) სტადიებზე. სასამართლოს მთელი შემადგენლობით (საქმის კოლეგიალურად განხილვის შემთხვევაში) წყდება შუამდგომლობა, რომელიც სასამართლო განხილვის მიმდინარეობისას შემოვიდა.

საკითხი იმის შესახებ, არსებობს თუ არა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიღების საფუძვლები, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წყდება ინდივიდუალურად, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. სასამართლომ შეიძლება, დააკმაყოფილოს შუამდგომლობა (ამ შემთხვევაში მიღებული განჩინება აღსრულდება დაუყოვნებლივ) ან უარი თქვას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

თუ მეუღლეთა საერთო საკუთრების, კერძოდ ანაბრის გაყოფის საქმეებზე სარჩელის უზრუნველყოფა ერთ-ერთი მხარის არაკეთილსინდისიერების გამო ვერ მოხერხდა, სასამართლოს შეუძლია, გაითვალისწინოს ამ მხარის მიერ გატანილი ანაბრის თანხა ქონების დანარჩენი ნაწილის გაყოფისას. მაგალითად, მეუღლეთა განქორწინების და მათი საერთო საკუთრების გაყოფის საქმის განხილვისას ერთ-ერთი მათგანის სარჩელის უზრუნველყოფა ვერ მოხერხდა, რადგან მოპასუხება წინა დღეს ანაბარი გაიტანა. მოსარჩელეს კი თავის სახელზე ანაბარი არ ჰქონია. ქონების გაყოფისას სასამართლომ მოპასუხის მიერ გატანილი ანაბრის თანხის ნახევარი უნდა გაითვალისწინოს და დანარჩენ ქონებაში მისი წილი შესაბამისად შეამციროს.

ამგვარად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების დროული და სწორი გამოყენება სამოქალაქო სამართალწარმოებას უფრო ეფექტურს ხდის, ამ ღონისძიებების წყალობით ხორციელდება პროცესის ამოცანები. საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება კი რეალური, აღსრულებადი ხდება. აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 198-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ჩამონათვალი ამომწურავი არ არის. სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის.

გვ. 3 სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება და მათი ოდენობის შემცირება

კანონი სახელმწიფო ბაჟის საკმაოდ მაღალ განაკვეთებს აწესებს. ამის ერთ-ერთი მიზანი ისაა, რომ აღიკვეთოს სასამართლოში აშკარად დაუსაბუთებელი სარჩელების აღმდეგ. პროცესში მხარეთა თანამდებობის შენარჩუნების და უფლების სასამართლო წესით დაცვის ხელმისაწვდომობის მიზნით არსებობს განსაზღვრული შეღავათები იმ

პირთათვის, რომელთა მატერიალური მდგომარეობა მათ სახელმწიფო ბაჟის გადახდის საშუალებას არ აძლევს. მაგრამ ამ შეღავათის მიღებისთვის შესაბამისი მატერიალური მდგომარეობის არსებობის დამტკიცებაა აუცილებელი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლი სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების და მათი ოდენობის შემცირების შესაძლებლობას ითვალისწინებს. ამ მუხლის თანახმად, პროცესში მონაწილე მხარეებს აქვთ უფლება მიმართონ განცხადებით სასამართლოს სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების და მათი ოდენობის შემცირების შესახებ. განცხადების შეტანა შესაძლებელია პროცესის ყველა სტადიაზე. განცხადებაში უნდა მიეთითოს გარემოებები, რომლებიც ადასტურებს მოთხოვნის საფუძვლიანობას და წარდგენილი უნდა იქნეს უტყუარი მტკიცებულებები (მაგალითად, მოსარჩევე მიუთითებს, რომ დიდი ხანია უმუშევარია და თავის კმაყოფაზე ჰყავს შვილები). განცხადებას თან უნდა ერთვოდეს მითითებული გარემოებების დამამტკიცებელი დოკუმენტები. 48-ე მუხლი საუბრობს «უტყუარი მტკიცებულებების» წარდგენის აუცილებლობაზე.

მხარე, რომელიც სასამართლოს ხარჯების გადახდის გადავადების და მათი ოდენობის შემცირების შუამდგომლობით მიმართავს, ვალდებულია, დაამტკიცოს მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი შესაბამისი საფუძვლის (გარემოებების) არსებობა. მტკიცებულებად შეიძლება გამოყენებული იქნეს ცნობა ხელფასის ან პენსიის ოდენობის შესახებ, ადგილობრივი ორგანოების ცნობა ოჯახის შემადგენლობის შესახებ, ცნობები მოსახლეობის დასაქმების ორგანოდან და ა.შ. სასამართლო ან მოსამართლე განიხილავს შეტანილ განცხადებას, რის შემდეგაც იღებს განჩინებას სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების ან მათი ოდენობის შემცირების შესახებ.

ამასთან, გადავადებაში იგულისხმება ბაჟის სრული მოცულობით გადახდის ვადის გადატანა უფრო გვიანი დროისათვის, ანუ ამისათვის უფრო გვიანი დროის განსაზღვრა ვიდრე ეს კანონითაა გათვალისწინებული და დადგენილი. ხოლო შემცირებაში – სასამართლო ხარჯების შემცირებული ოდენობით გადახდის უფლება.

სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადების და მათი ოდენობის შემცირების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას, (ასევე სასამართლო ხარჯების გადახდისგან გათავისუფლების შესახებ განცხადებების განხილვისას), საჭიროა, სასამართლო საკითხს ინდივიდუალურად მიუდგეს. კერძოდ, მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლი შესაძლებლად მიიჩნევს, რომ დასაშვებია ერთი ან ორივე მხარისათვის სახელმწიფოს სასარგებლოდ ამოსაღები სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება ან მათი ოდენობის შემცირება, მაგრამ ეს ნორმა მოითხოვს, რომ ასეთ დროს მხარეთა მატერიალური მდგომარეობა იქნეს გათვალისწინებული და ისე გადაწყდეს საკითხი. ამდენად, თითოეული მხარის მატერიალური მდგომარეობის განსაზღვრას სასამართლო ინდივიდუალურად ახდენს. ამასთან, სასამართლოს უფლება, დაადგინოს ხარჯების გადახდის გადავადება ან შეამციროს მათი ოდენობა, არ არის შეზღუდული და შემოფარგლული მხოლოდ ფიზიკური პირებით, არამედ 48-ე მუხლი მხარეში ორგანიზაციასაც გულისხმობს. ფიზიკური პირებისათვის 48-ე მუხლის გამოყენების საფუძველია ზემოთ მითითებული მტკიცებულებები. ორგანიზაციათათვის ეს შეიძლება იყოს გადახდისუუნარობა

მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო საგადასახადო დავალიანების წარმოქმნა და სხვა.

§4 მტკიცებულებების უზრუნველყოფა

მტკიცების სუბიექტებს უფლება აქვთ, სასამართლოსგან მტკიცებულებების უზრუნველყოფა მოითხოვონ, თუ არსებობს საშიშროება, რომ მათი წარდგენა შემდგომში შეუძლებელი ან ძნელი გახდება (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 109-ე მუხლი, ნაწილი 1). იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც, მაგალითად, მტკიცებულებად საქმეზე წარდგენილია მალფუჭებადი პროდუქტები; ან კიდევ როდესაც მოწმე მძიმედ დაავადდა, და არ არის გამორიცხული, რომ გარდაიცვალოს, ანუ ისეთი შემთხვევები, როდესაც არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ მტკიცებულებები განადგურდება ან დაიკარგება. ამგვარად, იმ პირმა, ვინც მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე შუამდგომლობს, უნდა დაამტკიცოს, რომ შემდგომში მტკიცებულების მიღება შეუძლებელი ან რთული გახდება.

რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 109-ე მუხლი ადგენს, რომ მტკიცებულების უზრუნველყოფას სასამართლო აწარმოებს სამოქალაქო პროცესის აღმდეგ მომენტიდან და საქმის აღმვრამდეც, მოსამართლე უფლებამოსილია, ზომები მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად საქმის სასამართლო განხილვისთვის მომზადების სტადიაზეც მიიღოს, თუ ამის აუცილებლობა შეიქმნება. ხაზგასასმელია, რომ მტკიცებულებათა წრე, რომელიც შეიძლება იქნეს უზრუნველყოფილი, კანონით შეზღუდული არ არის. განცხადება მტკიცებულებების უზრუნველყოფის თხოვნით სასამართლოში საქმის აღმვრამდე წარედგინება იმ რაიონის (ქალაქის) სასამართლოს ან მაგისტრატ მოსამართლეს, რომლის საქმიანობის (სამოქმედო) რაიონშიც, ანუ სამოქმედო ტერიტორიაზეც უნდა შესრულდეს საპროცესო მოქმედებები მტკიცებულებების უზრუნველსაყოფად, ანუ აუცილებელი არაა, იყოს ის სასამართლო, რომლის წარმოებაშიცაა საქმე. განცხადებაში უნდა მიეთითოს მტკიცებულებები, რომლებიც უნდა იქნეს უზრუნველყოფილი; გარემოებები, რომელთა დასამტკიცებლად საჭიროა ეს მტკიცებულებები; მიზეზები, რომლებმაც აიძულეს განმცხადებელი უზრუნველყოფის თხოვნით მიემართა სასამართლოსთვის, აგრეთვე საქმე, რომლისთვისაც საჭიროა უზრუნველსაყოფი მტკიცებულებები. მაგალითად, მოპასუხე მიმართავს სასამართლოს თხოვნით, დაკითხოს მისი მეზობელი, რომელმაც, შეიძლება, დაადასტუროს მოპასუხის შესაგებელში მითითებული საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ფაქტი. მეზობელი 90 წლისაა და მძიმე დაავადების გამო თვითონ სასამართლოში ვერ გამოცხადდება.

მტკიცებულებების უზრუნველყოფა ხორციელდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების შესაბამისად (წინააღმდეგ შემთხვევაში საქმის განხილვისას, მასალებს, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების დარღვევითაა მიღებული, მტკიცებულების ძალა არ ექნება) და გამოიხატება რიგი საპროცესო მოქმედების შესრულებაში (მაგალითად, ნივთიერი მტკიცებულების დათვალიერება ან მოწმის დაკითხვა).

მტკიცებულებების უზრუნველყოფის დროის და ადგილის შესახებ ეცნობა განმცხადებელს და სხვა პირებს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა მტკიცებულებების

უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განხილვას ხელს არ უშლის. ოქმები და მტკიცებულებების უზრუნველყოფის წესით შეგროვილი ყველა მასალა შემდგომში გადაიგზავნება სასამართლოში, რომელიც განიხილავს ამ საქმეს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 116-ე მუხლი).

მტკიცებულებების უზრუნველყოფა არ უნდა ავურიოთ წერილობითი მტკიცებულებების მიღებაში რასაც პირი ახორციელებს მომავალში სავარაუდოდ მოსალოდნელ პროცესში წარდგენის მიზნით. მაგალითად, ავადმყოფობის ისტორიიდან ამონაწერის მიღება – წერილობითი მტკიცებულებაა, რომელიც ფიზიკურმა პირმა როგორც წინდახედულმა პიროვნებამ თვითონ, დამოუკიდებლად მოიპოვა (მიიღო). მაგრამ ამ შემთხვევაში მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე საუბარი არ არის, რადგან მტკიცებულების უზრუნველყოფა ოფიციალურად უფლებამოსილი ორგანოს (სასამართლოს) მოქმედებებს ითვალისწინებს.

ნოტარიუს არა აქვს მტკიცებულებათა უზრუნველყოფის უფლება. მაგალითად, მტკიცებულებათა უზრუნველყოფის მიზნით ნოტარიუს არ შეუძლია, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებების ადგილზე დათვალიერება, მოწმის დაკითხვა და ექსპერტიზის დანიშვნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმების შესაბამისად და შესაბამისად მას არა აქვს უფლება ისევე, როგორც ამას ახორციელებს მოსამართლე, ყველა დაინტერესებულ პირს აცნობოს მტკიცებულებების უზრუნველყოფის დროისა და ადგილის შესახებ.

მოქმედებების განხორციელება მტკიცებულებების უზრუნველსაყოფად დასაშვებია ამ საქმეში დაინტერესებულ პირთა ინფორმირების გარეშეც იმ შემთხვევებში, როდესაც საქმეში მონაწილე პირთა წრის განსაზღვრა გართულებულია, ან გადაუდებელ შემთხვევებში (იხ. სსსკ-ის 115-ე მუხლი). მაგალითად, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევისას პირს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს თხოვნით, ადგილზე დათვალიერების გზით დააფიქსიროს გაფუჭებული შუქნიშნის ან ღია ლუქის ფაქტი, რადგან შემდგომში შუქნიშანი, შეიძლება, შეკეთდეს, ხოლო ლუქი დაიხუროს.

ცხადია, რომ სასამართლომ უნდა გააფრთხილოს მოწმე და ექსპერტი განზრახ არასწორი ჩვენებების ან შესაბამისად დასკვნის მიცემის გამო, ხოლო მოწმე ასევე – ჩვენენებების მიცემაზე უარის თქმის გამო პასუხისმგებლობის შესახებ. თუკი მოწმე ან ექსპერტი სასამართლოს გამომახებით, მტკიცებულებების უზრუნველყოფის მიზნით მოქმედებების ჩატარების ადგილზე არ გამოცხადდებან, მათ მიმართ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 145-ე და 168-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ზომები მიიღება.

§ 5. მტკიცებულების გამოთხოვის შუამდგომლობის განხილვა

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებამდე სასამართლო ვალდებული იყო არა მარტო დახმარებოდა მხარეებს მტკიცებულებათა შეგროვებაში, არამედ მას მოეთხოვებოდა დამოუკიდებლად შეეგროვებინა მტკიცებულებები საქმეზე. ამჟამად სასამართლო მტკიცებულებების შეგროვების ვალდებულებისაგან გათავისუფლებულია, შესაბამისად ეს ვალდებულება ეკისრება საქმეში მონაწილე პირებს. მაგრამ ამ პირებს

ზოგჯერ არ შეუძლიათ დამოუკიდებლად მიიღონ მტკიცებულებები სხვადასხვა ორგანიზაციასა და დაწესებულებაში. ამიტომ ისეთ სიტუაციებში, როდესაც მხარე თავის მოთხოვნებს ან შესაგებელს ასაბუთებს მტკიცებულებებით, რომლებსაც, როგორც უტყუარად ცნობილია, ფლობენ სხვა პირები და ჩვეულებრივი გზით (ანუ მხარის მიერ) მათი მიღება ვერ ხერხდება, მხარეს შეუძლია, მიმართოს სასამართლოს ასეთი მტკიცებულებების გამოთხოვის შუამდგომლობით.

თუ მხარეს ჰყავს პროფესიონალი წარმომადგენელი, რომელსაც შეუძლია მტკიცებულებების შეგროვება, ზოგჯერ მასაც სჭირდება დახმარება მათ გამოთხოვაში. ამ შემთხვევაში შეიძლება შეირჩეს სხვადასხვა ვარიანტი:

- ა) ადვოკატის მეშვეობით მოთხოვნის გაფორმება;
- ბ) სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვა სასამართლო დავალების შესახებ;
- გ) სასამართლოსთვის საქმეზე მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ თხოვნით მიმართვა. თუ მხარე მოქმედებს წარმომადგენლის გარეშე, მას უფლება აქვს გამოიყენოს ბოლო ორი ვარიანტი.

წერილობითი ან ნივთიერი მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე და 154-ე მუხლები):

1. უნდა იყოს აღნიშნული თვით მტკიცებულება (მაგალითად, სესხის ხელშეკრულება, აქციონერთა საერთო კრების ოქმი), ხოლო თუ საუბარია ნივთიერ მტკიცებულებაზე – ამ ნივთის აღწერა. მაგალითად, ნივთიერი მტკიცებულება, შეიძლება იყოს დავის ობიექტი ან არ იყოს დავის ობიექტი, მაგრამ კონკრეტულ დავაში გამოყენებულ იქნეს დამოუკიდებელი მტკიცებულებების სახით, როგორც ნივთიერი მტკიცებულება. მაგალითად, მოსარჩელე, რომელიც დათხოვნილია სამსახურიდან, ამტკიცებს, რომ კარგი მუშაობისთვის ბანკის ხელმძღვანელობისგან არაერთხელ მიუღია ძვირფასი საჩუქრები. ძვირად ღირებულ ნახატზე შესრულებულია წარწერა, რომელიც მოსარჩელის სიტყვებს ამტკიცებს, მაგრამ ბანკის ხელმძღვანელობა ამ ნივთის წაღების უფლებას არ იძლევა. ამ შემთხვევაში მოსარჩელემ უნდა აღწეროს ნივთის ზომა, ფერი და სხვა ნიშან-თვისება;

2. საჭიროა იმ მიზეზების მითითება, რის გამოც მხარეს მტკიცებულების მიღება არ შეუძლია და სასამართლოს მისი გამოთხოვის შუამდგომლობით მიმართავს (მაგალითად, ბანკი მოსარჩელეს არ აწვდის მოპასუხის საბანკო ანგარიშის მონაცემებს. სწორედ ეს არის მიზეზი, რის გამოც პირმა ამ კონკრეტულ შემთხვევაში მტკიცებულებების მიღება ვერ შეძლო);

3. საფუძვლები, რომელთა გამოც შუამდგომლობის აღმდვრელი პირი, მიიჩნევს, რომ წერილობითი ან ნივთიერი მტკიცებულება მოცემულ პირსს ან ორგანიზაციას აქვს. მოვიყვანოთ მაგალითი. ზოგადი წესით, საწარმოში მომხდარი უბედური შემთხვევების აქტები იწერებოდა ორ ეგზემპლარად. პირველი ეგზემპლარი გადაეცემოდა დაზარალებულ პირს, მეორე კი ინახებოდა საწარმოში რამდენიმე წლის განმავლობაში. პირველი ეგზემპლარის დაკარგვის შემთხვევაში ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზრაურების საქმეებზე მოსარჩელემ უნდა მიმართოს სასამართლოს უბედური შემთხვევის აქტის მეორე ეგზემპლარის გამოთხოვის შუამდგომლობით.

მტკიცებულების გამოთხოვის შუამდგომლობის დაყენება ნაკარნახევია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამტკიცების აუცილებლობით. ამიტომ იგი უნდა გამომდინარეობდეს მტკიცების საგნიდან და ტვირთიდან. მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს წესი – შეუძლია თუ არა ამ მტკიცებულებას, დაამტკიცოს სარჩელის ან შესაგებლის საფუძვლად მითითებული ფაქტი, დასაშვებია ეს მტკიცებულება ამ კონკრეტულ შემთხვევაში თუ არა, ხომ არ იმეორებს ის სხვა მტკიცებულებებს.

სასამართლო პრაქტიკაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე შემდეგი რამ: სსსკ-ის 134-ე მუხლის დეფინიცია არ მოითხოვს ყველა შემთხვევაში მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობასთან ერთად შესაბამისი ორგანოს წერილობითი უარის წარმოდგენას, ვინაიდან მტკიცებულებების მიღების შეუძლებლობა შესაძლოა გამომდინარეობდეს შესაბამისი ნორმატიული აქტიდან. მაგალითად, ნოტარიატის კანონის მე-8 მუხლის თანახმად ნოტარიუსი ცნობებს სანოტარო მოქმედებების შესახებ აძლევს მხოლოდ იმ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა დავალებით ან ვის მიმართაც შესრულდა სანოტარო მოქმედება ან მათ წარმომადგენლებს. ამიტომ, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ გამოთხოვილი მტკიცებულება შეიძლება შეიცავდეს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს უნდა გამოითხოვოს იგი საპროცესო ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე.

შუამდგომლობების გადაწყვეტის შემდეგი წესი არსებობს. თუ შუამდგომლობა წერილობითი მტკიცებულების ან ნივთიერი მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ აღმრულია საქმის სასამართლო განხილვისთვის მომზადების სტადიაზე, მას წყვეტის მოსამართლე ერთპიროვნულად, ხოლო სასამართლო განხილვის სტადიაზე – სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა, თუ საქმე კოლეგიურად განიხილება. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე და 154-ე მუხლების შესაბამისად, შუამდგომლობები მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ განხილული უნდა იქნეს საქმეში მონაწილე პირთა აზრის გათვალისწინებით და უნდა გადაწყდეს განჩინების გამოტანით უშუალოდ ამ შუამდგომლობათა აღმვრის შემდეგ.

სასამართლოს უარი შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე არ ართმევს საქმეში მონაწილე პირს უფლებას, განმეორებით მიმართოს მას, სასამართლო განხილვის მიმდინარეობის მიხედვით, საქმის გარემოებების შეცვლის შემთხვევაში.

სასამართლო უფლებამოსილია, ახალი შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით (საქმის შემდგომი განხილვისას გარემოებების შეცვლის შემთხვევაში) ადრე გამოტანილი განჩინება გადახედოს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე, 154-ე და 155-ე მუხლების შესაბამისად, შუამდგომლობის დაკმაყოფილებისას, სასამართლო იღებს განჩინებას სსსკ-ის 134-ე მუხლის მე-4 ნაწილი თითქოს მხოლოდ წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვაზე უარის თქმისას ითვალისწინებს განჩინების გამოტანას, მაგრამ რა თქმა უნდა, მტკიცებულების გამოთხოვაც განჩინებით უნდა მოხდეს, რადგან სსსკ-ის 284-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, პროცესუალური საკითხების გადაწყვეტა განჩინებით ხორციელდება. განჩინებაში მიეთითება თუ ვის მიერ და რა ვადაში უნდა გადაეცეს მტკიცებულება შუამდგომლობის აღმვრელ მხარეს სასამართლოში წარსადგენად. ამასთან, სასამართლოს უფლება აქვს, მოითხოვოს მტკიცებულებები

ყველა პირისგან, როგორც საქმეში მონაწილეთაგან, ისე არამონაწილე პირთაგან. ამის მაგალითია – რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოთხოვნა მემკვიდრეობით დავებთან დაკავშირებით, რომლებსაც მოსამართლეები ხშირად უგზავნიან ნოტარიუსებს სამკვიდრო საქმეების გაცემასთან დაკავშირებით.

წერილობითი მტკიცებულებების ან ნივთიერი მტკიცებულებების მოთხოვნის თაობაზე აღმრული შუამდგომლობის არდაკმაყოფილების შედეგები, შეიძლება, პროცესის შემდგომი მიმდინარეობისას გამოვლინდეს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის მითითება ახალ მტკიცებულებებზე, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი არ იყო, დაშვებულია მხოლოდ მაშინ, როცა აპელანტი საჩივარში ასაბუთებს, რომ ამ მტკიცებულებათა წარდგენა პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის შეუძლებელი იყო. 380-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ პირმა, რომელსაც შეაქვს სააპელაციო საჩივარი, შეიძლება მიუთითოს და თან დაურთოს საჩივარს მტკიცებულებები, რომლებიც პირველი ინსტანციის სასამართლოს წარედგინა, მაგრამ მიღებული არ იყო სასამართლოს მიერ, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს მტკიცებულებები არ ეხება საქმეს ან არ არის დასაშვები.

მაგრამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის დებულების უფრო ფართო განმარტებაც შეიძლება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამიტომ გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გაუქმების საფუძველია: საქმისთვის მნიშვნელობის მქონე იმ გარემოებების დაუმტკიცებლობა, რომლებსაც სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, და გადაწყვეტილებაში გადმოცემული სასამართლოს დასკვნების შეუსაბამებობა საქმის გარემოებებთან. მაშასადამე, თუ საქმეში მონაწილე პირმა მტკიცებულების მოთხოვნის შუამდგომლობით მიმართა და სასამართლომ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი თქვა, ეს შეიძლება გახდეს დაუმტკიცებელი გარემოებების საფუძველზე გადაწყვეტილების გამოფანის ან საქმის გარემოებებთან სასამართლოს დასკვნების საქმის გარემოებებთან შეუსაბამებობის ერთ-ერთი მიზეზი.

ამგვარად, სააპელაციო საჩივარში უნდა გაკეთდეს მითითება მტკიცებულებებზე, რომელთა გამოთხოვაზე პირველი ინსტანციის სასამართლომ უარი თქვა, რამაც დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გამოტანა გამოიწვია. ამასთან, გასათვალისწინებელია სსკ-ის 134-ე მუხლის მე-4 ნაწილის, 154-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 377-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები, რაც იმას ნიშნავს, რომ მტკიცებულებათა გამოთხოვაზე უარის თქმის განჩინებები უნდა გასაჩივრდეს გადაწყვეტილებასთან ერთად, ანუ უნდა აისახოს მათი გაუქმების მოთხოვნა სააპელაციო საჩივარში, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს განჩინებები არ გახდება სააპალაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი.

სასამართლო უნდა დაეხმაროს მხარეებს მტკიცებულებათა გამოთხოვაში კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. კერძოდ, როცა მხარეს შესაბამისი ორგანოს თუ პირის ან კანონის დანაწესიდან გამომდინარე არა აქვს მტკიცებულების მიღების შესაძლებლობა. ასეთ დახმარებას, როგორც ზემოთ განვიხილეთ სასამართლო მხარეებს

მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების წესით უწევს.

მხარეს უფლება აქვს, მიუთითოს არა მარტო იმაზე, რომ სასამართლომ მის მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევაზე უკანონოდ თქვა უარი, არამედ იმაზეც, რომ მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზეც უკანონოდ მიიღო უარი. ამ შემთხვევაში მან უნდა მიუთითოს: რა მტკიცებულებებზეა საუბარი; რა მნიშვნელობა აქვს მათ საქმისთვის; რით მტკიცდება ის გარემოება, რომ მათ სთხოვეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გამოიკვლიოს ან გამოითხოვოს ისინი; აგრეთვე მხარემ უნდა დაასაბუთოს, სასამართლოს მიერ მითითებული მტკიცებულებების გამოუკვლევლობამ რატომ გამოიწვია, ან რატომ შეეძლო გამოეწვია საქმის არასწორად გადაწყვეტა და თუ საქმის მასალებით ეს მოსაზრებები მტკიცდება, ეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, საქმეზე გამოტანილი სასამართლო დადგენილებების გაუქმების საფუძველი ხდება.

მაშასადამე, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო ითვალისწინებს ახალ მტკიცებულებებს მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომელმაც მათ გაკვლევაზე უარი თქვა, ქმედებების კანონიერების შემოწმებისთვის და ამასთან, ამოწმებს:

1. წარუდგინეს მხარეებმა ისინი სასამართლოს თუ არა (ან სთხოვეს თუ არა სასამართლოს მათი გამოთხოვა და მიუთითებდნენ თუ არა მხარეები, რომ თვითონ ამ მტკიცებულებების წარდგენა ვერ შეძლეს);
2. არის თუ არა სახეზე ამ მტკიცებულებათა შესახებობის და დასაშვებობის პირობები;
3. გამოიწვია, ან შეეძლო გამოეწვია თუ არა მათ გამოთხოვასა და გამოკვლევაზე უარის თქმას საქმის არასწორად გადაწყვეტა.

გასათვალისწინებელია, რომ როდესაც საუბარია მტკიცებულებათა გამოთხოვაზე სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ზოგიერთი სამოქალაქო საქმის განხილვის სპეციფიკაც. მაგალითად, საოჯახო საქმეებზე სასამართლო თვითონ არის ვალდებული გამოითხოვოს ის მტკიცებულებებიც, რომლებზეც მხარეებს არ მიუთითებიათ.

საქმეში მონაწილე პირთა შუამდგომლობით წერილობითი ან ნივთიერი მტკიცებულებების გამოთხოვა უნდა განვასხვავოთ სასამართლო დავალებისგან. პირველ შემთხვევაში მხარეთა მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს აგროვებს საქმის განმხილველი სასამართლო, მეორე შემთხვევაში – შესაბამისი სასამართლო სხვა რაიონში ან ქალაქში. მტკიცებულებების შეგროვების პირველი ხერხი – ძირითადია, ხოლო სასამართლო დავალება – განსაკუთრებული ხერხია.

მხარეთა შუამდგომლობით მტკიცებულებათა გამოთხოვა მტკიცებულებების უზრუნველყოფისგან განსხვავდება იმით, რომ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა შესაძლებელია როგორც პროცესის აღმვრამდე ისე შემდეგაც (ორივე შემთხვევაში მას აწარმოებს სასამართლო), ხოლო მტკიცებულებების სასამართლო წესით გამოთხოვა შესაძლებელია მხოლოდ სამოქალაქო საქმის სასამართლოში აღმვრის შემდეგ და მხოლოდ სასამართლოს განჩინებით.

§ 6. წერილობითი ან ნივთიერი მტკიცებულების ადგილზე დათვალიერების ჩატარების შუამდგომლობა

წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულების დათვალიერება და გამოკვლევა მათ სამყოფელ (შენახვის) ადგილზე ტარდება იმ შემთხვევაში, თუ ასეთი მტკიცებულებები ძალიან ბევრია და სასამართლოსთვის მათი მიწოდება გართულებულია, ასევე, თუ საუბარია მალფუჭებად პროდუქტებზე. სასამართლოს შეუძლია, გამოიკვლიოს ისინი ჩვეულებრივი შენახვის ადგილებში, მაგალითად, არქივში, კანცელარიაში და ა.შ. (თუ საუბარია წერილობით მტკიცებულებებზე) ან საწყობში, საცავში (თუ საუბარია ნივთიერ მტკიცებულებაზე). დათვალიერება შეიძლება ჩატარდეს როგორც სასამართლოს ინიციატივით, ისე საქმეში მონაწილე პირთა შუამდგომლობით. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 50-ე და 52-ე მუხლების შესაბამისად, მხარე, რომელიც ადგილზე დათვალიერების ჩატარების შესახებ შუამდგომლობს, ვალდებულია, ამისთვის საჭირო თანხა წინასწარ შეიტანოს. თუ ასეთ თხოვნას ორივე მხარე აცხადებს ან ადგილზე დათვალიერება სასამართლოს ინიციატივით ტარდება, მხარეები საჭირო თანხებს თანაბრად იხდიან. თუ მხარე სასამართლო ხარჯების გადახდისგან გათავისუფლებულია, ის თავისუფლდება ამ თანხის გადახდისგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე და 47-ე მუხლებით დადგენილი წესით. პირმა, რომელიც შუამდგომლობს, უნდა მიუთითოს მიზეზი, რის გამოც დათვალიერება უნდა ჩატარდეს დაუყოვნებლივ და მიუთითოს საგნების ადგილსამყოფელზე.

წერილობითი მტკიცებულებების და ნივთიერი მტკიცებულების დათვალიერების დროის და ადგილის შესახებ ეცნობება ყველა დაინტერესებულ პირს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა დათვალიერების და გამოკვლევის ჩატარებას არ აფერხებს. დათვალიერებისათვის შესაძლებელია სპეციალისტების მოწვევა, რომელთა ცოდნაც საჭიროა ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში (მაგალითად, ბუღალტერის ან ბანკის სპეციალისტის მოწვევა). თვითონ ადგილზე დათვალიერება, როგორც ასეთი, მტკიცებულებას არ წარმოადგენს. იგი მხოლოდ ერთ-ერთი საპროცესო მოქმედებაა, მაგრამ წერილობითი მტკიცებულებების ან ნივთიერი მტკიცებულების დათვალიერების და გამოკვლევის ჩატარების დროს იწერება **თქმი, რომელიც შემდგომში გამოიყენება როგორც წარმოებული წერილობითი მტკიცებულება.**

§ 7. ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების შუამდგომლობა

თავის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღებით დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა გამოიყენონ საექსპერტო გამოკვლევის შესაძლებლობები. ამისთვის მხარემ, რომელიც ამა თუ იმ ექსპერტიზის ჩატარებას საჭიროდ თვლის, უნდა მიმართოს სასამართლოს, რადგან ექსპერტიზა სწორედ სასამართლოს განჩინებით ინიშნება. ექსპერტიზისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურების საკითხი, მტკიცებულებების ადგილზე დათვალიერების ანალოგიურად წყდება. საექსპერტო მომსახურების თანხის (გასამრჯელოს) გადახდის ზოგად პრინციპს კერძო სპეციალური და სახელმწიფო სპეციალური საექსპერტო დაწესებულებებისათვის, ადგენს სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის 45-ე და 52-ე მუხლები. ბოლო დროს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, მხარეს შეუძლია სასამართლოსაგან და მოუკიდებლადაც უზრუნველყოს ექსპერტიზის ჩატარება ანუ თვითონ იზრუნოს აღნიშნულზე, რისთვისაც არ არის აუცილებელი სასამართლოს განჩინების მიღება. ეს მხარეს სასამართლოში სარჩელის შეტანამდეც შეუძლია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის შესაბამისად, ექსპერტიზა იმ საკითხების განმარტებისთვის ტარდება, რომლებიც საქმის განხილვისას წარმოიქმნა და მეცნიერების, ხელოვნების, ტექნიკის ან ხელობის სფეროებში სპეციულურ ცოდნას მოითხოვს. ცოდნის ერთადერთი სფერო, რომელზეც ექსპერტიზის დანიშვნა არ შეიძლება, სამართალია.

ექსპერტიზა შეიძლება დაინიშნოს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე. მაგრამ ექსპერტიზის დანიშვნა უმჯობესია სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დაწყებამდე, ანუ საქმის მომზადების ეტაპზე, რადგან სასამართლო სხდომის დროს ექსპერტიზის დანიშვნა საქმის მოსმენის გადადებას იწვევს. ექსპერტიზის დანიშვნისას, სასამართლომ (მოსამართლემ) უნდა გაითვალისწინოს მხარეების და საქმეში მონაწილე სხვა პირების მიერ შეთავაზებული საკითხები, რომლებიც განმარტებისათვის უნდა გადაეცეს ექსპერტს. შეთავაზებული საკითხების ექსპერტისათვის განსამარტავად გადაცემაზე უარის თქმა უნდა იყოს მოტივირებული.

სამოქალაქო საქმეზე შეიძლება ჩატარდეს სხვადასხვა ექსპერტიზა, მაგრამ ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი:

1. ხელნაწერმცოდნეობითი ექსპერტიზა. იგი ყველაზე გავრცელებულია სამოქალაქო სამართალწარმოებაში და, როგორც წესი, დაკავშირებულია ხელშეკრულებაზე, ანდერძზე, სავალო ხელწერილზე და სხვა დოკუმენტზე შესრულებული ხელმოწერის ნამდვილობის დადგენასთან, აგრეთვე ხელით ნაწერი დოკუმენტის შემსრულებელი პირის ნაწერის მიხედვით იდენტიფიკაციასთან;

2. სასამართლო-საქონელმცოდნეობითი ექსპერტიზა ინიშნება ერთობლივად შეძენილი ქონების გაყოფის და სხვა კატეგორიის საქმეებზე, სადაც საჭიროა ნაწარმის სახის, სახეობის, დანიშნულების დადგენა, აგრეთვე მისი თავდაპირველი ღირებულების ან ცვეთის გათვალისწინებით ღირებულების განსაზღვრა;

3. სასამართლო საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა უძრავი ქონების ნატურით გაყოფის, საცხოვრებელი სახლის ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრისა და სხვა საშუალებას იძლევა;

4. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. მამობის დადგენის ან მამობის სადავოდ ქცევის საქმეებზე სულ უფრო ხშირად გამოიყენება გენოტიპოსკოპიის მეთოდი, თუმცა ამ საქმეებზე ჩვეულებრივი სასამართლო-ბიოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებაცაა დასაშვები;

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ინიშნება ასევე ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეებზე.

5. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 324-ე და 327-ე მუხლების შესაბამისად, ფიზიკური პირის ქმედუუნაროდ ან ქმედუნარიანად აღიარების საქმეებზე სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება აუცილებელია. სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა ტარდება იმის

დასადგენად, შეეძლო თუ არა ფიზიკურ პირს გაეგო საკუთარი მოქმედების მნიშვნელობა და ეხელმძღვანელა მისთვის. ამგვარი ექსპერტიზა ხშირად ტარდება გარიგების ბათილად აღიარების, ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის (როცა ზიანი მიყენებულია ჭკუასუსტის ან სულით ავადმყოფის მიერ), ქორწინების ბათილად ცნობის და სხვა საქმეებზე.

შესაძლებელია გარდაცვალების შემდგომი სასამართლო-სამედიცინო ან სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა სამემკვიდრეო საქმეებზე (მაგალითად, გარდაცვალების შემდგომი სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა შეიძლება ჩატარდეს, როდესაც მოსარჩელე ამტკიცებს რომ მამკვიდრებელს, ანდერძის შედგენისას არ ჰქონდა უნარი გაეგო საკუთარი ქმედების მნიშვნელობა და ეხელმძღვანელა მისთვის).

უფრო იშვიათად ინიშნება ტრასოლოგიური, ფსიქოლოგიური და ზოგი სხვა ექსპერტიზა. მაგალითად, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეებზე შეიძლება დაინიშნოს ტრასოლოგიური ექსპერტიზა.

როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლო წესით ანაზღაურდება მიყენებული მორალური ზიანი. მორალური ზიანის ოდენობის დამტკიცება და დასაბუთება ხშირად მხარეებს არ შეუძლიათ.

მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების საქმეზე სასამართლომ შეიძლება დანიშნოს კომპლექსური ექსპერტიზა, ექიმების (მათ შორის ფსიქიატრების ჩათვლით), ფსიქოლოგების მონაწილეობით. სხვადასხვა სპეციალიზაციის ექიმს, ასევე ფსიქოლოგებს შეუძლიათ, განსაზღვრონ დაზარალებულთა მდგომარეობა როგორც ზიანის მიყენების, ისე სასამართლო განხილვის მომენტში. ეს, შეიძლება, დაეხმაროს სასამართლოს მოსარჩელის (ან თუ მის მხარეზე რამდენიმე პირი მონაწილეობს – მოსარჩელეთა) მიერ გადატანილი ზნეობრივი, ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვის განსაზღვრაში.

ექსპერტიზის დანიშვნა სასამართლოს, მართალია, თავისი ინიციატივითაც შეუძლია, მაგრამ მხარეებმაც უნდა იაქტიურონ ექსპერტიზის დანიშვნის საკითხში, რადგან მტკიცებულებების შეგროვების ინიციატივა მხარეთა ხელშია, მათ უნდა იცოდნენ თანამდეროვე საექსპერტო გამოკვლევების შესაძლებლობები. მაგალითად, ღირსებისა და პატივის დაცვის საქმეებზე ბოლო დროს გავრცელდა კომპლექსური ექსპერტიზა, სადაც სპეციალისტი ფილოლოგები მოპასუხის მიერ გამოყენებული სიტყვების მნიშვნელობის შესახებ იძლევიან დასკვნას, ხოლო ფსიქოლოგები ამ სიტყვებზე კონკრეტული ადამიანის რეაქციას განსაზღვრავენ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ: მხარის მიერ ექსპერტიზაში მონაწილეობაზე თავის არიდების შემთხვევაში (ექსპერტიზაზე გამოუცხადებლობა, ექსპერტებისთვის გამოკვლევისთვის საჭირო საგნების წარუდგენლობა და ა.შ.), როდესაც საქმის გარემოებების მიხედვით, ამ მხარის მონაწილეობის გარეშე ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელია, სასამართლო უფლებამოსილია, იმის მიხედვით, რომელი მხარე არიდებს თავს ექსპერტიზას და რა მნიშვნელობა აქვს ექსპერტიზას ამ მხარისათვის, ფაქტი, რომლის გასარკვევადაც იყო დანიშნული ექსპერტიზა, დადგენილად მიიჩნიოს ან პირიქით, მიიჩნიოს, რომ ეს ფაქტი დადგენილი არ არის (არ

არსებობს). აქვე აღვნიშნავთ, რომ, ჩვენი აზრით, გარკვეულ უზუსტობას უშვებს სსსვ-ის 169-ე მუხლი, როცა საუბრობს მოწინააღმდეგე მხარის პოზიციის დადასტურებულად ჩათვლაზე, რაც არასწორი ფორმულირებაა, ვინაიდან კანონი ყოველთვის სამართლებრივ ანუ იურიდიულ შედეგებს უკავშირებს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს (ამ ფაქტის არსებობას ან არარსებობას) და არა «მხარის პოზიციას», როგორც ეს იქნებოდა, თუ კანონი აქცენტს ფაქტების დადგენაზე გადაიტანდა. თუ მხარეს აქვს წერილობითი მტკიცებულება ან ნივთიერი მტკიცებულება და სასამართლოს მოთხოვნით მას არ წარადგენს, სასამართლო უფლებამოსილია მტკიცებულების გამოთხოვის შუამდგომლობის აღმდვრელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტების მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ასეთი ტვირთი გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულების წარდგენაზე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 136-ე და 157-ე მუხლი).

§ 8. სასამართლო დავალება

მტკიცებულებების შეგროვება შესაძლებელია სხვადასხვა საშუალებით. ესენია: მათი წარდგენა საქმეში მონაწილე პირთა მიერ, სასამართლოს მიერ მტკიცებულებების გამოთხოვა საქმეში მონაწილე პირთა შუამდგომლობის საფუძველზე, ექსპერტიზის დანიშვნა, მტკიცებულებების ადგილზე დათვალიერება და სხვა საშუალებები. ძირითადთან ერთად არსებობს მტკიცებულებების შეგროვების განსაკუთრებული საშუალებაც – სასამართლო დავალება. ამ საშუალების განსაკუთრებულობა იმაშია, რომ ის გამოიყენება მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც რაიმე მიზეზით სასამართლოში მტკიცებულებების სხვა საშუალებებით წარდგენა ვერ ხერხდება.

სასამართლო დავალების წესით შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მხარეთა და მესამე პირების გამოკითხვა, მოწმეების დაკითხვა, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებების დათვალიერება და გამოკვლევა მათ ადგილსამყოფელზე. სასამართლო დავალების შესახებ განჩინების გამოტანა დაუშვებელია, თუ მტკიცებულებების წარდგენა შესაძლებელია საქმეში მონაწილე პირთა მიერ ან სასამართლოს შეუძლია გამოითხოვოს ისინი მხარეთა შუამდგომლობით ან ზოგიერთი კატეგორიის საქმეზე თავისი ინიციატივით. სასამართლო ასევე არ არის უფლებამოსილი, გასცეს მოსარჩელისაგან იმ ცნობების თუ მონაცემების გამოთხოვის დავალება, რომლებიც ადასტურებს სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებულობას, ასევე მოსარჩელისაგან სხვა ცნობები თუ მონაცემების გამოთხოვის დავალება, რომლებიც უნდა იქნეს მითითებული სასარჩელო განცხადებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად.

სასამართლო დავალება ფორმდება მოსამართლის განჩინებით. დაუშვებელია სასამართლო დავალებების გაგზავნა წერილების, მოთხოვნებისა და სხვა ფორმით.

სასამართლო დავალების შესახებ განჩინებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 107-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მოკლედ უნდა იყოს აღწერილი საქმის შინაარსი, მითითებული უნდა იქნეს დასადგენი გარემოებები, მტკიცებულებები,

რომლებიც უნდა შეაგროვოს (შეამოწმოს) დავალების შემსრულებელმა სასამართლომ, აგრეთვე დავალების შესრულების ვადა.

საქმის სასამართლო განხილვისთვის მომზადების სტადიაზე განჩინება გამოაქვს მოსამართლეს ერთპიროვნულად, ხოლო საქმის სასამართლო განხილვის დროს – მოსამართლეს ან სასამართლოს კოლეგიური ანუ მთელი შემადგენლობით, იმისდა მიხედვით, რა წესით – ერთპიროვნულად თუ კოლეგიალურად – განიხილება საქმე.

განჩინება სასამართლო დავალების შესახებ სავალდებულოა დავალების შემსრულებელი სასამართლოსთვის და უნდა შესრულდეს დავალების მიმცემი სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 107-ე მუხლის მე-3 ნაწილი). ვადის ათვლა იწყება განჩინების ასლის სასამართლოში შესვლის შემდეგი დღიდან.

სასამართლო დავალება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად უნდა შესრულდეს. ამ წესების დარღვევის შემთხვევაში დასადგენი ფაქტები მტკიცებულებით ძალას კარგავს. თუ სასამართლო დავალება ითვალისწინებს ადგილზე დათვალიერების ჩატარებას, მაშინ დავალების შემსრულებელი სასამართლო აცნობებს საქმეში მონაწილე პირებს ადგილზე დათვალიერების დროსა და ადგილს, თუმცა მათი გამოცხადებლობა დავალების შესრულებას (დათვალიერების ჩატარებას) ვერ დააბრკოლებს.

ოქმები და სასამართლო დავალების შესრულებისას შეგროვილი ყველა მასალა დაუყოვნებლივ უნდა გადაიგზავნოს საქმის განმხილველ სასამართლოში. თუმცა ამ ოქმებისა და მასალების არსებობა ხელს არ უშლის საქმეში მონაწილე პირთა ან მოწმეების გამოცხადებას, მათ მიერ საერთო წესით განმარტებების ან ჩვენებების მისაცემად (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 108-ე მუხლის მე-3 ნაწილი). თუ საქმეზე ცალკეული მტკიცებულებების შეგროვება ხორციელდებოდა სასამართლო დავალების საფუძველზე ან მტკიცებულებების უზრუნველყოფის, მოწმეების ადგილსამყოფელზე მოწმეთა დაკითხვის, ადგილზე დათვალიერების გზით ან საქმის განხილვის გადადებისას, სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება იყოს მოტივირებული ამ მტკიცებულებებზე მითითებით, მხოლოდ იმ პირობით, რომ ოქმები და ამ წესით შეგროვილი სხვა მასალა იყო გამოქვეყნებული და განხილული სასამართლო სხდომაზე, მათში არსებული ფაქტობრივი მონაცემები კანონით გათვალისწინებული წესით იყო გამოკვლეული სასამართლოს მიერ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. ამ მასალებს უნდა გაეცნონ საქმეში მონაწილე პირები, მათი წარმომადგენლები, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – ექსპერტები და მოწმეები. საქმეში მონაწილე პირებს უფლება აქვთ, მისცენ განმარტები დასახელებულ მასალებში ასახულ ცნობებთან დაკავშირებით.

სასამართლო დავალებაც, მტკიცებულებების ადგილზე დათვალიერებაც – მტკიცებულებების შეგროვებისა და გამოკვლევის მიზნით განხორციელებული საპროცესო მოქმედებებია. მაგრამ საჭიროა მათი ერთმანეთისგან განსხვავება, კერძოდ, მტკიცებულებათა დათვალიერებას ახორციელებს სასამართლო, რომლის წარმოებაშიცაა საქმე, ხოლო სასამართლო დავალების წესით მტკიცებულებას საქმის განმხილველი სასამართლო არ იკვლევს.

§ 9. სარჩელის უფლება და სარჩელის წარდგენის პირობების დაცვა

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლი სარჩელის უფლების წინაპირობებისა და სარჩელის წარდგენის პირობების ჩამონათვალს შეიცავს. იმისთვის, რომ სასამართლომ განცხადება მიიღოს საქმე სასამართლოს უწყებრივად უნდა ექვემდებარებოდეს. ზოგიერთი კატეგორიის საქმეზე თვალნათელია, რომ საქმე სასამართლო განხილვის საგანია (მაგალითად, მეუღლების განქორწინებისას, როცა მათ შორის არის დავა), მაგრამ ზოგიერთ დავაზე მოსარჩელე (განცხადებელი) ვალდებულია, დავის სასამართლოსადმი უწყებრივი ქვემდებარეობა ან სასამართლოსადმი დავის განსჯადობა დაასაბუთოს.

მტკიცების ფორმა ასეთ შემთხვევაში განსხვავდება სასარჩელო მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთებისგან. თუ, მაგალითად, მოსარჩელე, თავისი უფლების დასაბუთებისას დაწვრილებით გადმოსცემს ფაქტებს და მტკიცებულებებს განცხადების (სარჩელის) აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილში, უწყებრივი ქვემდებარეობის ან განსჯადობის საკითხი ასეთივე დაწვრილებით არგუმენტაციას არ მოითხოვს. მაგრამ სასარჩელო განცხადებიდან ნათელი უნდა იყოს, რომ ეს დავა უწყებრივად სასამართლოს ექვემდებარება და სხვა ორგანოს კომპეტენციაში არ შედის. ამისთვის საკმარისია, მკაფიოდ განისაზღვროს სადაცო სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი და ამ ურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობა. იმის განსაზღვრა, თუ რა ხასიათისა და შინაარსის სამართალურთიერთობაა დავის საგანი, განსაკუთრებულ აქტუალობას და მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც ამ ურთიერთობის მხარეებს შორის დავა (საქმე) გადაწყვეტილია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტით. მაგალითად, მოსარჩელემ ადრე მიმართა სასამართლოს სარჩელით, მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, მაგრამ თავის დროზე სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ ჰქონია აღძრული. ამიტომ, მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ახალი სარჩელის შეტანისას, სასარჩელო განცხადებაში საკმარისია მიეთითოს ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც დადგენილია ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა. შესაბამისად, მოსამართლისთვის გასაგებია, რომ სასარჩელო განცხადების მიღებაზე უარის თქმის საფუძველი არ არსებობს (იგულისხმება სსსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის «ბ» პუნქტი), რადგან სახეზე არ არის სარჩელის იგივეობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის შესაბამისად, მოსამართლე ვალდებულია, სასარჩელო განცხადების მიღებაზე უარი თქვას, თუ ის სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება. სასამართლოებს მხოლოდ იმ საქმეების გადაწყვეტა შეუძლია, რომლებიც კანონით მათ გამგებლობას განეკუთვნება (უწყებრივად ექვემდებარება). მაგრამ კანონში სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს შორის უწყებრივი ქვემდებარეობის ამომწურავად გამიჯვნა და განსაზღვრა, ზღვარის დადება შეუძლებელია, ამიტომაც უწყებრივი ქვემდებარეობის განსაზღვრა, გამიჯვნა ზოგადი წესის მეშვეობით უნდა მოვახდინოთ. კერძოდ, ეს არის: სადაცო სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი და დავის მონაწილეთა სუბიექტური შემადგენლობა. ზოგი პროცესუალისტი მიიჩნევს, რომ უწყებრივი ქვემდებარეობის განსაზღვრის ზოგად წესს ასევე უნდა მიეკუთვნებოდეს უფლების სადაცობა ან უდავოობა, რაც სამუალებას

გვაძლევს განვსაზღვროთ საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობა სასამართლოებისადმი და ნოტარიუსების, ასევე სამოქალაქო რეესტრის ორგანოსადმი; მხარეებს შორის ხელშეკრულების არსებობა, რაც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ სასამართლო ხელისუფლებასა და კერძო არბიტრაჟებს შორის უწყებრივი ქვემდებარეობა.

დავის განმსაზღვრელ ორგანოებს შორის კომპეტენციის გამიჯვნის ყველაზე ზოგადი წესი მდგომარეობს იმაში, რომ იურიდიული საქმეები, რომლებიც სხვა ორგანოებს არ ექვემდებარება უწყებრივად, საერთო იურისდიქციის სასამართლოს ქვემდებარეა უწყებრივად.

ბოლო პერიოდში ყველაზე მეტი შეკითხვა ჩნდება იმ საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობის განსაზღვრისას, რომლებიც საერთო იურისდიქციის სასამართლოებსა და კერძო არბიტრაჟებს ექვემდებარება. არბიტრაჟის კანონის 1-ლი მუხლის თანახმად არბიტრაჟი განიხილავს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის მხოლოდ ქონებრივ დავებს ანუ მას ექვემდებარება ქონებრივი დავა თუ მხარეთა შორის არსებობს შესაბამისი წერილობითი შეთანხმება. ამგვარი შეთანხმება შეიძლება იყოს რომელიმე ხელშეკრულების ერთ-ერთ პუნქტშიც ასახული ან შედგეს ცალკე. ბოლო დროს სასამართლოები არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების საკითხის განხილვისას მოითხოვენ, რომ ამგვარი შეთანხმება უნდა ითვალისწინებდეს სახელ-დებით კონკრეტულ არბიტრაჟში ქონებრივი დავის განხილვას. ანუ იმისთვის, რომ დავა ექვემდებარებოდეს არბიტრაჟს და არა საერთო იურისდიქციის სასამართლოს, საჭიროა სამი პირობის დაცვა. პირველი – დავას უნდა ჰქონდეს ქონებრივი ხასიათი. მეორე – საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა იყოს წერილობით გაფორმებული. მესამე-საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა ითვალისწინებდეს ქონებრივი დავის კონკრეტულ არბიტრაჟში განხილვას. დავის სუბიექტი შეიძლება იყოს იურიდიული პირი ან ფიზიკური პირი.

თუკი საერთო იურისდიქციის სასამართლომ შეცდომით მიიღო სასარჩელო განცხადება მოპასუხეს შეუძლია შეიტანოს საპროცესო შესაგებელი და საქმის შეწყვეტა მოითხოვოს.

ამგვარად, მხარე, რომელმაც დავის სასამართლოსადმი უწყებრივი ქვემდებარეობა სწორად განსაზღვრა, დროულად იზრუნა სარჩელისა და მტკიცებულებების უზრუნველყოფაზე, ისარგებლა სასამართლო ხარჯების გადახდის, გადადების ან ოდენობის შემცირების, მტკიცებულებების გამოთხოვის, სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნისათვის და ა.შ. შესახებ შუამდგომლობების აღმვრის უფლებით, თავს დროის უსარგებლო ხარჯვის, საქმის გაჭირების, ზედმეტი ხარჯებისგან იზღვევს და პირიქით, როცა მხარე მტკიცების მოვალეობას გულგრილად, დაუდევრად ეკიდება, დიდი ალბათობაა, რომ წააგებს პროცესს.

ზემოთ განხილული რიგი საპროცესო მოქმედების შესრულება სამოქალაქო პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედებას რეალურად უზრუნველყოფს და ცხადყოფს, რომ ზოგიერთ პროცესუალურ საკითხში სასამართლო მაინც მტკიცებულებების შეგროვების სუბიექტად რჩება (მაგალითად, თავისი ინიციატივით განჩინებით შეუძლია დანიშნოს სასამართლო ექსპერტიზა, საოჯახო საქმეებზე თავისი ინიციატივით გამოითხოვოს მტკიცებულებები), დანარჩენ შემთხვევებში კი მოსამართლეს მხოლოდ მხარეებისთვის მტკიცებულებების შეგროვებაში დახმარების აღმოჩენა შეუძლია. უფრო მეტიც, საპროცესო მოქმედებების სწორი გამოყენება,

როდესაც ეს ამასთან სამართლებრივი პოზიციის მატერიალური სამართლის ნორმებით დამაჯერებელ დასაბუთებასთან არის შეხამებული, საქმეზე მხარისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას უწყობს ხელს.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. შალვა ქურდაძე – სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში. გვამოცემა მე-2 თბ., 2006;
2. შალვა ქურდაძე, მზია თოდუა – ცალკელული კატეგორიის სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების თავისებურებანი თბ., 2005;
3. ავთანდილ კობახიძე – სამოქალაქო საპროცესო სამართალი თბ., 2004;
4. თენგიზ ლილუაშვილი – სამოქალაქო საპროცესო სამართალი თბ., 2005;
5. თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი. თბ., 2007;
6. ჰაინ ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004 ;
7. Гражданское судопроизводство. Особенности рассмотрения отдельных категорий дел. отв. ред. В.В. Ярков. М., Юристъ 2001;
8. Гражданский процессуальный кодекс Российской Федерации. Постатейный Комментарий. Под. ред. П.В. Крашенинникова М., Статут, 2006.

გია ლილუაშვილი, პროფესორი

სამოქალაქო საქმეებზე ამერიკის მტკიცებულებითი სამართალი

საერთო სამართლის ქვეყნებში, როგორც ცნობილია, მოქმედებს სასამართლო პრეცედენტის ინსტიტუტი. კონკრეტულ სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით გამოტანილი გადაწყვეტილებებით პროცესუალური ნორმები იქმნებოდა და დღესაც იქმნება მოსამართლეების მიერ. განსხვავებით რომანულ-გერმანული სისტემის მოსამართლეებისგან, საერთო სამართლის მოსამართლეები კონკრეტულ სამოქალაქო საქმესთან მიმართებაში იყენებენ არა შესაბამის სამართლის ნორმებს, არამედ უკვე არსებულ მსგავს სასამართლო პრეცედენტებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფედერალური სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, მოქმედებს ფედერალური წესები და 50 შტატის კანონმდებლობა; აქედან გამომდინარე არსებობს როგორც ფედერალური სასამართლო სისტემა- თავისი უზენაესი სასამართლოს ინსტანციით, ასევე შტატის სასამართლო სისტემა - თავისი უმაღლესი სასამართლო ინსტანციით. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო და შტატების უმაღლესი სასამართლო პრეცედენტებით არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. სასამართლოებს უფლება აქვთ შეიტანონ ცვლილებები და დამატებები პრეცედენტებში, ან უარი თქვან ადრე არსებულ პრეცედენტზე.

XIX საუკუნის განმავლობაში ამერიკელ იურისტებს შორის მიმდინარეობდა დავა კოდიფიკაციის სისტემის მნიშვნელობისა და საერთო სამართლის (პრეცედენტული სამართლის) მნიშვნელობის თაობაზე. არც თუ ისე ცნობილია, რომ მტკიცებულებათა სამართლის კოდიფიკაციის შექმნის მცდელობა პირველად გვხვდება ჯერ კიდევ 1811 წელს ცნობილი ინგლისელი იურისტისა და ფილოსოფოსის იერემი ბენთამის (Bentham Jeremy) მიმართვაში ამერიკის პრეზიდენტის მედისონისადმი. თავისი წერილში იგი პრეზიდენტს წერდა, რომ თავიდან მოეცილებინათ «არაფრისმთქმელი და უფორმო ჩვეულებითი სამართალი, რომელსაც მეორენაირად დაუწერელ სამართალსაც უწოდებდნენ». აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ბენთამი ჯერ კიდევ 1800 – 1830 წლებში ინგლისური სამართლის კოდიფიკაციის აუცილებლობას ასაბუთებდა და მეფეს და საზოგადოებას დაუწერელი ნორმების კოდიფიკაციისავენ მოუწოდებდა.¹⁴

ამერიკაში კოდიფიკაციის მომხრედ გამოდიოდა აგრეთვე ცნობილი იურისტი დევიდ დადლი ფილდი (David Dudley Field), რომელმაც 1848 წელს ნიუ იორკის საზოგადოებას შესთავაზა მისი მონაწილეობით შექმნილი სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები¹⁵. ამერიკელთა დიდმა ნაწილმა არ გაიზიარა წარმოდგენილი კოდექსები და ინგლისური საერთო სამართლის სისტემის შეცვლა დაწერილი კოდექსების სისტემით.

¹⁴ Charles M. Cook. The American Codification Movement: A Study of Antebellum Legal Reform *- Journal of American History. Vol. 69. ! 2 (Sep., 1982). P. 439, 440.

¹⁵ Lawrence M. Friedman, History of American Law, 1973, p.392

შემდეგი ეტაპი ამერიკის მტკიცებულებითი სამართლის კოდიფიკაციის საკითხებში დაკავშირებულია ამერიკის სამართლის ინსტიტუტის საქმიანობასთან და მტკიცებულებითი სამართლის სანიმუშო კოდექსის პროექტთან.

1939 წელს ედმუნდ მორგანი თავის მოხსენებაში ზემოთ აღნიშნული კოდექსის პროექტის შექმნასა და მნიშვნელობას შექმნა¹⁶ იურისტთა საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ მიიღო სამართლის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული კოდექსის პროექტი იმ მოტივით, რომ პროექტი ზედმეტად დიდ თავისუფლებას ანიჭებდა მოსამართლეებს.

მიუხედავად ამისა, ერთიანი კანონმდებლობის ნაციონალური კომისიის მიერ შემუშავებული «მტკიცებულებათა წესების კრებულის» პროექტის საფუძველი მაინც ამ კოდექსის პროექტი იყო, რაც მის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებდა. კრებულის მიზანი იყო არა მტკიცებულებათა რეფორმირება, არამედ მტკიცებულებათა წესების თავმოყრა.

მტკიცებულებათა წესების პირველი კრებული გამოიცა 1953 წელს. ის მხოლოდ სამ შტატში, კერძოდ, კანზასის, ნიუ-ჯერსისა და იუტას შტატებში იქნა სემოლებული. ეს ის დრო იყო, როდესაც წესების უნიფიკაციას უარყოფითად უყურებდნენ.

1963 წელს ფედერალური სასამართლოების კონფერენციამ საზოგადოებას მტკიცებულებათა სამართლის წესების კრებულის შექმნის იდეა შესთავაზა. რამდენიმე წლის შემდეგ მოსამართლეები ერლ უერენი და პროფესორი ედვარდ კლეარი გაწერვიადნენ ე.წ. სათათბირო კომიტეტში, რომელიც სამართლის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისგან შედგებოდა. მათ კვლავ შეიმუშავეს მტკიცებულებათა სამართლის წესების კრებული, რომელიც გამოქვეყნდა 1969 წელს. უმაღლესმა სასამართლომ ნაცვლად იმისა რომ გაეგზავნა ეს კრებული კონგრესში კომენტარების გასაკეთებლად, გადაუგზავნა მოსამართლეთა კონფერენციას. უზენაესი სასამართლოს ამ მოქმედებამ კონგრესის ყურადღება მიიქცია. ამ დროისათვის უკვე არსებობდა ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის წინადადებები მტკიცებულებათა სამართლის წესების გაერთიანებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ.

1972 წელს წესების კრებული დასამტკიცებლად გადაეცა კონგრესს. კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ წესები არ შესულიყო ძალაში ვიდრე მათ კონგრესი არ დაამტკიცებდა¹⁷.

1975 წლის იანვარში კონგრესმა მიიღო მტკიცებულებათა შესახებ ფედერალური წესები (Federal rules of evidence), რომელიც შემდგომ ბევრ შტატში იქნა შემოღებული. აღნიშნული ფაქტს პრაქტიკოსი იურისტების უარყოფითი რეაქცია მოჰყვა, რადგან წარმოიშვა ორი კრებულის – ფედერალური და შტატის მტკიცებულებათა შესახებ წესების – შესწავლის აუცილებლობა.

დღოთა განმავლობაში ამ წესებმა, რომელიც შედგენილი იყო საერთო სამართლის პრინციპებისა და წესების მიხედვით, საერთო ნაციონალური სტანდარტის ხასიათი მიიღო.

მტკიცებულებათა შესახებ ფედერალურ წესები, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ეხებოდა როგორც სისხლის სამართლის პროცესს, ასევე სამოქალაქო პროცესს. თანდათან მასში შევიდა გარკვეული ცვლილებები და დამატებები.

¹⁶ *The Law of Evidence. Some Proposals for its Reform.* By Edmund M. Morgan, Harvard Law review, 1928.

Charles A. Wright & Kennet W. Graham. Federal Practice and Procedure: Evidence § 5005—5006 (1977).

¹⁷ Robert P. Mosteller. Evidence History, the New Trace Evidence, and Rumblings in the Future of Proof // Ohio State Journal of Law. Vol. 3:523. 2006.

ამდენად დღეისთვის ამერიკის სამართლის და, კერძოდ, მტკიცებულებითი სამართლის წყაროდ თანდათან გვევლინება საკანონმდებლო აქტებიც, რომლებიც, ძირითადად, პრეცედენტულ სამართალზეა აგებული. კანონმდებლობა, როგორც სამართლის წყარო, დღეს სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, თუმცა პრეცედენტი მაინც რჩება წამყვან სამართლის წყაროდ.

მტკიცებულებათა შესახებ ფედერალური წესები¹⁸ 11 თავისგან და 67 მუხლისგან შედგება. ეს თავებია:

1. ზოგადი დებულებები;
2. სასამართლოსთვის ცნობილი ფაქტები;
3. პრეზუმციები სამოქალაქო საქმეებზე და პროცესებზე;
4. განკუთვნადობა და მისი ფარგლები;
5. შეღავათები;
6. მოწმეები;
7. ექსპერტის აზრი და ჩვენება;
8. ჩვენება სხვისი სიტყვების მიხედვით;
9. დადასტურება და იდენტიფიცირება;
10. წერილობითი მასალის, ჩანაწერებისა და ფოტომასალის შინაარსი;
11. სხვა წესები.

შედარებითი ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს დავინახოთ ის საერთო სამართლებრივი ინსტიტუტები, რომლებიც საქართველოსა და ამერიკის მტკიცებულებათა წესებს აქვთ. მაგალითად, მტკიცებულებათა დასაშვებობა და განკუთვნადობა, მტკიცების ტვირთის განაწილება და ა.შ. სამწუხაროდ, დღემდე არ არის გამოკვლეული ამერიკის მტკიცებულებითი სამართალი, არ არის გამოკვეთილი და შედარებითი ანალიზის განხილული საქართველოს და ამერიკის მტკიცებულებითი სამართლის ცალკეული ინსტიტუტებისათვის მახასიათებელი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

მტკიცებულებათა შესახებ ფედერალური წესები გამოიყენება როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის პროცესში. ეროვნული ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, აშშ-ის სამოქალაქო პროცესი სისტემური აგებულობითაც განსხვავდება კონტინენტური სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესისგან. ამასთან ერთად, ჩვენთან სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებშია ჩართული მტკიცებულების მარეგულირებელი ნორმები. წინამდებარე სტადიაში მოკლედ შევეხები მტკიცებულებითი სამართლის ზოგიერთ ინსტიტუტს.

ამერიკულ სამართალში მტკიცების საგანი მოსარჩელისათვის არის ის ფაქტები, რომელიც მან უნდა დაამტკიცოს იმისათვის, რომ მოიგოს საქმე, ხოლო, მოპასუხისათვის არის ის ფაქტები, რომელიც მან უნდა დაამტკიცოს თავის დაიცვის მიზნით.

მტკიცების საგნის წყაროს მატერიალური ნორმები და წარმოდგენილი დოკუმენტები წარმოადგენს. ხშირად მტკიცების საგანს დასამტკიცებელი ფაქტების ერთობლიობა წარმოადგენს. ამ მხრივ ამერიკული მტკიცებითი სამართალი მსგავსია ქართული

¹⁸ Federal rules of Evidence, 2010.

სამოქალაქო საპროცესო სამართლისა, სადაც ასევე მტკიცების საგანია მატერიალური სამართლის ნორმები და სარჩელის საფუძველი.

გარდა აღნიშნულისა, ქართულ საპროცესო სამართალშიც, კერძოდ, მოსამზადებელ სტადიაზე, ხდება დოკუმენტების გაცვლა, რაც აშშ-ის სამოქალაქო საპროცესო სამართლითაა გათვალისწინებული.

ამერიკელი მოსამართლე, მსგავსად ქართული სამართლისა, თავად წყვეტს ესა თუ ის მტკიცებულება მიეკუთვნება თუ არა დავის საგანს.

ქართული საპროცესო სამართლის მსგავსად, ამერიკულ საპროცესო სამართალშიც არის ისეთი ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას. მაგალითად, მოვლენა, რომელიც მოხდა საქმის განმხილველი სასამართლოს ტერიტორიაზე და საყოველთაოდ არის ცნობილი; მოპასუხის მიერ ფაქტის აღიარება, ხელშეკრულების დადასტურება, წელიწადის დროები და ა.შ.

პრეიუდიციული ფაქტები არ საჭიროებენ დადასტურებას, ამასთან ერთად მხარეები იგივე უნდა იყოს. ასეთ შემთხვევაში ის, რაც უკვე ადრე დაადასტურა სასამართლომ იმის დადასტურება ხელმეორედ აღარ ხდება.

მტკიცების პროცესი გადის ორ ეტაპს: 1. მტკიცებულებათა შეგროვება და საქმის მომზადების სტადიაზე მისი წარდგენა; 2. პირველ ინსტანციაში მტკიცებულებათა გამოკვლევა.

ამერიკის სამოქალაქო საპროცესო სამართალში მტკიცების საშუალებებია:

მოწმის ჩვენება, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები, აგრეთვე, მხარეთა ახსნა-განმარტებები და ექსპერტის დასკვნა. როგორც ირკვევა, მტკიცების საშუალებები მსგავსია ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში არსებულ მტკიცების საშუალებებთან.

მოწმის ჩვენება – საკმაოდ გავრცელებული საშუალებაა. ყოველი პირი შეიძლება იყოს მოწმე. მისი კომპენტენცია უნდა შემოწმდეს კანონით დადგენილი წესით. კომპენტენციაში მოიაზრება მისი შესაძლებლობა - სწორად აღიქვას მდგომარეობა, ახსოვდეს და მისცეს სწორი ჩვენება ანუ უნდა იყოს ქმედუნარიანი. იგი უნდა იყოს სრულწლოვანი, არ უნდა იყოს მხარის მეუღლე, იმავე საქმის განმხილველი მოსამართლე. მან უნდა წარმოთქვას ფიცი.

პირი შეიძლება ფსიქიური ავადმყოფი იყოს, მაგრამ, თუ მას შეუძლია ილაპარაკოს სისწორე, სწორად გაიგოს თავისი ვალდებულება სასამართლოს წინაშე, გაუძლოს ჯვარედინ დაკითხვას, მაშინ ეს მოწმე კომპენტენტურ მოწმედ იქნება მიჩნეული და მისი ჩვენება შეფასდება მსაჯულების მიერ.¹⁹

საერთო სამართალი ვარაუდობს, რომ მოწმეს სწამს რელიგიური სასჯელი ცრუ ჩვენებისათვის. ბავშვები ფიცს არ ამბობენ.

ფედერალური წესები იყენებს ასევე მოწმე-ექსპერტის ინსტიტუტს. ამ შემთხვევაში ექსპერტი გამოდის როგორც მოწმე. ექსპერტსა და მოწმე – ექსპერტს შორის ის განსხვავებაა, რომ ექსპერტი იძლევა დასკვნას, რომელიც გამომდინარეობს ფაქტიდან, როგორც ის ამას აღიქვამს მისი ცოდნის მიხედვით, მაგრამ მისი მტკიცებულება არ წარმოადგენს ფაქტების შესახებ პირად ცოდნას. ამდენად, ის სხვის ნააზრევს, სხვის მიერ წარმოდგელ დოკუმენტზე იძლევა დასკვნას.

¹⁹ Roger C. Park, David P. Leonard, Steven H. Goldberg, Evidence Law, 2008, p. 475

მოწმეს ეკრძალება მოახდინოს ფაქტის შეფასება, მაგალითად, მძღოლი მთვრალი იყო, ადამიანი 100 კოლოგრამს იწონიდა და ა.შ. თუმცა, ზოგჯერ ის იძულებულია შეეხოს აღნიშნულ საკითხსაც. მაგრამ მხარეს შეუძლია მოითხოვოს ისეთი კითხვის ან პასუხის მოხსნა, რომელიც შეიცავს ფაქტის შეფასებას. სასამართლოს უფლება აქვს დააკმაყოფილოს ან უარი უთხრას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. მოწმე არა მხოლოდ ადასტურებს ფაქტებს, არამედ, აგრეთვე, ერთგვარ ფსიქოლოგიურ გავლენასაც ახდენს მსაჯულებზე. ამიტომ მოწმის ჩვენებას თან ახლავს ფიცი, ჯვარედინი დაკითხვა და ა.შ.

საერთო წესის მიხედვით, მოწმე იძლევა ჩვენებას იმის შესახებ, რაც მან უშუალოდ იცის და აღიქვა. თუ მოწმე არის ისეთი ფიზიკური ნაკლის ძქონე, რაც მას ხელს შეუშლის ფაქტის დამტკიცებაში, მაშინ ის არ დაიკითხება საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, თუ მოწმე არის ყრუ, მაშინ ის ვერ დაადასტურებს მხარის ნათქვამს.

მოწმის ჩვენება უნდა იყოს არა მარტო კომპენტენტური, არამედ აგრეთვე ნამდვილიც. მხარეს შეუძლია კითხვის ქვეშ დააყენოს მოწმის ჩვენების ნამდვილობა. სასამართლომ შეიძლება ერთი მოწმის ჩვენებაც კი საკმარისად ცნოს. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ეს საკმარისი არ არის. მაგალითად, როდესაც ბავშვის დედა ამტკიცებს, რომ ესა თუ ის პირი არის მისი შვილის მამა, სასამართლომ შეიძლება მისი ნათქვამი არ იკმაროს და სხვა მტკიცებულებაც მოითხოვოს.

მოწმე შეიძლება გამოძახებულ იქნეს მხოლოდ მხარის თანხმობით, მაგრამ, თუ მხარე შიშობს, რომ მოწმე არ გამოცხადდება სასამართლოში, ასეთ შემთხვევაში, მოსამართლე ღებულობს შესაბამის ღონისძიებებს მოწმის იძულებით მოყვანასთან დაკავშირებით. მოწმეს ბარდება უწყება, ამასთან ერთად, მას გადაეცემა სასამართლოში გამოცხადებისა და უკან დაბრუნების თანხა. გამოუცხადებლობა ფასდება სასამართლოსადმი უპატივცემულობით და გამოიყენება სასჯელი.

თუ მოწმე საპატიო მიზეზით ვერ ცხადდება პროცესზე, ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებულია ფიცის ქვეშ დადასტურებულ წერილობით ჩვენება გააგზავნოს სასამართლოში. თუ ჩვენება სადავოა, მაშინ მისი ჩვენება რაიმე გავლენას ვერ მოახდენს სასამართლოზე.

სასამართლო აკონტროლებს მოწმის დაკითხვის პროცესს. მისი მიზანია კითხვა ზუსტად ეხებოდეს საკითხის გარკვევას, ზედმეტი კითხვებით არ მოხდეს საქმის გაჭიანურება, მოწმეზე არ მოახდინონ ზემოქმედება. მოწმეს უფლება აქვს გასახსენებლად გამოიყენოს საქმეში არსებული წერილობითი დოკუმენტები.

მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით მოსამართლეს უფლება აქვს დარბაზიდან გაიყვანოს მოწმე, რათა მან სხვა მოწმეებს არ მოუსმინოს. როგორც ზევით აღვნიშნეთ, მხარეთა ახსნა-განმარტებაც მტკიცებულებაა, თუმცა ფედერალურ წესებში ცალკე თავად არ არის გამოყოფილი და დარეგულირებული. საქმე ისაა, რომ ამერიკის საპროცესო სამართალში მხარეები განიხილება როგორც მოწმეები. დოქტრინის მიხედვით მხარეებმა ყველაზე უკეთ იციან საქმის მდგომარეობის შესახებ, ამიტომ ისინი თავისი არსით მოწმეებად მოიაზრებიან.

მხარეთა ახსნა განმარტება, დოქტრინის მიხედვით, იყოფა მტკიცებად და აღიარებად. მხარემ თავისი მტკიცება მტკიცებულებებით უნდა დაამტკიცოს. რაც შეეხება აღიარებას, ასეთ შემთხვევაში სასამართლო აღარ ითხოვს მის დამტკიცებას.

თუმცა, ზოგჯერ მხარე «აღიარებს» ფაქტს ისე, რომ სინამდვილეში არ მომხდარა, მაგრამ მას აკეთებს სხვა განზრახვით, მაგალითად, არ უნდათ ფაქტის ირგვლივ საჯაროდ დავა, ან მხარე ემუქრება და ა.შ. ასეა თუ ისე ამერიკის საპროცესო სამართალშიც აღიარება მიჩნეულია ‘მტკიცების მამად».

ექსპერტის დასკვნა – ექსპერტი მოწმისგან იმით განსხვავდება, რომ იგი წარმოდგენილი ფაქტების საფუძველზე იძლევა დასკვნას, მოსაზრებას ფაქტების შესახებ. განსხვავებით ექსპერტისგან, მოწმეს არ აქვს უფლება შეაფასოს ფაქტები, მაგალითად, განაცხადოს მძღოლი იყო თუ არა მთვრალი, რამდენად ჩქარა მიდიოდა მანქანა და ა.შ.

ექსპერტად შეიძლება ჩაითვალოს პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა, უნარები და გამოცდილება. ექსპერტს უფლება აქვს მისცეს თავისი დაკვირვების შესახებ ჩვენება,²⁰ მაგალითად, ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, როდესაც ის, როგორც ექიმი, მკურნალობდა მოსარჩევეს.

ექსპერტს მხარეები ირჩევენ, თუმცა შეიძლება თავად მოსამართლემაც დანიშნოს. მაგრამ თუ პირი წინააღმდეგია იყოს ექსპერტი, მაშინ ის უარს იტყვის ექსპერტობაზე. თუ სასამართლოს უნდა წერილობითი დასკვნა ორივე მხარეს შეუძლია ეს დასკვნა თავის არჩეულ აქსპერტს გააკეთებინოს.

წერილობით მტკიცებულებები - მათ მეორენაირად დოკუმენტალურ მტკიცებულებებს უწოდებენ. მტკიცებულებათა აღნიშნული სახე რეგულირდება ფედერალური წესების 1001-ე მუხლით. წერილობითში მოიაზრება ისეთი დოკუმენტი, რომელიც შესრულებულია ხელით, საბეჭდ მანქანაზე, ფოტოგადაღებით, რედგენული გადაღებით, ვიდეო ფირით, მაგნიტური იმპულსებით, მექანიკურად ან სხვა ფორმით.

მხარემ უნდა წარადგინოს მხოლოდ ორიგინალი თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება ასლის წარმოდგენაც თუ იგი მხარის მიერ არ გახდება საეჭვო, ან მოცემულ მდგომარეობაში სამართლიანი იქნებოდა ასლის წარმოდგენა.

წერილობითი დოკუმენტი შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკავშირდება სადაო საქმეს. ამასთან ეს დოკუმენტები დროულად უნდა იქნენ წარმოდგენილი. მხარეებმა უნდა იცოდნენ მათი შინაარსი. ანუ, დოკუმენტი არ შეიძლება წარმოდგენილი იქნეს მხარის მიერ სასამართლოზე თუ ეს წინასწარ ცნობილი არ იყო მეორე მხარისთვის.

მტკიცების საშუალებას წარმოადგენს აგრეთვე, **ნივთიერი მტკიცებულებებიც**, თუმცა ამერიკის მტკიცებულებათა სამართალი არ იცნობს ასეთ ტერმინს. მტკიცებულებათა სამართლის თეორიაში იყენებენ ტერმინს «რეალური მტკიცებულება».²¹ მაგალითად, კოსტუმი, ფოტო სურათი, ვიდეო ჩანაწერი. თუმცა ვიდეო ჩანაწერმა შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს ნაფიც მსაჯულებზე, ამიტომ მოსამართლეები დიდი სიფრთხილით იყენებენ ამ მტკიცებულებას. ვიდეო ჩანაწერებს იყენებენ აგრეთვე მოწმის დაკითხვის დროსაც. ასეთ შემთხვევაში ყურადღება ექცევა არა მხოლოდ იმას რაც მოწმემ თქვა, არამედ იმასაც თუ როგორ თქვა.

²⁰ Roger C. Park, David P. Leonard, Steven H. Goldberg, Evidence Law, 2008, p. 534

²¹ Roger C. Park, David P. Leonard, Steven H. Goldberg, Evidence Law, 2008, p. 564

ამერიკის მტკიცებულებათა სამართლის მოკლე ანალიზის შედეგად მართებულად მიგვაჩნია ავღნიშნო, რომ სამართლის ეს დარგი აიგო და ვითარდება შეჯიბრობითობის პრინციპზე. შეიძლება ზოგიერთ წესს არ დაეთანხმო, ზოგიერთი შეხედულება არ გაიზიარო, მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ იგი საუკუნეების მანძილზე ცხოვრებისეული შემთხვევების საფუძველზე ჩამოყალიბდა და ვითარდება, და ამდენად უფრო მოქნილ, რეალობასთან ახლო მდგომ სამართლის ნორმების ერთობლიობას წარმოადგენს.